

კვირის პალიტრა

ფაქტი

1168
2007

4 387 XI-14/XI-14 3361



**ყველას
ბელაფონი!
ისმინება**

როდის გვისმენენ სუცსამსახურები...

ნახე! ახალი რეალური დემოკრატია „მეცხეობა“ სერიული გველდის, რუსთაველი მანიაკის ცხოვრება



**რეფარენდუმი!
რეფარენდუმი!
რეფარენდუმი!**

ISSN 1987 - 5029
771987502009

საბა SABA

სამზარეულოები იტალიაში




MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.




 **BERLIONI**

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

Website: www.saba.ge e-mail: info@saba.ge  (+995 32) 38 44 54



ეჭვ, მიკშია, მიკშია...

„საქართველოში კიდევ ერთი „9 აპრილი“ მოხდა...“

7 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევამ და დედაქალაქის ცენტრში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოება შოკში ჩააგდო, თითოეული ადამიანის აღშფოთება და უდიდესი გულსიტკვირელობა გამოიწვია. მომხდარმა ხალხს 1989 წლის 9 აპრილის აქციის მონაწილეთა დარბევა გაახსენა, რომელიც საბჭოთა სადამსჯელო მანქანამ განახორციელა. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა ამ ფაქტს კომენტარებისას აღნიშნა: „როდიონოვისგან (ოპერაციის ხელმძღვანელი გენერალი. — რედ.) ნასწავლი გაკვეთილებით განმინდეს მოშიშობილებისგან მოედანო. ვულოცავ მისეილ სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს როდიონოვთან დამეგობრებას.“

ქუჩაში გასულს, ყველა მოქალაქე თვალცრემლიანი მხედებოდა და ადრინდელისგან განსხვავებით, დიქტოვონს არც ერთი მათგანი არ გაუბოდა არაფრის აღარ გვეშინია, სადაც სხვები, ჩვენც იქ ვიქნებით, — დაუდაგვიჭირონ, მაგრამ მაინც ყველაფერს ვიტყვითო.



„ველოსაგ როდიონოვთან დაგეგობრებას!“

ნათია ქივიციანი

ლევან ავაშუკაძე, მუშა, 46 წლის:

— 9 აპრილს რუსები ქართველებს არ მოჰქცევიათ ისე, როგორც 7 ნოემბერს ჩვენი მთავრობა მოგვექცა. ხომ ფაქტია, რომ უსუსური მთავრობა და პრეზიდენტი გვყავს. ღმერთო, როდის მოვესწრები იმ დღეს, რომ ეს მთავრობა მოშორდება?! გიგა ბოკერიასა და მია ნადირაძეს რა უნდათ მთავრობაში? ეგენი მთავრობაში კი არა, ხალხში გამოსაჩენებიც კი არ არიან. ქართველი ერის სირცხვილია, რომ ასეთი ხალხი გვყავს პარლამენტში.

ლალი მამასახლისი, მალაზიის გამყიდველი, 49 წლის:

— არ შემიძლია, შვილო, ლაპარაკი. დილიდან ვტირი და გული მაქვს ცუდად. ეს რა ხდება, ხალხო, ჩვენს ქვეყანაში? 9 აპრილზე უარესი რამ ჩაიდინეს ახლა ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მაგრამ რა აზრი აქვს, ამ ყველაფერს რომ გელაპარაკებით?! თქვენ მაინც არ დაგანერინებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგიჭერენ ყველას, ხომ ხედავთ, რაც ხდება! დამანებეთ თავი, ძალიან გთხოვთ...

თამაზ მიძაბარიძე, ფიზიკოსი, 50 წლის:

— ამნუთას რუსთაველიდან მოვივიარე. ამხელა კაცს, ცრემლები მდიოდა! როგორ გვექცევიათ?! სამწუხაროდ, იქ გვიან მივედი უკვე ხალხს შლიდნენ და იძულებული გავხდი, ისევ უკან წამოვსულიყავი. საქართველოში კიდევ ერთი „9 აპრილი“ მოხდა...

მანანა კარასელიძე, პედაგოგი:

— რა გითხრა, აბა, შვილო?.. გაკვეთილები მქონდა დილით და პირდაპირ ეთერში ვერ ვნახე, რაც მოხდა. ახლა შევხედე ეკრანს და გული გამისკდა... საკმაოდ რთული პერიოდია ახლა ჩვენს ქვეყანაში. ძალზე განვიცდი ამ ყველაფერს. რაც მთავრობის



1989 წელი, 9 აპრილი



სასახლის წინ მოხდა, იმ კადრებმა 9 აპრილის მოვლენები გამახსენა. სულ ფიქრობ, რა უნდა გავაკეთოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ? არც ოპოზიციის მომხრე ვარ და არც ხელისუფლების. ჩემი სამშობლოს მხარდამჭერი ვარ და მინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

ლაშა ავაჩიანიძე, სტუდენტი, 18 წლის:

— მთავრობის სახლის წინ განვითარებული მოვლენები საშინელება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, 1989 წლის 9 აპრილის შესახებ ყველაფერი კარგად ვიცი და 7 ნოემბრის სიტუაციამ სწორედ ეს დღე გამახსენა. მეექვსეა, სააკაშვილმა თავისი სკამი დათმოს ან საერთოდ, რაიმე დათმობაზე წავიდეს. სერიოზულად ფიქრობ, საქართველოდან სამუდამოდ წასვლაზე. ასეთი მდგომარეობის ქვეყანა სხვაგან არ მეგულება.

რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ ტელევიზიით პირველი შეფასების გაკეთების დროს, ასევე ახსენა 1989 წლის 9 აპრილი, მაგრამ ეს შედარება სრული ახალი შტრიხით გაამდიდრა: დღევანდელი დღისგან განსხვავებით, მაშინ ყველანი ერთსულოვანი და ამდენად, ბედნიერებიც ვიყავითო...



პრესაქცია

„საღსოვანო ბაქოში“ ჩააბარონ და ნებაკითხა აიღონ — სწორედ ეს არის

ხათუნა ბახტურიძე

2 ნოემბრიდან მოყოლებული, პოლიტიკოსებიც, ინტელიგენციაც, რიგითი მოქალაქეებიც, რომ იტყვიან, იმაზე ფიქრში ათენ-ალამებენ, თუ რა გამოსავალი არსებობს შექმნილი ჩიხიდან. ბევრმა, ძალზე კონსტრუქციულ წინადადებად მიიჩნია ჩვენი კოლეგის, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ტულუშის მიერ გამოთქმული იდეა, რომელიც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა კონკრეტულ წინადადებად წამოაყენა — სახალხო რეფერენდუმის გზით დადგინდეს არჩევნების ვადა. სამწუხაროდ, ამ წინადადების ფართო განხილვა ვერ ვერხვობით ვერ მოხერხდა.

საპროტესტო აქციის დაშლის გარდა, სწორედ ამ იდეის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პოლიტოლოგებს, რომლებიც სადამსჯელო ოპერაციას ხელისუფლების უდიდეს შეცდომად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებმა, ჩადენილ უზურპაციასთან ერთად, ქვეყანას სერიოზული პრობლემები შეუქმნეს და ნატოში შესასვლელი გზაც საბოლოოდ მოუჭრეს.

პაატა ზაძარიძევილი:

— გუშინ საქართველოში, 7 ნოემბრის ხელახალი ლეგიტიმაცია მოხდა: საქართველოში ბოლშევიკური დიქტატურა დამყარდა. ამ მოვლენას 9 აპრილსაც კი ვერ შევადარებთ — როდიონ ოვი, სააკაშვილთან შედარებით, უფროთო ანგელოზი ყოფილა. რაც მოხდა, სამარცხვინოა, საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარ მოსახლეობას ანგარიშსწორება მოუწყო. მათ დაარბიეს აბსოლუტურად მშვიდობიანი მიტინგი. აქციის მონაწილეები ვეღარ ეტეოდნენ პარლამენტის წინ მდებარე მოედანზე და უნ-



ებლიეთ მოხდა გზის გადაკეტვა. ცხადია, რომ ჩვენს ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი მშვიდობიანი აქციის დაშლება.

— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

— თუნდაც ის, რომ დიდიდანვე მობილიზებული იყო პოლიცია, სპეცრაზმი და სახანძრო მანქანები. ამ ხელისუფლებამ უკვე დაკარგა ლეგიტიმაცია. აქამდე საზოგადოება არჩევნების დროულად ჩატარებასა და საარჩევნო პროცესების

გადემოკრატიულებას მოითხოვდა. ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა ხალხთან და ოპოზიციასთან საუბრის უნარი და მათი დაშინება გადაწყვიტა.

— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ხალხის დაშინებას მოახერხებს?

— გამორიცხებულია, ხალხი შეშინდეს. — ფიქრობთ, რომ ხელისუფლება რაიმე დათმობაზე წავა? — თუ თავის გადარჩენა უნდათ, დათმობაზე უნდა წავიდნენ, სხვა გამო-

სავალი აღარ აქვთ.

— შექმნილ ვითარებაში, რეფერენდუმის ჩატარება ხომ არ იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი?

— ეს გრძელვადიანი პროცესია, რომელიც ისევ ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. ამ ინიციატივის ავტორი, დავით გამყრელიძე, დღემდე შუალედურ პოზიციაზე იყო, მაგრამ ის უკვე გაერთიანებულ ოპოზიციას უჭერს მხარს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა.

— ბოკერია აცხადებს, რომ აქციებს დემოკრატიულ ქვეყნებშიც ასეთი მეთოდებით შლიან, თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით ამ საკითხზე?

— ბოკერია ცრუობს. დემოკრატიულ ქვეყნებში მხოლოდ აგრესიულ აქციებს შლიან.

— ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სამართალდამცველებს მომიტინგეები დაესხნენ თავს.

— ტყუილია. მე თავად გახლდით აქციაზე, ხალხის მხრიდან არავითარ ძალადობას ადგილი არ ჰქონია მანამდე, ვიდრე სპეცრაზმელები არ დაერივნენ.

თავურ მიძაღობა:

— გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან ძალზე ბევრია, თუნდაც — დავით გამყრელიძის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა — რეფერენდუმს ვგულისხმობ. ახლა ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთნაირად შეუძლია კომპრომისზე წასვლა. რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ეს ხელოვნურად შექმნილი კონფრონტაციაა. ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ვართ, თავად შევქმენით ჩიხი და ახლა გამოსავალს ვეძებთ. ჩვენი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კონსტრუქციულ სახელმწიფოს ვერ ვანყობთ. ნორმალური სახელმწიფოს აშენებისათვის აზროვნების დანებება საჭირო, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ჯერჯერობით არასოდეს უცდია.

— თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლება, როდესაც მიტინგის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო?

— ხელისუფლება მოიქცა ზუსტად ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო, ახლა



ყველაფერი ოპოზიციანეა დამოკიდებული; ვნახოთ, როგორ შეძლებენ ისინი წინააღმდეგობების გადალახვას...

— თქვენი ვარაუდით, საერთაშორისო ორგანიზაციები მომხდარს როგორ შეაფასებენ?

— ჩვეულებრივად: სახელმწიფო დულს და დემოკრატიული მექანიზმების ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

— 7 ნოემბრის მოვლენების ფონზე, რამდენად სავარაუდოა, რომ ხელისუფლება რაიმე კომპრომისზე წავიდეს?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, დადგება თუ არა საზოგადოება ოპოზიციის გვერდით. თუ გუშინ განვითარებული მოვლენების შემდეგ საზოგადოება აღარ მივა პარლამენტთან, ხელისუფლება კომპრომისზე არ წავა. ხალხი აუცილებლად უნდა გამოვიდეს, მაგრამ არა გაბრაზებული და არაკონსტრუქციული (თუ ასე მოხდება, საქართველოსთვის საზიანო იქნება). თუ საზოგადოება, ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს მოუხმენენ, საქართველო სასურველ შედეგს მიიღებს.

რამაზ კლიშიაშვილი:

— რურუამ განაცხადა, — წესრიგის დამყარება საკმაოდ არასასიამოვნო საცქერიაო. თან, ისიც გააპროტესტა, — 7 ნოემბრის მოვლენას 9 აპრილს რატომ ადარებთო?! ასეთ შედარებას იმიტომ ვაკეთებთ, რომ 9 აპრილსაც ზუსტად წესრიგის აღდგენის და გზის სავალი ნაწილის გათავისუფლების მიზნით

დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ქართველ სპეცრაზმელებს ალესილი ნიჩბები არ ეჭირათ ხელში.

— თქვენი აზრით, ამ ფაქტის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია როგორ იქნება?

— რაც გუშინ მოხდა, იმის შემდეგ, ნატოში განეწერება ლაპარაკი ზედმეტია. სიმართლე რომ გითხრათ, ნატოში არც არავინ გვეპატიჟებოდა, ჯერ მაპის პროგრამაზე გადასვლაზე იყო საუბარი, მაგრამ ანი ამ პროგრამასაც აღარ მოგვცემენ... მოკლედ, ხელისუფლებამ გააკეთა დიდი სისულელე და ძალზე დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოს. თუ მათთვის ასეთი მნიშვნელოვანი იყო ნატოში შესვლა, არ მოქცეულიყვნენ ასე ბრიყვულად და პრობლემებიც აღარ იქნებოდა.

— დაძაბული ვითარების მიუხედავად, პრეზიდენტი ძალზე პასიურია, ამის შესახებ რას იტყვით?

— უკვე საკითხავია, პრეზიდენტი სააკაშვილია თუ ბოკერია. პრეზიდენტი მიტინგის პირველსავე დღიდან რომ მისულიყო ხალხთან, პროცესები ასე აღარ განვითარდებოდა. შეიძლება, ვინმეს ერთი-ორი, მისთვის არასასურველი ფრანზაც წამოეყვირა, მაგრამ მერე რა?! ბუშსაც უნეეს არასასიამოვნო სიტყვების მოსმენა, მაგრამ ხალხში მაინც დადის. ჩვენი პრეზიდენტი ხალხს ემალება. 4 წელია, პრეზიდენტს პრესკონფერენცია არ ჩაუტარებია, პრესის ეშინია.

— როგორ ფიქრობთ — ამ შემთხვევაში, არის თუ არა პერსპექტიული დავით გამყრელიძის ინიციატივა, რეფერენდუმთან დაკავშირებით?

— პარლამენტი უნიკალური ორგანოა, მას ხალხი გარკვეული დროით ირჩევს. 28 მარტს ჩვენს პარლამენტს ვადა გასდის. თუ მათ იმ შენობაში ყოფნა კიდევ უნდათ, ხალხში გამოკითხვა უნდა ჩატარონ და ნებართვა აიღონ — სწორედ ეს არის რეფერენდუმი. საკუთარი თავისთვის უფლებამოსილების გაგრძელება ძალზე არასერიოზული ამბავია და ეს ყველაფერი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა ნინო ბურჯანაძემ წესით, კარგად უნდა იცოდეს.



არ ისოდნენ, რომ წყლის ჭავლსაც და სრამელსადაც გაზსაც გააოიყენებდა...

ანუ დაუმთავრებელი რეკორტაუი

2007 წლის 2 ნოემბერიდან მოყოლებული, „გზის“ კორესპონდენტი მთავრობის სასახლესთან მიმდინარე საპროტესტო აქციის მიმდინარეობას ადევნებდა თვალყურს და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული თუ თბილისელი მომიტინგეების გუნება-განწყობილებას ეცნობოდა. რეპორტაუი, რომელიც ვფიქრობდით, — ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გონიერი კომპრომისის საფუძველზე მშვიდობიანად დასრულდებოდა, ყველასდა საუბედუროდ, სადამსჯელო ოპერაციით შეწყდა. დიას, შეწყდა, მაგრამ არ დასრულებულა, რადგან იმ აქციის მიზანი, რომელსაც ვაშუქებდით, ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დაძლევა გახლდათ.

თამუნა კვიციანი

2 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე მისული, ცოტა არ იყოს დავიბენი: ამდენი რესპონდენტი ერთდროულად არასდროს მყოლია. ცოტა ხანი ჩუმად ყოფნა ვარჩიე და მომიტინგეთა რიგებს შევეურთდი.

— თუ პრეზიდენტს ჰგონია, რომ დავიღლებით და წავალთ, ძალიან ცდება.

— ჩვენ ძალღერი ცხოვრებით დავიღალეთ, თორემ აქ დგომით, არ დავიღლებით, ამის უფლება არც გვაქვს.

— ნორმალურ მთავრობას ვეღარ ველირსეთ.

— ამათმა ნაძირალობამ მაიძულა, გამოვსულიყავი. ესენი უმრავლესობა კი არა, უმცირესობა არიან. ქართველობის არაფერი ეტყობათ, არც გული აქვთ და არც — ტვინი.

ეს დიალოგი ჩემს ზურგს უკან გაიმართა. ორი ქალბატონის ლაპარაკში მამაკაციც ჩაერთო, რომელმაც თავებით შედეღებული ლურსმნები ამოიღო ჯიბიდან.

ეჭირა.

— ჩემმა ნათესავმა დანერა და გამომატანა.

— თვითონ სად არის?

— ხარაგაულშია, „დავარდნილია“ და ვერ დადის. ისე, ვინც კი დასწყევლა, არავის გაუხარია და რალა პრეზიდენტზე არ გაჭრის?!

— შენს სახელსა და გვარს არ მეტყვი?

— როგორ არა?! გალაქტიონ ჩუბინიძე ვარ.

— გატყუებს, გატყუებს, სხვა სახელს და გვარს გეუბნება, — გასცეს ცრუ-გალაქტიონი ხარაგაულელეებმა.

— ხარაგაულიდან რამდენი ადამიანი ჩამოხვედით?

— მგონი, 300 ან შეიძლება, მეტიც. იქ მხოლოდ მოხუცები და ბავშვები დარჩნენ.

— ხარაგაული მთაგორიანი მხარეა, — ჩაგვერთო ლაპარაკში მეორე მამაკაცი. — მოსავალი ნაკლებად მოდის, სიმინდს „ლაგატკით“ თესენ. ახლა პრეზიდენტმა გვითხრა, თითო ტომარა ფქვილს დაგირიგებთო. ხომ გაგვიგონიათ: თავ-



ლიგიის მასწავლებელია. ადრე ხელფასი 110 ლარი ჰქონდა, მერე „საათები“ შემცირეს და ბუნებრივია, ხელფასიც შემცირდა. მე 43 წლის მანძილზე პედაგოგად ვიმუშავე, დღეს კი პენსიას — 48 ლარს ვიღებ. ეს არის ჩვენი ოჯახის შემოსავალი. 17 სექტემბერს, იმის გამო, რომ ფეხსაცმელები ვერ ვუყიდეთ, 3 ბავშვი სკოლაში ვერ გავეშვიტ. სასწავლებელში მხოლოდ უფროსი წავიდა და შინ „ქების სიგელით“ დაბრუნდა. ნიჭიერები არიან, მაგრამ...

ამ სიტყვების შემდეგ, ქალბატონმა ნელიმ ხელი ნერვიულად ჩაიქნია, — ფეხზე დგომაც აღარ შემიძლიაო, — ჩაილაპარაკა და ცივ ქვავზე ჩამოჯდა.

სოციალური პრობლემებით შედარებით ნაკლებად დამძიმებულნი, მაგრამ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებით აღშფოთებულნი იყვნენ საჩხერელები.

— ჩვენ ბიძინა ივანაშვილი გვყავს. ის ბევრ რამეში გვშველის, ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მისი თავი, მაგრამ გვინდა, რომ ყველა ქართველი თავს სამშობლოში ღირსეულად გრძნობდეს და არა — დამცირებულად, — მითხრა საჩხერელმა ზურა მეცხვარიშვილმა.

მძიმე სოციალურ პირობებს ხულოლები და შუახვევლებიც უჩივიან:

— რომ არა დიდი გაჭირვება, ხულოდან აქ რა ჩამომიყვანდა?! კარტოფილის მეტი არაფერი გვაქვს და ისიც არ იყიდება. 30 თეთრადაც არავის უნდა. ბაზარში ერთი ტომარა ფქვილი 46 ლარი ღირს, სოფელში ამოტანილი კი — 52 ლარი.

— ახლა პრეზიდენტის საჩუქარს მიიღებთ...

— მაგისგან საჩუქარი არ მჭირდება. ჯობია, სამუშაო ადგილები შექმნას, დაგვსაქმოს (მუშაობა კი არ გვეზარება) და მერე, საკუთარ თავს თვითონ მივხედავთ.

თუ პრეზიდენტს ჰგონია, რომ დავიღლებით და წავალთ, ძალიან ცდება

— აი, ეს ლურსმნები, რიკოტის გვირაბში რომ დაგვიყარეს, პრეზიდენტს სკამზე უნდა დაუდო. ჩვენი ტკივილი არ ესმის და იქნებ, საკუთარი მაინც გაიგოს, წამოხტეს და გაიქცეს.

მისმა ნათქვამმა ირგვლივ მოფრიატა ცოტათი გაამხიარულა. ამ დროს, ჩემგან ხელმარცხნივ ტრაფარეტი შევნიშნე, რომელზეც ეწერა — „შენ მეისპე, მიშია!“

— ეს წარწერა ვინ გააკეთა? — ვკითხე ახალგაზრდა ბიჭს, რომელსაც ტრაფარეტი ხელში

მოჭრილ ხარს ჩალას უყრიდნენო, — ასეა ჩვენი საქმე.

ზუგდიდელმა ნელი მამაცარიამ მიტიჩნებზე ყოფნა ასე ახსნა:

— ვიფიქრე, ქვეყნის მშენებლობის საქმეს ერთ პატარა კენჭს მაინც შევმატებ-მეთქი და წამოვედი. 76 წლის ვარ, 4 შვილი და 14 შვილიშვილი მყავს. მალე, ჩემი რძალი მეცხრე შვილს ელოდება, სახელმწიფოსგან კი 35-ლარიან დახმარებას იღებს. ზოგჯერ იმასაც დაგვიანებით აძლევენ, თბილისიდან არ გადმოგზავნესო. ჩემი შვილი, 8 შვილის მამა, რე-

ოსკინათ!

ლაპარაკში გვერდით მდგომი მამაკაცი ჩაგვერთო:

— შუახვეში ვცხოვრობ, იური მიქელაძე ვარ. თურმე იმ ხალხს, რომ-

აქციაზე „ვარდების რევოლუციის“ არაერთი აქტიური მონაწილე შემხვდა. მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ

სიმბოლოა.

— სააკაშვილის ვარდები „პარნიკში“, ქიმიით იყო „გაკეთებული“. ესენი კი ჩემს ეზოში დავკრიფე, — მეუბნება და თან, გეორგიანებიან ხელს რაც შეიძლება მალა სწევს და სურვილი აქვს, იგი გაერთიანებულ ოპოზიციას მიართვას.

მომიტიინგეთა შორის, ზოგს ფეხზე დგომა არ შეუძლია, ამიტომ სკამებით არიან მოსულები. ერთ-ერთი მათგანი თბილისელი **ვალედა მშაპანაძე**, რომელიც ამბობს:

— როცა ტელევიზორში შევხედავ, რომ ცოტა ხალხია, უკანასკნელ ძალებს ვიკრებ და აქ მოვდივარ. ჩვენი პრეზიდენტი თავს იწონებს — დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებო. სახლში „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ გადმოვიღე და ვნახე, რომ სიტყვა „დემოკრატია“ ხალხის მმართველობას ნიშნავს. სააკაშვილს კი დემოკრატია ის ჰგონია, მომიტიინგებს რომ არ არბევს, არ შლის და ჩვენს წინააღმდეგ წყლის ჭავლს და ცრემლსადენ გაზს არ იყენებს.

— ქალბატონო, მაგას ხელისუფლება ვერ გაბედავს, — ჩაგვერთო ლაპარაკში თბილისის მკვიდრი **კოტე ზრიგოლია**.

— მგონი, ამდენი გონიერება აქვთ. სხვათა შორის, ეგ შევარდნაძემაც ვერ გააკეთა და სააკაშვილი ხომ მისი „გაზრდილია“?

ღმერთმა არ ქნას, რომ წლების შემდეგ, ამ მოედანზე მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს



ლებიც აქციაზე ჩამოვედით, „ფქვილებს“ არ დაგვირიგებენ.

— თქვენ ეს ვინ გითხრათ?

— ადგილობრივი ხელისუფლებიდან ხმა გამოვიდა.

— აქ ჩამოსვლასთან დაკავშირებით, მათგან პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

— როგორ არა?! მოდიოდნენ და გვირჩევდნენ, რომ არ წამოვსულიყავით. მერე, გზაზე პოლიცია დაგვხვდა, საბუთები შეგვიმონშეს...

თამარ ზოტაძე, თბილისელი:

— დიდხანს ვიფიქრე, მიტიინგზე წამოვსულიყავი თუ არა. ქართველი ადამიანი დენის ტარიფის, პურის გაძვირებას, მატერიალურ გაჭირვებას აიტანს, მაგრამ დამცირებას და თავმოყვარეობის შელახვას — ვერა.

— ვინ დაგცინათ?

— პრეზიდენტიდან დაწყებული, გიგა ბოკერიანი დამთავრებული, ყველა დაგვეცინის. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში აქტიურობით გამოვიჩრქოდი. ერთხელ, მთელი დღის გატარება მომიხდა მაია ნადირაძისა და ელენე თევდორაძის გვერდით. ისეთი კარგი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს, რომ მათ სულ ტაშს ვუკრავდი. თურმე, ვინ ყოფილან...

— როგორ ფიქრობთ, თუ გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში მოვა, აქ შეკრებილი საზოგადოების იმედის გამართლებას შეძლებს?

— ამის დიდი იმედი მაქვს. თუ მათაც არ გაამართლეს, მერე აღარ ვიცი, რა გვეშველება. ახლა მათ არ მივატოვებ, გვერდით დავუდგები. ღმერთმა არ ქნას, რომ წლების შემდეგ, ამ მოედანზე მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს.

მიხეილ სააკაშვილი გარემოცვამ დალუპა, ზოგიერთ მათგანს კი, გაერთიანებული ოპოზიცია, საყრდენ ძალად არ

ქართველი ადამიანი მატერიალურ გაჭირვებას აიტანს, მაგრამ დამცირებას და თავმოყვარეობის შელახვას — ვერა

მიაჩნია. მათგან განსხვავებული აზრი აქვს **ზალიკო ჯოჯხაძეს**, რომელიც მიტიინგზე თეთრი გეორგიანებით მოვიდა. იმიტომ, რომ თეთრი სიმართლის

10-15 დღე იქნება ეს აქციები და მერე, აუცილებლად გადადგება (ქალბატონი ვალედა და ბატონი კოტე ამას ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ხელისუფლება ყვე-



ლაფერზე იყო ნამსვლელი და რომ მომიტინგეთა დასაშლელად, წყლის ჭავლსაც გამოიყენებდა და ცრემლსადენ გაზსაც, პოლიცია და სპეცრაზმი კი ხალხს ხელკუთებით დაერეოდა. — ავტ.)



ქაშუეთის ეკლესიასთან, თბილისელთა მიერ მომიტინგეებისთვის მოტანილი თბილი ტანსაცმელი და საკვები გროვდებოდა, რაიონებიდან ჩამოსულები მათ მაღლობას უხდიდნენ და სოფლებშიც კი ეპატიუებოდნენ. იქვე ახლოს, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობები შევნიშნე. მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კომენტარის გაკეთება **ბიზა აბასალაშვილს** ვთხოვე.

— მთავრობას ამ ხალხისთვის უამრავ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი. „რუსთავი 2“-ზე ერთ-ერთ ხელისუფალს განუცხადებია: კინომსახიობთა თეატრი ხელისუფლების გვერდით დგასო. თქვენი თვალით ხედავთ, თეატრის მსახიობთა თითქმის მთელი დასი აქ, ჩვენი ხალხის გვერდით ვდგავართ. აი, მათ მხარეს ვინლა არის, ეს საინტერესოა. ქვეყნის ხელისუფალი ვალდებულია, გამოვიდეს და დაგველაპარაკოს, მაგრამ ამას არ აკეთებს იმიტომ, რომ ხალხი არ უყვარს და არც ადამიანებთან ურთიერთობა იცის.

აქციაზე, ყაზბეგიდან და სტეფანწმინდიდან 100-ზე მეტი მოხვეე იყო ჩამოსული. ბევრი კი იმის გამო ვერ წამოვიდა, რომ სამგზავრო ფული არ ჰქონდაო, — მითხრეს. მოხვეეების მსგავსად, დედაქალაქში სვანებიც მრავლად იყვნენ. მათმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, **სოსო ჯაჭვლიანმა** მეც და პრეზიდენტსაც ასეთი რამ გვითხრა:

— მე ისეთ კუთხეში ვარ გაზრდილი, სადაც იურიდიულ კანონზე მაღლა, მორალს აყენებენ. საქართველოში ბევრი ამორალური რამ ხდება. მოთმინებასაც საზღვარი აქვს და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. აი, ამიტომ მოვედი.

— **ახლა, თქვენ წინ პრეზიდენტი რომ იდგეს, რას ეტყოდით?**

— როცა ადამიანი გელაპარაკება და უსმენ, რაღაცას უხსნი, სიტუაციაში არკვევ, ის ამით კმაყოფილდება, ხოლო როცა არ უსმენ და თან, უტიფრად დასცინი, პროტესტის გრძობას უჩენ.

დათო მაღრაძე, პოეტი:

— მე ლექსის მწერალი კაცი ვარ და არავის წინაშე მონური მონუსხულობა არ მაქვს. სათქმელს ყველას ვეტყვი, მიშასაც და გრიშასაც. ქვეყანაში განსხვავებული აზრი უნდა არსებობდეს, მაგრამ სანდრო გირგვლიანს რომ ოქროყანის ტყეში აიყვან და ბატკანივით დაკლავ,

ქვეყნის ხელისუფალი ვალდებულია, გამოვიდეს და დაგველაპარაკოს, მაგრამ ამას არ აკეთებს

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება, განსხვავებული აზრი გქონდეს?..

მიტინგზე ისეთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც იყვნენ, რომლებიც „ეროვნულ საბჭოს“ არ უერთდებიან. **თამარ ზაზიაშვილი** კომენტარის გაკეთებაზე სიამოვნებით დამთანხმდა.

— **ბატონო თემურ, „ეროვნულ საბჭოში“ რატომ არ ერთიანდებით?**

— იმიტომ, რომ ასეთი „ეკლექტიკური“ გაერთიანებები შედეგს ვერ იძლევა. ამ მოედანზე 100000 ადამიანის შეკრებამ ცხადყო, რომ ამ ხელისუფლების საქმე წასულია. გუშინ, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის გამოცვლამ ძალიან გამაღიზიანა. მან თქვა: საქართველოში სუსტი ოპოზიციას. მას ამის თქმის უფლება არ ჰქონდა... პრაქტიკულად, მოხდა ის, რომ 10-15 წლის წინანდელი რუსეთი ამერიკამ შეცვალა და თან, ძალიან ვულგარულად. ძალიან მინდა, საქართველოში ისეთი ხელისუფლება მოვიდეს, რომელიც გარე ძალებიდან არ იმართება.

მიტინგზე რაჭველებიც კი 1 დღით ადრე ჩამოვიდნენ. ისინი ტრაფარეტით — „რაჭა თქვენთანაა!“ — ვიპოვე. ზოგმა, რაჭული დინარე ტონით, ინტერვიუს ჩანერაზე უარი მითხრა, ის კი, ვისაც სითამამე ეყო და არც ჩემი დიქტოფონი იუცხოვა, დამელაპარაკა.

ტრისტან ჭალიძე:

— მე ამბროლაურში ვცხოვრობ. რაჭიდან, ჩემთან ერთად, 60 ადამიანია ჩამოსული. ზოგი ისეთი სოფლებიდანაა, რომ ამბროლაურამდე 25-კილომეტრიანი გზა ფეხით გამოიარეს. რაჭ-

ველებს პრობლემების მეტი, არაფერი გვაქვს. ადრე, ზამთარში სიცხით გაყინვის მაინც არ გვეშინოდა, ახლა კი ამ პრობლემის წინაშეც დავდექით. ხის (თუნდაც ის გამხმარი იყოს) მოჭრის უფლებას არ გვაძლევენ. ამისთვის 500-დან 2.000 ლარამდე ჯარიმა დაანესეს. რა უნდა ქნას გლეხმა?! „წარიყალაც“ (რაჭაში ასე მდინარის მიერ მოტანილ შემას ეძახიან) იმდენი არ არის, რომ ყველას გვეყოს.

უამრავ ქართველს შორის შავკანიანი ად-

ამიანიც შევნიშნე. ნიგერიელი იბრაჰიმ ჰიდი ქართულად არცთუ ისე ცუდად ლაპარაკობს. მართალია, კარგად არ იცოდა, თუ რა ხდებოდა მიტინგზე, მაგრამ ის კი მითხრა, რომ იქ ყოფნით ქართველ მეგობრებს სოლიდარობას უცხადებდა.

ერთ-ერთი პიროვნება მომიახლოვდა და მთხოვა — ორი სიტყვა მეც მათქმევინე, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ვარო.

— **გისმენთ.**

— მე თბილისელი კაცი ვარ, ყოველთვის ქართველი ერის გვერდით ვიდექი და მომავალშიც ასე მოვიქცევი. უშიშროებაში ვმუშაობ. ხელფასი 700 ლარი მაქვს. ამ თანხით შეიძლება, ოჯახი არჩინო და აქედან გამომდინარე, აქ მძიმე სოციალური პირობების გამო არ მოვსულვარ. ორი შვილის მამა ვარ და ჩემი შვილები სკოლაში რომ წავლენ, არ მინდა, საქართველოს ისტორიის ან „ვეფხისტყაოსნის“ ნაცვლად, სექსოლოგია ისწავლონ. აი, ამიტომ მოვედი.

— **აქ უშიშროების სხვა თანამშრომლებიც არიან?**

— 60-70 კაცი იქნება.

— **ეს თქვენმა ხელმძღვანელებამ იცის?**

— არ ვიცი. გუშინ სამსახურში გათავისუფლებაზე განცხადება დავწერე, „ქსივა“ უნდა ჩამებარებინა, მაგრამ მოვიტყუე — დამეკარგა-მეთქი. დღეს ამ „ქსივას“ აქ, სახალხოდ დავწვავ. ამ ოპოზიციონერებმა კი მინდა, ერთი რამ იცოდნენ — თუ ქართველი ხალხის იმედს არ გაამართლებენ, მათ წინააღმდეგაც შევიკრიბებით!..



პატარა გიჟის პრობლემები ანუ „დუნილი კი არა, ძაჯოვანი ვაჟი!“

„რად გვინდა იხეთი ყარუხელი,
რომლითაც ბავშვები ვერ ვიხარებდებოდით?..“

რამდენიმე დღის წინ, 13 წლის შალვა ლიპარტიამ ხალხს თავი ნამდვილად დაამახსოვრა. შეგახსენებთ, 2 ნოემბერს ის აქციაზე მივიდა და ლექსი წაიკითხა, 3-ში კი მომიტინგეებს სიტყვით მიმართა — მათ თანადგომისკენ, ხელისუფლებას კი — გადადგომისკენ მოუწოდა. შალვას აქციაზე მაშინ შევხვდი, როცა ის თავის თანატოლებთან ერთად, ხალხის გართობას ცდილობდა — სხვები სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავდნენ, ჩვენი რეჟისორდენტი კი „ქართულს“ ცეკვავდა.

ლიპა ქაჩაია

— შალვა, აქ რატომ მოხვედი?
— იმიტომ, რომ ამ მთავრობის მიმართ პროტესტი გამოვხატო. მე აფხაზეთიდან დევნილი ვარ. ჩვენ საკუთარი სახლები აფხაზეთში დაგვატოვეს, მაგრამ მათზე უკეთესად არც ჩვენი მთავრობა იქცევა — ამ ხელისუფლებამ საქართველოს ისეთი წარჩინებული ადამიანები (სხვებზე არაფერს ვამბობ), როგორებიც არიან: ოთარ მელენიუხუცესი, ნინელი ჭანკვეტაძე, ხათუნა იოსელიანი და ა.შ. სახლებიდან „გამოყარა“ და დღეს, ისინი იძულებულნი არიან, ქუჩაში დადგნენ.

— შენ საიდან იცი ამდენი რამ?
— მე, ბატონო, ტელევიზორს ვუყურებ და როგორ არ მეცოდინება?!

— შენი გამოსვლის შემდეგ ბევრმა იფიქრა, რომ მშობლების ზეგავლენის ქვეშ ხარ...

— ეს ტყუილია. მე ფიქრი შემიძლია და ამა თუ იმ თემაზე საკუთარი აზრი მაქვს.

— მშობლები შინ პოლიტიკაზე ხშირად ლაპარაკობენ?

— კი, ძალიან ხშირად.

— მათ ლაპარაკში შენც ერთვები?

— კი, ყოველთვის... შევარდნაზე ხალხს არასდროს მოსწონდა. სულ მესმოდა — „შევარდნაზე დაგვაქცია“, „შევარდნაზე გამოგყარა“. მას ყველა აგინებდა (ოღონდ, არა პირდაპირი გაგებით).

— „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტს გავუროდა?

— რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, მაშინ თბილისში ვერ ჩამოვედი, რადგან ჯანმ-

რთელობა არ მინყოდა ამაში ხელს. ძალიან შეწუხებული ვიყავი, ხალხის გვერდით დგომა მინდოდა. მაშინ კი გამიხარდა, ქვეყნის სათავეში სააკაშვილის მოსვლა. ვფიქრობდი, ახლა მაინც გვეშველება-მეთქი, მაგრამ 6 თვეში მივხვდი, რომ შევცდით.

— ამ დავაზე რამ მიგიყვანა?

— ხალხს ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, ყველაფრის ფასმა მატება დაიწყო და ა.შ. ამასთანავე, გამოასახლეს დევნილები იმ შენობებიდან, რომლებშიც უსახლკაროდ დარჩენილმა ადამიანებმა თავი შეაფარეს და ამის საფასურად, ხელისუფლებამ მათ მიზერული თანხა დაურიგა (ზოგს ეს თანხაც არ მისცეს).

— შენი ოჯახიც გამოასახლეს?

— ჯერ არა, მაგრამ ამას ყოველ წუთს ველოდებით.

— მიზერულ თანხაში რას გულისხმობ?

— ქუთაისში 3.000 ლარი მისცეს ადამიანებს, რომელთაც 3-4-ოთახიანი ბინა ჰქონდათ. ამ თანხით ქუთაისში კი არა, ყველაზე მიყრუებულ სოფელშიც ვერ იყიდი სახლს. სოფლებში, პატარა სახლები, მინიმუმ 7-8 ათასი ლირს... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სულ მესმოდა: პირველად საქართველოში მოხდა ეს, პირველად საქართველოში გაიხსნა ასეთი დანქნებულება და ა.შ. კაცო, ყველაფერი პირველად საქართველოში როგორ ხდება?! ამას წინათ, ტელევიზორში გამოაცხადეს, კახეთში ქარხანა გაიხსნაო. რა თქმა უნდა, გახსნის დღეს იქ სააკაშვილიც ჩავიდა და თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე დღეს ეს ქარხანა დაიხურა. ეს რას ნიშნავს? აი, ეს კი მართლაც, პირველად მოხდა საქართველოში!.. მგონი, ხალხს შევარდნაზე მოენატრა.

— ასე რატომ ფიქრობ?

— როცა ის იყო პრეზიდენტი, უფრო დაბალი ფასები და გადასახადები იყო, ახლა კი ყველაფერს „ცეცხლი უკიდია“.

— ეი, ფიქრობ, რომ მაშინ უკეთ ვცხოვრობდით?

— უკეთესის რა გითხრათ, მაგრამ მაშინ, ხალხი ასეთი დამშული არ იყო. ახლა მეტი გასართობი ადგილი გვაქვს, მაგრამ ხალხს შიმშილისგან კუჭი უხმება... ან რად გვინდა ისეთი კარუსელი, რომლითაც ბავშვები ვერ ვიხარებდებოდით?!

რატომღაც, ამ სიტყვების შემდეგ, შალვა გაჩერდა და მოულოდნელად, თვლებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. გაკვირვებულმა დეამისს, ძალბატონ მარინას გახვდეთ, რომელმაც მოზარდს დაშვიდება დაუნყო:

— კარგი, დედიკო, კარგი, ნუ ტირი და თქვი, რაც გინდა... ვიცი, რისი თქმაც უნდა,

მაგრამ ამის გახსენებისას, ყოველთვის ასე ემართება.

— რას გულისხმობ?

— ამ ზაფხულს ბავშვები ბათუმში წაიყვანეთ. პარკში შევდით, იმ იმედით, რომ ბავშვებს გაეახარებდით — მათ ძალიან უნდოდათ კარუსელზე დაჯდომა, მაგრამ ეს სიამოვნება ძალიან ძვირი, 3-4 ლარი ღირდა და რადგანაც ამის საშუალება არ გვექონდა, ბავშვები იქიდან ატირებულები წამოვიყვანეთ. გვიინდა ჩვენ ასეთი ატრაქციონები?..

შალვა:

— ბავშვებმა ბილეთების გამყიდველს ვთხოვეთ, რომ კარუსელთან სურათების გადაღების უფლება მაინც მოეცათ, მაგრამ უარი გვითხრეს... გული ძალიან მეტკინა!

— შალვა, კიდევ რა არის მიუღებელი შენთვის?

— ის, რომ ამ მთავრობის წარმომადგენლები ასახელებენ მკვლელებს, მაგრამ შემდეგ, მათ არ იჭერენ.

— კი, მაგრამ ყველა ამბობს, რომ ციხე ხალხთაა გადაჭედო...

— გეთანხმებით, მაგრამ იჭერენ ან უდანაშაულო ადამიანებს, ან იმით, ვინც წვრილმანი ხულიგნობა ჩაიდინა. ერთმა გოგომ ქვაბი მოიპარა, რადგან არ ჰქონდა ჭურჭელი, რომლითაც საჭმლის მომზადებას შეძლებდა. ის დაიჭირეს და 7 წელი, ხოლო იმ კაცს, რომელმაც ამას წინათ, ბუფან გუნავა კინალამ მოკლა, 20 დღით პატიმრობა მიუსაჯეს. ეს არის სამართალი?!

— რას იტყვი იმ პატრიოტულ კლიპზე, რომელიც აფხაზეთს მიეძღვნა?

— კარგი კლიპია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მასში მხოლოდ დევნილებს რომ მიეღოთ მონაწილეობა. ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ ვიდეორგოლის ბოლოს დიანა ლურწყია გამოჩნდა (ის ხომ ჩემსავით, დევნილია). სანამ ასეთი ხელისუფლება გვეყოლება, აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ. პოლიტიკოსები ვერ გვეშველიან და კლიპი უშუალოდ ჩვენს გაჭირვებას?!

— შალვა, ოპოზიციის წარმომადგენლები შენს სიმპათიას იმსახურებენ?

— მეტ-ნაკლებად. მათგან ყველაზე მეტად, კონსტანტინე გამსახურდია მომწონს.

— რატომ?

— ზვიად გამსახურდია ხალხს ვერპად ჰყავს მიჩნეული. რადგან ბატონი კონსტანტინე მისი შვილია, ვფიქრობ, ცუდი ადამიანი არ იქნება. თან, ძალიან განათლებულია. მე არ ვარ იმის მომხრე, რომ ისევე პრეზიდენტი გვაყავდეს.

— აბა, როგორი მმართველობის მომხრე ხარ?

— კონსტიტუციური მონარქიას ვეზნობი. მაგრამ ჩემი აზრით, ახლა მეფე ვერ



გვეყოლება, რადგან ადამიანი, ვინც ამ მოვალეობას იკისრებს, მმართველად უნდა აღიზარდოს და ამას დრო დასჭირდება. მანამდე კი საპარლამენტო წყობილება უნდა იყოს... მე პოლიტიკაში ასეთი აქტიური იმიტომ ვარ, რომ ჩემი ცხოვრება, პოლიტიკური შეცდომების წყალობით, სხვანაირად აეწყო — იმის ნაცვლად, რომ ბიჭვინთაში დაგებადებულიყავი, წყალტუბოში გაეწინა.

— **შენი აზრით, როგორია ბიჭვინთა?**

— ოცნებებსა და სიზმარში, საქართველოს ამ კუთხეს ძალიან ლამაზ ფერებში ვხედავ.

— **წყალტუბო ბიჭვინთისგან განსხვავებით მუქა ფერისაა?**

— რა თქმა უნდა. იქ ვერაფრით გაერთობი და ძირითადად, ნალვლიან სახეებს ვხედავთ.

— **როგორც ვიცო, კარგად ცეკვავ.**

— ქართულ ცეკვებს 3 წლის ასაკიდან ვსწავლობ და 4 წელია, რაც სცენაზე ვდგავარ. სხვათა შორის, ჩვენი ანსამბლი — „იმედი“ პირველი იყო, რომელმაც „აფხაზეთის კულტურის დღე“ ჩაატარა.

— **შენი ასაკის ბავშვებს რუბი უყვართ.**

— რუბი მეც მიზიდავს, მაგრამ ქართული ხალხური შემოქმედება უფრო მომწონს.



ოცნებებსა და სიზმარში, საქართველოს ამ კუთხეს ძალიან ლამაზ ფერებში ვხედავ

ქართული ცეკვა, სხვა თუ არაფერი, სისხელში მაქვს გამჯდარი. მაშაჩემი ცეკვის მასწავლებელია. სწორედ მან ჩამოაყალიბა ანსამბლი „იმედი“. მამა ყოველთვის სხვებზე მეტს მთხოვს და კიდევ, ბავშვების გამხნეებაც მე შევალე — როცა ბავშვი სცენაზე პირველად გამოდის, შიშის გრძნობა აქვს — ვაიმე, რამე არ შემეშალოსო და რაღაცნაირად იბოჭება. ასეთ დროს, მის გამხნეებას ვცდილობ. სხვათა შორის, ჩვენი მოცეკვავეები ძალიან მონდომებულები არიან, თავიანთი საქმე ძალიან უყვართ. ერთი ბავშვი, რომელიც რაიონიდან 20 კმ-ის დაშორებით ცხოვრობს, ზოგჯერ ჩვენამდე ფეხით მოდის. ზამთარში, არც ყინვას უშინდება და არც სხვა რაიმეს.

— **სკოლაში კომპიუტერი არაა გაქვთ?**

— ადრე არ გქონდა, მაგრამ ახლახან მოგვიტანეს და მისი სწავლაც დაიწყო.

— **აი, ხომ ხედავ, პრეზიდენტ სააკაშვილის წყალობით, კომპიუტერის სწავლაც შეგიძლია.**

— როცა ბავშვებს მშვიერი კუჭი აქვთ, მათ კომპიუტერის სწავლა ვერ დასაწყობებს.

— **ბევრი მშვიერი ბავშვი დადის სკოლაში?**

— ხელისუფლების წარმომადგენლებს თვეში 5.000 ლარი აქვთ შემოსავალი და მაინც არ ჰყოფნიან, ხალხს კი 28 ლარი აქვს და ეს ეყოფათ?!

— **შენი ოჯახის ძირითადი შემოსავალი რამდენია?**

— ანსამბლი, სადაც ცეკვის სწავლა მხოლოდ 5 ლარი ღირს. წყალტუბოში სხვა ანსამბლებიც ფუნქციონირებს, მაგრამ იქ სწავლა უფრო ძვირი ჯდება... სხვათა შორის, ადრე მხატვრულ ფილმში — „XXI საუკუნის ვარსკვლავები“ — გადამიღეს. მაშინ 5 წლის ვიყავი.

— **მასში მონაწილეობა ვინ შემოგთავაზა?**

— განცხადება წავიკითხე, სადაც ეწერა, რომ 4-დან 21 წლამდე ახალგაზრდები სჭირდებოდათ. უნდა გაგვევლო კასტინგი, რომლის ჟიურის წევრები ქუთაისის ცნობილი მსახიობები იყვნენ. როდესაც საკუთარი ძალების მოსასინჯავად მივედი, დედას ჰკითხეს: რაიმე ჩანანური ხომ არ მოგიტანიათ?

კითხვას მე ვუპასუხე: ჩანანური არა, მაგრამ აგერ, ბაზარში გამოვიარეთ და მწვანილი, კიტრი მოვიტანეთ-მეთქი. სიცილით კინალამ ჩაბჭირდნენ. მერე მკითხეს: აბა, რისი გაკეთება შეგიძლიათ? ვუპასუხე — ვიცეკვებ-მეთქი. — მუსიკის გარეშე? — გაიკვირვეს. — არა, თქვენ მაგიდაზე დაუკრით, ზოგმა იმღერეთ და მე დაფუვლი-მეთქი... ბოლოს, მათი მოწონება დავიმსახურე... ერთხელ, რაღაც კონკურსზე ვიყავი, სადაც პოლიტიკაზე დამისვეს კითხვები. ბოლოს მითხრეს: რომელი გმირის როლი გინდა შეასრულო ან ვინ გინდა, რომ იყო? — დათა თუთაშხია ვიქნებოდი და აფხაზეთს დავიბრუნებდი-მეთქი. — რა ჭკვიანი ხარო, — თქვეს და რატომღაც, შევარდნაძის დაცვა ახსენეს. მათ ვუპასუხე: მაგათ ჭკუა რომ ჰქონდეთ, შევარდნაძე დასაჯავი კი არა, დასაჯულია-მეთქი (იცი-ნის).

— **როცა აქციაზე სიტყვით გამოხვედი, შენი მეგობრები არ „ბაბულელები“ გახდნენ?**

— მესიჯი უნდა წავიკითხოთ, რომელიც ჩემმა კლასელმა, თამუნა სვანიძემ მომწერა: „შაკო, „მალადეც“, გეზუტუნე, ჩემო საამაყო მეგობარო. მიდი, მიანექი, ყველა შენს მხარეს ვართ. ძალიან მაგარი გამოსვლები გქონდა. მიდი, ეგრე გააგრძელე! გკოცნი ბევრს, შენი დაიკო“.

— **შალვა, მომავალში პრეზიდენტობას ხომ არ აპირებ?**

— ეს გადაწყვეტილი ნამდვილად არა

მაქვს.

— **ანუ ამაზე ფიქრობ?**

— კი, მაგრამ არ მინდა, რომ მეორე და მესამე პრეზიდენტი ვიყო.

— **შენ როგორი მმართველი იქნები?**

— სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებ და ამაში ასაკი შემინცობს ხელს, მანამ თუ არ ეშველა ხალხს და არ დააგდეს ეს ფასები, ამას მე გავაკეთებ. მინდა, რომ საქართველოში ნორმალურად ვცხოვრობდეთ... მიშა ხალხს ბევრ რამეს დაჰპირდა, მაგრამ შეადრევნების და იმ კარუსელების გარდა, რომელთაც „ცეცხლი უკიდა“, არაფერი გაუკეთებია.

— **შეყვარებული გაყავს?**

— კი, ჩემზე ერთი წლით პატარაა.

— **შენს შეყვარებულს თუ უყვარხარ?**

— არ ვიცი. მისთვის სიყვარული ჯერ არ ამიხსნია, შესაფერის მომენტს ველოდები. თან, ეს გოგო ახლა შემეყვარდა, მანამდე სხვაზე ვფიქრობდი.

— **იმ გოგოს არ უყვარდი?**

— როგორ არა?!

— **მერე, რატომ დაშორდი?**

— იმის ნათესაუბის ბრალია ყველაფერი. თან, დედამისიც მეღაპარავა.

— **რაო, რა მინდაო?**

— რატომ აკოცეო და კიდევ, რაღაცები მითხრა.

— **მართლა აკოცე?**

— კი (თავს მიქნევს). მივუპარე და... (იცი-ნის).

— **შენ და დედაშენი წყალტუბოდან სპეციალურად აქციაზე დასასწრებად ჩამოხვედით?**

— არა, საავადმყოფოში ვიყავი, თავის ტკივილი მანუხებდა. ახლა კარგად ვარ... აქციაზე რომ მივედი, ყველა ოპოზიციონერთან მივედი, ყველას გავეცანი.

— **ყველაზე მეტად ვისი გაცნობა გაგიხარდა?**

— არ დავკონკრეტებდი. გაიცანი კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნათელაშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, ნინელი ჭანკვეტაძე და ა.შ. იცით, 3 ნოემბერს დედა დავკარგე და ნერვიულობისგან ცუდად გავხდი. ამ ადამიანებმა მომხედეს, დამსვეს და წყალი დამალევიეს. მერე, ლევან გაჩეჩილაძეს ვთხოვე (მას უკვე ვიცნობდი): ტელეფონი მათხოვეთ, მჭირდება-მეთქი. უარი არ უთქვამს. ბატონი ლევანი ყველანაირად გვერდით დამიდგა.

— **ბალბატონი მარინა:**


— ჩემი შვილი ხშირად მეუბნება: საქართველოში ვცხოვრობთ, ქართველები ვართ და ყოველთვის დევნილებად რატომ მოგვისხსენიებენო? როცა მასზე ამბობენ — ეს ლტოლვილიაო, თვალზე ცრემლი მოადგება ხოლმე.

— **შალვა:**

— ჰო, სადაც არ უნდა წავიდე, ყველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მე დევნილი ვარ. დევნილი კი არა, ქართველი ვარ!

— **დაბოლოს, რას ეტყვი ოპოზიციას?**

— არასდროს გახდნენ შევარდნაძის და სააკაშვილის მსგავსი მმართველები. ■



ნათია ქვიციანი

— გიგა, ადრე ინტერვიუებში აღნიშნავდი ხოლმე, რომ ჟურნალისტები არ გიყვარდა. ახლა რამ გადაგანწყვეტინა, საგამომცემლო საქმეში ჩაბმა და ჟურნალისტებთან თანამშრომლობა?

— ჟურნალისტები არც ახლა მიყვარხართ! რაც თქვენში ყველაზე მეტად მალბიზიანებდა, ის განახლებულ „ბომონდში“ ნამდვილად არ იქნება. „ბომონდი“ სრულიად განსხვავებულ სიტყვას იტყვის ქართულ ბექდურ მედიაში.

— ამით იმის თქმა გინდა, რომ ჟურნალისტებში ახალი, სტილი შემოიღო?

— არა, მაგას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან ვალიარებ, რომ ამ საქმის პროფესიონალი არ ვარ. პროფესიით კინორეჟისორი გახლავართ და მუსიკალური განათლებაც მაქვს მიღებული. შეიძლება, ჩვენი ჟურნალის სტილი ახალი არ არის და სხვების მიერ უკვე აპრობირებულია, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენი ჟურნალი განსხვავებული იქნება. მკითხველი, რომელიც „ბომონდს“ შეიძენს, ამაში თავად დარწმუნდება.

— ესე იგი, დარწმუნებული ხარ, რომ რასაც აკეთებ, კარგად აკეთებ?

— რასაც ვაკეთებ, ყოველთვის მაგრად და კარგად ვაკეთებ. თუმცა ცხოვრებაში ისეთი შემთხვევებიც მქონია, რომ რაღაც შემოქმენია, მაგრამ მერე იმ ნამუშევრით მთლად ვერ მომინონებია თავი. თუმცა ჩემი ცხოვრების პრინციპია — ხარისხიანად და პროფესიონალურად ვიშრომო. რაც შეეხება განახლებულ „ბომონდს“, იგი პოლიტიკას, ეკონომიკას და მსგავს საკითხებს არ მოიცავს. რადგან არ მომწონს, როდესაც ჟურნალისტები პოლიტიკაზე უბრალო ადამიანებს აზრს ეკითხებიან. რაში მაინტერესებს მე ვილაცის აზრი?! ან შენ რაში გაინ-

მან საზოგადოებას თავი ჯერ მომლერლად, მერე კინორეჟისორად და კლიმბეიკერად გააცნო. ცოტა ხნის წინ კი გიგა აგლაძემ ახალი ამბლუა მოირგო. იგი განახლებული ჟურნალის — „ბომონდი“ მთავარი რედაქტორი და თანაგამომცემელი გახდა. ჟურნალის პირველი ნომერი უკვე იყიდება. „ბომონდი“ 144-გვერდიანია და როგორც გიგა ამბობს, სიახლეებით სავსე და საკმაოდ საინტერესოც გახლავთ.

გიგა აგლაძე განახლებული „ბომონდის“ რედაქტორი გახდა

ტერებს?! მიმაჩნია, რომ არც მე და არც სხვამ პოლიტიკოსების სახელები და გვარები საერთოდ არ უნდა ვიცოდეთ. რატომ უნდა მქონდეს ამა თუ იმ პოლიტიკოსზე აზრი შექმნილი? რატომ უნდა ვფიქრობდე მათზე? თუ ამაზე დაფხარჯავ დროსა და ენერჯიას, საკუთარ საქმეს ველარ მივხედავ. მე არც ოპოზიციისა და არც ხელისუფლების წარმომადგენელი არ ვარ. მხოლოდ საკუთარ ოჯახსა და ქვეყანას ვეკუთვნი. მიმაჩნია, რომ არასწორია, საზოგადოება, მათ შორის, ხელმოკლები იყოს ორად რომ გაიყვენ და ერთმანეთს უპირისპირდებიან.

— გამოდის, რომ ჟურნალისტებიც არ უნდა ვინტერესდებოდეთ პოლიტიკით?

— არა, ეგ მე არ მითქვამს. ჟურნალისტი, რა თქმა უნდა, ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ 1099 გამოცემიდან 1098 გამოცემა პოლიტიკაზე იყოს. ეს ნორმალური არ არის. აქედან გამომდინარე, „ბომონდში“ მხოლოდ ის საკითხები გაშუქდება, რისი დეფიცირიც არის ქართულ პრესაში.

— რას ვულისხმობ?

— საქართველოში არიან ძალზე ნიჭიერი ადამიანები, ხელოვნები, რომლებსაც სამუშაოდ, არაფერ იცნობს. ქართულ ჟურნალებში მათზე არაფერი იწერება. მათ თქვენ ვერ ხედავთ, რადგან მორიდებულები არიან. არც აქვთ იმის ამბიცია, რომ სადმე რაღაც დაინეროს მათზე. ჩვენთან კი, ამ ადამიანების ცხოვრება აუცილებლად გაშუქდება.

— მერე ასეთი სახის მასალები რამდენად მომგებიანი იქნება ჟურნალისტებისთვის?

— „ბომონდს“ ისეთი „მიქსი“ აქვს, ისეა მასში ყველაფერი თავმოყრილი, რომ ჩვენ მკითხველს ვალდებულს ვხდით, იყიდოს ჟურნალი. მისთვის საინტერესო მასალების გვერდით, ის ისეთ

სტატიებსაც წაიკითხავს, რომ მათზეც გაუჩნდება მოთხოვნილება. ჩემი ანუ რედაქტორის გვერდს მე ასე ვამთავრებ: როცა ამ ჟურნალს წაიკითხავ და სიახლეს აღმოაჩენ, წადი და სხვას მოუყევი. ეს ჩვენი ერთ-ერთი მიზანია.


— როგორც ვიცი, დიზაინერებზეც საკმაოდ ბევრ მასალას შემოგვთავაზებთ. რატომ გაამახვილეთ ყურადღება მოდაზე?

— ძალიან მომწონს, როცა ადამიანს კარგად აცვია. კარგში მე მის გემოვნებას ვგულისხმობ. გაჭირვებულმა ფენამ შესაძლოა, ტანსაცმელი მეორად მალაზიებში შეიძინოს, მაგრამ სხვებზე გემოვნებიანად ეცვას. ეს სირცხვილი სულაც არ არის. მეც კი მიყვითხარ სამოსი „მეორადებში“. დიზაინერებთან ჩანერილი ინტერვიუებით, ჩვენს მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა, აირჩიოს ის ჩაცმის სტილი, რომელსაც ეძებდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა სურდა. გარდა ამისა, ავთო ცქვიტინიძე იქნება თუ სხვა რომელიმე დიზაინერი, ისინი ამ საქმიანობას რომ ეწევიან, პროპაგანდა ხომ უნდა გაეწიონ? თან მოდის სფერო ჟურნალის ისეთი განუყოფელი ნაწილია, რომელსაც გვერდს ვერ აუვკლით.

— გიგა, ვიცი, რომ შენი მეუღლე თუა დიზაინერია. „ბომონდში“ მასაც თუ გაუწევს პროპაგანდას?

— ვერ გეტყვი, თუა რამდენად კარგი

გარწმუნებთ, რომ ჩვენი ჟურნალი განსხვავებული იქნება



დიზაინერია, მისი ნამუშევრების შემფასებლად ნამდვილად ვერ გამოვდგები, მაგრამ თუ დაიმსახურებს, თუ რაღაცას გააკეთებს, რომ გამოჩნდეს, მაშინ რატომაც არა, პროპაგანდას აუცილებლად გავუწევთ.

— ქართული პრესა რეპორტაჟული სახის მასალების ნაკლებობას განიცდის. როგორც შევითყვევ, თქვენს ჟურნალში ამის დეფიციტი არ იქნება და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოგვანვდით რეპორტაჟებს...

— ამ საკითხზე ასე დანერვილებით ნულარ ვილაპარაკებთ, რადგან არ მინდა, რომ დროს გავუწვრილოთ. მკითხველი თავად ნახავს და შეაფასებს ყველაფერს.

— მთავარი რედაქტორის ფუნქცია როგორ შეითავსე, მკაცრი ხარ?

— ისეთივე რედაქტორი ვარ, როგორიც ადამიანი. ჩემთვის ადამიანებთან ურთიერთობა საინტერესოა. მთავარია, რომ ერთმანეთს გავუვსოთ. მართალია, რედაქტორობა ჩემი პროფესია არ არის, თუმცა ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება, უცხოეთში შევიძინე. თანამშრომლებს ყოველთვის ვეუბნები, რომ ჩემთან ურთიერთობა საკმაოდ მარტივია. მათგან განსხვავებული არაფრით ვარ. აქედან გამომდინარე, ალბათ კარგი რედაქტორი ვარ. შეიძლება რაღაცაზე გავბრაზდეთ და უცებ ვიყვირო, მაგრამ ამ დროს ჟურნალისტს შეუ-

ძლია პასუხი დამიბრუნოს. ამაში განსაკუთრებული არაფერია.

— თავდაპირველად მომღერალად მოგვევლინე, მერე რეჟისორად, კლიპმეიკერად, ახლა ჟურნალის რედაქტორიც გახდი. როგორ ახერხებ ამდენი საქმის გაკეთებას?

— განსაკუთრებულს არც არაფერს ვაკეთებ. ვმღერი იმიტომ, რომ ჩემმა ბაბუამ ასე გამზარდა. მუსიკა ჩემთვის ყველაფერია. რაც თავი მახსოვს, სულ ვმღერი. როგორც კინორეჟისორს, ერთი ფილმი მაქვს გადაღებული, მეორე დაწყებულია და რა ბედი ეწევა, არ ვიცი. ამჟამად ახალ, სერიოზულ ფილმზე ვიწყებ მუშაობას. რაც შეეხება კლიპებს, ეს ჩემი მხრიდან დიდი ავანტიურა იყო. იმ გადაღებებით, გამოცდილება მივიღე.

— ანუ, შენი ნამუშევრები არ მოგწონს?

— ნამდვილად ასეა. როცა შეცდომას ვუშვებ, სხვას კი არა, მხოლოდ საკუთარ თავს ვაბრალებ. ამ შემთხვევაშიც ვალიარებ, რომ შემეშალა. რატომ გადავიღე ასეთი კლიპები, არ ვიცი. ალბათ მაშინ ასეთი „ამინდი“ იყო თბილისში.

— როგორც ჩანს, კლიპების გადაღებას აღარ აპირებ...

— ვილაც რომ მოვიდეს ჩემთან და კარგი მუსიკა მომიტანოს, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყვი. რად-

გან მილიონერი არ ვარ და კლიპის გადაღება ჩემთვის, თავის შენახვის მეთოდიც არის. თუ ნორმალურად გადაიხდიან, რატომაც არა, კლიპს სიამოვნებით გადავიღებ.

— მახსოვს, შენმა ბოლო კლიპმა, რომელიც ალანა გაგლოუვსა და ქეთი ყიფშიძის სურათების მიხედვით იყო გადაღებული, საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია, მათ მიაჩნდათ, რომ ეს ეროტიკა იყო.

— ჯერ ერთი, ის კლიპი კი არა, 37-ნუთიანი ფილმია. მას არანაირი ბედი არ სწევია, ჯერჯერობით, ის ისევ თაროზე დევს, თუმცა რამდენიმე ფესტივალზე იყო გაგზავნილი. გამოსმაურება ნამდვილად გამოიწვია, რადგან ეს ჩვეულებრივი პიარი იყო. საიდან მოიტანეს, რომ ეროტიკაა? იქ არანაირი ეროტიკული სცენები არ არის. უბრალოდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს ყველაფერი სწორად ვერ გაიგო, რადგან მათზე არც იყო გათვლილი. ამას, ალბათ, მხოლოდ ხელოვნები მიხვდებიან.

— ცოტა რამ შენს ოჯახზეც მითხარი.

— მეუღლის ამბავი ხომ იცით. შვილი ორი მყავს — ბიჭები. უფროსი 15 წლისაა, უმცროსი — 7-ის. უფროსი საკმაოდ ჭკვიანი და ნიჭიერია. ნიჭის ტომარაა და ვნახოთ, მომავალში რას უზამს ამ ნიჭს.

შეიძინეთ საუკეთესო

ლიქანი

სანსტუმროს ტიპის კომპლექსი
თანამედროვე აპარტამენტები
გამაპანსაბლებელი კომპლექსი
სპა ცენტრი
უმაღლესი კლასის მოსახურება
სეზონი - 365 დღე წელიწადში!
სუპერმარკეტის ფართობი კომპლექსის ადმინისტრაცია
უპრობლემოდ აპარტამენტების გაქირავებას

საბურთალოს "დაქიდებულნი ბაღები"
უმაღლესი კლასის სანსტუმრო - საცხოვრებელი
კომპლექსი

ულამაჯისი პარკი
მოსახლეობის ხაზები მშენებარე
გოგირდის ცხელი წყალი
24 - საათიანი ROOM - სერვისი
მშენებლობა დაწყებულია, ირქვით!

მხოლოდ ცენტრ პოინტი ჯგუფი წყვეთში

განსაკუთრებული მიწროკლიმატი
თანამედროვე 1,2,3 - ოთახიანი აპარტამენტებით
დახურული, დასული ტერიტორია
ყოველდღიური მშენებლობის გარეშე

899 111 533, 899 50 80 11
899 204 204, 899 544 844 განვადება 0%

„კვირის პალიტრა“ წარმოგიდგინეთ!



მაგარი გარეკანი,
დიდი ფორმატი (A4),
608გვ. + 128გვ.
ფერადი ილუსტრაციები
შუბღვენელი თემურ ყიფიანი

ფასი
27.99
ლარი

წიგნი - ყველა ოჯახის სათვის!



როდის გვისმენენ სპეცსამსახურები?

„ისინი და სასამართლო ერთად მოქმედებენ...“

სპეცსამსახურების მიერ ფარული სატელეფონო მიყურადების პრობლემა ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა. დაძაბულმა ვითარებამ საკითხი არაერთხელ დასვა წნეხს და არა მარტო ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თუ იურისტები, არამედ რეგიონი მოქალაქეებიც ალაპარაკა. ამ დღეებში აღნიშნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ბოლო სატელეფონო გამოსვლამაც განაპირობა. საზოგადოებას ის დაჰპირდა, რომ მალე, 2005-2006 წლებში კუდისა (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) და სოდის (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი) მიერ ჩაწერილ, ფარული სატელეფონო მოსმენების სიას გააცნობს ოქრუაშვილმა საზგასპით აღნიშნა ისიც, რომ „ასეთი უკანონო ქვეყანაში დღემდე გრძელდება“.



შეგი სანავა

უკანონობის ან ძალადონი სტრუქტურების მკომპრომეტირებული მასალების არსებობას კატეგორიულად უარყოფს საქართველოს გენერალური პროკურატურა. ოქრუაშვილის განცხადებას ამ უწყებამ კონტრჩანაწერიტ უპასუხა და მისი მეგობრების — ენერგოსაბითუმო ბაზრის ყოფილი ხელმძღვანელის, დავით ჯიბლაშვილისა და ნანა ლეჟავას ფარული სატელეფონო ჩანაწერი გამოაქვეყნა. „ისევე, როგორც სხვა დროს, ამ შემთხვევაშიც, არავითარ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია და ფარული მიყურადება კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით განხორციელდა. ამ პროცესს საფუძვლად დაედო თავად ოქრუაშვილის ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცება, რაც საქმესთან ჯიბლაშვილის კავშირზე მიუთითებდა. სწორედ ამის გამო ხორციელდებოდა მისი სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა და ეს მოსამართლის ბრძანების შესაბამისად ხდებოდა“, — ასეთია გენპროკურატურის პრესსამსახურის კომენტარი.

ნენ. ამის მიუხედავად, მეგობართან ლაპარაკი არ შევწყვიტე. მას აშკარად ეტყობოდა, რომ მაშინ ზენოლის ქვეშ იმყოფებოდა, რადგან ელემენტარულ კითხვებზეც კი ვერ მცემდა გარკვეულ პასუხს, — აღნიშნავს ნანა ლეჟავა. თავად პროკურატურა უარყოფს, რომ ნანა ლეჟავას ტელეფონი ისმინება.

ფაქტს გამოეხმაურნენ იურისტებიც და ზოგმა მათგანმა შს სამინისტროს იმპიჩმენტის საკითხის დასმაც კი მოითხოვა. „თუ სოდისა და კუდის მიერ განხორციელებულ ყველა მოსმენას შესაბამისი დოკუმენტაცია არ ახლავს თან, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს, რადგან ეს სტრუქტურები სწორედ მის დაქვემდებარებაშია“, — აღნიშნავს იურისტი **ზადარიძე თენაშვილი**. მისივე თქმით, სატელეფონო მოსმენა მხოლოდ დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, მათ დასადასტურებლად ან უარსაყოფად უნდა ხორციელდებოდეს. ხდება თუ არა ასე?

— დღეს ყველას ტელეფონი ისმინება!.. — ეს ფრაზა ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვესმის. გვესმის ისიც, რომ „ისმინებიან“ ადამიანები, რომელთაც სამიშ კრიმინალურ დანაშაულთან არაფერი აკავშირებთ და არც რაიმე კანონდარღვევის გამო მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ მიეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომელიც რაღაც დოზით მაინც გამოხატავს თავის შეხედულებებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და სააშისოდ, გარკვეული ასპარეზიც აქვთ. აქედან გამომდინარე, დამკვიდრდა აზრი — სპეცსამსახურები მთავრობის უშუალო მითითებით მოქმედებენ.

მართლაც — ხორციელდება თუ არა უკანონო მოსმენა? როგორ მოქმედებენ სპეცსამსახურები და არის თუ არა ეს, ადამიანის უფლების დარღვევა? იურისტები ამბობენ, რომ კანონი უხეშად ირღვევა, მაგრამ მათივე თქმით, დღეს არსებული მართლმსაჯულების პირობებში, ამის დამტკიცება ძალზე ძნელია. ისინი ლაპარაკობენ სპეცსამსახურების მეთოდებზე, უკანონობის „დაკანონებაზე“ და, სამ-

წუხაროდ, აღნიშნული პრობლემის მოგვარების უპერსპექტივობაზე... გამოსავალს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივი პრინციპების შეცვლასა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაში ხედავენ...

„ღღას ბობაურად, ყვას ბაუფონი ისმინება... აი, ეს არის რეალობა...“

ზანანა კოზახიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ თავმჯდომარე:

— აღნიშნული პრობლემა ადამიანის უფლებებთან პირდაპირ კავშირშია. არსებობს რამდენიმე კანონი, რომელიც ფარული მიყურადების პროცესს არეგულირებს, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად იცავენ მას ჩვენს ქვეყანაში. ადამიანის უფლებები, მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა და დაცვა, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში უზენაესი კანონით — საქართველოს კონსტიტუციითაა დაცული და მისი დარღვევის უფლება არავის აქვს. ამ პროცესს არეგულირებს, ასევე საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები, რომლებსაც ოფიციალურად, ჩვენი ქვეყანა იზიარებს. ადამიანის უფლების შეზღუდვა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა ის აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით. საგამოძიებო სტრუქტურის მიერ ესა თუ ის მოქმედება უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. ბინის ჩხრეკა, პირადი კორესპონდენციის ამოღება და გახსნა, სატელეფონო მოსმენა (რაც პირდაპირ უკავშირდება ადამიანის პირად ცხოვრებას) აუცილებლად უნდა განხორციელდეს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. ასევე შესაძლებელია არსე-

გლობალ კონსალტინგ ჯორჯია

- გუბლტრული კონსულტაციები
- გუბლტრული და აუდიტორული მომსახურება

ყველაზე იაზად თბილისში

ტელ: 22 69 40 თაკო

საქართველოს
სამართლებრივი
პრობლემები
გეგმიური



ბობდეს ენ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სწორედ ამის გამო დაშვებული მიყურადება ან სხვა რომელიმე საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს ბრძანების გარეშე განხორციელდეს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ასეთი მოქმედება დასრულებისთანავე აუცილებლად უნდა დაკანონდეს. დეტალურად უნდა დაფიქსირდეს და აიხსნას, თუ რა გადაუდებელ აუცილებლობას ჰქონდა ადგილი და ყოველივე ეს, მოსამართლეს



სიყალბეზე მიუთითებდა. ლაპარაკი ფარულ ჩანერაზე. აღმოჩნდა, რომ გამოძიებელი იმ დროს სხვაგან იმყოფებოდა და სხვა საპროცესო ღონისძიებას ატარებდა. ბუნებრივია, ერთდროულად და პარალელურად, ორი სხვადასხვა პირის მიმართ საპროცესო მოქმედებებს ის ვერ განახორციელებდა. ამგვარად, გამოაშკარავდა, რომ მოსამართლემ ზემოთ აღნიშნული მოქმედება, ყოველგვარი წინასწარი გამოკვლევისა და გარემოებების გათვალისწინების გარეშე, ფაქტობრივად, ბრმად დააკანონა. როდესაც ყოველივე ეს საქმის არსებითი განხილვისას პროცესზე დაეფიქსირეთ, იქაც კი მისი აბსოლუტური იგნორირება მოხდა. არავისთვის დასაძალი აღარ არის, რომ სასამართლოების მიუკერძოებლობის საკითხი ჩვენს ქვეყანაში იგივე ეჭვის ქვეშ დგას. უფრო მეტიც, საზოგადოება სასამართლო ხელისუფლებას აღარ ენდობა, ასეთ ვითარებაში კი ძალიან ძნელია, ადამიანის უფლებების დაცვა განახორციელო და დაამტკიცო, რომ ესა თუ ის საპროცესო მოქმედება სინამდვილეში, უკანონოდ ჩატარდა და მოსამართლემ მას ფორმალური სახე მისცა, რეალურად კი, არც უმსჯელია მასზე. ამის მიღწევა დამცველისთვის დღევანდელი სასამართლოს პირობებში შეუძლებელია.

— ბოლო წლებში განსაკუთრებით ხშირად, ძალოვანი უწყებები ამა თუ იმ ფარულ სატელეფონო

ადია, მას გამოძიება „ძირითად მტკიცებულებას“ უწოდებს. ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს პასუხისმგებლობისა და ობიექტურობის დონესთან გვაქვს საქმე. სწორედ სასამართლომ უნდა გაარკვიოს და გამოიძიოს მტკიცებულებების რეალობა, კანონიერება და როცა აღმოაჩენს, რომ ის არამყარ და უსაფუძვლოდ ინტერპრეტირებულია, ის აუცილებლად უნდა გააუქმოს. სამწუხაროდ, ჩვენში ასე არ ხდება. სასამართლო ყოველთვის ბრალდების პოზიციას იზიარებს (განსაკუთრებით ბოლო წლებში) და მისი მხრიდან ისევე და ისევე ვაწყდებით მიკერძოებასა და არაობიექტურობას.

— როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც ეჭვობს, რომ მისი ტელეფონი უსაფუძვლოდ, არაღელვარად ისმინება?

— დღეს ტოტალურად, ყველას ტელეფონი ისმინება. თუ მოქალაქე ცოტათი მაინც აქტიურია და რაიმე სახის საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, როგორც წესი, ისმინება. აღარაფერს ვამბობ პოლიტიკური პარტიების წევრებზე, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებზე... ეს — ფაქტია, მაგრამ ამის მტკიცება ძალიან რთულია. თუ ადამიანი ეჭვობს ან დარწმუნებულია, რომ მისი ტელეფონი ისმინება, საჩივრით ისევე იმ სტრუქტურას უნდა მიმართოს, რომელიც მოსმენას ახორციელებს. ცხადია, საკუთარი თავის წინააღმდეგ ის ობიექტურ გამოძიებას არ ჩაატარებს. ამდენად, რთული და ფაქტობრივად, შეუძლებელია, ასეთ ვითარებაში რაიმე შედეგს მიაღწიო და სამართალი იპოვო. ტექნოლოგია ძალიან წინააღმდეგობრივია, არის ფიქტური კავშირგაბმულობა, ინტერნეტი და აქედან გამომდინარე, დღეს გაუხსნელი ინფორმაცია არ არსებობს. მაგრამ ასევე არ არსებობს მექანიზმი იმისა, რომ ამ სფეროში უკანონობის შემთხვევაში, ობიექტური გამოძიება ან მოქალაქის — მომჩივნის ინტერესების ეფექტური დაცვა განხორციელდეს.

იმ მომენტშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ გვისმენდნენ. ამის მიუხედავად, მეგობართან ლაპარაკი არ შევწყვიტე

წარდგინოს. ამ შემთხვევაში, მოსამართლის შესაფასებელი ხდება, რამდენად რეალური იყო გადაუდებელი ღონისძიების აუცილებლობა. კანონის თანახმად, გადაუდებელი ღონისძიების აუცილებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაწყებიდან 12 საათში, პროკურორი ვალდებულია, შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის სასამართლოს, ხოლო მოსამართლემ 24 საათის განმავლობაში უნდა განიხილოს საკითხი, ამ მოქმედებისთვის კანონიერი სახის მისაცემად.

— რამდენად იცავენ ამ კანონს ჩვენი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები?

— მთავარია ის, რომ ძალზე ხშირად, ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენს. სწორედ ამ ფორმალურობის დასაცავად, წინასწარ ხდება ხოლმე მოსამართლისთვის შუამდგომლობის წარდგენა და ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, მანამდე, სანამ რეალურად, რაიმე ღონისძიება ჩატარდება და რაიმე გადაუდებელი აუცილებლობა გამოიკვეთება ან არ გამოიკვეთება. რეალურად, ამ საკითხის განხილვა არ ხდება. ბოლო პერიოდში, არც შეგვხვდრია ისეთი საქმე, სადაც ესა თუ ის ღონისძიება მოსამართლის მიერ დაკანონებული არ ყოფილიყოს. მოსამართლე ხელს აწერს ნებისმიერ მოქმედებას, რომელსაც ძალოვნები ახორციელებენ, იმის მიუხედავად, საჭირო და კანონიერი იყო ეს თუ — არა. მაგალითად, პირადად მქონდა პრაქტიკაში შემთხვევა, როცა საქმეში იდო მოსამართლის მიერ დაკანონებული ისეთი დოკუმენტი, რომელიც აშკარა

ჩანაწერს ტელევიზიებს გადასცემენ და ეთერში უშვებენ. სამართლადამცველები ჩანაწერს, როგორც ბრალის დამადასტურებელს, ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს საბუთს, ისე წარმოგვიდგენენ. ამის საპასუხოდ, ადვოკატები ხშირად ირწმუნებიან, რომ ჩანაწერი არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და სინამდვილეში, მოსმენილი საუბარი არავითარი ინფორმაციის მატარებელი არ არის. მაშ, რასთან გვაქვს საქმე?

— რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა სატელეფონო, აუდიოჩანაწერი თავისი შინაარსით მართლაც, არ გახლავთ რაიმე დანაშაულის შემცველი და არ იძლევა ინფორმაციას რაიმე კანონსაწინააღმდეგო ფაქტის შესახებ, მაგრამ მას, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ინტერპრეტაციას უკეთებს გამოძიება. საბრალდებო დასკვნაშიც უკვე ინტერპრეტირებული ტექსტი იწერება და ცხ-

„იმაგა“ - უნაპართოვო საბალაფონო მოსმენის დაანონსების ხარისხი

სოსო ბარათაშვილი, ადვოკატი:

— ყველასათვის ცნობილია — როცა ფარული მიყურადება სასამართლოს ნებართვის გარეშე ხორციელდება, ის არაღელვარულია, ანუ საქმე დანაშაულთან გვაქვს, მაგრამ ამის დამტკიცება დღეს პრაქტიკულად, შეუძლებელია. არსებობს

გაგრძელება იხ. გვ. 97

ტელე კალიტრა

უფრო მეტი ინფორმაცია - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი
გაგონების პარასკევით

9 ნოემბრიდან ყოველ პარასკევს

TV

- ისტორიები
- პროგრამები
- სტუდიები

ყველაზე საინტერესო
ტელე რუბრიკები:

- * სანამ ეკრანი აიწვება
- * რძედასამ ეკრანი ქრება

9-15 ნოემბერი შანი 70 თეთრი N 1



დასაწყისი იხ. „გზა“ №44

ინგა ჯაყელი

...ორიოდ დღეში გიგიმ ისევ დარეკა და საჩხუბრად შემართული ანა უცებ განაიარაღა მისმა დამთმობმა კილომ:

— ბოდიში უნდა მოგიხადო... არ მინდა შენთან ჩხუბი, პოლიტიკოსის კარიერაც არ მილირს ამად. შეგხვდეთ და გავარკვიოთ ჩვენი ურთიერთობები...

— ჩვენ რაიმე ურთიერთობა გვაქვს?! — გაიკვირვა ანამ და ყურმილი დავიდა.

...მაშინ უკვე იცოდა, რომ გიგა ლიკასთან იზიარებდა სარეცელს და სწორედ მისი დამსახურება იყო კაცის „მიღწევებიც“ და გააქტიურებაც...

თავად ანას, ამ წლების განმავლობაში, გიგის შემდეგ არავინ ჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით კაცების ყურადღების ცენტრში იყო და მათი პრიმიტიულობით ბევრსაც ხალისობდა — საკმარისი გახლდათ, ვინმესთვის შიშველი მუხლები ან მკერდის „ნაწილი“ ჯიჟინებინა, ყველას ტვინი ერეოდა და „არეულები“ უამრავ შეცდომასაც უშვებდნენ — ისეთ რამეებს როშავდნენ და აკეთებდნენ, რომ მერე, ლამის საკუთარ იდაყვებზე იწყებდნენ კბენას და დაშინებულიები არც სხვა ქალებისკენ იხედებოდნენ...

...გიგიმ კი ისევ მოულოდნელად დააბნია და შეხვედრაზე რომ ვერ დაითანხმა, ერთ დღეს ისევ შინ ესტუმრა. თითქმის შუალამე გახლდათ. ანა სააბაზანოდან გამოვიდა და საძინებლისკენ აიღო გეზი. შიშველ სხეულზე პირსახოცის მოკლე ხალათი ჰქონდა მოსხმული...

კარზე ზარის ხმა რომ გაიგონა, დაუფიქრებლად გააღო, რადგან კარის მეზობელი — დეიდა ლილი იყო ცუდად — ნნევიმ აუწია და ორიოდვე საათის წინ, „სასწრაფოს“ გამოძახებაც კი დასჭირდათ. ეგონა, ისევ მარტოხელა ქალს თუ გაუჭირდა რაიმე...

...გიგი ოთახში ჯიქურ შემოიჭრა. თითქოს, შეეშინდა, ანას ცხვირწინ არ მიეხურა მისთვის კარი.

— გაგიჟდი?! — უკან დაიხია ქალმა.

შაზრიბაზალი ანა

ეურნალობისტი ქალის დღიურები

— ერთით ერთი!.. ზოგჯერ, დამარცხებასაც უნდა შეეგუო... ახლა, იარაღის შიშითაც არ გავალ აქედან.

— რას მოითხოვ ჩემგან?! მე უკან დახევას არ ვაპირებ. საინტერესო მასალას მოვიპოვებ თუ არა, გამოვაქვეყნებ და საერთოდ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენს პოლიტიკურ ზეაღსვლას ხელი შევეუშალო. ხალხის რჩეულობა არაფრით დაგიმსახურებია...

— ვერც შენ და ვერც სხვა ვეღარ შემაჩერებთ... რაც გინდა, ის გააკეთე, წერე და იკითხე — შენ გგონია, ვინმე ყურადღებას აქცევს მაგ ნაფლაბს?! — ხალხი კითხულობს!

— ხალხს არავინ არაფერს ვკითხება და საერთოდ, მათი აზრი ნაკლებად მაღელვებს. მთავარია, იქ — „ზემოთ“ სჯერათ ჩემი და შეუცვლელადაც მიმიჩნევენ...

— არაკაცობით?! — კაცობით და ახლა, შენ კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ შეუცვლელი ვარ!

— გიგიმ პიჯაკი გაიხადა და იქვე, კართან მიაგდო. მერე ჰალსტუხი მოიხსნა, პერანგიც გაიძრო...

— რას აკეთებ?... არ გაბედო!..

— ეს შენ არანაკლებ გინდა, ვიდრე მე და ისიც ვიცი, რომ ჩემ გარდა არავინ გყოლია, თუ არ ჩავთვლით იმ ნაბიჭვარ ვატო სიხარულიძეს, რომელსაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა შენი სიყვარული...

— ვატოზე ვინ გითხრა?... — დაიბნა ანა.

— ჩემო ამორძლო, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! — გიგიმ ანას კიდევ ერთხელ დაადგა „მახოლზე“ ფეხი და სანამ ქალი პასუხის გაცემას მოახერხებდა, ძლიერ მკლავებში მოიქცია. ანას ყნოსვას ნაცნობი სურნელი მისწვდა, რომელმაც უცებ განაიარაღა...

— მაგიჟებ! — დაიკვნესა კაცმა. — არავის ჰგავხარ!.. — გმადლობ! — თქვა ისევ საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ანამ და სააბაზანოში გავარდა.

ათი წუთის შემდეგ, როცა იქიდან გამოვიდა, გიგი ჩაცმული დახვდა:

— ახლა, საით — ცოლთან თუ ლიკასთან?! — ირონია გაურია ხმაში ანამ.

— ეჭვიანობ?! — ეგლა მაკლია!

— მართალი ხარ, ვერც ერთი ვერ გინვეს კონკურენციას და თუ ჭკვიანად იქნები...

— გაეთრიე! — „ნაისისინა“ ანამ.

— დავბრუნდები! — კარი გაიხურა კაცმა და მიუხედავად ანას „მუქარისა“, ის მაინც ყოველთვის ბრუნდებოდა მასთან და ქალსაც, წინააღმდეგობის განწევის სურვილი უქრებოდა. არადა, გიგის თავგასულობა

უკვე ყველა ზღვარს სცილდებოდა. მას უბრალოდ, დაავინყდა, რომ ადამიანობა სულ სხვა რამეა და იგი არც ფულზე იყიდება, არც — თანამდებობაზე და არც — გავლენაზე... მასთან ურთიერთობა მხოლოდ თავის დამცირება იყო. კაცი, ყოველი შეხვედრით მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ანა ვერასოდეს შეძლებდა მასზე უარის თქმას...

შურისძიება უკვე ღირსების საქმედ მიჩნდა ანას და მალე, ამის საშუალებაც მიეცა არც უძებნია მიზეზი, ისე ჩაუვარდა ხელში ინფორმაცია, რომ ოთხი წლის წინ, ბიუჯეტიდან მიღებული ფულის — რომლითაც გიგის შპს-ს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემები უნდა დაემონტაჟებინა, მიზნობრივად მხოლოდ 20% იქნა დახარჯული, დანარჩენი 80% კი, ფირმის რკინის სეიფიდან უკვალოდ გაქრა — ვითომდა, ოფისი გაიქურდა. ამის გამო, საწყალი დარაჯიც დაიჭირეს, რომელიც ბოლოს, სასწრაფოდ დახურულ საქმესთან ერთად, უკვალოდ გაქრა. აშკარა იყო, ფული „დანიშნულებისამებრ“ განანიღდა, „ყველა“ კმაყოფილი დარჩა და ვინ იცის, იქნებ, გიგიმ სწორედ ამ ფულით „გამოჭდა“ ის „ოქროს გასაღებიც“, რომელმაც პოლიტიკისკენ მიმავალი გზა გაუხსნა?! — ანამ იმ ადამიანის ვინაობა დაადგინა, ვისაც თავის დროზე, ამ საქმის გამოძიება ებარა და ძალიანაც გაუხარდა, როცა ის მიშა ბერიძე აღმოჩნდა. ეს კაცი სულიერად



და ხორციელად გარყვნილი გახლდათ და ყველაფერზე მოანერდა ხელს, ოღონდ კი თავისი ჭია გაუხარებინა...

ანა მას ტელეფონით დაუკავშირდა და მერე, საგანგებოდ მოემზადა მასთან შესახვედრად. მიშამ კარგად იცოდა, რომ ჟურნალისტი ანა ჯაფარიძე ინფორმაციაში ფულის გადამხდელი არ იყო. ამიტომაც, სხვა „გამორჩენაზე“ უნდა ეფიქრა... ისეთი მოკლე კაბა ეცვა ანას, რომ „ყოვლისმანახველი“ მიშა ბერიძეც კი დაიბნა და ბილწი სხივით ანთებული თვალებით ლამის „შეჭამა“ გოგო...

— უკვე ყველაფერზე თანახმა ვარ! —

დამარცხებულივით აღმართა ორივე ხელი და თან, ისე გახედა ქალს, რომ აშკარად იფიქრა: ვინ იცის, იქნებ, მძინავსო?!

არც ანას დაუწყია შორიდან მოვლა: — მეც პირდაპირ საქმეზე ლაპარაკი მიყვარს და თუ ერთმანეთს „გაუგებო“, ვალში არ დაგრჩებით...

— გათხოვილი ხარ? — რატომღაც, ანას ოჯახური მდგომარეობით დაინტერესდა მიშა.

— ქმარი დიდი ხნის წინ გავაგდე სახლიდან, რადგან ჩემგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა. განა, მორჩილ ცოლს ვგავარ?! — წინ გადაიხარა და ახლა უბეში ჩაახედა ანამ ჟინმორული კაცი.

— სამშობლოს გავყიდი, მშობელ დედასაც, ოღონდ...

— ოღონდ, რა?! — ეშმაკურად ჰკითხა ანამ.

— მოდი, ვისადილოთ. აქვე, ახლოს, ჩემს მეგობარს კარგი რესტორანი აქვს, „ჩიტის რძესაც“ გაგვიჩვენე.

— ქაბა რომ დიდად არ მიყვარს?! იქნებ, საცურო აუზზე წაგვეყვანეთ... ვიცო, ცურვა თქვენც ძალიან გიყვართ...

მიშას აშკარად ბილწმა აზრმა გაურბინა გონებაში და თითქოს, უკვე ხედავდა შიმშელ ანას.

ქალმა მართლაც, მოლოდინი არ გაუცრა: საგანგებოდ შერჩეული საცურო კოსტიუმში სულ რამდენიმე ვიწრო ზონრისგან შედგებოდა...

— ნამდვილად ინფარქტს დამმართებ... ასეთს რას მოითხოვ ჩემგან?! — დაიკვნესა კაცმა...

ანა აუზში ჩახტა და საკმაოდ სწრაფად დაფარა დისტანცია — წინ და უკან. მიშამ სცადა გაჯიბრება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, წამოზრდილი ღიპის წყალობით მალევე აუტყდა ქოშინი.

ანამ მის მიმართ აუტანელი ზიზღი იგრძნო. არადა, კაცი წაუპოტინა და სცადა, მისი სხეული სწორედ იმ საზიზღარ ღიპზე მიეკრა...

— ავანსი არ იქნება! — რაც შეიძლება თავშეკავებულად მოიშორა ანამ მიშა და მცირე პაუზის შემდეგ, ჯიქურ მიახალა:

— გიგი თეთრაძის დახურული საქმის დეტალები უნდა გამაცნოთ და ყველა დოკუმენტის ასლი გადმომცეთ. ისიც ვიცი, თუ საქმე ხელახალ ძიებაში წავა, არც თქვენ გადაგისვამენ თავზე ხელს, მაგრამ თქვენი „გაუფუჭება“ ჩემს ინტერესში არ შედის. ეს მშვენივრად იცით და ამიტომაც, ნებას გაძლევთ, თავი უდანაშაულოდ წარმოაჩინოთ: თუ სხვას ვერაფერს მოიფიქრებთ, ყველა შეცდომა და გაყალბება თამაზ ხვედელიძეს გადააბრალეთ. ის ხომ ორი წლის წინ, ავარიში მოყვა და დაიღუპა. ვიცი, სწორედ მან და თქვენ გადაარჩინეთ მაშინ გიგი ციხეში გამოკეტვისგან...

— გიგი თეთრაძეს, მით უმეტეს ახლა, ველარაჟინ დაიჭერს, ზედმეტად მაღლა „აფრინდა“. თმის ბენჯიც რომ ჩამოუვარდეს, მოაღებს პირს და უამრავ ვინმეს გადაიყოლებს უფსკრულში...

— ჰოდა, მისი ცოდვაც არ დაგვედება, ცოტა ნერვებს აუშლით და მორჩა...

— გიგის რატომ უპირისპირდები?! — დაინტერესდა მიშა.

— ფორმის შესანარჩუნებლად სკანდალი მჭირდება. მინდა, ვილაც-ვილაცებმა ანგარიში გამიწიონ. მეტს კი ვერაფერს გეტყვი, სანამ საქმე საქვეყნოდ არ „გასკდება“...

— თანახმა ვარ. ფეხებზე მკიდია გიგი თეთრაძის ნერვები, საკუთარი მაქვს მისახედი...

მიშამ იმაზე მეტად ჩაახედა ანა საქმეში, ვიდრე მოელოდა და მასალაც ისეთი გამოვიდა, რომ მართლაც ბომბის გასკდომის ეფექტი ჰქონდა...

გიგიმ, სანამ ნახავდა, მობილურზე დაურეკა და პირდაპირ გინებით დაინყო ლაპარაკი. თან ისე, რომ სიტყვის ჩაგდების საშუალება არ მისცა ანას და ქალმაც, ამიტომ გაუთიშა ტელეფონი. ცოტა ხანში კი თავად დაურეკა და ლამის თავზე დაამხო ზეცა:

— არასოდეს, არასოდეს გაბედო ჩემთან შეგინება და თუნდაც ხმადაბლა რაიმე პრეტენზიის გამოთქმა, თორემ სიცოცხლის ფასად დაგისვამ პირველსავე გამოხდომას... შენ თავად გამოინვიე სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. არადა, იცოდი, რომ კაცს ჩემზე არ გავაძარჯვებინებდი, არაფრის ფასად!...

...ის იყო, გიგის ტელეფონი გაუთიშა, რომ მიშა ბერიძემ დაურეკა — „კუთვნილს“ სთხოვდა:

— უკვე ისეთი სკანდალი აგორდა, თქვენთვისვეა ცუდი ჩვენი ერთად ყოფნა. მტერს ჩვენი მეგობრობის დაფიქსირებით ეჭვის საბაბი არ უნდა მიეცეთ, თორემ შეიძლება, ცუდ დღეში აღმოჩნდეთ. ჩანყნარდება სიტუაცია და გულს არ დაგწყევტო! — არ გაართულა სიტუაცია ანამ. არადა, გათიშა თუ არა ტელეფონი, ზიზღით გვერდზე გადაანერწყვა და დააყოლა:

— შენთვისაც მოვიცლი, შე ახვარო!...

გიგი გვიან ღამით, რედაქციიდან გამოსულს დაუდარაჯდა და მოულოდნელობისგან დაბნეული ანა მართლაც ძალით „ჩატყნა“ მანქანაში, მერე კი გიყვივით გააქროლა, ქალაქკარეთ...

— მოკლავ! — აზრზე მოვიდა ანა.

— ენა ჩაიგდე და არ გამაგიჟო! გაჭმედი, თუ არ გინდა, რომ მართლა მოგახრჩო! — ვალში არ დარჩა გიგი. — რა გინდა, რას მოითხოვ ჩემგან და რატომ იქექები ნაგავში?! იქნებ გგონია, რომ ახალი ამერიკა აღმოაჩინე და ვისთვისაც წერდი, იმან არ იცოდა, სად წავიდა ის ფული?! მე იქიდან მესაფიდიკ არ შემხედვრია და ვინც უნდა დამიჭიროს, იმან ყველაზე მეტი წაიღო! როგორ ფიქრობ, მოინდომებს ვინმე იმ ტოტის მოჭრას, რომელზეც ზის?..

— ჰოდა, რალას ნერვიულობ, თავი ქუდში გქონია... ნაიკითხავს სტატის თქვენგან გაძარცული ხალხი, გულს მოიფხანს და ცოტა ხნით მაინც ივლის იმ ილუზიით, რომ სა-მართალი იზეიმებს...

— იცი, მაგ პუბლიკაციის გამო რამდენ ადამიანთან მომიწია თავის მართლებამ? რამდენმა დამიქნია თითი — შენთან საქმის

დაჭერა საშიშიაო?! რატომ მირთულე ცხოვრებას, სულელური ქალური ეჭვიანობის გამო?! რა გინდა ჩემგან? ხომ იცი, რომ ოჯახს არც ერთი ქალის გამო არ დავანგრევ და მით უმეტეს ახლა, როცა წესიერი პოლიტიკოსის იმიჯი მჭირდება?! როგორც საყვარელს, გაკლდა ჩემგან რამე?!

— ნაგავი ხარ!...

— შენ თავად გაქექე ეგ სიმყრალე და ახლა „დატკბი“ მისი სურნელით...

— გააჩერე მანქანა!

— ღირსი ხარ, ამ ტყეში მიგატოვო,



მაგრამ მანამდე, გაგაუპატიურებ ისე, როგორც მოლაღატეს ეკუთვნის!...

— რა თქვი?! — იყვირა ანამ.

— ის, რომ ბოზური საქციელის გამო იმას მიიღებ, რასაც ბოზები იმსახურებენ... ანამ გიგის მთელი ძალით მოუქნია მარჯვენა და სახეში სილა გაანწა. მოულოდნელობისგან დაბნეულმა კაცმა მანქანა ისე დაამუხრუჭა, რომ ანამ ღამის, თავით გაიტანა საქარე მინა.

— ვფიქრობ, ჩვენ ორიდან ან ერთი მოკვდება, ან მეორე, ეს საქმე სხვანაირად არ დასრულდება! — პიკს მიაღწია ანას გაღიზიანებამ, რომელმაც მანქანის კარი გამოაღო, გადახტა და სანამ გიგი აზრზე მოვიდოდა, საპირისპირო მხრიდან მომავალ მანქანას გადაუდგა წინ. შემდეგ, იძულებით გაჩერებული ავტომობილის სალონში ჩახტა და დაბნეულ მძღოლს სთხოვა, სასწრაფოდ დაძარი მანქანაო.

— ანა! — იღრიალა მანქანიდან გადმომხტარმა გიგიმ.

— ნაღი! — ისტერიკა დაიმართა ღამის ქალმა და მძღოლიც დაემორჩილა. გიგი მათ უკან გამოუდგა, მაგრამ ანას გვერდით მჯდომი ნამდვილად აზარტული ჩანდა და ისეთი სიჩქარე განავითარა, რომ მდევარი უცებ ჩამოიტოვა უკან.

— სანამ შინ მიგიყვანთ, სადმე დავსხედეთ და დამშვიდდებით. თან, თითო ჭიქაც დავლიოთ! — შესთავაზა ანას მძღოლმა, რომელიც საკმაოდ მომხიბვლელი ახალგაზრდა გახლდათ. ალბათ, 27-28 წლის თუ იქნებოდა...

— მაპატიეთ! — ახალა შერცხვა ანას.

— არა უშავს, ხდება ხოლმე... შეყვარებული იყო?

— არა... არ ვიცი... მართლა არ ვიცი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„დედა ბიბლიოთეკაში მუშაობდა, იქ ყოველი ვიზიტის დროს წიგნებს ვიპარავდი, ამიტომ თვეში ერთხელ, დედა ჩემს პირად ბიბლიოთეკაში „აღწერას“ ატარებდა და მოპარულ წიგნებს უკან იბრუნებდა — გაგვიმზილა პარლამენტარმა კობა ხაბაზმა, როცა მას „ერუდიტის“ რუბრიკაში ჩასაწერად შევხვდით. როგორც თავად გვითხრა, ასაკის შესაბამისად, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურით იყო გატაცებული. ამჟამად ასაღამოცემულ წიგნებს ნაკლებად კითხულობს. თავისუფალ დროს ხელმეორედ იმ ლიტერატურას ეცნობა, რომელსაც შედეგებად მიიჩნევს. ძალიან უყვარს პოეზია. ზეპირად არა მარტო ლექსები, არამედ საყვარელ მწერალთა ნაწარმოებებიდან ციტატებიც კი ახსოვს.

ვის უწამავდა წიგნებს ყოფილი ხაზანი



თამუნა კვიციანი

— რა ეწოდება ეპოქას ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის წარმოქმნიდან ეგვიპტის დაპყრობამდე?

— ელინისტური ხანა. თქვენ თუ იცით, რა ერქვა ალექსანდრე მაკედონელის ცხენს?

— ბუცევალი. ახლა თქვენ მითხარით, რომელ ქვეყანაში ლაშქრობისას მოუკლეს მაკედონელს საყვარელი ცხენი?

— როგორც მახსოვს, ეს ინდოეთში, ლაშქრობის დროს მოხდა. ასეა?

— დიახ. დაასახელეთ სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი მოხელის ტიტული სასანიანთა ირანში, ქართლის სამეფოსა და სომხეთში. ეს სიტყვა სპარსული წარმოშობისაა. (ფიქრობს) მიგანიშნებთ, რომ ამ ტიტულს ერთ-ერთი წამებული დედოფლის მეუღლე ატარებდა.

— პიტიახში?

— დიახ. დღეს ეს სიტყვა ზოგიერთ ქვეყანაში „პოლიციელის“ სინონიმია, ხოლო წარსულში ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.

— ფარაონი.

— ის დაიბადა 1863 წელს, პატარა სოფელ დირბონში. ოდესღაც უმნიშვნელო ეს სოფელი, მისი წყალობით, შემდეგში საავტომობილო მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა. ვინ იყო ეს ადამიანი?

— ჰენრი ფორდი.

— დაასახელეთ ძველი ბერძენი ფილოსოფოს-მორალისტი, რომელიც გადმოცემის თანახმად, კასრში ცხოვრობდა.

— დიოგენე. როდესაც მასთან რჩევის საკითხავად მიდგოდნენ, ყველას ეუბნებოდა: გაიწიე, მზეს ნუ ეფარებიო.

— ცნობილია, რომ იგი დღისით ანთებული ფარნით დადიოდა. ის თუ გახსოვთ, რას პასუხობდა იმ ადამიანებს, რომლებიც ეკითხებოდნენ: ანთებული ფარნით რატომ დადიხარო?

— არ მახსოვს.

— დიოგენე პასუხობდა — ადამიანს ვეძებო.

— (იცინის) ეს მართლა არ ვიცოდი.

— „უნივერსიტეტი“ — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს...

— ვერ გეტყვით.

— ერთობლიობას. დაასახელეთ ძველ რომში უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო.

— სენატი.

— ქართველი დიდგაროვნების — ბაღვაშების მეორე გვარი?

— ორბელიანი.

— რა შქვია აქლემის შვილს?

— კოზაკი.

— ძველ ქართულში კვირის რომელი დღე იყო აფროდიტისა?

— არ მახსოვს.

— მიგანიშნებთ: ამ დღეს ჩვენი ჟურნალი გამოდის.

— (იცინის) ხუთშაბათი. ამის არცოდნას არ მაპატიებდით...

— სადაური მონეტა იყო ალთუნი?

— თურქული.

— რამდენი ტონია, „რე“ და „მი“ ბგერებს შორის?

— ერთი ტონი.

— რომელმა გუნდმა დაიკავა საქართველოს ფეხბურთის 2005-06 წლებში ეროვნულ ჩემპიონატში I ადგილი?

— ბოლნისის „სიონმა“. ამ გუნდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დავით კირკიტაძე იყო (იცინის) — ესეც ვი მახსოვს.

— რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი?

— ეს ბანაკი დღევანდელი პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

— რა ერქვა იაზონის გემს?

— „არგო“.

— რომელმა დინასტიამ შეცვალა ვალუათა დინასტია საფრანგეთში?

— ბურბონებმა.

— საქართველოს რომელ კუთხეშია ბედიის მონასტერი?

— აფხაზეთში.

— რა ერქვა ადრე ქალაქ სენაკს?

— ცხაკაია. ოზურგეთს — მახარაძე ერქვა, მარტვილს კი — გეგეჭკორი.

— ვინ ასრულებს გიორგი მახარაშვილს როლს ფილმში — „ჯარისკაცის მამა“?

— სერგო ზაქარიაძე.

— რა შქვია ბნედას სამედიცინო ტერმინოლოგიით?

— ეპილეფსია.

— რუსეთის რომელი იმპერატორის მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა გრიგორი რასპუტინი?

— ნიკოლოზ II-ის დროს.

— რომელ ქალაქშია ტრაფალგარის მოედანი?

— ლონდონში. ამ ადგილზე ადმირალი ნელსონი დაიღუპა.

— ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?

— სანდრო შორჟოლიანი.

— რა ერქვა საიდუმლო სახელმწიფო პოლიციას

ფაშისტურ გერმანიაში?

— გესტაპო.
— რა ერქვა პორტუგალიელ მოგზაურს მაგელანს?

— არ მახსოვს.
— ფერნანდო რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზიზე?

— ვიქტორია.
— რომელ ოკეანეში მდებარეობს კუნძული მადაგასკარი?

— ინდოეთის ოკეანეში.
— რომელი კუნძულის უძველესი სახელწოდებაა ალბიონი?

— ნისლიან ალბიონს ბრიტანეთს უწოდებდნენ.
— რა გვარი იყო შაჰ-აბას I-ის სარდალი ალავერდი ხანი?

— (ფიქრობს) ვერ გეტყვით.
— მას ქართული გვარი ჰქონდა.
— ვერ ვიხსენებ.

— უნდილაძე რომელ ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა მოდინახეს ციხე?

— ეს ციხე საჩხერეში მდებარეობს და წერეთლებს ეკუთვნოდა.
— ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელის მამა?

— ფილიპე მაკედონელი.
— რომელმა რომაელმა სარდალმა გაანადგურა კართაგენი?

— (ფიქრობს) სციპიონმა?
— დიახ. ვინ გასცა 1832 წლის შეთქმულება?

— იასე ფალავანდიშვილი. ეს გვარი არაერთი ღირსეული ადამიანის წყალობით არის ცნობილი. იასე მათ შორის გამონაკლისი იყო.
— რომელი მეფე დაიღუპა მარისის ბრძოლაში?

— ვერ ვიხსენებ.
— ლუარსაბ I. რომელი მეფე იყო დავით IV აღმაშენებლის მამა?

— გიორგი II.
— რომელია კონსტანტინე არსაკიძის მეორე სახელი „დიდოსტატის მარჯვენაში“?

— ამ კითხვაზე პასუხი ვიცი და არ შემახსენო (ფიქრობს). ამ სახელით მას შორენა კოლონკელიძე მიმართავს — უტა.
— რომელ ქვეყანაში დაასრულა სიცოცხლე XVIII საუკუნის ქართველმა პოეტმა ბესიკმა?

— ვერ გეტყვით.
— რუმინეთში. რომელი მეფის მოღვაწეობაა აღწერილი რევაზ ჯაფარიძის „მძიმე ჯვარში“?

— სოლომონ I-ის.
— ახლა კი თქვენს საყვარელ პოეზიაზე გადავიდეთ. ვინ არის შემდეგი სტროფის ავტორი: „ყოფილა დავით მეფე აღმაშენებელი,/ ყოფილან ოპიზრები გასაშტებებელი,/ ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,/ რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი“?

— მურმან ლებანიძე.
— „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრთან“. რომელ მწერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ვაჟა-ფშაველას.
— „გაზაფხულის თქეში უშაპუნებს ფანჯრებს/ ყველა აივანი გადმოკიდებს ჩანჩქერს./ და მეზობლის გოგოც გაიხარებს მაშინ,/ წვიმის ასაღებად გავარდება კარში,/ რომ სვალ უფრო კარგად თმები ზომიზმებდეს,/ რომ სვალ უფრო კარგად მე ვერ ვიძინებდე“. ამ ლექსის ავტორსაც ხომ ვერ გაიხსენებთ?

— ვერა — იმიტომ, რომ ეს ლექსი არ ვიცი.
— იგი შოთა ნიშნიანიძეს ეკუთვნის. ვინ არის ავტორი მოთხრობათა კრებულისა „დეკამერონი“?

— ბოკაჩო.
— რა ერქვა ბოკაჩოს?
— სახელი არ მახსოვს.
— ჯოვანი. იქნებ ბურატინოს მამის სახელი გაიხსენოთ?

— (ფიქრობს) კარლო.
— როგორი სახელმწიფო წეს-წყობილებაა ესპანეთში?

— კონსტიტუციური მონარქია.
— რამდენი წლით ირჩევენ რუსეთის პრეზიდენტს?

— 4 წლით.
— რამდენ სენატორს ირჩევს აშშ-ის თითოეული შტატი?

— მგონი, 2 სენატორს.
— დიახ. რა ეწოდება სახელმწიფოს ყოველწლიური ფულადი შემოსავლისა და გასავლის ნუსხას?

— (ფიქრობს)
— ბატონო კობა, მგონი, დაიბნეთ, მარტივი კითხვაა.
— აბა, ერთხელ გამიმეორე (გამეორების შემდეგ) ბიუჯეტი. პირველად დასმული კითხვა სხვაგვარად გავიგე.

— ამერიკის რომელ შტატში მდებარეობს პენტაგონი?
— ვირჯინიის.
— რა ჰქვია სახელმწიფოში დაკავებული პირის გადაცემას იმ სახელმწიფოსთვის, რომლის მოქალაქეც არის?

— ექსტრადიცია.
— რა ჰქვია „ყურანის“ ცალკეულ თავს?
— ვერ გეტყვით.
— სურა.
— დიახ, ახლა გამახსენდა.

— რა ჰქვია პარლამენტის წევრთა აუცილებელ რაოდენობას, რომელიც საჭიროა კანონის მისაღები კენჭისყრის ჩასატარებლად?
— არ ვიცი.
— ბატონო კობა...

— (მანყვეტიანებს) გეზუმრე (იციანის). სწორი პასუხია — კვორუმი.
— ვინ არის სახელმწიფო მეთაური ეგვიპტეში?
— სულთანი, პრეზიდენტი, ამირა თუ პრემიერ-მინისტრი?

— პრეზიდენტი.
— რა არის აიაზმა?
— ნაკურთხი წყალი.
— რა ჰქვია მღვდელმსახურის თავსაბურავს?
— მიტრა.
— ვინ იყო რეჟისორ გიორგი შენგელაიას დედა?

— ნატო ვაჩნაძე.
— ვინ შეასრულა ქალის მთავარი როლი ფილმში „მოიტაცეს თამარ ქალი“?
— არ ვიცი.
— სათუნა კოტრიკაძე. პირველად რომელი ქართველი ფეხბურთელი იყო დასახელებული მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში?

— თუ არ ვცდები, მიხეილ მესხი.
— ნამდვილად ასეა. რა არის NASA-ს კვლევის სფერო — მედიცინა, კოსმოსი, პოლიტიკა თუ ისტორია?
— კოსმოსი.
— დაბოლოს: დაასრულეთ ფრანგი მწერალ-მორალისტის უან დე ლაბრუიერის გამონათქვამი: „პოლიტიკაში დაბნეულობის წყარო ის არის, რომ ძალაუფლების მპყრობელნი მხოლოდ...“
— ციტატა ზუსტად არ მახსოვს.
— „...მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ“.

სოფო ჯონიშვილი

როგორც გავარკვევით, მომლერალი მამუკა ონაშვილი, მსახიობი ნინაკა გელაშვილის დიდი მესაიდუმლე ყოფილა. ამჟამად ისინი ერთმანეთის პირისპირ ყურნალისტიკა და რესპონდენტის ამბლუაში დასხდნენ. ინტერვიუზე მათ ერთმანეთს ისეთი რალაცებიც გაუზილეს, რასაც დიდი ხანია, მალაფდნენ. რატომ ეძახიან ნინაკა გელაშვილს „დედა ტერეზას“, ვისზეა ის ამჟამად შეყვარებული და რა მიჰყვება ამ ქვეყნიდან მამუკა ონაშვილს დარდად — ყველაფერ ამას მათი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ქართული — მამუკა ონაშვილი
რუსული — ნინაკა გელაშვილი

— ნინაკა, აღელვებული ჩანსარ, სულ რაღაც 1 საათში „იუმორინის“ კონცერტი იწყება, როგორი განწყობილება გაქვს?

— როგორც ყოველთვის, ამაღლებული განწყობილება მაქვს. ხომ იცი, აქ რომ მოვდივარ და თქვენ გხედავთ, ყველანი იწყებენ და აღელვება მავინყდება. ჩემი ცუდი ხასიათი, შეუმჩნეველი არასოდეს გრჩება, რაც ყოველთვის ძალიან მსიამოვნებს.

— გულლიად მითხარი, სცენაზე გასვლის წინ, რაზე ფიქრობ სოლმე?

— ყოველი კონცერტის წინ, მთელი შემართებით ვემზადები, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგანაც ვიცი, რომ დარბაზში ის მაყურებელი მელოდება, რომლის წყალობით, „იუმორინის“ კონცერტები მუდმივად ანსულაგით მიმდინარეობს. ისიც ვიცი, რომ სცენაზე ჩემს გამოსვლას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს. აინტერესებთ — რა მეცმევა, როგორ ფორმაში ვიქნები, რას შევასრულებ და ა.შ. სცენაზე გასვლის წინ, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ, როგორ მოვიბოლო მაყურებელი, რომელიც ჩემით ყოველთვის აღტაცებულია (იღიშება).

— ყოველ საკონცერტო სეზონზე, სხვადასხვა იმიჯით გვევლინები, მაინტერესებს, შენს იმიჯზე ვინ ზრუნავს, თუ გყავს ისეთი ადამიანი, ვინც შენს გარეგნობაზე სერიოზულად ფიქრობს? ვიცი, ხშირად ისეთ სიტუაციაშიც მოხვედრილხარ, როცა კონცერტის დასრულების შემდეგ, მაყურებელი შენთან, კულისებში შემოსულა და უკითხავს, ეს ფეხსაცმელი სად შეიძინე (იციინს)?

— კი, ასეთი შემთხვევა ხშირად მქონია. საერთოდ კომფორტის მოყვარული ადამიანი ვარ. ტანსაცმელში ფული არასოდეს მენანება, ჩემს სტილსა და იმიჯზე თავად ვზრუნავ. ჩემზე კარგად არავინ იცის, რა მიხდება და რა — არა. მსახიობისთვის, სიახლე და ცვალებადობა არა მარ-

უამომო შეყვარებული „დედა ტერეზა“



და მისი ოცნების მამუკასი

„ქორნილი არაფერ შუაშია, მთავარი — სიყვარულით ბაზოგაა“

ტო შემოქმედებაში, გარეგნობაშიც აუცილებელია. ბავშვობაში უყურადღებოდ არ მრჩებოდა, ჩემი საყვარელი მსახიობი იმიჯს ხშირად რომ იცვლიდა. შესაბამისად, ყოველთვის ველოდებოდი, სცენაზე ის როგორ გამოჩნდებოდა.

— გამოდის, რომ კარგად, მოდურად ჩაცმა ძალიან გიყვარს, არა?

— აბა, რა! როცა კარგად გაცვია და კარგად გამოიყურები, შესაბამისად, ბევრ კომპლიმენტს იღებ, რაც ქალს ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებს.

— აქვე გეტყვი, რომ სცენაზე შენ გვერდით თავს კომფორტულად გგრძნობ.

— მაშინ მეც გეტყვი, რომ შენს შეფასებას ყოველთვის სულმოუთქმელად ველი. არა მარტო ველოდები, წინასწარ ვნერვიულობ იმაზე, თუ რას მტყყვი. შენი აღფრთოვანებული შეძახილი — ნინაკა, ვა, რა მაგარი ხარო! — სცენაზე გასვლის წინ, ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს. ვრწმუნდები, რომ მართლა კარგ ფორმაში ვარ.

— ყური მოგკარი, თითქოს შენ კონკურენტებიც გყავს. ამის შესახებ რას მტყყვი?

— ჩემი მხრიდან შესაძლოა, ძალიან ხმაველანი და ამბიციური განაცხადი იყოს, ახლა რასაც ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, მე აქ, ამ სცენაზე კონკურენტი არ მყავს, რაც შენც ძალიან კარგად იცი. ამ ყველაფრის თქმის საბაბს ჩემი მაყურებელი მაძლევს, რომლის მხრიდან დიდ სიყვარულს და სიძაბოთიას ვგრძნობ ყოველთვის. წლების წინ, ბატონმა ოთარ მელვინეთუბუტცესმა მითხრა: მსახიობი ან ისეთი ოსტატი უნდა იყოს, როგორიც სესილია თაყაიშვილი იყო, ან ისეთი ხიბლი უნდა ჰქონდეს, როგორიც სოფიკო ჭიაურელს აქვს, ვფიქრობ, რომ შენ სწორედ ამ ხიბლით ხარ დაჯილდოებულიო. მისი ეს სიტყვები, დღემდე კარგად მახსოვს, ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ მან სწორად შემაფასა.

— ნინაკა, ადრე ჩემთვის, ასეთი რამ გაქვს ნათქვამი: უსიყვარულოდ ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმაო. მაინტერესებს, ახლა შენს გულში რა ხდება? შეყვარებული ხარ?

— ვალიარებ, რომ დღესდღეობით უზომოდ შეყვარებული ვარ. სამწუხაროდ, იმ ადამიანს ვერ არ ვიცი, მანაც არ იცის, ასე ძალიან რომ მიყვარს. ასეთი რამ ცხოვრებაში არასდროს დამმართვია.

— ამ სიყვარულით თავს ბედნიერად გრძნობ?

— რა თქმა უნდა, ეს სიყვარული ჩემთვის ბედნიერებასთან ერთად დიდი სტიმულიცაა. მიმანჩია, რომ თუკი ის ადამიანი ჩემი სიყვარულის შესახებ გაიგებს, ისეთივე ბედნიერი გახდება, როგორც მე ვარ. ამ ყველაფერს, მისი ვაჟკაცობიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ვამბობ.

— საგონებელში ჩამაგდუნეტავ, ვინ არის?

— ვფიქრობ, ჩვენ მას ერთად გავიცნობთ.



ვალიარებ, რომ დღესდღეობით უზომოდ შეყვარებული ვარ

— ესე იგი, ადრე თუ გვიან, ქორწილიც იქნება?

— არა, ძვირფასო, აქ ქორწილი არაფერ შუაშია. ამქვეყნიად მთავარი — სიყვარულით აღფრთოვანებაა.

— დიდი ხანა, თინეიჯერობის ასაკს გადააბიჯე... მაინტერესებს, თავისუფალ სექსზე რა აზრის ხარ? ანუ ქორწინებამდე ურთიერთობა, შენთვის რამდენად მისაღებია, რაც დღევანდელი თინეიჯერებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— ასეთი მენტალიტეტით რომ მეცხოვრა, ვფიქრობ, გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდი. ყველა ერს თავისი ისტორია და ტრადიცია აქვს. უცხოელებში ძალიან მომწონს ის, რომ ადრეულ ასაკში ოჯახს არ ქმნიან, გარკვეული პერიოდი ერთად ცხოვრობენ, თუ ერთმანეთს ვერ გაუგებენ, მშვიდად სცილდებიან. ჩემთვის 16 წლის ბავშვის გათხოვება მიუღებელია. ამ ასაკში, გოგო რომ თხოვდება, მიმაჩნია, რომ მისი ცხოვრების 99% დანგრეულია. ბევრი ახალგაზრდა ვერ აცნობიერებს იმას, ოჯახის შექმნა უნდა, თუ საპირისპირო სექსის წარმომადგენელთან გარკვეული ურთიერთობა. მეც ვიყავი 16 წლის, მაგრამ გათხოვებაზე არ ვფიქრობდი. საშინელებაა ის, რაც დღევანდელ ტელე-შოუებში ხდება. თინეიჯერიც ვიყავი, მაგრამ ასე არასდროს მოვქცეულვარ.

— ნინაკა, ვიცი, რომ ბუნებით ამაყი ადამიანი ხარ. რას იტყვი შენს სიამაყეზე?

— ჩემი სიამაყე სწორედ ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარეობს. ვიცი, რომ ჩემს მეგობრებს ჩემ გვერდით გავლა არასდროს შერცხვებათ. არც ერთმა დაქალმა და მეგობარმა იმდენი არ იცის ჩემი ცხოვრების შესახებ, რამდენიც შენ. ხშირად, საკუთარი თავისთვის მიკითხავს კიდევ, ამდენ რამეს რატომ ვეუბნები-მეთქი? იმისთვის, რომ ამაყი იყო, საჭიროა, სუფთა ადამიანი იყო.

— ქართულ ტრადიციებზე რას იტყვი, მოგწონს?

— მომწონს. სხვათა შორის, ვცდილობ, ამ ტრადიციების დამცველიც ვიყო.

— მაინტერესებს, ნინაკა გელაშვილი სახლში როგორია? დღეს როგორ იწყებ?

— საერთოდ, დილით ძილი ძალიან მიყვარს, მაგრამ ამის საშუალება თითქმის არასდროს მაქვს, ხან დედა მალვითებს, ხანაც — შვილი. გაღვიძების შემდეგ, პირველი რასაც ვაკეთებ, ეს არის ყავის დაღვევა, შემდეგ უკვე შხაბს ვიღებ. ქორნიკულად სულ დრო არ მყოფნის. აბსოლუტურად ყველგან მაგვიანდება. თუ ყველგან მისვლა და ყველაფრის გაკეთება მოვასწარა, რაც იმ დღეს დაგეგმილი მაქვს, ჩემზე ბედნიერი არავინ მგონია.

— კიდევ კარგი, მანქანა გყავს.

— მანქანა საქმეების მოგვარებაში ძალიან მუხმარება. სახლში ყველანაირი ყოფილი პრობლემები ჩემი მოსაგვარებელია. ერთხელ, ახლობელთან ვიყავი, სახლში წასვლას ვჩქარობდი — რა გეჩქარე-

ბა, დარჩიო. — სახლი მაქვს დასალაგებელი-მეთქი. იქ ერთი უცხო ადამიანი იყო, გაცინა და მითხრა: შენი დალაგებული რა იქნებაო. ჩემიანი დამლაგებელს, ალბათ, რომ დამჭირდეს, ვერასდროს ვიშოვი. რასაც ვაკეთებ, ყველაფერს — ხარისხიანად. გარდა ამისა, „დედა ტერეზაც“ ვარ. ყველას პრობლემების მოსმენა და შესაბამისად, რჩევების მიცემაც მიწევს. ღამეები „დედა ტერეზობაში“ მათენდება (იცი-ნის).

— თუ გაქვს ისეთი ნივთი, რომელიც შენთვის ძალიან ძვირფასი და საყვარელია?

— ძვირფასი ნივთი ბევრი მაქვს, მაგრამ განსაკუთრებით ის პატარა ოქროს ჯვარი მიყვარს, რომელიც ბავშვობაში ნათლიამ მაჩუქა. ჩვეულებრივი ჯვარია, თუმცა ცხოვრება მის გარეშე ვერ წარმომიდგენია, თან, მაცხოვრის საფლავზე ვაკურთხებიან.

— როგორია, შენთვის იდეალური მამაკაცი?

— ჩემთვის იდეალური მამაკაცი არის ის, ვისზედაც შეყვარებული ვარ.

— გასაგებია, მაგრამ ამ კითხვაზე უფრო კონკრეტულად გამეცი პასუხი?

— ჩემთვის, იდეალური მამაკაცი გია ბალაშვილია. სამწუხაროა, რომ მეგობრები და ერთად გაზრდილები ვართ, რაზეც ყოველთვის ძალიან ვდარდობ. ამ ყველაფერს თავად გია როგორ განიცდის, ვერ გეტყვი, მაგრამ...

ქართული — ნინაკა გელაშვილი
რუსულენოვანი — მამუკა წინაშვილი

— მამუკა, ისეთი სახით მიყურებ, ფიქრობ, რომ არ დაგინდობ. არა, ძვირფასო, არ ინერვიულო, გამოწკრიპის დაფუძნებ და დაგინდობ. ხომ იცი, რომ მიყვარხარ. მაინტერესებს, რას განიცდი მაშინ, როცა ისეთ ფორმაში მხედავ, როგორშიც ძალიან მოგწონვარ?

— ოხ... ნინაკა, მიმაჩნია, რომ ვერც ერთი ნორმალური მამაკაცი გვერდს გულგრილად ვერასოდეს აგვივლის. მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვეულ ფორმაში ხარ. იმდენად მომხიბვლელი და ქალური ხარ, რომ გიყურებ, საშინლად ვიბნევი. მინდა, რომ ჩემი მეგობარი არ იყო (იცი-ნის). ეს მეგობრობა ჩემთვის დიდი უბედურებაა.

— ხშირად გენატრები?

— ნინაკა, რა გინდა, გამაგებინე... კარგი, კარგი. რადგან არ მეშვები, გეტყვი, როცა კონცერტების მსვლელობისას, სულ ერთად ვართ და არ მენატრები, კონცერტების შემდეგ კი... ამიტომაც, რომ ხშირად გირეკავ.

— როგორც ვიცი, ღამის ცხ-

ოვრება ძალიან გიზიდავს...

— არა მარტო მე, ღამის ცხოვრება, შენც ძალიან მოგწონს. კონცერტის შემდეგ, სადმე წასვლის და გართობის ინიციატორიც შენ ხარ. მოკლედ გეტყვი, რომ ისეთი ადამიანი ხარ, არ შეიძლება, ვინმეს არ მოენატრო. იცოდე, რომ მხოლოდ მეგობრულად მენატრები, სხვანაირი მონატრების უფლება ნამდვილად არა მაქვს.

— ეს არის, ხომ, შენი უბედურება? ერთადერთი დარდი, რაც ამ ქვეყნიდან გაგყვება, მგონი, მე ვიქნები.

— ვაი, რომ მართლაც ასეა (იცი-ნის). ისე, მეგობრობაზე ხელი ხომ არ აგველო?

— ამ თემაზე 100 წლის შემდეგ ვიფიქროთ (იცი-ნის). მაშუკა, ჩემი-მეგობარი ქალი თუ გყავს?



ხანდახან, კიდევ უფრო მეტს თქმა მინდა, ვიდრე გუბნები, მაგრამ რაგომღაც თავს ვიკავებ...

— ბევრი მეგობარი ქალი მყავს, ისეთი ურთიერთობა, როგორიც მე და შენ გვაქვს, არავისთან მაქვს. ხანდახან, კიდევ უფრო მეტს თქმა მინდა, ვიდრე გუბნები, მაგრამ რატომღაც თავს ვიკავებ... რა ვქნა, ნინაკა, სხვანაირად არ შემიძლია.

— დიდი მადლობა უფროსალ „გზას“, რომ შენთან ერთად უფროსალისტიკის როლში აღმოვჩნდი. სხვა შემთხვევაში, ამ ყველაფერს სერიოზულად ვერ გკითხავდი. კიდევ ხომ არაფერი გინდა, რომ მითხრა?

— სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაფერი რომ ერთად გითხრა, ურთიერთობას აზრი დაეკარგება. ჯობს, სათქმელი ნელ-ნელა და ეტაპობრივად მოგაწოდო.

— შენს სასიძღვრო კარიერაში რა სიახლეებია?

— თავყანისმცემლებს სულ მალე გავხარებ, ახალ ალბომზე ვეშუაობ, ახალი კლიპის გადაღებასაც ვგეგმავ. უფროსალ „გზის“ მკითხველს კი მადლობას ვეტყვი იმისთვის, რომ ჩვენს ინტერვიუს ნაიკითხავს.

— დიდი მადლობა ინტერვიუსთვის იცოდე, რომ მიყვარხარ.

— მეც, საყვარელო, ხშირად სიზმარშიც კი გხედავ, ოღონდ არ მითხრა, მომიყვირო, მრცხვენია (იცი-ნის).

მალალი დიაბაზონის ხმის ტემბრმა მას ანსამბლ „ქართული ხმების“ განსაკუთრებული წევრის სტატუსი მიანიჭა კომპოზიტორებმა საგანგებოდ მისთვის დაინყეს სიმღერების შექმნა მისი შესრულებული „ჭრიჭინებისა“ თუ „მრავალჟამიერის“ მსმენელი გულგრილი ვერაფრით დარჩება, — რომ აღარაფერი ვთქვათ ანსამბლის რეპერტუარის დანარჩენ სიმღერებზე უფროსი თაობის „ქართული ხმების“ წევრს, ზურ ზოლქვაძეს ცოტა ხნის წინ, მისსავე მშობლიურ მხარეში, გურიაში გაუმართეს საიუბილეო საღამო. არცთუ ისე მცირეხანი პაუზის შემდეგ, სცენაზე მომღერლის გამოჩენამ მსმენელსა და თავად იუბილარშიც ამაღლებული ემოცია გამოიწვია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის გვერდზე ორივე თაობის „ქართული ხმები“ აღმოჩნდნენ.



ზურ ზოლქვაძე შეილიმვილითან დათო აბესაძესთან (მარცხნივ) და გია ჭირაქაძესთან ერთად

„ქართული ხმების“ უფროსი თაობა სცენას უბრუნდება

ანსამბლში ზურ ზოლქვაძის გადახიზება და თვალგახადილი მიძინარე გოგი დოლიძე

გია ლუწინიშვილი

70 წლის მომღერალმა იუბილეზე საჩუქრად, „მერსედესი“ მიიღო თუმცაღა, ალბათ ვერანაირი ნივთი ვერ გადაწონის იმ დიდ საჩუქარს, რომელიც მან ინფორმაციის სახით, ცოტა ხნის წინ შეიტყო. ეს საჩუქარი კი არა მარტო ბატონი ზურისთვის, არამედ ქართველი მსმენლისთვისაც ძალზე სასიხარულოა: ანსამბლის უფროსი თაობა სცენას უბრუნდება, ფილარმონიის შესასვლელში კი, მისი ვარსკვლავი გაიხსნება.

რეპეტიციები დაიწყო. შეიძწლიანი პაუზა და სცენის ნოსტალგია დასრულდა...

ზურ ზოლქვაძე:

— ჩემი ცხოვრების მეორე ეტაპი დაიწყო. როგორ გაგრძელდება ის, არავინ იცის. მიხარია, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ენახე. ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე, სიმღერას უკავშირდება. მის გარეშე არსებობა ჩემთვის წარმოუდგენელია.

სიმღერა გვიან დაიწყო?

— ბავშვობიდან ვმღერი. ანსამბლ „ჟურნალისტში“, რომელსაც შემდგომ, „ქართული ხმები“ ეწოდა, გოგი დოლიძის წყალობით მოვეხვდი. წარმოშობით, მახარაძის რაიონის სოფელ ბახვიდან გახლავართ. მე მაშინ ამ რაიონის ანსამბლ „შვიდეკაცში“ ვმღეროდი, რომელსაც ცნობილი მოკრიმანჭულე, მიხეილ შავიშვილი ხელმძღვანელობდა. ერთხელ წყნეთში ვქეიფობდით. თურმე იქვე, ახლოს, თავის მეგობრებთან ერთად, გოგი დოლიძე იმყოფებოდა. ჩემი სიმღერა რომ გაუგონიათ, ხმას გამოჰყენენ და ასე მოგვაგნეს. ჩემს ანსამბლთან ერთად ვიმყოფებოდი. დიდი ამბავი ატყდა, ბევრი ვიმღერეთ. სწორედ მაშინ გაჩნდა, ანსამბლ „ჟურნალისტში“ ჩემი გადასვლის იდეა.

— თქვენმა ანსამბლმა საზღვარგარეთ უდიდესი პოპულარიზაცია გაუწია ქართულ ხალხურ შემო-

ქმედებას. გარდა ამისა, იქაურები თურმე თქვენს ყაიდაზეც კი გადაგყავდათ ხოლმე. ასე იყო?

— კუნძულ კორსიკაზე, სადაც ხშირად ვყოფილვართ გასტროლით, ერთი ადგილი გვექონდა ამოჩემებული, დიდიდან სალამომდე იქ ვიყავით ხოლმე. ამიტომ იქაურებმა ამ ადგილს „ქართული სახლი“ დაარქვეს. ყოველთვის ძალზე საინტერესო გასტროლები გვექონდა, არაჩვეულებრივად გემასპინძლობდნენ. ვერ იგებდნენ, გურულ სიმღერებში რა ხმები უღერდა, მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით გვიგებდნენ ყურს. მათთვის ერთგვარი ეგზოტიკა იყო ჩვენი სიმღერები, რომლებსაც სცენის გარდა, სუფრაზეც ისმენდნენ. თან, სუფრაზე სასიმღერო საღერლედი უფრო მეტად გეშლება ხოლმე და მთელი ემოციით ვასრულებდით. კორსიკელებთან ისე დავეგობრდით, რომ ისინი ჩვენს ენაზე ამღერდნენ, ჩვენ კი — მათ ენაზე. კორსიკული სიმღერების შესწავლა არ გაგვიჩრებია, მათ უფრო უჭირდათ ქართული მრავალხმიანი სიმღერების ათვისება. გოგი ასწავლიდა ქართულ სიმღერებს. მერე აქაც ჩამოვიდნენ და ერთად გავემართეთ კონცერტი. ძალიან მონდომებულნი იყვნენ, კარგად რომ გამოსვლო-

დათ... იქ უმეტესად, კათოლიკურ ეკლესიებში ვმართავდით კონცერტებს, კარგი აკუსტიკაა და არაჩვეულებრივად უღერს სიმღერები, არანაირი აპარატურა არ გჭირდება. საოცარი გარემო სუფევს, სადაც მყურებელი გარინდებული გისმენს. ჯანსუღ კახიძის „მრავალჟამიერს“ ვასრულებდით ხშირად, თითქოს ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათიც კი იყო. კარგად გამოგვდიოდა. თავად ბატონმა ჯანსუღმა შეგვასწავლა და ჩვენ გარდა, არავინ ასრულებდა. ყველგან, განსაკუთრებულ ოვაციას იწვევდა... ერთ-ერთი „მრავალჟამიერი“, რომელიც არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა ანსამბლების რეპერტუარშიც არის, ბაბუაჩემის — ხარიტონ სტეფანიას დაწერილია, რაც, ბუნებრივია, ძალზე საამაყოა ჩემთვის.

— გაიხსენეთ საფრანგეთში გამართული ქორწილი, რომელშიც თამადა ბრძანდებოდით...

— ჩვენი ნაცნობი წყვილი შეუღლდა და ქართულ სახლში პატარა ქორწილი გადავუხადეთ. ძალიან ვისიამოვნეთ და კარგი დრო გავატარეთ. ფრანგებს ქართული ტრადიციული საქორწილო რიტუალი მოუნწყეთ. როგორც აქ წარმართება ხოლმე საქორწილო სუფრები, ტრადიციული სადღეგრძელოებითა და სიმღერებით, ზუსტად ისე წარვმართეთ იქ. რაც მთავარია, თავადაც ქმყოფილები და ნასიამოვნები დარჩნენ ამ ყველაფრით იქაურები.

— უცხოური ვოიაჟები ანსამბლის წევრებისთვის ცხოვრების წესად იყო ქცეული. ცხადია, დასვენებას მხოლოდ ძილის დროს ახერხებდით, ერთ-ერთი თქვენგანი კი, ისეთ ღრმა ძილს იყო ჩვეული, რომ დანარჩენებისთვის ეს ფაქტი სახალისო გასასვენებელ „მასალადაც“ კი იქცა...

— მე, თავგასას (დათო გოგიაშვილს) და გოგი დოლიძეს განსაკუთრებული ურთიერთობა გვექონდა, სულ ერთად ვიყავით. გოგის ისეთი ძილი სჩვეოდა, თუ დაიძინებდა, მისი გაღვიძება წარმოუდგენელი იყო, თან — თვალდასრევიანი ხოლმე. ერთხელ შევეცადე გამეღვიძებინა, ვეძახე, მაგრამ ვერაფრით გაგავიღვიძე. თვალები გახელილი აქვს. — ე, ბიჭო, ამოიღე ხმა, დახატული ხომ არ ხარ-მეთქი?! — მივძახე...

— ბატონო ზურ, ცოტა ხნის წინ სცენაზე ანსამბლის დასაბრუნებლად, რეპეტიციები დაგწყიათ. რა გეგმები აქვს განახლებულ „ქართულ ხმებს“?

— მანქანით რობერტ გოგოლაშვილმა



დათო კიკაბიძე, კახა ტრიგალაშვილი, დათო არჩვაძე

მამების თაობის ჩრდილში მყოფი შვილების ახალი სათქმელი

კვლავ შეგვირბა და დავიწყეთ რეპტიციები. ანსამბლი ძველი შემადგენლობით აღვადგინეთ. განვაახლებთ ძველ რეპერტუარს და ალბათ, ახალ სიმღერებზეც დავიწყებთ მუშაობას. ჩვენ ერთი გულისხმიერი ადამიანი გვედგა მხარში. ეტყობა, ვერ შეეგუა ჩვენს შემოქმედებით პაუზას და ამიტომაც მოინდომა ამ ანსამბლის წევრების კვლავ ამღერება. მის სახელსა და გვარს არ ვამხელთ, თუმცა მას ყველა იცნობს.

— **სამიოდე წლის წინ, უფროსი „ქართული ხმების“ წევრებმა ახპარეზი უმცროსებს გადაულოცეთ. როგორ ფიქრობთ — შეძლეს მათ ამ არცთუ ისე იოლი მისიის შესრულება?**

— მე უმაღლეს შეფასებას ვაძლევ ამ ბიჭებს. ნიჭიერები არიან. ცოტა ხნის წინ დათო არჩეაძემ დიდი საჩუქარი გამოიკეთა — დაწერა სიმღერა, რომელსაც მე, ჩემი ვაჟი დათო, დათო აბესაძე და მისი ვაჟი გიგა ვასრულებთ, მალე ამ სიმღერაზე კლიპსაც გადაიღებენ.

— **წლების წინ, ანსამბლი „უნივერსიტეტი“ „ქართული ხმების“ წევრების შვილების შემადგენლობით ჩამოყალიბდა. რატომ არ იყო მათ შორის თქვენი ვაჟი?**

— ჩემი შვილები მღერიან. ქალიშვილი უკეთ მღერის, ვიდრე ვაჟი. „უნივერსიტეტის“ არსებობის მანძილზე, მას არაერთხელ შესთავაზეს ანსამბლში სიმღერა, მაგრამ აქამდე ვერ გადაწყვიტა. ამ ცოტა ხნის წინ ისევ შესთავაზეს ბიჭებმა და ისიც, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა. ჩემი ვაჟი მეორე თაობის „ქართულ ხმებში“ იმღერებს, შვილიშვილი კი — მესამე თაობისაში, ის სტუდია „ქართული ხმების“ ბაზაზე დაარსებულ ბავშვთა ანსამბლში მღერის. რაც მთავარია, კარგი პედაგოგები ჰყავთ, ჩვენი ბიჭების სახით. დარწმუნებული ვარ, ეს ბავშვები აუცილებლად გაამართლებენ ჩვენს იმედებს.

— **თითქმის 7 წელია, რაც „ქართული ხმების“ ძველი შემადგენლობა დაიშალა. არ გაგიჭირდათ ამ ხნის განმავლობაში სცენის გარეშე?**

— ძალიან გამიჭირდა. სულ მესიზმრებოდა ჩემი წარსული ცხოვრება, რომელიც სცენას უკავშირდება. დიდი შემართებით ვმზადდები მსმენელთან შესახვედრად. როდესაც შევიკრიბებთ და ძველი სიმღერები გავიხსენებთ, აღმოვაჩინებთ, რომ ისევ ისე ვმღერით, ესე იგი, სიმღერა კვლავ შეგვიძლია. პატარები უკვე ძალიან მაგრები არიან. ჩვენ კონცერტზე ერთად გავალთ ხოლმე და ვფიქრობ, საოცარი გამოხმაურება მოჰყვება მსმენელის მხრიდან. „ქართული ხმების“ სამი თაობა ერთად ვიდგები სცენაზე...

P.S. ერთხელ ანსამბლი „ქართული ხმები“ მარჯანიშვილის თეატრში ერთ-ერთ ღონისძიებაში მონაწილეობდა, გამოსვლას, როგორც ყოველთვის, ტაში და ხანგრძლივი ოვაცია მოჰყვა. კულისებში მდგარ მსახიობოთარ მეღვინეთუხუცესს პროტესტი გამოუთქვამს, — ამით შემდეგ, სცენაზე როგორ გავიდე? ხალხი ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულაო... ეს რეალური ამბავი ერთ-ერთია იმ უამრავიდან, რომელიც ანსამბლის ისტორიაში მოიპოვება...

საქართველოს ტელევიზიაში 22 წლის წინ ჩამოყალიბებული ანსამბლი „უფროსი ხმების“, რომელსაც შემდგომში, „ქართული ხმები“ დაარქვეს, იმავე პიპულარული გახდა იმ დროს საქართველოში სამღერლად საქმე რომ არავის ჰქონდა, „ქართული ხმები“ მსოფლიოს აგვბინებდა: ერს, რომელსაც

ძლიერ უჭირს, სიმღერის განწყობილება ჯერ კიდევ არ დაუკარგავსო მალე პრინციპით — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სვობდეს მამასა“ — ანსამბლის წევრებმა სცენაზე საკუთარი შვილები გამოიყვანეს. ომგამოვლილ არეულ ქვეყანაში ამ ანსამბლის გამოჩენამ ახალგაზრდა თაობაში ქართული სიმღერის პიპულარობის ზრდა გამოიწვია.



უფროსი თაობის დამოუკიდებელი ნაბიჯები დიდ სცენაზე...

კახა ბრიგალაშვილი, ანსამბლის წევრი:

— 1996 წლის ნოემბერში, მამების თაობის წარმომადგენლებთან ერთად, პირველად წარვედქით მსმენელ-მავსურებლის წინაშე, ხოლო 1997 წლიდან, ინტენსიურად ვატარებთ კონცერტებს. იმ დროს, უნივერსიტეტის სტუდენტები ვიყავით და ამიტომ დავირქეთ „უნივერსიტეტი“. დიდხანს შეგვრჩა ეს სახელი. როდესაც ჩვენი ანსამბლი ჩამოყალიბდა, ძალზე ცოტა მსმენელი ჰყავდა ქართულ ხალხურ სიმღერას, განსაკუთრებით — ჩვენს თაობაში. სუფრაზე თუ სხვადასხვა ადგილას, სადაც ვმღეროდით, ნელ-ნელა გაგვიჩნდნენ მსმენელები, რომლებიც თანდათან, არა მარტო ჩვენი თაყვანისმცემლები, არამედ უკვე საზოგადოდ, ქართული სიმღერის მოყვარულებიც გახდნენ. ერთ დღეს, როდესაც რეპერტუარში სიმღერების გარკვეული რაოდენობა დაგვიგროვდა, უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივითა და დახმარებით, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში პირველი სოლო კონცერტის გამართვა გადაწყვიტეთ. ეს იყო 1997 წლის 14 აპრილს. საოცარი რამ მოხდა: ფილარმონიაში კონცერტის დაწყების წინ, მავსურებლის ტევა არ იყო. მათი დიდი ნაწილი კი ახალგაზრდები იყვნენ. უბედნიერესი ადამიანები ვიყავით იმ დროს, რადგან თითქოს გავიმარჯვეთ და ჩვენი პატარა წვლილი შევიტანეთ ქართული სიმღერისკენ მსმენელის შემობრუნებაში. იმ დროიდან მოყოლებული, დღემდე დიდი სიყვარულით ვმსახურობთ ამ საქმეს. „უნივერსიტეტთან“ არსებული კვარტეტიც გქონდა. ბიჭები ძალიან წარმატებულები და პიპულარულები იყვნენ.

დათო არჩაძე, ანსამბლის წევრი:
— ჩვენმა ანსამბლმა ჯერ კიდევ მაშინ

დაიშვიდა ქართულ სცენაზე საკუთარი ადგილი, როდესაც მას „უნივერსიტეტი“ ერქვა. იმ პერიოდიდან შეუწყვარდით ხალხს და ეს სიყვარული დღემდე გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე „ქართული ხმების“ სახელწოდებას ვატარებთ, ბევრი ისევ „უნივერსიტეტად“ მოგვიხსენიებს. სწორედ ტელე ან რადიონამყვანებსაც ემუდებთ ჩვენი სახელწოდება.

— **აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ თქვენ იმ ადამიანების „კალთის ქვეშ“ აღმოჩნდით, ვინც მსმენელს უკვე ძალიან უყვარდა. ამის გამო, ალბათ, ერთგვარ უხერხულობასაც გრძნობდით, არა? მსმენელები ხომ სწორად გადარებდნენ მათ?**

კახა:
— ძალიან რთული აღმოჩნდა „ქართული ხმების“ ჩრდილში ყოფნა და შემდეგ უკვე, ამ ჩრდილიდან გამოსვლა. გეთანხმებით — სულ მათ გვადარებდნენ. როგორც კარგი მამის შეილობაა რთული, ასევე რთული აღმოჩნდა მამების თაობის არსებობაც ჩვენთვის. დამოუკიდებლად ახპარეზზე გამოსვლა და საკუთარი, ინდივიდუალური ხელწერის ჩამოყალიბება მოგვეთხოვებოდა. ალბათ, გავამართლეთ იმედები: ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენს „ქართულსმობას“ არავინ გვაატიებდა, ამ სახელწოდების ტარების უფლებას არავინ მოგვცემდა.

— **მაშინ არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ანსამბლისთვის სხვა სახელი დაგერქმიათ?**

— ეს სახელწოდება ანუ ბრენდი „ქართული ხმები“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკარგოს. იგი ვინმემ აუცილებლად უნდა ატაროს. ძალიან კარგია, რომ ამ სახელწოდების ტარების უფლება ჩვენ მივიღეთ. არ არის აუცილებელი, რომ ეს „მეგვი-



ჩვენ გვაქვს რეპერტუარში ისეთი სიმღერები, რომლებიც თავდაპირველად, მსმენელმა ვერც კი გაიგო



დრეობით“ იყოს — ანუ ვერავის მივცემ პირობას, რომ შემდგომ მას ჩვენს შვილებს გადაუღოცავთ. მთავარია, რომ მას ყოველთვის ღირსეული ადამიანები უნდა ატარებდნენ, ისეთები, როგორებიც ჩვენი უფროსი თაობის „ქართული ხმები“ არიან. ესაფუტა თაობიდან თაობას გადაეცემა. ვისი შვილები იქნებიან, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

— თუმცა, თქვენ უკვე დიდი პასუხისმგებლობა დაგეკისრათ, როდესაც სტუდია „ქართული ხმები“ დააარსეთ...

— სტუდია ერთი წლის წინ ჩამოყალიბდა. ბავშვები ძალიან მონდომებული არიან, კარგად რომ იმღერონ. სტუდიაში ისინი მხოლოდ სიმღერას როდი სწავლობენ, დროის დიდ ნაწილს მათ ეთიკურ აღზრდას ვუთმობთ. მათ უნდა იცოდნენ, როგორ იმღერონ და როგორ მოეპყრონ ამ დიდ მონაპოვარს, რომელიც წინაპრმა გადმოგვცა. ბავშვები პირველად, ჩვენთან ერთად, მ და 9 ნოემბერს კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე გამოვიყვანეთ. თუმცა მათ ქართული მაყურებელი უკვე იცნობს: ყოველ კვირას საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადის გადაცემა სახელწოდებით „ქართული ხმები“, სადაც ჩვენი სტუდიის ბავშვებს ქართულ სიმღერებს ვასწავლით. ეს გადაცემა ადრეც არსებობდა და მას ჯერ მამია ხატყელიშვილი, შემდეგ კი — თემურ ქვეციშვილი უძღვებოდა. ის ჩვენი პედაგოგი გახლდათ. ეს გადაცემა ორი ნაწილისგან — სტუმრების ბლოკისა და სიმღერის გაკვეთილისგან შედგება. სტუმრების ბლოკს მე ვუძღვები, სიმღერებს კი — ზურაბ ბაკურაძე და დათო არჩვაძე ასწავლიან. ბავშვებმა უკვე ისწავლეს რამდენიმე სიმღერა. გვსურდა, მათი სასცენო ნათლობა ჩვენს კონცერტზე შემდგარიყო, ამიტომ ისინი ჩვენთან ერთად საიუბილეო კონცერტზე გამოვიყვანეთ. ბავშვები რამდენიმე სიმღერას უჩვენოდა, ცალკე შეასრულებდნენ.

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სტუდიის ბავშვები უკვე პოტენციური „ქართული ხმები“ არიან? დამით.

— ჩვენს სტუდიაში ასამდე მოზარდი დადის. მათგან ყველა — პოტენციური მომღერალია. არ ვიცით, მომავალში ვინ რა გზას აირჩევს. ისევე, როგორც ჩვენ გავიზარ-

დეთ სხვადასხვა საბავშვო ანსამბლში, ახლა ამ ბავშვებს მომავალ მომღერლებად ვზრდით და არა მომავალ „ქართულ ხმებად“. არჩევულებრივად კარგი თაობა მოდის, ასე რომ, მომავალში კიდევ უფრო კარგი ანსამბლები ჩამოყალიბდება.

ერთხელ „ქართული ხმების“ უფროსი თაობის წარმომადგენელმა, ბატონმა თემურ ქვეციშვილმა მითხრა: „კუნძულ კორსიკაზე, სადაც ჩვენი ანსამბლი ხშირად დადიოდა, ერთი ადგილი გვქონდა შერჩეული, სადაც მუდმივად ვვახშობდით. იქ ერთი ლეღვის ხე იყო და მის ძირში მოვიკალათებდით ხოლმე. ვისურვეთ, ნეტავ, იმ დღეს მოვხსნოთ, როცა აქ ჩვენს შვილებთან ერთად მოვხვდებით და ჩვენს დაწყებულ ტრადიციას ისინი გააგრძელებენო. სურვილი მალე ამიხდა. მათთან ერთად, მართლაც, აღმოვჩნდი იმ ადგილას. ის ლეღვის ხე კი მოჭრილი დაგვგვდა, მაგრამ ჩვენმა შვილებმა ეს ტრადიცია გააგრძელეს. ყველაზე ამაღლებელი კი ის იყო, თუ როგორი დიდი სიყვარულით შეხვდა მათ იქაური მსმენელი. კათოლიკურ დარბაზებში ჰქონდათ კონცერტები. მაყურებელი სუნიტყაშკურული უსმენდა მათ სიმღერებს. მე დარბაზში ვიჯექი და თითოეული მათგანის განცდას ვგრძნობდი. ამაზე დიდი ბედნიერება არაფერი ყოფილა“. აქვე კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: რამდენიმე წლის წინ ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ამერიკაში, ნიუპორტის კლასიკური მუსიკის ფესტივალზე მიიწვიეს, რომელიც უკვე მან წელია, არსებობს, მაგრამ მასში საქართველოს არასოდეს მიუღია მონაწილეობა. სამწუხაროდ, ანსამბლს გასამგზავრებლად საკმარისი თანხები არ აღმოაჩნდა, რის გამოც მიწვევაზე უარი უნდა ეთქვა. ფესტივალის მესვეურთ ამ ფესტივალზე ჩვენებურთა ხილვის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ სამგზავრო ხარჯების ნაწილი თავად გაიღეს; ანსამბლს მხოლოდ თანხის ნაწილი უნდა მოეპოვებინა. ამ პრობლემის მოგვარებაში კი, მომღერლებს ქართული მსმენელი დაეხმარა: ანსამბლმა სოლო კონცერტი გამართა, რომელმაც ანსამბლით ჩაიარა. ტურნემ „ქართული ხმებისთვის“ დიდი წარმატებით ჩაიარა. უცნობი მელოდიები ამერიკელმა მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო...

პასუხ:

— სიმღერას ძალით ვერავის მოასმენინებ. ვინც ქართული სიმღერის ფასი და მაღლი

იცის, ის გისმენს. ახალს ვერაფერს მოიგონებ, რადგან ფოლკლორთან გაქვს საქმე, მაგრამ ისე უნდა შეასრულო, რომ მსმენელმა მასში შესრულების შენეული მანერა იგრძნოს. მსმენელის გემოვნების დახვეწაზე ყველა ანსამბლმა უნდა იზრუნოს. არ შეიძლება, მარტო იმას მიღროდე, რასაც პუბლიკა გთხოვს. არსებობს ძალიან რთული სიმღერები, რომლებიც ასევე ძალიან რთულია მოსასმენად, მაგრამ უნდა ეცადო, ის ისე შეასრულო, რომ მსმენელისთვის მისაღები იყოს და მომავალში საყვარელიც კი გახდეს. ჩვენ გვაქვს რეპერტუარში ისეთი სიმღერები, რომლებიც თავდაპირველად, მსმენელმა ვერც კი გაიგო, კონცერტზე ასეთი სიმღერების შესრულებისას სიგარეტის მოსაწვევად გადიოდნენ, მაგრამ შემდეგ ისე მიეჩვივნენ, რომ ტამით ეგებებოდნენ.

— „ქართული ხმების“ ორივე თაობის რეპერტუარში საესტრადო სიმღერებიც არის, მათ შორის, ძველი თაობის კომპოზიტორების დაწერილი. თანამედროვე კომპოზიტორებზე რას იტყვი — რამდენად ახერხებენ ისინი თქვენი ხელწერისთვის დამახასიათებელი სიმღერების შექმნას?

— ჩვენთან ერთად „გამონათა“ ლილიკო ნემსაძემ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ და ლილიკომ ერთად დავიკვივდრეთ ადგილი ქართულ ესტრადაზე. ძალიან კარგი ახალგაზრდა კომპოზიტორები გყავს. ჩვენს რეპერტუარში არის ქეთი გაბისიანის, ეკა თევზაძის შესანიშნავი სიმღერები. რაც შეეხება ქართველ ბუმბერაზ კომპოზიტორებს, — მათ სიმღერებს მუდამ შევასრულებთ. მალე „ქართული ხმების“ ოქროს დისკს გამოვუშვებთ, სადაც ორივე თაობის მიერ შესრულებული ის სიმღერები შევა, რომლებიც განსაკუთრებით შეიყვარა ქართველმა მსმენელმა.

ცოტა ხნის წინ ანსამბლმა სამაჩაბლოში და ზემო აფხაზეთში სოლო კონცერტები გამართა. მალე ისინი იმავე პროგრამით, საინგილოს ესტუმრებიან. მანამდე კი, მ და 9 ნოემბერს, „ქართული ხმების“ უმცროსი თაობა კონსერვატორიის დიდ დარბაზში ათი წლის საესტრადო მოღვაწეობის აღსანიშნავ საიუბილეო სოლო კონცერტს გამართავს, სადაც 16 წარმოდგენილი სიმღერებიდან 7 ახალი იქნება. წარმატებას ვუსურვებთ მათ!

„ცხოვრების ურთულეს გზას, გაგიიოლებთ „გზა“!



„ზღვისოდეანად“ და „ცისოდეანად“ გთხოვთ, ამისრულეთ ეს ოცნება

პროზა, მინი:

„მე სიყვარულში წავაგე/ არ დავიტოვე სხვა გზა/ მიჩინეს და ამაგდეს/ შეჭამეს ტვინი თანაც/ მეგონა, აზრი დაკარგა/ ჩემი ცხოვრების გზამ/ მაგრამ ვერ თურმე, სადა ხარ/ თუ წაიკითხავ „გზას“/ ძალიან კარგი რამეა/ სხვებზეც გაფიქრებს თან/ მინდა დაგ-ჭირდეთ რამეში/ რომ თქვენთან ვიყო მეც/ თქვენი კითხვი საჭმისთვის/ მე მუდამ ვილოცებ/ ძალიან მინდა თქვენთან/ ოდესმე შევ-ძლებ, ნეტავ?/ ერთ რამეს გეტყვით კვლავ და დაიხსომეთ, რაა/ ცხოვრების ურთულეს გზას/ გაგიიოლებთ „გზა“!.. მიყვარხართ“.

მინი გორდაძე:

„მოგესალმებით. მე ხაშურის რაიონის, სოფელ ბროლოსანიდან განუხებთ. ჩემი ოჯახი მრავალშვილიანია და არა გვაქვს საცხოვრებელი ფართი. დახმარებისთვის რამდენჯერმე მივმართეთ ხაშურის გამგეობას, მაგრამ რეაგირება არავის მოუხდენია. იქნებ, იმაში მაინც დაგვეხმაროთ, რომ ჩვენი ამავე „იმედის“ ტელევიზიამდე მივიდეს. მინდა, მათ გადაიღონ სიუჟეტი და საზოგადოებამ ნახოს ის სახლი (თუ შეიძლება მას ასე ეწოდოს), სადაც ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ... თქვენი იმედი მაქვს. პასუხს როდის გამაგებინებთ?“

— თუ დაგვიკავშირდებით, შევცდებით, რაიმეით მაინც დაგვეხმაროთ. აქვე მივართავთ ხაშურის გამგეობას: მაინც იმედი ყურადღება მრავალშვილიან ოჯახს, გორდაძეები ხომ სამშობლოს უზრდიან შვილებს!

რუსო:

„პრივტ“. ჟურნალი „გზა“ ძალიან მიყვარს. საინტერესო რუბრიკები გაქვთ. მინდა გთხოვოთ, რომ ახლო მომავალში ლაშა ბუღაძის ინტერვიუ დაბეჭდოთ. გემუდარებით, მოიწვიეთ, რა. ის ძალიან საინტერესო, კარგი და სუფთა ადამიანია... რაღაცებს მეც ვწერ, მაგრამ ჩემი ნაწერები ვერ არსად გამოიქვეყნებია. ლაშას აზრი საინტერესოებს დღევანდელ მწერლობასა და პოეზიას... გმადლობთ“.

— რუსო, სამწუხაროდ, ლაშა ინტერვიუს თავს არიდებს როგორც ჩანს, ტელევიზიით გამოსვლა უფრო ხელახლა იმედი, თქვენ სახით, საამყო შემოქმედი გვეყოლება წარმატებებს გისურვებთ!

„უკეთესი იქნებოდა, რომ ჟურნალის რამდენიმე ან სულაც, ერთი გვერდი მაინც დაგეთმოს მოდისთვის. მაგრამ არ ვგულისხმობ ქართულ დიზაინერებსა და მოდელს, რადგანაც ხალხს მათი ყურება მოუბეზრდა. და კიდევ, კარგი იქნებოდა, ხელოვნებაზე, კერძოდ კი მხატვრობაზე უფრო მეტი მასალა დაგებეჭდათ, თორემ ხალხს გადააინყდა ეს სფერო“.

„გამარჯობა. მე „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. სულ ერთსა და იმავე პიროვნებებთან გაქვთ ინტერვიუ, რაც ჟურნალის გარეგნისავე ეტყობა. საინტერესოებს, სოფიასა და ნინაზე უფრო მისაბაძი და საინტერესო ქალი არ გვყავს ქართველებს?“

მინი, ბათუმი:

„უფაღმა გაგაძლიეროთ! თუ შეგიძლიათ, ნოველების ან საინტერესო თავგადასავლების გამოქვეყნება?“

— როგორ არ შეგიძლია? გამოგვიგზავნეთ თქვენი ნამუშევრები და რედაქცია გადაწყვეტს, ჯდება თუ არა ისინი ჩვენს ფორმატში. წარმატებებს გისურვებთ!

„ძალიან მაგარი იდეა მინდა მოგანდოთ — ჟურნალში ჩააკარით თითო პლაკატი. მაგალითად, რონალდინოსი ან „ბარსელონის“ ყველა ფეხბურთელის. დამიჯერეთ, არ ნააგებთ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

„გამარჯობათ, მე თქვენი ჟურნალის თავისმეტყველი ვარ. გთხოვთ, რუბრიკა „ავტოს“ მეტი გვერდი დაუთმოთ, ძალიან ცოტა“.

გიგრილი კანიალაკა:

„როგორც თქვენი ჟურნალის უერთგულესი მკითხველი, თავს უფლებას ვაძლევ გთხოვოთ, რომ ჟურნალში ისეთი ლიტერატურული რუბრიკა შემოიღოთ, სადაც ახალგაზრდა შემოქმედთა (კონკურსის წესით შერჩეული) ნამუშევრები გამოქვეყნდება... „ზღვისოდეანად“ და „ცისოდეანად“ გთხოვთ, ამისრულეთ ეს ოცნება. ძალიან მინდა, ჩემი ძაღვებიც მოვინჯო ლიტერატურულ ასპარეზზე. გთხოვთ, ეს მესიჯი უპასუხოდ არ გამომიქვეყნოთ“.

— კანიალაკა, სამწუხაროდ, ლექსების დაბეჭდვა ჩვენს ფორმატში არ ჯდება. გირჩევთ, „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციას დაუკავშიროდ-

ეთ. წარმატებებს გისურვებთ!

„გამარჯობათ. მე ჟურნალ „გზის“ ერთგული მკითხველი გახლავართ. ძალიან მანუხებს ერთი პრობლემა, რომელზეც საჭირო ინფორმაციას ვერ ვიგებ (ალბათ, ჩემნაირი ადამიანი ბევრია). გთხოვთ, გამოაქვეყნეთ სტატია ქალის ფრიგიდულობის შესახებ. მინტერესებს, თუ ხდება ამ სენისგან განკურნება და ამ დროს ვის უნდა მიმართოს ქალმა? წინასწარ გიხდით მადლობას“.

„გამარჯობათ. როდესაც ვნახე თქვენი განცხადება, გადავწყვიტე, მომენერა. შემოიძლია, შემოგთავაზოთ უამრავი ლამაზი და საინტერესო სტატია (თუკი შესაძლებელი იქნება თქვენთან თანამშრომლობა). შემოიძლია, იტალიური საიტებიდან მოგანოდოთ უახლესი და ამავედროულად, აქტუალური ინფორმაცია. თუკი ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლია, ინტერნეტის საშუალებით ვიკონტაქტოთ. გადმოგზავნი ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. წინასწარ გიხდით მადლობას“.

— მოგვანოდეთ რაიმე საინჯო მასალა და მისი გაცნობის შემდეგ, რედაქცია პასუხს აუცილებლად შეგატყობინებთ.

პსპ:

„ამის შესახებ ალბათ, ბევრი გწერთ, მაგრამ მეც მინდა გითხრათ, რომ კარგი იქნებოდა, თუ თქვენს ჟურნალში მუსიკას ცალკე რუბრიკა დაეთმობოდა, სადაც წვეიკითხავდით ამბებს ამა თუ იმ მუსიკალური მიმდინარეობის, მისი ძველი და ახლანდელი, ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის შესახებ. და კიდევ, ჩემი და ჩემი მეგობრების დიდი სურვილია, წავიკითხოთ პროფესიონალი მუსიკანტ-მწოდებლის სტატიები, სადაც განმარტებული იქნება, თუ როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ესა თუ ის მიმდინარეობა. ამ თემაზე ხშირად ვკამათობთ და კარგი იქნება, თუ დაგვეხმარებით. გმადლობთ“.

— შევცდებით, თქვენი თხოვნა უახლოეს მომავალში გავითვალისწინოთ.

„დღესაც „ერუდიტის“ გარეშე გამოვიცა „გზა“. არ შეიძლება, რომ ეს რუბრიკა ყოველკვირეული გახდეს? ამ შემთხვევაში, ჟურნალი უფრო მაგარი იქნება“.

— ეტყობა, თქვენ ძველი „გზა“ ჩაგივარდათ ხელში. ჩვენ უკვე გავითვალისწინეთ მკითხველების თხოვნა და რუბრიკა — „ერუდიტი“ ყოველკვირეული გახდა.

„ძალიან გთხოვთ, ჟურნალში მეტი ადგილი დაუთმოთ დიდი ადამიანების (ხმატვრების, მუსიკოსების და ა.შ.) ცხოვრებას და სხვა ინტელექტუალურ-შემეცნებით სტატიებს“.


„მინდა, ნახევრად ინტიმური და ნახევრად შოკის მომგვრელი ამავე გიაზოთ და იქნებ, ცოტათი მაინც მომეშვას გულზე. ვისრჩობი, აღარ შემიძლია“.

— ჩვენ, საკუთარი გულისნადების გამჟღავნების საშუალებას თითქმის ყველა ადამიანს ვაძლევთ. ასე რომ, შეგიძლიათ, თქვენც დაგვიკავშირდეთ.

ინფორმაციულ-სეპეციალიზირებული
კოლაჟი

ეონა დვალის
უბის ნიგნაკიან:

1. მარწყვი საქმელად ვარგისი სოკოა.
2. ფუტკრები წითელ ფერს ვერ არჩევენ.
3. ცეხინი ძველებური ვენეციური ფულია.
4. იარაღის მჭიდს სხვანაირად, ხაზინასაც ეძახიან.
5. თამაზ კვაჭანტირაძის გამზრდელ ბებიას ბაბილინა ერქვა.
6. შუმერები და ეგვიპტელები წვერს კაჟის დანებით იპარსავდნენ.
7. „ჯაზის მომღერალი“ პირველი ხმოვანი ფილმი იყო მსოფლიოში.
8. პოლიტიკურ პოლიციას მონარქიულ რუმინეთში სიგურანცა ერქვა.
9. მერილინ მონროს უკანასკნელი ქმარი, ჯო დიმაჯიო ბეისბოლისტი გახლდათ.
10. არჩევნებში მონაწილეობისგან მასობრივ თავის არიდებას აბსენტიზმი ჰქვია.
11. ძველად ციმბირში ყოველი ფუთი ოქროს მოპოვებას ზარბაზნის ზალპით აღნიშნავდნენ.
12. „კარგ ხუმრობაში ყველაზე მთავარი, დროულად შერჩეული მომენტია“, — ამბობდა ბერნარდ შოუ.
13. ნერონის საჯინიბოში ხუთასამდე დედალ ვირს ინახავდნენ. იმპერატორის მეუღლე დროდადრო მათ რძეში ბანაობდა.
14. ახლო მონათესავე მცენარეთა შეჯვარებას ინცუხტი ჰქვია, ახლო მონათესავე ცხოველების შეჯვარებას — ინბრიდინგი.
15. რეინგრაფები — ასე იწოდებოდნენ შუა საუკუნეებში გრაფები, რომელთა მამულიც მდინარე რაინის სანაპიროებთან მდებარეობდა.
16. „ლიუდი ნე ცენიატ დრუგ-დრუგა, ნო ჩასტო ეტო ობნარუჟივიაიუტ ლიმ პოდ აკომპანიმენტ რეკვიემა“, — ამბობს ევგენი პეტროსიანი.
17. იაპონელმა ფსიქოლოგებმა მაიმუნების გამჭრიახობის შეფასების მიზნით, ღია ვოლიერში დაყრილ ქვიშაში ხორბლის მარცვლები აურიეს. მაიმუნებს მალე მოჰბებრდათ მარცვლების სათითაოდ ამოკრება და საქმე გაიადვილეს — ქვიშას პეშვით იღებდნენ და წყალში ასველებდნენ. ქვიშა იძირებოდა, მარცვლებს კი მიირთმევდნენ.
18. მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, გამოჩენილ ადამიანთა შორის ყველაზე დიდი ტვინი, 2 კილოგრამი და 200 გრამი, ტურგენევს ჰქონდა.
19. ინგების დაკიდებულ ხიდები ლა-



ქართული ტრადიციებით აღზრდილი
ბოშა გოგონას სისხლის უივილი



„არა არს რა დაფარული...“ — ამ სიტყვების ჭეშმარიტება კიდევ უფრო ვინამე, როდესაც ერთი ახალგაზრდა გოგონასგან საკმაოდ საინტერესო და ამავე დროს, სევდიანი ამბავი მოვისმინე. გასაგები მიზეზების გამო, რესპონდენტმა ვინაობის გამხელა არ მოისურვა, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ „გზის“ დახმარებით იპოვის მისთვის ძალიან ახლობელ და ამავე დროს, სრულიად უცნობ ადამიანებს. გოგონამ გვთხოვა, რომ მისთვის, პირობითად, ბოშური სახელი — ზარა გვეწოდებინა, ხოლო რატომ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

„ესი არასდროს გეგარკია, რომ გესაქლო, ნაჰვილაჰი ჰყოფილიყავი...“

ევა გუბიაშვილი

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გამოგონილ და სიყალბით სავესამყაროში, სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობ. სკოლა წელს დაემთავრე და როცა ბანკეტზე წასვლას ვაპირებდი, მაშინ გავიგე, რომ ჩემი მშობლები თურმე, ჩემი ნამდვილი მშობლები არ არიან. მარტივად რომ ვთქვა, ნაშვილები ვარ. ერთი შეხედვით ბანალური სიტუაციაა, რადგან ჩვენს დროში, ყოველი მეათე ბავშვი (თუ მეტი არა), ნაშვილებია. ჩემს მეგობრებს შორისაც არიან ისეთი გრგო-ბიჭები, რომლებსაც თვალთაც არ უნახავთ თავიანთი ბიოლოგიური მშობლები, მაგრამ ეს სულაც არ უშლით ხელს, რომ შექნილი ოჯახთან ბედნიერად იცხოვრონ. მე კი მოსვენებას არ მაძლევს ჩემი წარმომავლობა და ჩემი შვილად აყვანის ამბავი, რომელმაც ფაქტობრივად, შოკში ჩამაგდო.

იქნებ, უფრო დაწვრილებით გვიამბო ამის შესახებ.

— ჩემი ნამდვილი დედა, ბოშა... არადა, მთელი ჩვიდმეტი წელი ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვიზრდებოდი. დედა პედაგოგია, მამას კი პატარა ბიზნესი აქვს, რომლის წყალობითაც უზრუნველად ვცხოვრობთ. როგორც ყველა დედისერთას, მშობლები მეც მანებვირებდნენ. ისინი „სიბერის“ შეილს მეძახდნენ, ორივე ორმოცს იყო გადაცილებული, როდესაც მათ ცხოვრებაში გამოჩნდი. ყოველივე ამის მიუხედავად, ეჭვი არასდროს შემპარკია და არასდროს დამიშვია იმის ალბათობა, რომ შესაძლოა, ნაშვილები ვყოფილიყავი... შესაძლოა, ვიღაცამ გამკიცხოს, ასეთი პირადული რამ სააშკარაოზე რომ გამომაქვს, მაგრამ ჩემთვის ეს ერთადერთი შანსია, როგორმე ხმა მიგანვიდინო ადამიანს, ვინც თავიდან მომიშორა. მხოლოდ ჩემს ბოშად დედას შეუძლია გამცეს პასუხი ყველა დაგროვილ კითხვაზე, რათა შემდეგ, კვლავ

მოვიპოვო სიმშვიდე და ბედნიერება ჩემს მზრუნველ და მოსიყვარულე მშობლებთან ერთად.

გარეგნულად, ბოშას მართლა ძალიან ჰგავხარ.

— მხოლოდ იერი და გარეგნობა კი არა, ხასიათიც ბოშური მაქვს. ბავშვობიდან მიყვარდა ცხენები და მშობლებს ხშირად მიყვავდი იპოდრომზე, საჯირითოდ. მიყვარს ბანქო და ჩემს მეგობრებს ხშირად ვუშლი კარტს. ეს რომ დედაჩემმა გაიგოს, გადაირევა, რადგან მშობლები ეკლესიურად ცხოვრობენ. აღარაფერს ვამბობ სიმღერისა და ცეკვის, მოლხენის სიყვარულზე, ამის დიდოსტატი ვარ. ყველა ნაცნობი მიჩვენებდა, თეატრალურ ინსტიტუტში მეცადა ბედი, მაგრამ მეცადინეობისთვის ნებისყოფა არ მყოფნის. სულ მიკვირს ჩემი თანატოლების, როგორ შეუძლიათ, საათობით წიგნებთან თავჩარგული ჯდომა. შინ დიდხანს ვერ ვჩერდები, ოთხ კედელში გამომწყვდეულს შესაძლოა, სული შემეხუთოს და ამიტომაც, გარეთ გასასვლელად ნებისმიერ საბაბს ვეძებ ხოლმე. ჩემს ხასიათსა და ბოშების ზნე-ჩვეულებებს შორის მსგავსებას მხოლოდ ახლა ვამჩნევ, უნინ კი ამაზე ფიქრს როგორ გავივლებდი გულში?! ყოველთვის ვამაყობდი ჩემი გვარიშვილობით, ჩემი წინაპრების წარსულით და მათი თავადური წინამომავლობით. ერთ მშვენიერ დღეს კი გაირკვა, რომ არც ჩემს გვართან და არც ჩემთვის საამაყო ადამიანებთან არაფერი მაქვს საერთო. მეტიც, არც ჩემი ნამდვილი გვარ-სახელი ვიცი. ერთი მანანწალა ბოშას შვილი ვარ, რომელმაც ჩემი თავი უცხო ადამიანს აჩუქა.

ვინ გვიამბო ამის შესახებ?

— მართალია, მთელი ამ წლების განმავლობაში ვერ ვამჩნევდი, რომ ბოშას ვგავდი, მაგრამ ეს ჩემს მშობლებს არ გამოჩენიათ. რაც დრო გადიოდა, მსგავსება მით უფრო თვალში საცემი ხდებოდა. როგორც ჩანს, ყოველივე ეს დიდი ნერვების ფასად

უფლებოდა დედაჩემს და ერთ დღესაც, მისმა გულმა ამდენი საიდუმლო ვეღარ დაიტია... ჩვენი კლასი სკოლის ბანკეტისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. გადაწყვიტეთ, ყველასგან გამორჩეული ზემი მოგვეწყო და ჩვეულებრივი ბანკეტის ნაცვლად, კოსტიუმირებული მასკარადი გაგვემართა. მეტობრების რჩევით, მე ბოშა ესმერალდას როლი მერგო (შემთხვევით არაფერი ხდებდა) „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან“. როცა ეს ამბავი დედამ გაიგო, რატომღაც, არ ესაიშოვნა და სცადა, გადავერწმუნებინე, რომ სხვა ლიტერატურული გმირის კოსტიუმი შემეჩნია. მაგრამ ისეთი ჯიუტი და თავნება ვარ, რომ ვერაფერს გახდა. დაძაბ-

ჩებში უზაროდ დაბორიანობდა. როგორც დედა იხსენებს, ვაკეში, მრგვალ ბალთან, მინაზე მუხლმორთხმული ახალგაზრდა ბოშა ქალი დაუნახავს, რომელსაც კალთაში, ჭუჭყიან ზენარში გახვეული ჩვილი ეწვინა. დედა ბოშა ქალთან შეჩერებული და ჩვილს მიჰფერებია. დაკვირვებულ ბოშას, მისი სენტიმენტალური განწყობილება შეუმჩნეველი არ დარჩენია და დამტვრეული ქართულით უკითხავს: შენ შვილი არ გაქვსო? დედას თურმე, ცრემლი ახრჩობდა. ამიტომაც, თანხმობის ნიშნად, მისთვის თავი დაუქნევია. ბოშას დედაჩემის ათროლოებული ხელი თავის შავ ხელებში მოუქცევია და მისთვის მისნობით თავბრუ დაუხვევია.

არ მინდა, ერთ დღეს მათაც ისევე გამიმეტონ, როგორც ოდესღაც, ნამდვილმა დედამ გამიმეტა...

ულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც ესმერალდას კოსტიუმში გამოვეწყვე, გქელ თმაში დიდი, ნითელი ვარდი ჩაივინე და სარკეში ჩახედვისთანავე გაცეცხულმა წარმოვთქვი: ღმერთო, როგორ ვგავარ ბოშას-მეთქი. სწორედ ამ დროს, დედას ნერვებმა უმტყუნა, ჯერ ისტერიკა დაემართა და საბანკეტო სამოსი ზედ შემომახია, შემდეგ კი მოცელილივით დაეცა იატაკზე და ტირილი დაიწყო. აშკარა იყო, რომ ბუნებით მშვიდი და განონასწორებული ქალის ამგვარი საქციელის

დედა ამბობს, რომ არ, ახსოვს, რა უნინასწარმეტყველა ბოშა ქალმა (შესაძლოა, ის რალაცას მალავს ან ბოშას მისნობის ასრულების უნინა). ამბობს, რომ მხოლოდ მის მიერ ნათქვამი უკანასკნელი სიტყვები ახსოვს: ჩემი ბაშვი ცაილეო. იმედდაკარგულ ქალს შედეგებზე არც უფიქრია, ხელი დამავლო და შინ წამომიყვანა. მანამ, სანამ დედამ ჭუჭყიანი სახვევებისგან არ გამათავისუფლა, არც კი იცოდა, რომ ბოშა ქალისგან გოგონა წამოიყვანა. მამას მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. როგორც გითხარით, ჩემი მშობლები ღვთისმოსავი აღაზიანები არიან და ჩემი გამოჩენა უფლის ნებად და საჩუქრად მიიჩნიეს. პო, კიდევ, დედამ მხოლოდ შინ დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა, რომ აღარც საქორწინო ბეჭედი ეკეთა, აღარც — ოქროს საყურე და სამაჯური.

ყოველივე ამის შემდეგ, შენ და შენი მშობლების ურთიერთობა შეიცვალა?

— რა თქმა უნდა. ამ ამბის შემდეგ, ჩვენ შორის დიდი, უხილავი კედელი აღიმართა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, მათ ჩემი ბოშური წარმომავლობის უნინათ. ხომ იცით, ჩვენს დროში როგორი რეპუტაციით სარგებლობენ ბოშა ქალები. ამგვარი დამოკიდებულება კი მაფრთხობს და მგონია, რომ მშობლებს ისე აღარ უყუყუარვარ, როგორც აღრე უყუყუარდი. არ მინდა, ერთ დღეს მათაც ისევე გამიმეტონ, როგორც ოდესღაც, ნამდვილმა დედამ გამიმეტა... არადა, ჩემი ბოშური სისხლის ყივილს ვერ ვერევი და ბევრ ისეთ ჩვევას ვავლენ, რაც მშობლებს არ მოსწონთ. მოკლედ, ძალიან დაიბენი, სარკეში ჩახედვისაც მეშინია, რადგან იქიდან ბოშა ქალი მიმზერს... სიმართლის გაგების შემდეგ, უამრავი კითხვა დამიგროვდა. ხალხნო, უმორჩილესად გთხოვთ, თუ ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა შეგიძლიათ, „გზის“ მეშვეობით გამომეხმარეთ.



ჩვიდმეტი წელი ქართულ გრადიუსულ ოჯახში ვიზრდებოდი

მელმა რალაც მნიშვნელოვანი იმალებოდა. — **მინც, რა გაიმბო დედამ?** — თხუთმეტი წლის განმავლობაში, ჩემი მშობლები უშედეგოდ ცდილობდნენ შეილის ყოლას. ხანგრძლივი სამკურნალო პროცედურების შემდეგ, ჟორდანას სახელობის ინსტიტუტში დედას საბედისწერო დიაგნოზი დაუსვეს — ის შვილს ვერასდროს იყოლებდა. ამ ამბავს დედა სასონარკვეთილებამდე მიუყვანია, სახლში მისვლაც არ უნდოდა და თბილისის ქუ-

ინფორმაციულ-პეპსენაკითი კოლაჟი

ეონა ღვალის უბის წიგნაკიდან:

მის კოშმარად ექცათ ესპანელ დამპყრობლებს. ასეთ ხიდებზე კონკისტადორებს თავიანთი ცხენების გადაყვანა უჭირდათ.

20. ციხეში გამოკეტილ დ'არტანიანს მისივე თანამოსაკვე პორტოსი ეჩხუბებოდა, — დღისით რატომ გძინავთო? „იმიტომ, რომ ღამით თქვენ გძინავთ და ისე ხვრიწავთ, დაძინება შეუძლებელია“, — აყვირდა პასუხად დ'არტანიანი.

21. 1493 წელს ივანე III-ემ გამოსცა ბრძანება, დაენგრიათ ყველა ნაგებობა, რომელიც 110 საუენზე ახლოს მდებარეობდა კრემლის კედელთან. ეს გახლდათ პირველი ხანძარსანინააღმდეგო ზომა, რომელიც რუსეთში მეფის მიერ იქნა მიღებული.

22. ევრინომოსი ხრწნისა და ლპობის დემონი იყო ძველბერძნულ მითოლოგიაში. იგი მიცვალებულთა გვამებით იკვებებოდა. ხორცს ჭამდა, ძვლებს კი ყრიდა. ძველი ბერძნები მას ბუზის სახიერებით ხატავდნენ.

23. მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ინგლისისა და საფრანგეთისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას ავიამზიდები არ ჰყოლიათ.

24. შვეიცარიაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: მსუბუქი ყოფაცქევის ქალმა დახმარებისათვის ადვოკატს მიმართა, — კლიენტის საძიებლად, ღამით გარეთ ვერ გამოვდივარ, პოლიცია მუშაობის საშუალებას არ მაძლევსო. ადვოკატმა ძალზე მარტივი გამოსავალი შესთავაზა — ძალღის შექმნა ურჩია. შვეიცარიის კანონების მიხედვით, ძალღის პატრონს უფლება აქვს, ღამის განმავლობაში ორჯერ გაასეირნოს ოთხფეხა მეგობარი.

25. ეს ამბავი სავარაუდოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში მოხდა. ბაბილონის ქალაქ ნინევიას გარეუბანში მდებარე ერთ-ერთ სახლს ცეცხლი გაუჩნდა. როცა გულგახეთილი პატრონი მივარდა სახლს, კედლებიცა და სახურავიც მთლიანად აღში იყო გახვეული. მეზობლები თავგამოდებით ეზიდებოდნენ წყალს, რათა ცეცხლი ჩაექროთ, მაგრამ სახლის პატრონმა არავის მისცა ამის უფლება. იგი მეზობლებს ეხვეწებოდა, — ჩემს უმთავრეს სიმდიდრეს ნუ გამინადგურებთო. ეს სიმდიდრე კი, მისი წიგნები გახლდათ — თიხის ფირფიტებზე გაკეთებული მანუსკრიპტები, რომლებიც, ბუნებრივია, ხანძრისგან იყო გახურებული და წყლის დასხმისას უეჭველად დასკდებოდა.





ვარძიის მონასტერი, ღვთისმშობლის ხატის ძალით აღსრულებული სასწაულები და „თამარის ცრემლებისგან“ მინიჭებული კურნებისა და შეილიერების მადლი

ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში ასპინძის რაიონში მდებარეობს. იგი მდინარე მტკვრის ხეობის ზემო წელზე, ერუშეთის მთის ფრიალო კლდეშია გამოკვეთილი. ისტორიკოსთა განმარტებით, ვარძია სამ მონაკვეთად იყოფა. პირველი ნაწილი მოიცავს მთავარ, ღვთისმშობლის მიძინების სახელზე აგებულ ტაძარს, სამრეკლოს, გამოქვაბულებს, სატრაპეზოს. მეორე ნაწილში გვხვდება XVI საუკუნის მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია, სარწყავი არხის დიდი გვირაბი და სათავსები. დასავლეთით შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი ორსართულიანი სახლი, საბაღე და სავენახე ტერასები, რომელიც X საუკუნის ე.წ. კლდის სოფელ ანანურს ეკუთვნის. მესამე ნაწილში შედის გამოქვაბულები, „თამარის ოთახი“, „სადარბაზო“, „ნაშლის სასახლე“, „სალხინო“, მარნები და რამდენიმე საცხოვრებელი გამოქვაბული.

შორენა მერკვილაძე

ისტორიული წყაროების თანახმად, ვარძიის მშენებლობა XII საუკუნეში გიორგი III-მ (1156-1184) წამოიწყო, მაგრამ დასრულება ვერ მოასწრო. მამის წამოწყებული საქმე თამარმა დაასრულა. მშენებლობაზე თორმეტი ათასი ადამიანი მუშაობდა. ზურგზე პატარა ჩანთები ჰქონიათ მოკიდებული, სადაც კლდის ნანგრევებს ყრიდნენ და ქვემოთ ჩამოჰქონდათ.

ვარძია თავიდანვე სამეფო მონასტერი გახლდათ. იგი 1185 წელს აკურთხეს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ამავე სახელობისაა მთავარი ტაძარიც, რომელიც ვარძიის ანსამბლის ცენტრშია გამოკვეთილი. იგი დარბაზული ტიპისაა. გარდა ბიბლიური სცენებისა, ეკლესიის მოხატულობაში მეფე გიორგი III-ის, თამარ მეფის და რატი სურამელის ფრესკებიც გვხვდება (კომპლექსში სულ 15 ეკლესიაა).

ვარძიის მონასტერში დაბრძანებული იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. სწორედ მას ავედრებდა თამარ მეფე ქართულთა გამარჯვებას. ბასიანის ბრძოლის წინაც ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა ქართველთა ლაშქარი და დროშა ცრემლთა ღვრით. მართლაც სასწაულებრივად დაუმარცხებიათ მტრის ურიცხვი ჯარი — დედა ღვთისამ უვნებლად დაიცვა მისდამი შევედრებული ერი, „არც ერთი კარგი, მეფისგან შესწავლილი“ მეომარი არ დაღუპულა. ამ სასწაულის გამო დაწერა იოანე შავთელმა იამბიკო — „ვარძიის ღვთისმშობლისანი“. მემპტიანი კი ხატს „გამარჯვებულს“ უწოდებს.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ვარძიის ღვთისმშობლის ხატის მიერ აღსრულებულ კიდევ ერთ სასწაულს: ნავროზ ნაინს ეკლესია-მონასტრების მოსაოხრებლად საქართველოში ჯარი გამოუგზავნია. პირველად ვარძიის მონასტერი უნდა გაეძარცვათ, მაგრამ გზად ყოვლადწმინდა ქალწულის რისხვა მოენიათ: მტრის ჯარის სარდალს მები დაეცა და ფერფლად აქცია.

სასწაულმოქმედ ხატთან ასეთი ამბავიცაა დაკავშირებული: თმოგვის ციხის ალების შემდეგ შაჰ-აბასმა სპარსეთში მრავალი ქართველი წაიყვანა ტყვედ. ყანეს ერთ-ერთი ვაჟი განსაკუთრებით მოსწონებია და პირისფარეშად დაუყენებია.

რამდენიმე წლის შემდეგ ჯავახეთს ოსმალთა ხონთქარი დაესხა თავს. მასაც უამრავი ქართველი წაუყვანია ტყვედ, რომელთა შორისაც, ერთი უღამაზესი ქალი ყოფილა. ხონთქარს ქალი ძალზე მოსწონებია, თან წაუყვანია და თანამეცხედრისთვის მიურთმევია საჩუქრად.

ერთხელ ხონთქარს სტუმრად შაჰი ეწვია. ოსმალთა მბრძანებელმა ჩინებული მასპინძლობა გაუწია. ღამით, როდესაც მოსასვენებლად დანვნენ, შაჰ-აბასის ერთ-ერთმა მოსამსახურე ვაჟმა თვალი ვერ მოხუჭა; მეორე დღეს მარიამობა თენდებოდა, რომელსაც განსაკუთრებული სადღესასწაულო განწყობილებით ხვდებოდნენ ვარძიის მონასტერში, ამ დღეს უამრავი მომლოცველი ადიოდა ვარძიაში. ბოი საქართველოზე მოგონებებმა გაიტაცა. ზოლოს ხმაშალა ამოიხარა, — ვარძიის ღვთისმშობელი, შენ გვიშველე ქართველებს და შემუსრე ჩვენი მტერიო. ამ




სიტყვებს ხონთქრის თანამეცხედრის მოახლე ქალმა მოჰკრა ყური, ვაჟთან უჩუმრად მივიდა და ქართულადვე გამოელაპარაკა — ვინაობა ჰკითხა. და-ძმანი აღმოჩნდნენ. ერთმანეთს გადაეხივნენ და თავ-თავიანთი თავგადასავალი უამბეს. როდესაც საუბრით გული იფერეს, იქვე მდგარი ურემი დაინახეს. გადაწყვიტეს, მასზე ჩამოსხდარიყვნენ და ვარძიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისთვის ღამე გაეთიათ. მაგრამ დაღლილებს, ჩაქვინათ. ღვთის ძალით, ურემმა მოძრაობა დაიწყო და საქართველოში ჩამოვიდა — ვარძიის მონასტრის მახლობლად, სოფელ აფენის ფერდობზე შეჩერდა.

გამთენიისას და-ძმას გამოეღვიძა. ირგვლივ მიმოიხედეს თუ არა, მისვდნენ, რომ სხვაგან იყვნენ და შეუძინდნენ. ამ დროს ზარის რეკა შემოესმათ. გაიხედეს და ვარძიის მონასტერში მოვიდნენ სანთლის შუქი დაინახეს: ალბათ ბურანში ვართ, აქ ვარძიის მონასტერს რა უნდა?! ნეტავ, წყალი მაინც იყოს სადმე, პირზე რომ შევისხათ და გამოეფხიზლდეთო! — უთქვამს ძმას. სიტყვა დაასრულა თუ არა, იქვე კლდიდან წყარო გადმოსულა (წყარო დღემდე მოედინება იმ ადგილას). და-ძმას წყალი შეუსვამს, პირი დაუბანია და დარწმუნებულა, რომ სამშობლოში იმყოფებოდა.

XII საუკუნეში ვარძიის მონასტერში მოღვაწეობდა წმინდა იოანე შავთელი. იქვე შექმნა „ჯალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“.

XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან — მონღოლთა ბატონობის დროს, ვარძიის მონასტერი სამცხელი ფეოდალების, ჯაყელთა გვარიდან გამოსული ათაბაგების გავლენის ქვეშ მოექცა. 1238 წელს, ალდგომის წინა ღამეს, სამცხეში საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც გამოქვაბულები და სენაკებში ასასვლელი გვირაბები ჩამოანგრია. დააზიანა



ვარძიის მონასტერში დაბრძანებული იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი



სტოას წინა ნაწილიც. ამის შემდეგ ვარძია მსახე იცვალა — დანგრეული და დახურული გვირაბების ადგილას ღია ბილიკები გაჩნდა. ამავე პერიოდში, ბექა ჯაყელი-ციხისჯვარელის ათაბაგობის დროს აიგო ორსართულიანი სამრეკლო.

1551 წელს სამონასტრო კომპლექსი სპარსელებმა დაარბიეს. მტერმა სხვა სინმინდებებთან ერთად, ღვთისმშობლის სასწაულოქმედი ხატიც გაიტაცა. 1578 წელს სამცხე თურქეთმა დაიპყრო. მათ მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრები, მათ შორის, ვარძიის მონასტერიც შეავინროეს. შეწყდა სამონასტრო ცხოვრებაც. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (1828-1829 წ.წ.) მესხეთის ნაწილი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. ამ ტერიტორიაში ვარძიის მონასტრის ტერიტორიაც შედიოდა, თუმცა მის აღდგენა-განახლებაზე არც ამის შემდეგ უზრუნია ვინმეს. უყურადღებოდ მიტოვებული მონასტერი ქურთი მცხევარეებისა და ყაზალების თავშესაფრად იქცა. მის აკლდამებში ზამთრობით საქონელს აბინავებდნენ.

1854 წელს ბერძენმა კალატოზმა გიორგი პოპონდოპულომ სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული მთავარი ტაძრის განმშენდა ნამოიწყო. გააკეთა ხის კანკელი, განმინდა ტაძრის მახლობლად მდებარე ქვაბები და ეკლესიამდე მისასვლელი გზა. 1857 წელს ვარძია ხელახლა აკურთხეს. ორი წლის შემდეგ წირვა-ლოცვაც აღადგინეს. მსახურება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აღველინებოდა. ამის შემდეგ ვარძიაში ჯერ ტურიზმის ბაზა, შემდეგ კი — მუზეუმი დააარსეს.

1989 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ვარძიაში კვლავ განახლდა ღვთისმსახურება, 1999 წლიდან კი ბერებიც დასახლდნენ და სამონასტრო ცხოვრებაც განახლდა. ბერები სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. ვარძიას საფუძვლიანი აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები ქაჭირობა: ნაწილობრივ ჩაშლილია დასავლეთის კედელი, დაზიანებულია ძეგლის ცენტრალური ნაწილიც, იფიტება და იშლება კლდის ზედაპირი და სხვა.

ერთ-ერთ სენაკში გვხვდება კლდეში ამოკვეთილი პატარა აუზი, რომელშიც კლდედან ამომავალი წყალი წვეთავს. მას „თამარის ცრემლებს“ ეძახიან: წყარო 1184 წელს, სამონაზვნო ოთახის მშენებლობისას, შემთხვევით აღმოაჩინეს. მშენებლებმა შენიშნეს, რომ კედელი სველდებოდა. ამის შესახებ თამარ მეფეს მოახსენეს. მან კლდის ამოკვეთა ბრძანა, რის შემდეგაც, წყალმა წვეთებად დაიწყო დინება. მოგვიანებით, იმ ადგილას პატარა აუზი გააკეთეს, სადაც კლდედან მომდინარე წყალი ჩაედინება. წყალი ცრემლის წვეთებივით გადმოედინება. რადგან ქალაქ-მონასტრის მშენებლობაც თამარის სახელს უკავშირდება, წყაროსაც ამიტომ უწოდეს „თამარის ცრემლები“. მას კურნების ძალა შესწევს, გამოირჩევა შვილიერების მადლითაც. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ცოლ-ქმარს წლების მანძილზე შეილი არ ეძლეოდათ, „თამარის ცრემლები“ უხმევით, სურვილი ჩაუთქვამთ და ასრულებიათ.

ტრიუმფული ვოიაჟები უცხოეთში

„მარლენ დიტრიხა“ და „სალომეა“ უცხოელი მაყურებელი ალაფროთოვანა



სულ რაღაც ორწლიანი მუშაობის შემდეგ, მუსიკისა და დრამის განახლებული თეატრის მესვეურებს, თამამად შეუძლიათ თქვან, რომ ისინი წარმატებულ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან. თეატრის რეპერტუარში ამჟამად თხოთმეტამდე სპექტაკლია. ყველა მათგანი, სხვადასხვა კატეგორიისა და გემოვნების მაყურებლისთვისაა გათვლილი. სპექტაკლების დიდი ნაწილი, უცხოელმა მაყურებელმაც იხილა და საკუთარი შეფასებაც არ დაიშურა, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის სასიამოვნოა და საამაყო. ქართული „მარლენ დიტრიხი“ და „სალომეა“ უცხოურმა პუბლიკამ საუკეთესო დადგმებად აღიარა. ამ და თეატრის სხვა საინტერესო სიახლეებთან დაკავშირებით, მუსიკისა და დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მმართველს, რეჟისორ დავით დოიაშვილს ვესაუბრეთ.

„უნდა იმწუნო ყველა ჯაგეგორიის მაყურებელზე, თეატრმა რომ იარსებოს“

მაია ლუწინიშვილი

— ბატონო დავით, მოდი, საუბარი თქვენი თეატრის გასტროლებით დავიწყოთ. სად იმყოფებოდით დასი და რა სპექტაკლები გქონდათ წაღებული?

— ცოტა ხნის წინ, გერმანიაში, კერძოდ კი, მიუნხენში გახლდით, სადაც თეატრს წაღებული ჰქონდა: კოტე ფურცელაძის ქორეოგრაფიული დრამა — „სალომეა“. შეიძლება ითქვას, რომ ეს, თეატრის საიმეჯო სპექტაკლია, რომელმაც დიდი წარმატება მოგვტანა. დასი მაისში ისევ გამგზავრება გასტროლზე. გერმანელებმა დაგვიკვეთეს სპექტაკლი, რომელსაც თავადვე დააფინანსებენ. მას, ალბათ, საჩვენებლად სხვადასხვა ქვეყანაში ჩავიტანთ. ჩვენთვის, ასევე წარმატებული აღმოჩნდა ედინბურგის ფესტივალი, სადაც წარდგენილი გვქონდა „მარლენ დიტრიხი“. ამ სპექტაკლის ჩვენების შემდეგ, ძალიან ბევრი შემოთავაზება მივიღეთ. აღსანიშნავია ასევე, თავად ედინბურგის ფესტივალის მესვეურთა დაკვეთა — პროექტი საქართველოზე, რომლის რეპეტიციებსაც რამდენიმე დღეში დავიწყებთ.

— რა იქნება ამ პროექტის იდეა და შინაარსი?

— ეს იქნება საათ-ნახევარში მოთხრობილი საქართველოს ისტორია, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული პერფორმანსის სახით. ასეთი სტილის დადგმები მათ ძალიან აინტერესებთ. ეს სპექტაკლი საქართველოს სახეს წარმოაჩენს; ამიტომ, სერიოზულად ვემუშავებთ დრამატურგებთან და ისტორი-

კოსებთან ერთად. ამ სპექტაკლზე მუშაობას, ალბათ, სამი თვე დასჭირდება. წარმოდგენაში ზუსტი მინიშნებები უნდა იყოს, რის საფუძველზეც, ყველას დიდი სურვილი გაუჩნდება, ნახოს იგი.

— ისევ გასტროლებს დავუბრუნდეთ. როგორც აღნიშნეთ, თქვენმა სპექტაკლებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, საინტერესოა იქაური პუბლიკის გამოხმაურება...

— „სალომეა“ ქორეოგრაფიული სპექტაკლი ანუ უსიტყვო წარმოდგენაა. აქედან გამომდინარე, მისი წარმატება მოულოდნელი არც იყო. მას თარგმანი არ სჭირდება, პლასტიკა ყველაფერს გადმოსცემს. რაც შეეხება „მარლენ დიტრიხს“, სიმართლე გითხრათ, მისი, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, რადგან ამ სპექტაკლში ყურადღება გამახვილებულია სიტყვაზე. მართა-



„მარლენ დიტრიხი“



ლია, სპექტაკლი სუბტიტრები მიმდინარეობდა, მაგრამ მინც არ ვიცოდით, გაიგებდა თუ არა მას ბოლომდე მაყურებელი. საზოგადოების გამოსმაურება საკმაოდ უცნაურიც კი აღმოჩნდა. ჩვენს საიტზე არის სპექტაკლის შესახებ მაყურებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, სადაც აღფრთოვანებას ვერ ფარავენ. ევა კახიანს, (მარლენ დიტრიხის როლის შემსრულებელს) ბარათები ხვდებოდა, ულოცავდნენ წარმატებას და მის მიმართ საკუთარ სიმპათიას გამოხატავდნენ.

— კიდევ ერთი წარმატებული გასტროლი, შარშან, გერმანიაშიც გქონდათ, სადაც როსინის „საქორწინო გარიგება“ წარადგინეთ.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო გასტროლი გახლდათ. სპექტაკლი ჩვენი და ეროვნული მუსიკალური ცენტრის ერთობლივი ნამუშევარია. გერმანიაში არსებობს თანამედროვე დადგმებისთვის განკუთვნილი დარბაზი, სახელწოდებით: „ქუხელ ჰაუსი“, სადაც წარმოვადგინეთ ეს სპექტაკლი. ამ გასტროლის შემდეგ, შედგა ჩვენი და გერმანული მხარის თანამშრომლობა, რის საფუძველზეც, ვაპირებთ ერთობლივ პროექტზე მუშაობას.

— თქვენი თეატრის საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ რეპერტუარში არსებული სპექტაკლების უმრავლესობა გატანილი და ნაჩვენები გქონდათ საზღვარგარეთ. როგორ ახერხებთ ამ ყველაფერს? ამ საკითხებზე სპეციალური ჯგუფი მუშაობს? ქვეყნები თავად გეპატიჟებიან?

— ჩვენი თეატრი აღდგენილი სახით, სულ რაღაც ორი წელია, რაც ამოქმედდა. არ გვაქვს შესაბამისი ფინანსური სახსრები, რომ საკუთარი დაფინანსებით ვიაროთ გასტროლებზე. თეატრში ამ საკითხების მოგვარებაზე, ნინო ლაპიაშვილის ხელმძღვანელობით, სპეციალური ჯგუფი მუშაობს. პრემიერებზე ვეპატიჟებით პროდიუსერებს, რომლებიც ასეთ

საკითხებს წყვეტენ. მათი მემკვიბით, დადევართ სხვადასხვა ქვეყანაში. ცოტა ხნის წინ, სტუმრები გვეწვივნენ საფრანგეთიდან და დაიგეგმა გასტროლი პარიზში, სადაც „სალომეას“ წარვადგენთ. მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, რომელიც დიდ დახმარებას გვინევს საერთაშორისო ფესტივალებზე გამგზავრებაში. საგასტროლოდ უკვე მთელი წელი დაგეგმილი გვაქვს. მარტო ედინბურგიდან უკვე შეიძირვა შემოთავაზება მივიღეთ. ედინბურგის ფესტივალზე ყოფნისას, პოლონეთის ფესტივალის ორგანიზატორებმა იხილეს „მარლენ დიტრიხი“. მომავალ წელს, მათ მიგვინვიეს თავიანთ ფესტივალზე, რომელსაც „დიალოგი“ ჰქვია. თუმცა მანამდე, ერთი წლით ადრე, დამპატიჟეს ამ ფესტივალზე, წარმოდგენა რომ მქონოდა მასზე. საკმაოდ სერიოზული და სინტერესო ხასიათის ფესტივალია. მასში მონაწილეობას იღებს, წინა წლის საუკეთესო დადგმები. დაახლოებით ოცამდე სპექტაკლია წარმოდგენილი, რომელსაც თავად ირჩევენ. გარკვეულწილად შეიძლება საკამათოც კი იყოს, ნამდვილად არის თუ არა ეს სპექტაკლები საუკეთესო, ამიტომაც ჰქვია ამ ფესტივალს „დიალოგი“. მათი აქტუალური საკამათო თემა: ის, თუ როგორი ფორმაა საზოგადოებისთვის მისაღები თანამედროვე თეატრში და ის, რომ ძალიან განსხვავდება საზოგადოების შეფასება კრიტიკოსების შეფასებისგან. არის სპექტაკლები, რომლებიც ძალიან მოსწონთ კრიტიკოსებს და პირიქით, არ მოსწონს მაყურებელს. ეს არის ერთგვარი პოლემიკა თეატრის გარშემო, რომელიც ათი დღის მანძილზე გრძელდება. სალამოს ნახულობ სპექტაკლს და დილით მის განხილვას ესწრები, ეს ძალიან საინტერესო პროცესია.

— თქვენი ბოლო ნამუშევარი — გიორგი ერისთავის „გაყრა“ — ლია ცის ქვეშ წარმოადგინეთ. დღესდღეობით მივიწყებული, თუმცა ძალიან აქტუალური პეისის თქვენთვის ინტერპრეტაცია მაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო. რატომ გადაწყვიტეთ მისი ლია ცის ქვეშ დადგმა და რისი თქმა გასურდათ ამ სპექტაკლით?

— „გაყრა“ ძალიან აქტუალური პიესაა. კომედიის ან ვოდვილის ავტორები იმდე-

ნად მტკივნეულ საკითხს ეხებიან თავიანთ ნაწარმოებებში, რომ არა იუმორი, მისი შინაარსის საზოგადოებამდე მიტანა ძალიან რთული იქნება. ამ პიესის შინაარსი ხომ ასეთია: ერთი ოჯახის სამი ძმა ვერ პოულობს საერთო ენას. არა იმიტომ, რომ მათ ეს არ შეუძლიათ, არამედ მათ ეს არ სურთ. მათ საკუთარი ხედეა აქვთ და ერთმანეთის პოზიციის გათვალისწინება არ უნდათ. თუნდაც თანაუგრძნონ ან გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები ერთმანეთს. ეს ყველაფერი ჩვენ გარშემო ხდება. ადამიანებს აქვთ თავიანთი ხედეა, დიალოგიც კი არ შეუძლიათ, რომ შეთანხმდნენ, რაც გაყრით მთავრდება. ძმები საბოლოოდ, ერთ მუთაქას სამად ყოფენ, ამ დროს კი სრულიად უცხო პირი, ხარობს და სარგებლობს ამ გაყრით, მათი ასეთი დამოკიდებულებით ერთმანეთის მიმართ. ეს თემა იმდენად მტკივნეულია ჩემთვის, რომ მივმართე ისეთ სადადგმო ხერხს, როგორიც ვოდვილია. მეორე მთავარი მიზეზი, თუ რატომ გადაწყვიტე ამ სპექტაკლის დადგმა, არის ის, რომ ეს ნაწარმოები ქართული კლასიკური დრამატურგიის ნიმუშია. მინდოდა, რეპერტუარში გვექონოდა ქართული პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი. ჩვენს თეატრს — მუსიკისა და დრამის თეატრი ჰქვია, შესაბამისად, უნდა დაგვედგა მუსიკალური სპექტაკლი, სადაც გამოჩნდებოდა დასის ვოკალური შესაძლებლობები, თუ როგორ მღერიან ისინი ცოცხლად და ამასთანავე თამაშობენ კიდევ, რაც ვფიქრობ, არცთუ იეს ურიგოდ გამოუვიდათ. მოგეხსენებათ, ჩვენს თეატრში სარემონტო სამუშაოები კვლავ გრძელდება. ვიდრე არ გავეხსნით დიდ სცენას, მანამ, ალბათ, გავაგრძელებთ ექსპერიმენტული ხასიათის მქონე სპექტაკლების დადგმას. ასეთი ექსპერიმენტი იყო „გაყრა“, რომელიც ღია ცის ქვეშ წარვუდგინეთ მაყურებელს. თან გარეთ უფრო მეტი ადამიანი ეტევა და სივრცეც მეტია. თუმცა, ახლა უკვე, რადგან აცივდა, დარბაზში გადავიტანეთ იგი. ასეთი სახის ექსპერიმენტი, რამდენად მისაღებია საზოგადოებისთვის, ეს თავად უნდა განსაჯოს. ყოველი შემთხვევისთვის, მაყურებლის რაოდენობრივი პრობლემა ჩვენთან არ არის. სანამ „მერი პოპინსი“ დავდგამდით,



დაკვირვებას ვანარმოებდით, თუ რა კატეგორიისა და ასაკის ადამიანები დადიოდნენ ჩვენს თეატრში. დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი მაყურებლების უმრავლესობას შეადგენდნენ მოზარდები და შუა ასაკის ადამიანები. არ დადიან პატარები და მათი მშობლები. ამიტომ, ამ კატეგორიის მაყურებელზეც ვიზრუნეთ და დავდგით „მერი პოპინსი“. ამ სპექტაკლმა გაამართლა, როგორც შემოქმედებითი, ასევე მენეჯმენტის თვალსაზრისითაც. აუცილებლად უნდა იზრუნო ყველა კატეგორიის მაყურებელზე, თეატრმა რომ იარსებოს.



სანაჲ სოცხლუბი ჰარით...

წერილი 81-12

უანონო დავორბაციის ჰელაგები

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №43

ნახევარი საუკუნეა, მესხეთიდან გადასახლებულები ითხოვენ დაბრუნებას, იხვეწებიან, დაბნეულები აქეთ-იქით აწყდებიან, მაგრამ საქართველოს მხოლოდ მათთვის ჩაუკეტავს, სხვისთვის ფართოდ გაღებული კარიბჭე. დღეს პოლიტიკოსები მათ დაბრუნებაზე ლაპარაკს მაშინ იწყებენ, როდესაც რაიმე რეალური საფრთხის გადაფარვა სურთ ან რაიმე პოლიტიკური თამაში აქვთ წამოწყებული. აღარ დამთავრდა ამ მრავალტანჯული ხალხით მანიპულირება.

მანანა იაშვილი

ამბავი საბჭოთა ბრაფიანიგმისა და მისთა ყარიზობისა

ვიქტორ რცხილაძემ „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომრის დიდი ნაწილი მესხეთიდან გადასახლებულთა პრობლემას მიუძღვნა. ზოგიერთი ამბავი რუსულ „ქრონიკას“ ემთხვევა, მაგრამ არის განსხვავებებიც და რაც მთავარია, ერთმნიშვნელოვნადაა ჩამოყალიბებული ქართველი დისიდენტებისა და მონინავე საზოგადოების პოზიცია. ბატონი ვიქტორი მაშინ წერდა:

„გამოჩნდა კაცი, რომელმაც 1958 წელს ალუთქვა მესხებს სამშობლოში დაბრუნება. იგი თავად მესხია — მევლუდ ბაირახტოვი (იგივე მუჟანაძე). მან 10 ათასამდე მესხი შუა აზიიდან აზერბაიჯანში ჩაიყვანა. ისინი საათ-


ლის რაიონში, მულანლოს უდაბნოში, კარვებში დასახლეს. რამდენიმე თვე ასე ამყოფეს და მერე უთხრეს, საქართველო არ გიღებო! დატოვეს პატივყარილები აზერბაიჯანში და ბამბის პლანტაციები გააშენებინეს... ჩადიოდნენ მათთან აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქ-



მაშინ დადგა ორიენტაციის საკითხიც, რომლის გამოძახილმაც დღემდე მოაღწია

მსოფლიო საზოგადოების წინაშე მესხეთიდან დეპორტირებულთა უფლებებს იცავდნენ, მაგრამ ამ ხალხს „თურქ-მესხებად“ ნათლავდნენ და თურქეთის პროვოცირებას ცდილობდნენ, რათა ეს ხალხი თავისთან მიეღო. ამიტომ ქართველი დისიდენტებისთვის მესხეთიდან გადასახლებულთა ბედი მძიმე პრობლემადა იქცა. მათ რამდენიმე მიმართულებით უწევდათ ბრძოლა, მაგრამ ზოგჯერ — უშედეგოდ. კაცმა რომ თქვას, ისინიც სცოდავდნენ: ხან თავგადაკლულები ამტკიცებდნენ გადასახლებულთა ქართველობას, ხან — მათსავე თურქობას. მაშინ დადგა ორიენტაციის საკითხიც, რომლის გამოძახილმაც დღემდე მოაღწია. „ქართული ორიენტაცია“ უპირისპირდებოდა „თურქულ ორიენტაციას“.

ტორები და მოძღვრავდნენ ხალხს, ბაირახტოვის თამადობით: „ძმანო, მუსლიმანო! თქვენ ქართველები არ გიღებენ და სამშობლო დაგაკარგინეს? — ჰო! — თქვენ ხომ ისევ მუსლიმანმა ძმებმა მიგიღეს და აზერბაიჯანში დაგასახლეს? — ჰო! — მაშინ გადაიკეთეთ ქართული გვარები აზერბაიჯანულადო, — და იწყებოდა „ძისა“ და „შვილის“, „ოჯებად“ გადაკეთება, პაპის სახელის მიხედვით... მათ ამინებდნენ, — ქართველები ჯვარს დაკვიდებენო; 15 ნოემბერი (მესხეთიდან გადასახლების დღეს. — ავტ.), თურქეთში გლოვის დღედაა გამოცხადებული, თურქები გლოვობენ თქვენს გადასახლებასო... ასეთ გარემოში ქართველთა ერთმა ნაწილმა აზერბაიჯანში შექმნა „ქართველ მესხთა წრე“ და გაზეთი „აღორძინება“ — თურქულ ენაზე. დაიწყეს სიების შედგენა



მესხთა შორის, სადაც შექმნდათ ძველი ქართული გვარები... 1961 წელს მესხთა ერთმა ნაწილმა დატოვა აზერბაიჯანი და მახარაძის (ოზურგეთის) რაიონში ჩამოვიდა სამუშაოდ. მევლუდ ბაირახტოვმა განგაში ატეხა — „კოლხოზი“ მომეშალა, გემას ვერ ვასრულებო. აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოს მოსკოვში უჩივლა — სახელმწიფო გემმა ჩაგვიშალეს, ხალხს იბირებენო. მუჟანაძემ (საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი. — ავტ.) მესხთა ასივე ოჯახი იძულებით უკან დააბრუნა“.

ვიქტორ რცხილაძე მესხების თემას უკავშირებს საქართველოსთვის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას, რომელზეც მაშინ ქართველმა მეცნიერებმა, ერის სასიქადულო შვილებმა განგაში ატეხეს. ამ დროს გაზეთ „კომუნისტში“ (1961 წლის 4 დეკემბრის ნომერში) დაიბეჭდა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ იოსებ ჟორდანიას სტატია სათაურით — „ოჯახი ერის ბურჯია“, სადაც ავტორი აღნიშნავდა ქართველ საზოგადოებას, რომ საქართველოს რესპუბლიკა ბუნებრივი მატების მხრივ, ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა და განიხილავდა სხვადასხვა რაიონს: „აბაშის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ონის, მესტიის, ყაზბეგის რაიონებს დაბალი მაჩვენებელი აქვთ, მაშინ, როდესაც ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ბოლნისის, ახალციხის, მარნეულის რაიონებს — ყველაზე მაღალი, თვით საბჭოთა კავშირის მასშტაბით“. ყველასათვის ცნობილია, თუ ვინ ცხოვრობს „მატების რაიონებში“ — სომხები და აზერბაიჯანელები. ერთი კვირის თავზე იმავე გაზეთში, იმავე თემაზე გამოქვეყნდა თავაზაშვილის წერილი, ხოლო მომდევნო წერილი, რომელიც აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილს ეუთვნოდა, უკანასკნელ წამს სტამბიდან ამოიღეს. ჟორდანიას და თავაზაშვილი საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივანმა (ყველა „მომძე“ რესპუბლიკაში ეს პოსტი „ცენტრის მეფინსაცვლებს“ ეუთვნოდათ. — ავტ.) კოვანოვმა დაიბარა და განუცხადა: „თავი დაანებეთ ნაციონალისტური და პროვოკაციული სტატეიების ბეჭდვას. საბჭოთა კავშირში მოსახლეობა იმატებს და რა მნიშვნელობა აქვს იმას, ქართველები გამრავლდებიან თუ არა“. ვიქტორ რცხილაძე ასეთ დასკვნას გეთავაზობს: „როგორც ხედავთ, მესხების გარეგვა და კოვანოვის აკრძალვა ერთ



1964 წლის ოქტომბერში მესხთა დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა

მიზანს ემსახურებოდა. ეს იყო დაუფარავი ანტიქართული პოლიტიკა, ჯოჯოხეთური ჩანაფიქრი, მიმართული ქართველი ერის წინააღმდეგ“.

1964 წლის ოქტომბერში მესხთა დელეგაცია საქართველოში ჩამოვიდა. მათ მიმართეს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურულ ურთიერთობათა ქართველი საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფესორ ხუჭუას. თხოვნა რამდენიმე პუნქტად იყო ჩამოყალიბებული: 1. ცალკეულ ჯგუფებად მათი განლაგება საქართველოს სხვადასხვა რაიონში, როგორც ამას საჭიროდ მიიჩნევს საქართველოს მთავრობა; 2. მათი გამოყენება მუშახელად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ობიექტზე; 3. საქართველოს ნებისმიერ რაიონში მათთვის მიწის გამოყოფა, კოლმეურნეობის დასაფუძნებლად. ხუჭუამ ეს მოთხოვნები თავისი შუამდგომლობითა და ქართველი ინტელიგენციის სახელით (კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, ალექსი მაჭავარიანი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე და სხვები), პირადად გადასცა ვასილ მჭავანაძეს. პასუხად ოფიციალური პირები (ცდილობდნენ მესხთა „გაშავებას“ და იმის მტკიცებას, რომ გადასახლება აუცილებელი იყო, რადგან ეს ხალხი თურქთა და გერმანელ ფაშისტთა დასაყრდენს წარმოადგენდა. ამ ვერსიის დასადასტურებლად, სერგეი პრაგას ფსევდონიმით, 1964-65 წლებში რუსულენოვან გაზეთ „მოლოდიოე გრუზიისში“ იბეჭდებოდა წერილების ციკლი საერთო სათაურით: „პაროლი აკ-ჩაი“, სადაც მესხები ფაშისტების აგენტებად იყვნენ წარმოჩენილნი. ამ ფაქტის გასაპროტესტებლად, გადასახლებულები მოსკოვში ჩავიდნენ და საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გიორგი ძონენიძის ხელშეწყობით, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ლიდერთან, ლეონიდ ბრეჟნევთან შეხვედრა სცადეს. გენსეკის მისაღებად ისინი ვინმე სკლიაროვმა მიიღო, რომელმაც განუცხადა, რომ მესხების დაბრუნება ეკონომიკურად არაახელსაყრელი და ამიტომ, შეუძლებელი იყო, ხოლო ძონენიძეს, როგორც ქვეშევრდომს, აგდებულად ელაპარაკა და საყვედური უთხრა. მესხებს თან ჰქონდათ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასკვნა, რომ ახალციხე-ახალქალაქის რაიონებში მცხოვრები „თურქები“ ან „თურქები“ ქართველი მაჰმადიანი მესხ-

ები არიან. სკლიაროვმა ეს დასკვნა მათ უკან გადაუგდო, — ფარაჩინა ქალაღლიაო.

1966-67 წლებში, მესხების რამდენიმე მცდელობა, საქართველოს რომელიმე რაიონში ფეხი მოეციებინათ, საქართველოდან კვლავ გასახლებით დამთავრდა. მაგალითად, აზერბაიჯანიდან — გარდაბნის რაიონის სოფელ ბოგაში საცხოვრებლად გადმოვიდა ჩომახიძეების გვარის 15 ოჯახი, მაგრამ ისინი, აზერბაიჯანელთა ხელშეწყობით, მალე უკან დააბრუნეს.

1968 წლის 24 მაისს თბილისში საისტორიო საზოგადოებამ, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას თავმჯდომარეობით, მოაწყო სესია მესხეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის თემაზე. სესიაზე ორმა მესხმა მეცნიერმა — ქრისტიანმა შოთა ლომსაძემ და მუსლიმანმა ლატიფმა ბარათაშვილმა წაიკითხეს მოხსენებები და საზოგადოებას წარუდგინეს თავიანთი დასკვნები მესხების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და წარმომავლობის შესახებ. სესიის დამთავრებისთანავე, ორივე მეცნიერი უშიშროების სამსახურმა დაპატიმრა და მკაცრად გააფრთხილა.

ვიქტორ რცხილაძე რუსული წყაროებისგან განსხვავებულ ვერსიას გეთავაზობს, მესხეთიდან გადასახლებულების თბილისში აქციის გამართვისა და მათი ჩასახლება-გასახლების შესახებ, რაც სინამდვილესთან უფრო მიახლოებულს ჰგავს:

— 1968 წლის 30 მაისის დადგენილებით, მესხებს მოქალაქეობრივი უფლებები აღუდგინეს, მაგრამ ფარული აკრძალვა მათი საქართველოში დასახლების შესახებ მაინც მოქმედებდა. ამ დადგენილებით დაიმედებული 1000-მდე მესხი, ოჯახებით, თბილისში ჩამოვიდა და დელეგაცია ცეკაში მივიდა. იქ ისინი არ შეუშვეს. ზოგიერთი ჩამოსული პანისლამიზმით გაუღვთილ ლოზუნგებს ისროდა, რაც პროვოკაციას ჰგავდა. მათ მიუსიეს მილიცია და შინაგანი ჯარი, ხელკეტებით, და ძალით გაყარეს საქართველოდან. ამავე წელს, ძმები გოზალიშვილები შეხვდნენ სუკის უფროსს, ინაურს, რომელმაც ძმებს ჯერ კატეგორიულად განუცხადა, — სანამ ცოცხალი ვარ, საქართველოში ჩამოსვლას ვერ ელირსებითო. შემდეგ, ძმების გარდა, კიდევ რვა კაცი მიიღო და მათი გამახხარავება სცადა: სანამ თურქეთი სოციალისტური არ გახდებოდა, მესხეთში ვერ დაგასახლებოთო. 1969 წელს გალის რაიონის სოფელ აჩიგარის საბჭოთა მეურნეობას მუშახელი დასჭირდა (როგორც ჩანს, დროებით, სეზონური სამუშაოსთვის — ავტ.) და იქ მესხების 250 ოჯახი ჩავიდა. ადგილობრივებმა ისინი კარგად მიიღეს და სხვებმაც დაიწყეს იქ ჩასვლა. 4 თვე მიმდინარეობდა მესხების ჩასახლება. ამასობაში აზერბაიჯანმა მოსკოვში იჩივლა, — ეს ხალხი შუა აზიიდან ჩვენ დავექირავეთ, ყაშირი ავათვისებინეთ და ახლა საქართველო მათ მოტყუებით გვართმევს; მათი წასვლით მ კოლმეურნეობა და 3 საბჭოთა მეურნეობა დაგვეგრავო. მოსკოვიდან აზერბაიჯანში სპეცკომისია ჩავიდა. გადაწყდა — მესხების

აყრა და აზერბაიჯანში დაბრუნება. მესხებს ჯერ თავისუფალ ჩასახლებაში მყოფი პატიმრები მიუსიეს, მაგრამ მათ არ იკადრეს ქალებისა და ბავშვების დანიკოება. მაშინ, ოპერაცია მილიციამ და შინაგანი ჯარის ნაწილებმა ითავეს. აჩიგვარაში სატივროთო ვაგონები გაამზადეს, დაიწყო მესხთა რბევა და ძალით ვაგონებში ჩაკეტვა. ოპერაციას მეთვალყურედ, საქართველოს სუკი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას წარმომადგენლები და თვით „მთავარი ტრეფიკორი“ — მეველუდ ბაირახტოვიც ესწრებოდა. ზოგი, ბადრაგით, ისევ აზერბაიჯანში დააბრუნეს, ზოგთან ვერაფერს გახდნენ და მოტყუებით, ბადრაგის თანხლებით, ეშელონი კრასნოდარისკენ გაგზავნეს. კრასნოდარმა ისინი ისევ უკან დააბრუნა. საბოლოოდ, მესხთა ეს დაუმორჩილებელი ნაწილი ყაბარდო-ბალყარეთში მოხვდა და იქ დასახლდა.

1969 წელს გალიდან გასახლებულების დელეგაცია, 100 კაცი, მოსკოვში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას მიადგა. მაგრამ იქიდან უარით გამოისტუმრეს, — ჩვენები არ ხართო. გამწარებულმა მესხებმა პასპორტები დახიეს. ხალილ გოზალიშვილმა მოახერხა, ბრეჟნევის თანაშემწეს, სტარჩენკოს შეხვედროდა. გენერალური მდივნის თანაშემწემ მას განუცხადა, — ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, გალის რაიონში იმიტომ გინდათ ჩასახლება, 3000 ოჯახს რომ მიაღწევთ, თურქეთში გაიქცევითო. გოზალიშვილი



ხალილ გოზალიშვილია მოახერხა, ბრეჟნევის თანაშემწეს, სტარჩენკოს შეხვედროდა

გადაირია, — ცუდად გცოდნიათ გეოგრაფიაო, — და ხელცარიელი დაბრუნდა უკან. შემდეგ თანდათან მესხებში იძალა პრო-თურქულმა განწყობილებამ, თუმცა ხალილ გოზალიშვილი და „ხსნა“ ყოველთვის ამის მონინააღმდეგნი იყვნენ. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ხალილ გოზალიშვილმა დანერა შესანიშნავი წიგნი — „მესხთა ტრაგედია“, რომელშიც სხვა საინტერესო ფაქტებთან ერთად, მოყვანილია მესხეთიდან გადასახლებულთა რეალურთან მიახლოებული მიხედვით. ამ ნუსხის მიხედვით, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებიდან გადასახლებული იყო 2000 ოჯახი, სულ 125000 კაცი, მათგან 115000 — ქართველი მუსლიმანი

გაგრძელება იქნება



რუმბრკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

თუ გრძობა შემოიხივით...

როგორც კი ავადმყოფობის პირველ სიმპტომებს იგრძნობთ, შინიდან ფეხი აღარ გაადგათ, თორემ „სავალდებულო“ ერთის ნაცვლად, ლოგინში ორ კვირას გაატარებთ. გამოშუშებას ცალკე ოთახში, ოჯახის წევრებისგან მოშორებით გირჩევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ დაავადება მათაც გადასდეთ.



ანტიბიოტიკების ყლაპვას მაშინვე ნუ დაიწყებთ, რადგან შესაძლოა, მათ ის სასარგებლო მიკრობები გაანადგურონ, რომლებიც ორგანიზმს ავადმყოფობასთან გამკლავებაში ეხმარებიან.

38 გრადუსზე დაბალ სიცხეს ხელოვნურად ნუ დაიგდებთ — მიეცით ორგანიზმს იმის საშუალება, რომ ავადმყოფობას თავად ებრძოდეს. სვით რაც შეიძლება ბევრი სითხე, რადგან სიცხის დროს, როგორც წესი, ორგანიზმის გაუწყლოება ხდება. უარი თქვით ყველანაირ აბაზანაზე, რადგან გრიპის დროს მას მხოლოდ ზიანი მოაქვს. რაც შეეხება მდოგვის საფენებს, მათზე ფიქრიც კი ქვის ხანაში დაგაბრუნებთ.

გრძობი ორგანიზმს საგრძობლად ასუსტებს და ფიტავს. ამიტომ, სანამ ძალებს ბოლომდე არ აღიდგენთ, სამსახურსა თუ სასწავლებელში ნუ წახვალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ამას გართულებები მოჰყვეს.

გრძობი ორგანიზმს საგრძობლად ასუსტებს და ფიტავს. ამიტომ, სანამ ძალებს ბოლომდე არ აღიდგენთ, სამსახურსა თუ სასწავლებელში ნუ წახვალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ამას გართულებები მოჰყვეს.

უფროსი ქვების ყოლა ჯანმრთელობას ჰნავს

მამაკაცები და ქალები, რომელთაც უფროსი ძმები ჰყავთ, დაქვეითებული შვილოსნობის უნარით გამოირჩევიან, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შეფილდის უნივერსიტეტის თანამშრომლები, რომლებმაც XVIII-XIX საუკუნეებში, ფინეთში მცხოვრები რამდენიმე ათასი ადამიანის ოჯახური ამბები შეისწავლეს.

მეცნიერთა აზრით, თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ფერტილობის სტატისტიკური აღრიცხვა ძალზე ჭირს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ძირითადად, დღევანდელ ოჯახებში ბავშვების რაოდენობა დამოკიდებულია არა მშობლების ფიზიკურ მონაცემებზე, არამედ მათ მიერ ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებებისა და ოჯახის დაგეგმვის სხვა მეთოდების გამოყენებაზე. ამის გამო, მეცნიერები იძულებული გახდნენ, გასული ასწლეულებიდან ანუ იმ დროიდან შემონახული მონაცემებისთვის მიემართათ, როცა შობადობის კონტროლის მეთოდებზე კაცობრიობას ხელი ჯერ არ მიუწვდებოდა.

მკვლევრებმა გაარკვიეს, რომ იმ მამაკაცებს და ქალებს, რომლებსაც უფროსი ძმები

ჰყავდათ, უფრო ნაკლები შვილი უჩნდებოდათ, ვიდრე იმ ოჯახებიდან გამოსულთ, სადაც პირველი შვილი გოგონა იყო. პირველ და მეორე ჯგუფს შორის სხვაობა 12%-ს შეადგენდა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მამრობითი სქესის სიყრმის შვილი დაბადებიდან ნახევარ წელიწადში იღუპებოდა.

გამოკვლევების ავტორები გამოვლენილი კანონზომიერების რამდენიმე ახსნას გვთავაზობენ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მამრობითი სქესის ბავშვის აღზრდა დედისგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, რის გამოც, ის იძულებულია, სხვა, უფრო გვიან გაჩენილი შვილების აღზრდასა და მოვლას ნაკლები დრო დაუთმოს. თუმცა, მეცნიერები იმასაც აღიარებენ, რომ თანამედროვე პირობებში, ჯანდაცვის სისტემის განვითარების დახმარებით, ამ ნეგატიური ასპექტის გავლენის შემცირება თავისუფლად შეიძლება.

ამასთან, მკვლევრები არც იმას გამოირიცხავენ, რომ შეიძლება, ბავშვების დაქვეითებული ნაყოფიერების მიზეზები უფრო ღრმაც იყოს. ერთ-ერთი პოპულარული თეორიის თანახმად, მამრობითი სქესის ნაყოფის მიერ მაღალი კონცენტრაციით გამო-

მუშავებული ჰორმონები — ტესტოსტერონი და კორტიზოლი შეიძლება, დედის იმუნურ სისტემას თრგუნავდეს. ასეთ შემთხვევაში, ორსულობას დედის ორგანიზმის ინფექციებისგან დაცვის მექანიზმის შესუსტება შეუძლია. ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება, როგორც მომდევნო შვილების ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე, ასევე მათ რეპროდუქციულ ფუნქციებზეც ნეგატიურად აისახოს.



აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და უურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3



პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასპალიტრა“

ქ. თბილისი
იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების უურნალ-გაზეთები

E-mail: elva@kvispalitra.com




ახლახან, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მკვლევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოჯახში უფროსი შვილების და განსაკუთრებით, ბიჭების არსებობა, მათი უმცროსი ძმებისა და დების ზრდის ჩამორჩენასთან სტატისტიკურადაა დაკავშირებული. ასევე დადგინდა, რომ სიყრმის შვილები თავიანთ უმცროს ძმებსა და დებზე უფრო ჭკვიანები არიან. ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნდა ამერიკელი მეცნიერების კვლევა, სადაც ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ოჯახის უფროსი შვილები, ხშირად, უმცროსებზე დღეგრძელნიც არიან...

ქალებს კომპლიმენტია ნაშაყვან

მომხმარებლის უფლებების დამცველმა ამერიკულმა ორგანიზაციამ Campaign for Safe Cosmetics-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმადაც, სახელგანთქმული კოსმეტიკური ფირმების მიერ გამოშვებული პროდუქტების უმეტესობა ტყვიას შეიცავს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოთხი ქალაქის სხვადასხვა საჯარო ქსელში შექმნილი წითელი პომადის ტუბების ერთ მესამედში ტყვიის კონცენტრაცია დასაშვებ ნორმას აღემატება. საინტერესოა, რომ ისეთი ფირმების კოსმეტიკური საშუალებები, როგორებიცაა Cover Girl, L'Oreal-ი და Christian Dior, დანარჩენი ფირმების კოსმეტიკურ საშუალებებზე მეტ ტყვიას შეიცავს.

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ჰიგიენისა და გარე სამყაროს საკითხების მკვლევართა თქმით, ფეხმძიმე ქალებს, რომლებიც ტყვიის შემცველ პომადას იყენებენ,



მუცლის მოშლა ემუქრებათ. რისკის ჯგუფში არიან ის ბავშვებიც, ვისი დედებიც მონამღული კოსმეტიკით იღებებიან. ახლახან, კოსმეტიკის ცნობილი მწარმოებელი Loreal კრიტიკის ობიექტი იმ რეკლამის გამოც გახდა, რომელშიც სახელგანთქმული მსახიობი, პენელოპა კრუსი მონაწილეობს. სარეკლამო სტანდარტების კომიტეტმა, რომლის ექსპერტთა ჯგუფი რეკლამის ხარისხსა და სისწორეს აკვირდება, განაცხადა, რომ „კომპანიამ მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანა“. მათი აზრით, რეკლამა Loreal-ის ახალი ტუშის მოქმედების ეფექტს აშკარად აზვიადებს.

საჩუქარი „ოჯახის მეურნალის“ მკითხველებს



მედიცინის დიდი საოჯახო ენციკლოპედია



ყველაფერი მედიცინის შესახებ ანიდან უკომდა

შეაბროვე და აკინძე!



მისი ვნილები

8.11-14.11.2007

ახალი ცოცხი ქარგალ გვის

გრძელთმიანი, ბუნდუნაწაკრული
და საყურიანი გურული არ
გამეცნო? ვიფიქრე: რეიზა არ
დამეფსება აი თვალები-თქვა...



... აბა, ახლა განახვათ, როგორ
ურტყამს ქმარს და როგორ
ხმარობს მუშტს. თითქოს ყრივში
სამგზის ჩემპიონი იყოს...

ფრტრტესტი



პროკერორმა
ისე დახატა
გაუპატორების
სცენა... ისე
დახატა, რომ
მომეწონა და
დანაშაული
ვადიარე...

გრწაფი თაჩხანო

ხელს უწყობს თუ არა
ვივილტირების მიღწევაში
ჩვენს ბედნიერებას



ისინი ცოცხალი მატლებს ჭამას, ქობში
ცხოვრებას, ძონძებით შემოსვასა და
წვიმის წყლის სმას ამჯობინებენ...

მედიანტა

საკბილოს მოლოდინში
განახული და სუნთქვაშეკრული,
თვალებჩასისხლიანებული
და გახელებული, ნადირივით
ჩასაფრდა და დაგვიანებული
მგზავრის მოლოდინში გაიტრუნა



**„ნაგლი“
ინკასატორი
და ცოცხების
რევოლუცია
ანუ მამა,
რომელიც
ნაპერწყლებს
ყრის**

მარი ჯაშარიძე

ჯუზეპე

ამ თემამ და ზოგიერთი მკითხველის მესიჯმა ჩემი მაიმუნი, მაკაკის ჯიშის ჯუზეპე გამახსენა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთან ცხოვრობდა.

ჩემი ჯუზი (ასე ვეძახდი მოფერებით) რამდენიმე წლის განმავლობაში გემზე ცხოვრობდა და მეზღვაურებისგან ვიყიდე. ძალიან მოუსვენარი გახლდათ. სულ დაბმული მყავდა. თუ დროს იხელთებდა და ქამარს გაიხსნიდა, მერე უნდა გენახათ, რა ხდებოდა ჩემს სახლში. კარადაში არც ერთ წიგნს არ ტოვებდა. ყველას იატაკზე ყრიდა. საყვავილე ვაზებსა და გარდერობში შენახულ ტანისამოსზე აღარაფერს ვამბობ. ყველა ჭაღზე კუდიტ ეკიდა და რომ ვეჩხუბებოდი, ენას მიყოფდა. როცა მოშივდებოდა, ჭაღიდან მაშინ თუ ჩამოხტებოდა და მაგიდას კაცივით მიუსკუპდებოდა. ყველაფერს ჭამდა: კარაქიან და ჯემიან პურს, წვნიანს, ლობიოსაც კი. განსაკუთრებით კი საღეჭი რეზინი უყვარდა. თუ გავუბრაზდებოდი, კუთხეში, ზურგშექცევით დადგებოდა, თათებს აწვალებდა და ქსუტუნებდა. აქაოდა, რა სანყალი და საცოდავი ვარო. მოკლედ, ჩემი ჯუზი იმიტომ გამახსენდა, რომ როდესაც შინ ახალი მოყვანილი მყავდა, გადასარევად იქცეოდა და „ახალი ცოცხივით“, მართლაც კარგად „გვიდა“, ხოლო როცა მოშინაურდა, უკვე ლამის ოჯახის უფროსის ფუნქციები აიღო საკუთარ თავზე. და კიდევ — როგორც ჩანს, გემზე ცხოვრების დროს, მეზღვაურები ცოცხით ათვინიერებდნენ. ამიტომ, ცოცხის საშინლად ეშინოდა — როდესაც ოთახის გამოსაგველად ხელში ავიღებდი, ჯუზი გამყინავი ხმით ყვიროდა და კედლებს აწყდებოდა. აი, ჩემი მოგონება, „ძველ“ და „ახალ“ „ცოცხთან“

ახალი ცოცხი ქანზაუ გვის



თქვენი მესიჯებიდან იმდენი რამ გავიგე „ახალი ცოცხების“ შესახებ, რომ მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ. ზოგიერთმა თქვენგანმა მისაყვედურა: მარი, სანამ ახალი იყავი, ყველას გვიბეჭდავდი მესიჯებს და ახლა რა დაგემართაო? ა, ბატონო, ერთი მესიჯი, რომელიც თავისი „გარეგნული სახის“ გამო ვერ დავბეჭდე: „მ?რ? მ? ვ?დ?ზ?დ?, რ? კ?თ?ლ? გ?გ? მ?რ? ჯ?ფ?რ?ძ?, რომ ?დ?ნ მ?ს?ჯს ?ბ?თ?ს ხ?ლხსტვ? დ? მ?თ გ?ლ ?ხ?რ?ბს“. გაიგეთ, რამე? ჰოდა, ვერც მე! რაც გავიგე, მხოლოდ „ხთშბთ“, „ვნხ“, „გზ“ და „ჯფრძ“. აღარ შემიძლია ამდენი საყვედურების მოსმენა და აჰა, დავბეჭდე. ისე, ნეტავ ავტორი თუ ამოიცნობს თავის მესიჯს? აი, შემდეგი მესიჯის ავტორი კი თითქოს ჩემს გულში იჯდა: „ახალი ცოცხი კარგად გვისო, მართალია, მაგრამ დამგველსაც გააჩნია... მაგალითად, ის, რომ მე ახლა „გზავნილებში“ „ახალი ცოცხი“ ვარ, მარი რომ არა, რას „დავგვიდი“? ასე რომ, ხალხნო, რა გიკვირთ, მარი თუ თქვენს გზავნილს ვერ ბეჭდავს? სანამ ახლები ვართ, მარი გულს არ გვწყვეტს და მერე რა ქნას, თუ წერას ვერ მივეჩვევით? შემდეგ ხომ კიდევ ჩემნაირი, ახალი გამორჩდება? იმათაც ხომ ვერ დასწყვეტს გულს? მთავარი ის კი არ არის, ცოცხი ახალია თუ ძველი, მთავარი ხარისხია... ჰოდა, ჩვენ გავგზავნოთ ხარისხიანი და ნაღდი გზავნილი და 100%-ით იყავით დარწმუნებული, რომ დაიბეჭდება. ქუთათური. მარი, გთხოვ, ეს გზავნილი ისე დაბეჭდე, რომ ყველამ წაიკითხოს. თუ ვინმეს არ მოეწონება, პასუხსაც გავცემ. გააწყალეს გული — არ ბეჭდავ, არ ბეჭდავო. ჰოდა, გეხუტუნე, თუ არ დაბეჭდავ, არ მეწყინება“.

დაკავშირებით. ახლა კი თქვენს მესიჯებს მივხედოთ. ამ კვირაში რამდენიმე მკითხველი კვლავ „გზავნილების“ ხარისხზე ალაპარაკდა:

ვისი ბრალია?

„ახალი ცოცხი კარგად გვისო, ამბობენ და დასაწყისში

„გზავნილები“ მართლაც საინტერესო იყო. რა დამაინტერესებს, ზამთარში, ნაძვის ხესთან, კალათში ჩანწვენილ ბაიას, რომელიც შეყვარებულმა ვაჟმა გულის სწორს მიუყვანა, რადგან იცოდა, რომ გოგონას ბავშვი არასოდეს შეეძინებოდა... ან სამარშრუტო ტაქსის მძღოლის მიერ, წვიმაში შემჩნეუ-



ლი სიყვარული დაავინყდება მკითხველს? ან ის, დილის ცვარს რომ აგროვებდა ვაჟი და საოცნებო ქალს მშვენიერ დილას ასე უთენებდა? ვუერთდები „ეგოისტსა“ და „თაისს“! თუმცა, ისიც გასაგებია, რომ მარკეტინგული თვალსაზრისით, ახლანდელი SMS-ები უფრო მომგებიანია. მარი, არ გამინაწყენდე, გთხოვ და არც ეს მესიჯი დაბეჭდო. თუ მოახერხებ, გაითვალისწინე. ახალი ცოცხი მართლაც კარგად გვიდა... თუმცა, ეს ჩვენი ბრალია და არა შენი... არტემიდე“.

დამლაგებელი

„ახალი ცოცხი კარგად გვი-სო, ნათქვამია და ალბათ ისიც იცით, რომ ბარბარობას სახლს ახალი ცოცხით გვიან. როგორც ამბობენ, ძალიან კარგი „ფეხი“ მაქვს და ერთ-ერთ ბარბარობას (რომელიც ცუდად დამამახსოვრდა), მეგობართან აღმოვჩნდი, სოფელში. ჩემს არაჩვეულებრივ „ფეხზე“ ლეგენდები გავრცელდა და გრაფიკი შეადგინეს, თუ რომელ ოჯახში უნდა მივსულიყავი. რა თქმა უნდა, ყველასთან გადავწყვიტე მისვლა და ჩემი „ფეხით“ მათი გაბედნიერება. :) პირველ ოჯახში რომ ფეხი შევდგი, ხელში მაშინვე ახალთახალი ცოცხი მომაჩეჩეს და მთელი სახლი გამომაგვევინეს. თურმე იმ სოფელში ასეთი ტრადიცია ყოფილა. მე კი ხათრი ვერავის გავუტეხე და იმ დღეს ლამის მთელი სოფლის სახლები დავასუფთავე. ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდი. მტვერზე ალერგია მაქვს. მათ კი თურმე მთელი დეკემბერი სახლი არ ჰქონდათ გამოგვილი, რადგან ბარბარობას უცდიდნენ. ახლა ცოცხის დანახვაზე ცუდად ვხდები. სულ ის დღე მახსენდება. თქვენი გ.გ.“

ფაფუ, პანაშვიდი!

„ამ ზაფხულს, როგორც ყოველთვის, ყველა კუთხე

მოვიწინაწაღე. ჯერ ბანაკიო, მერე დეიდა, მამიდა, ბოლოს, ბებოსთან წავედი მე და ჩემი დეიდაშვილები. ერთ დღეს, ოთხივე ერთად გავგიჟდით: გადავწყვიტეთ, ბებო მოგვეტყუებინა — ვითომ ჩვენი ნათესავი გარდაიცვალა და სამძიმარზე გავგეშვა. :) არც ერთს არ გვინდოდა ეს „სამწუხარო“ ამბავი გვეთქვა, რადგან ყველას გვეცინებოდა. ბოლოს გადაწყვიტე, რომ მე ვეტყუდი, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი იქ არ იქნებოდნენ. მოკლედ, მოვიდა ბებო და ახალი ამბავი „მივახარე“. სანყალმა ორი საათი იგლოვა და გადაწყვიტა, სამძიმარზე ქუთაისში იმ დღესვე (ეს სცენარით გათვალისწინებული არ გახლდათ) წასულიყო. ტირილ-ტირილით ჩაიცვა და წავიდა. თურმე გზაში ყვავილები უყრიდია და ისე მისულა სამძიმარზე. იქ რაც მოხდებოდა, თქვენც მიხვდებით. დაგვირეკა და გაგვაფრთხილა, სახლში არ დამხვდეთო. იქ რაღა გავგაჩერებდა? იმ დღესვე ავიკარით გუდა-ნაბადი და წამოვედით. :) ახლა კურიოზად, მაგრამ მაინც სინანულით იხსენებს ბებო. სმაილიკა“.

დაუპატიჟებელი სტუმრები

„ამ ბოლო დროს, „გზავნილებში“ პესიმისტურმა ამბებმა იმატა. მე კი მინდა, ერთი ძველი ამბავი გავიხსენო, რომელსაც მამაჩემი გვიყვება ხოლმე და მაგრამაც ვხალისობთ. ერთ მშვენიერ დილით, მამა და მისი მეგობარი ქუჩაში გამოსულან და ხედავენ, რომ ქორწილის მაყრიონი გადმოლაგდა მანქანებიდან. მამას და მის ძმაკაცს ბევრი აღარ უფიქრიათ და ისინიც შეჰყოლიან მაყრიონს. დაუნახავთ ხალიჩა, რგოლები და სახელები: ღია და გია, გილოცავთ ბედნიერებას. სუფრასთან, ვითომდა მოკრძალებული ადგილი შეურჩევიათ, მაგრამ ოჯახის უფროსს გაუშვერია ხელი და მათ გვერდით მჯდომი მამაკაცი თამადად

დაუსახელებია. თურმე მამაჩემი საგონებელში ჩავარდნილა: ნეტავ, თამადა რომელი მხრიდან არის დაპატიჟებული, რომ მე მეორე მხარის სტუმრად გავასალო თავიო. დალევს თამადა და გადმოაწოდებს სასმისს მამაჩემს. არის თურმე ამ პატივში. საუკეთესო კერძებიც იქ მიჰქონდათ. მათ წინ ერთი ფაშა-ფაშა ქალი მჯდარა, დაბლა კი კატა დაძვრებოდა თურმე. მამა კატებს ვერ იტანს, ის კი ფეხებზე ეგლასუნებოდა. ეს კატა კუდით მამაჩემისკენ დამჯდარა. კუდს აქეთ-იქით აქნევდა და წინ მჯდომ ქალს შესცქეროდა. მამამ არც აცია, არც აცხელა, დაუმიზნა ტუფლის ქუსლი და მძიმედ დაუშვა ზედ. ეს იყო და, ფაშაფაშა ქალი თურმე აფრინდა. ზაფხული იყო და ქალს შილიფად სცმია. კატა კი ფეხებზე ეცა. ხალხი ეცა მკვიან ქალს და თურმე არყით მოსწმინდეს დაკანრული ადგილები. აი, ასეთი გახლავთ ეს მავნებლური ამბავი. გაკოცეთ. ელისო“.

სანდახან არც ახალი ცოცხი გვის

„ეს ერთი კვირა, მართლაც, დეპრესიაში ვიყავი, მაგრამ ჩემს თავს ვძლიე და გადავწყვიტე, არავის ნატლიკინები არ ღირს იმად, რომ მე „გზავნილები“ დავტოვო. აქ ჩემი მეორე სამყაროა! მაგ მესიჯის ავტორს კი ვაცნობებ, რომ მე და გიო შევრიგდით და ძალიან ბედნიერები ვართ. შენ კი ორივეს ერთად მოგვიხდი ბოდიშს, გპირდები! პავლიკას, შენირულს და ყველას, ვინც გამომეხმაურა და მენდო, მადლობას ვუხდის. მეგრელო მგელო, ვილაცამ აშკარად არასწორად დაგიხატა ჩემი ფსიქოლოგიური პორტრეტი. შენ კი საიმისოდ უკვე დიდი გოგო ხარ, რომ ყველას ბრმად არ ენდო. რაც შეეხება სამებაში შეხვედრას, პავლიკას გარდა არავინ მოსულა. ეს კი ძალიან ცუდია. თურმე რა ტყუილად გაიძახოდით, შეხვედრა მოვანყოთო. :(ახლა კი ახალ ცოცხზე: ამბავი ჩემს დედიკოს ეხება. დედიკო ახალი გათხოვილი იყო და დაუვალეზიბათ, რომ მას და ნათესავ ბიჭს ყანაში სასუქი დაეყარათ (რა უბედურებაა, პატარძალი — ყანაში!). ჰოდა, ჩემს „ახალ ცოცხ“ დედიკოს და იმ ბიჭს აულიათ 6 ტომარა სასუქი და ჰაიდააა, მდინარეში! :) თურმე გაუგეს და უბედური შენი დედამთილი, ეს რა რძალი



ინცუმნეცი
სიყვდილოვიცია. მხოლოდ
საყოფისმოები მიჰყავს

შეუყვანია სახლშიო, უთქვამთ. :) მე რომ ეს გამიკეთონ, სათითაოდ ყველას მაგ სასუქში ცოცხლად ჩავმარხავ! „ვოტ ტაკ!“ კანიბალკა“.

უმაღური

„ათენიდან მოგესალმებით ყველას! მარი, გაიხარე „გზავნილების“ დაარსებისთვის. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ არასოდეს დამიმესიჯებია. თემას რაც შეეხება: ერთ საღამოს ჩემს მამიდაშვილებთან ერთად სახლში ვბრუნდებოდი და უცებ დავინახეთ, რომ 19-20 წლის ბიჭი

გვერდს აგივლიდით-მეთქი. აი, ასე გადაგვიხადა მადლობა ქართველმა ათენში. ამაზე ნათქვამი, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“.

იბადება კითხვა

იბადება კითხვა, მომძვრალი კბილი, გატეხილი სახაზავი და მკაცრი ბურჯანაძე — ეს ჩემი ფიზიკის მასწავლებლების მეტსახელებია. პირველი მასწავლებელი იყო — იბადება კითხვა. მთელი გაკვეთილების განმავლობაში ამ ფრაზას გაიძახოდა. მის გაკვეთილზე იმდენს ვხმაურობდით, რომ შეგვიცვალეს.

მომძვრალი კბილი იმდენს ყვიროდა, რომ ბოლოს მისი ერთადერთი ოქროს კბილი — ნკაპ და მოსძვრა. ამაზე ხომ მთელმა კლასმა იხარხარა. შემდეგ იყო — გატეხილი სახაზავი. როცა მიხვდა, რომ ყვირილით ვერაფერს გახდებოდა, სახაზავის მერხზე დარტყმა დაიწყო.

ეს ილინა



შუა გზაზე განოლილა და გემრიელად სძინავს. იერიით ქართველს მივამსგავსეთ. შეგვეცოდა, მანქანას არ გადაველოან პატრულს არ აეყვანა და დავიწყეთ მისი მოსულიერება. როგორც იქნა, გავადვიძეთ. აღმოჩნდა, რომ მაგარი მთვრალი და თან ნაცემი იყო. ჩვენ გვეუბნებოდა: ჩემმა ძმაკაცებმა გამწირეს და აქ დამტოვეს, თქვენ რატომ ზრუნავთ ჩემზე, როცა თქვენთვის უცნობი ვარო. თან ტიროდა: დამტოვეთ და ნადითო, მაგრამ უცხო ქვეყანაში ქართველს შუა გზაში როგორ მივატოვებდით? როგორც იქნა, ბევრი ხვეწნა-მუდარის მერე, თავისი მისამართიც გვითხრა. ტაქსი გავაჩერეთ და ნავიყვანეთ. ამასობაში, ეს ჩვენი „გმირი“ გამოფხიზლდა და ჯიბეში მობილური მოიძია. აღმოჩნდა, რომ დაჰკარგოდა. არც აცია, არც აცხელა და ჩვენ არ დავგაბრალა? — თქვენ მომპარავდითო. მე ვუთხარი: ახლა ერთს ისეთს გითავაზებ, რომ სამუდამოდ გამოფხიზლდები, შენი მობილურის მოპარვა რომ გენდომოდა, სახლამდე კი არ მოგაბრძანებდით ტაქსით,

ერთხელაც, სახაზავი გატყდა და კლასელს ყურზე მოხვდა. სანყალს, მგონი სახლში მისვლამდე სდიოდა სისხლი. გამოცვალეს სახაზავის ტეხია და მოვიდა — მკაცრი ბურჯანაძე. ერთს რომ დაიყვირებს, მთელი კლასი შიშისგან ცახცახებს, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ შეჩერებას, სანამ არ მივაგნებთ იმ ახალ ცოცხს, რომელიც კარგად დაგვის. ალკაპონე“.

სამად სამი მეგობარი

„სამად სამი მეგობარი, სტუდენტი გოგო პროვინციიდან ქალაქში ჩამოვედით. ბინა რომ არ გვექირავა, ერთმა ნათესავმა ქალმა შეგვიკედლა თავისთან. ბარგი დავანყვეთ თუ არა, იმწამსვე ბინის დალაგებას შევუდექით. სულ დავხეხეთ და დავანკრიალეთ იქაურობა. ამ ქალმაც იფიქრა: მეშველაო. ასე გრძელდებოდა კაი ხანს. მერე მოგვებზრდა და თეფშებს თუ დავრეცხავდით მარტო. აბა, იმსიგრძე ფრჩხილები დავიზარდეეთ... თანაც, საჭმლის კეთებაც გვეზარებოდა და ნახევრად მშივრები დავდიოდით.

მოკლედ, ამ ნათესავთან პარადი დიდხანს არ გაგვიგრძელდა. ჯერ იყო და, თავი „უმივალნიკში“ დავიბანე, შიგ თმა გაიჭედა და სანტექნიკოსის გამოძახება დაგვჭირდა. მერე ლოგინში, გასათბობად ჩადებულ „გრელკას“ თავი მოსძვრა და ლეიბები დასველდა. გასაშრობად რომ გადავკიდეთ და ლექციაზე წავედით, დიდი წვიმა მოვიდა და... დროზე გამოვასწარი (უფრო სწორად — გამოგვყარა), თორემ მეცხრე სართულიდან გადმოგვიშვებდა. მას მერე ბევრი ბინა გამოვიცვალეთ და ყველგან შეკლული გვყავდა „ხაზეიკები“. აბლახანუმი“.

შიში

„ერთი პერიოდი ხშირად ვიგებდით, რომ სადღაც გაზის ბალონი აფეთქდაო. ამიტომ, მშობლები სულ სიფრთხილისკენ მოგვინოვებდნენ. ერთ დღეს, მე და ჩემი ძმა შინ მარტო დავრჩით. საჭმლის გასაცხელებლად ჩავედი და უცებ ავტეხე ყვირილი: დედაა! მიშველეთ-მეთქი. მაინტერესებდა, ჩემს ძმას რა რეაქცია ექნებოდა. თან ვყვირი, თან ქვაბს ვურევ, არხეინად. ამ დღეში ვარ და უცებ მესმის კაცის ხმა. შემოვბრუნდი და გაფითრებული მამაჩემი არ შემრჩა ხელში? თურმე მოსულა, მე კი ვერ გავიგე. იქიდან ისე გავიპარე, რომ სანამ შეშინებული მამაჩემი აზრზე მოვიდოდა, ჩემი ხსენებაც აღარ იყო. არადა, მე მარტო ჩემი ძმის შეშინება მინდოდა. ამაღთა“.

დამნაშავე „გზავნილები“

„ახალი ცოცხი რომ კარგად გვის, დღეს პირდაპირი მნიშვნელობით გამოვცადე. უფრო სწორად, დედაჩემმა გამომაცდევინა. სახლი იყო დასაგველი, ჩემი დედიკო „გზავნილებს“ კითხულობდა, ამ დროს მამა ბაზრიდან დაბრუნდა და სხვა რამეებთან ერთად, ცოცხიც მოიტანა. მე რომ ცოცხი გამოვართვი, დედას კითხვა დამთავრებული ჰქონდა და მითხრა: მარის მომდევნო თემის სათაური გამოცადეო და ნოთახი დამაგვევინა. მერე მკითხა: მართალიაო? კინალამ გავგიჟდი, მაგრამ რას ვეტიყოდი? დაღლილი, პატარა მავნე“.



დაგვიანებული

„მარ, წელან „გზავნილებს“ ვკითხულობდი (ძველს). ჰოდა, მამაც თოჯინას, თუთას და ფლამინგოს მესიჯებზე იმხელა ხმაზე გადავიხარხარე, „ხაზეიკა“, ლუსი ბებია ამომადგა „კანტროლკაზე“. ვინმე გყავს სტუმრადო? :) არადა, იმწუთას მთელი მგზავნელები ჩემთან იყვნენ. უკლებლივ ყველა, მაგრამ ლუსი ბებომ ვერავინ დაინახა... :) ასეა, ორივე თვალზე გლაუკომა და კატარაქტა როცა გექნება, სპილოს ვერ დაინახავ, ცხვირზეც რომ წამოგასკუბდეს; :) არამც თუ გულში ჩაბუდებულ მარის, პარიჟანკას, გერასიმეს, შენირულს, კანიბალკას, ნელკას, მონასტრის ბიჭს, პენსიონერს, ლეოს... აუუუუ... გამომრჩება ახლა ვინმევე! ჰოდა, რა უნდა მეთქვა: ჩემს მეზობლად ბიჭები ცხოვრობენ. ერთ-ერთი გუშინ ჩემს ტელეფონს აწვალა... დილით რომ გავიღვიძე, მდულარედასხმულივით წამოვვარდი, მაგვიანდება-მეთქი. თუუურმე, ამ ჩემს პარაზიტებს არ გადაუწევიათ საათი? :) ჰოდა, მოგეცა ლხენა, მთელი 45 წუთი ცარიელ აუდიტორიაში ვიყურყუტე: (და თუ გადამირჩინენ, იმდენს ვურტყამ, რუსის „ბარაბანს“ რომ არ მოხვედრია. მიქელებო, მიფრთხილდით, დაგაჯდათ სიკვდილის ბუზი, თქვენი დროც მოვა დააა... მარ, იცი, ბევრი ვიფიქრე, თუ — ცოტა, ჩემი სურათის გამოგზავნა გადავწყვიტე. აააბა, მითალი, ვგავარ ხომ გოჭს? ილინი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„გაფრენილი“ პიჯაკი

„ამ დილით „გზა“ რომ ვიყიდე და გადავშალე, რამდენიმე ათეული წლის სიცოცხლე მომემატა. გაიხარე! ვიცი, დიდი ვერაფერი გზავნილები მაქვს, მაგრამ მაინც დაბეჭდე და სტიმული მომეცი. არც ის გამიკვირდება და არც მეწყ-

ინება, თუ არ დამიბეჭდავ, რადგან შენ ერთი ხარ, ჩვენ — ბევრნი. ძილი ნებისა, ტკბილი სიზმრები. ქუთათური“.

„მარი, იცი, რომ ჩემი მეუღლის სოფელს ჯაფარიძე ჰქვია? ესეც ერთი დამთხვევა! მარ, ლევანს უნდა ვუჩივლო, რომ თუ შინაა, „გზას“ ხელიდან მტაცებს. ბოლოს კი, არ დავთმე და გამებუტა. მარი, უკვე შენი და „გზავნილების“ ფანია. გა-

ჩემს უინტერესო მესიჯს ადგილი არ უნდა დაეკავებინა. მოკლედ, იმდენი ვიგორავე სიცილისგან, ახლაც მაგიდის ქვეშ ვარ. განსაკუთრებით — კარდიოლოგის ამბავზე. მიყვარხართ. მაგდალინა“.

„ეს რა გავიგე! მგზავნელებო, თქვენ რა, ერთმანეთს შეხვდით? მე რატომ გამომეპარა? აუ, როგორ დამწყდა გული! რადგან ახალი ვარ, არ მითხარით? ან

გაიხაროს მშენებელმა

„ორი წლის წინ, ჩემმა მეზობელმა, რომელიც ჩემ ზემოთ ცხოვრობს, ცოლი მოიყვანა. ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული გოგო იყო, მაგრამ მისმა დედამთილმა, როგორც ჩვენთან, კახეთში იტყვიან ხოლმე, ქებით ძირი გააგდებინა. სულ თავის ანგელოზ რძალზე ლაპარაკობდა: მან რომ სახლის დალაგება იცის, არსად მინახავს, ოქროს ხელი აქვს, ისეთ კერძებს ამზადებს, თითებს ჩაიკვნეტ, რა განათლებულია, რა სიტყვა-პასუხი აქვსო და ა.შ. მისი სილამაზით ხომ აღფრთოვანებული იყო. სულ „ენაცვალოს დედას“ ეძახდა. ერთი სიტყვით, ეს დედამთილობანას თამაში ზუსტად 1 წელი გაგრძელდა. მერე კი ეტყობა „ახალმა ცოცხმა“ აქა-იქ ნაგავიც მოიტანა და ახლა, ყოველ დილასალამოს იმისთანა ხელჩართული ბრძოლა აქვთ გამართული, იმისთანა ლენვა-მტკრევის ხმა ჩამოდის, ისე ზანზარებს ჩვენი ჭერი, რომ სულ მის ამშენებელს ვლოცავ, ასეთი გამძლე შენობის აშენებისთვის. P.S. სხვათა შორის, ახლაც შიშით შევცქერი მოქანავე, სასწაულით გადარჩენილ ჭალს, რომელიც, კაცმა არ იცის, როდის დამემხოთა თავზე. პენსიონერი“.

კოცეთ. ელისო“.

„გზავნილები“ რომ გადავფურცლე და ჩემი მესიჯი ვერ ვნახე, ცოტა მეწყინასავით, მაგრამ „გზავნილების“ კითხვას რომ მოვრჩი, ღმერთს მადლობა ვუთხარი, რომ არ გამოაქვეყნეს ისეთი მაგარი ამბები ეწერა,

მე როგორ გამომეპარა? ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. არც ისეთი ახალი ვარ, რომ გამოგრჩენოდით. თუ კიდევ შეხვდებით ერთმანეთს, არ გამომაპართ. როზი“.

„გამარჯობა, მარორიტა. ვეხმაურები პენსიონერს. მაპატიეთ, მე ნიკს ცხოვრებიდან გამომდინარე ვიღებ. ერთი ნიკი მეც ვიღაცამ ამახია. მე მოხვევ ვარ და ვიფიქრე, ამ ნიკით დავამესიჯებ-მეთქი. არც ეგ გამოვიდა და ბოლოს, ამაზე შევაჩერე არჩევანი. კარგი, დაიკო, რაზეა ბაზარი, შევცვლი. ისედაც მინდოდა, რადგან ჩემი სიხარული მიხვდა, რომ მე ვამესიჯებდი. ასე რომ, გეხუტუნე გულში და აი ჩემი ახალი ნიკიც — ბაკო“.



ნუ ვამაყუნჯოლოვბთ,
ყყყ ალამ ვიცი,
„ცომოჭები“ სად წავიღო

„ახალი „ცოცხი“ რომ იყო ჩვენი პრეზიდენტი, მაშინ ეგეც კარგად გვიდა, მაგრამ ისე უცებ დაძველდა, რომ აღარაფრად ვარგა. გავტეხოთ ორად ეს უვარგისი „ცოცხი“ და ჰაიდა, ლუმელში! არ მეთანხმებით, მგზავნებო? კამელია“.

„2 დღის წინ, ჩემს მეუღლეს იცით, რა გაუჟკეთე? მთვრალი

„ნელში იხრება“ და დაგვისას უკან კაი ბლომად „მზითვი“ რჩება. მერე ნაგვის ვედროში მიბრძანდება და ოჯახში ახალი ცოცხი მოაქვთ. მათ! ისე, ადამიანის ცხოვრებაშიც ასე ხდება, არა? ველური ყვავილი“.

„უიღბლო ქორწინების 40 ნიშანს“ ვკითხულობ და მივადექი 36-ე ნიშანს. მაგრად

მალე გაშინაურდა და ხელს არ ანძრევდა. ერთი სიტყვით, გონჯი აღმოჩნდა, რა... მოხევე სალო“.

„გამარჯობა, მარი! როგორ ხარ? თემაც რა შესანიშნავი შეარჩიე! როგორც საქართველოს ყველა სკოლაში, ჩვენს სკოლასაც ახალი დირექტორი ჰყავს, რომელიც საკმაოდ მკაცრი პიროვნება ჩანს. თუმცა, ჩვენ არც ანტიკვარული ცოცხი გვიშველის. ჩემი კლასი აუღებელი ციხესიმაგრეა. ზაფხულში ჩემს კლასში თოვს, ხოლო ზამთარში — გვალვაა. ისტორიის გაკვეთილზე „გედების ტბას“ ვამუღამებთ, ხოლო გერმანულზე — „ივანე მრისხანეს“. მოკლედ, სკოლაში განთქმული კლასი გვყავს. პუმა“.

„გუშინ ვარჯიშზე მარტო მივჩანჩალებდი და ჩემკენ მომავალი 2 გოგო და 3 ბიჭი დავინახე. აუ, ერთი ბიჭი როგორ მომეწონა, იცი? თვალბებინა და მარჯვენა ხელით ვუხარხარებდი, მაგრამ გვერდზე რომ ჩამიარეს, ის ჩემი მოწონებული ბიჭიც და დანარჩენებიც, გოგონები აღმოჩნდნენ. დაშოკილმა ვივარჯიშე. გოგონების ფეხბურთის გუნდის წევრები ყოფილან. იცი, რა ბიჭურები იყვნენ? ფეხბურთი შემზიზილდაააა! ტაეკვონდო, ფორევა! ჩორი-ჩორი“.

„ახალი ცოცხიო, — ეგ გამოთქმა ჩვენს უფროსებზე უფრო ამართლებს. ახალდანიშნულები არიან თანამდებობებზე და იჭერენ და ყრიან ხალხს სამსახურიდან. ისე გაქცევინ, თითქოს ნაცმოძრაობიდან, კმარადან ან სხვა ამგვარი ორგანიზაციებიდან კი არა, ზეციდან ჩამოფრინდნენ. მე ასეთ უფროსებს ვერასდროს დავაფასებ და ვერც მიველაქუცები“.

„როცა თსუ-ში „ახალი ცოცხი“ ვიყავი, საშინელ დღეში ჩავვარდი. ხუთშაბათს მაქვს ლექცია, რომელშიც ლექტორი მყავს — „პროსტო უუუჟას!“ :) ყველაფერს ერთი ტონით და სასვენი ნიშნების გარეშე ამბობს, თან კითხვებს რო ვუსვამ, არ უყვარს. სულ თვითონ ლაპარაკობს. ჰოდა, ამ ლექციიდან საღ ნერვებზე გამოსასვლელად „სუპერპუპერ“ რეცეპტი გამოვიგონე: ვისაც ხუთშაბათობით ძლიერაშვილის ლექციაზე დასწრება უნევს, ვურჩევ, ლექციამდე იყიდოს „გზა“ და აბუღბუღოს, მტრის

„ჩემი შვილი გაეროში მუშაობს!“

„ახალი ცოცხი კარგად გვისო, ახალ რძლებზე არაა, ნათქვამი? :) რა თემის პასუხია, მაგრამ გული არ მითმენს, აქ ერთი დაუნებული სარძლოს ამბავი არ გაუბნოთ. ამას წინათ, ვილაც მსხვილგაბარითიანი ქალბატონი მესტუმრა და თავი წყალკანალის ინკასატორად გამაცნო. სახლში შემოვიპატიუე და არეულობისთვის ბოდიშიც მოვუხადე (გენერალური დასუფთავება მქონდა, რა!). — არა უშავს, არ გაკონტროლებ, შენხელა ბიჭი მყავს, მაგრამ მაინც არ გაკონტროლებ; თუმცა, თუ კარგად მოიქცევი... შეიძლება, გაგაკონტროლო კიდევცო, — იმედი მთლად არ გადამინურა ინკასატორმა. გმადლობთ, არ მინდა-მეთქი, თავაზიანად ვუთხარი. არ მეგონა, ჩემს სიტყვებზე ასეთი მძაფრი რეაქცია თუ ექნებოდა. აუ, რას ავარდაა?! — რა სჭირს, გოგო, ჩემს ბიჭს შენი დასაწუნი, გაეროში მუშაობს! — და თქვენ ხომ არ იცით, მე სად ვმუშაობ? — აყვევი მეც და რას მებლატავებით-მეთქი, კინალამ მივაყოლე, მაგრამ დროზე მოკვეტე. — ჰმ, მაინც სად მუშაობ, ერთი? — ისეთი თვალებით გადმომხედა, გამგმირა ქალი! :) კიდევ კარგი, ტელეფონმა დარეკა და „მარიაჟა“ ინკასატორმაც ისინდისა და წავიდა, თორემ ვაპირებდი, ჩემი თანამდებობაც გამემხილა მისთვის: პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის უფროსობით ვერ გავუწევდი კონკურენციას მის ბიჭუკელას? :) ჰმ, ეს ინკასატორებიც რომ თავზე დაგაჯდებიან! ვაიი... სახლში შემოვიპატიუო კი არა, აწი კარსაც აღარ გავუღებ მაგათ! მამაცი თოჯინა“.

მოვიდა სახლში და თან ძალიან გამაბრაზა. ავდექი და გარდერობიდან გამოვიღე პიჯაკი, რომელიც ძალიან უყვარს და მე-14 სართულიდან მოვისროლე. მეორე დღეს რომ ვერ ნახა, მკითხა: სად არის პიჯაკი? საბუთები და პასპორტი მედოჯიბეშიო. მე მხრები ავიჩიჩე და დამცხა. თან როგორ! ზაზა, იმედია წაიკითხავ და გაიგებ, სადაა შენი პიჯაკი. 0917“.

„ახალი ცოცხი ჩემს ოჯახშიც კარგად გვის. მერე ნელ-ნელა ძველდება, „თმა“ სცვივა,

ვიციხე. ჩემი ქმარი მოკლე, ატლასის წითელ პერანგში წარმოვიდგინე. ან ერთი თეთრი „მაიკა“ და შორტი მაქვს, წითელი გულებით. კიდევ კარგი, ჩემებს არ იცვამს, თორემ გავაფრენდი. შორიდან დავუქნევდი ხელს. აუ, რამდენი ვიციხე, ნეტავ, არაფერი მენყინოს. lily-19“.

„მარი, „პრივეტ“! დაქალი წავიყვანე ყაზბეგში. მეგონა, მაგანდაზას მაინც გაამართლებდა და მომეხმარებოდა. სახლში ხომ მარტოები ვიყავით, მაგრამ



გულის გასახეთქად! :) კანი-ბალკა“.

„ეჰ, 2 ნოემბრის მიტინგზე არ მიშვებენ. სახლიდან ფეხს არ გაადგამ, თავი ხომ არ მოგძულებიან? არადა, როგორ მინდა წასვლაა! ჰოდა, გადავწყვიტე, ჩემებს სამაგიერო გადავუხადო. „ვოტ“! ოჯახში მაგ თემაზე ლაპარაკი ყველას ავუკრძალე. საქმელს არ ვჭამ და მთელი დღე შიმშილით ვკვდები. ასე რომ, მეც ვიტან-ჯები, ჩემს ხალხთან ერთად! ველური ყვავილი“.

„მაგრები ხართ, მგზავნელე-ბო! „გზავნილების“ კითხვით ისე გავერთე, რომ კარტოფილი დამენვა და დავრჩი მშიერი. :- (გაიხარეთ! კარდიოლოგო, ძაან მაგარი ხარ. მპუა“.

„პრივეტები“, მარ, როგორ ხარ? თუმცა ჩვენს ხელში როგორ იქნები?! :-) აი, მე კი... სულ ერთი თვის წინ ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა. ჰოოდა, ეს ჩემი რძალი რომ დაბზრილდა, ძლივს ვაჩერებთ. :-) ჯერ ახალია. თან არ იცის, ვის ხელშია. ვაი, ვაიიი! აბა, გაბედოს და დაძველდეს, მივასიკვდილებ!“

„მარი, „ახალი ცოცხების“ რევოლუცია რომ მოაწყო, არ გინდა? იმდენ ადამიანს უყვარხარ, რომ ყველა გვერდით დაგიდგება. თითო ცოცხს ყველა წამოვიღებთ შინიდან და ამ ხელისუფლებას ისე „კოხტად“ გავგვით პარლამენტიდან და კანცელარიიდან, რომ შენი მონონებული“.

„მარიი, „რუსთავი 2“-ზე გადაცემას — „დილა მშვიდობისა საქართველოვ“ არ უყურე? მე სკოლის გამო ვერ ვუყურებ ხოლმე, დღეს კი ვაცდენდი და შემთხვევით მოვკარი ყური, ვილაცამ უურნალი „გზა“ ახსენა. „გზაოოოო“? ვეცი ტელევიზორს. ერთი კაცი ჰყავთ, პრესას მიმოიხილავს. „გზა“ ეჭირა და „ფოტოკალენდარს“ უკითხავდა წამყვანებს და მაყურებელს. იცი, როგორ ხალისობდნენ? მერე „გზავნილებზე“ გადავიდა.

ბოლოს, „ყველაზე სულელური სიკვდილიდან“ „ქორწინების ფინალი“ წაიკითხა და ხალხი სიცილით ჩააბჟირა. ამ დროს მე უნდა გენახე. სიხარულით და სიამაყით გაბრწყინებული ვუყურებდი (მეც ხომ „გზის“ წევრი ვარ). მერე „გზა“ თვითონაც ვიყიდე და სათაურით გამოყოფილი ჩემი მესიჯი ვნახე. მარ, დიდი მადლობა, რომ ასე გამახარე. მესიჯომანი“.

„ახალი ცოცხი კარგად რომ გვის, მგონი, რძლებზეა ნათქვამი, მაგრამ სხვა პონტშიც მიდის, მაგალითად, „პივაზე“. ჩემს შემთხვევაში, ეს ყოველთვის ასეა. თავიდან, კარგად „ვგვი“ ხოლმე, ბოლოში კი — ვჭედავ. აი, ავიღოთ თუნდაც „გზავნილები“. თავიდან ისეთი მორიდებული ვიყავი: „ნეტავ, მიმიღებენ?“ „ნეტავ, შემიყვარებენ?“ „მაარ, დამიბეჭდე, რა“... და ა.შ. ახლა, ცოტას ვიკბინები ხოლმე, მაგრამ მგონი, არ ვჭედავ, არა? კბენა უნდა მაპატიოთ, 15 წლის ბუბუტურა ბავშვი ვარ და არავის ვერჩი. თუ გავჭედავ, ჩემი ბრალი მაინც არ იქნება — კახელის და მთიულის „გამოშვება“ ვარ. მესიჯომანი“.

„აუ, მარი, გაიხარე, საყვარელო, მესიჯო რომ დამიბეჭდე. უუძაანმაგრესი ხარ! აუ, რა მაინტერესებს, იცი? კანიბალკას ვინ კასპელი ლანძღავს და რატომ? გვიყვარდეს ერთმანეთი. გენათალეთ თქვენ. კასპიი! სად ხართ, კაცოოოო? დავიჯერო, მარტო მე ვარ? არ არსებობოოო! კასპელი ცუნცულა“.

„მოკლედ, დიდი ხნის სურვილის შემდეგ, შენირული გავიცანი და ამ საინტერესო ადამიანით ძალიან კმაყოფილი ვარ. აღმოჩნდა, რომ ორივეს გვიყვარს საქართველო, ორივე განვიცდით მის ამბავს და არ გვსიამოვნებს ჩვენს სამშობლოში ჩინელების სოკოებივით მომრავლება. ჰოდა, ჩვენო წვრილთვალა, დაუპატიუბელო სტუმრებო, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, თორემ მოიდა

მამა ბასილიი... კი არა და, შენირული და მგლის დაი, გენავ!“

„დედა საქმელს აკეთებდა. უცებ სამზარეულოდან გავიდა. სანამ გავიდოდა, ქვაბში პილ-პილს ყრიდა. ჰოდა, საქმე მე „დავასრულე“ და იმდენი ჩავყარე, რომ მამა ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან. ინტრიგანკა“.

„ვამესიჯებ დილაა თუ ბინდია, ფული არ მაქვს, 2 თეთრი „მიგდია“, 5-ლარიანს თუ ჩამირთავთ, მადლია, დაილოცოს „გზავნილების“ ნათლია. მარი, ისეთი ქალი ხაარ! უკომენტაროდ. ინტრიგანკა“.

„ფინტიკოზა, შემოგვევლე ეროვნულ სულისკვეთებაში. ჩინელების გადამკიდემ, გაცლა ვამჯობინე და უკრაინას მივაშურე, მაგრამ აქაც ოხრად არიან. :-) სვანი“.

„ნეტავ, ბალავაძე თუ წაიკითხავს „გზავნილებს“? ვახტანგ ბატონო, თქვენს ადგილას „გზის“ წინა ნომრის მთელ ტირაჟს ვიყიდდი, თქვენი უვიცობის ამბავი მთელ საქართველოს რომ არ წაეკითხა. სვანი“.

„მეც ათენში ვარ და მათი მიკვირს, ვინც ბერძნებს ლანძღავს. თითქოს მოგვიტაცეს და ძალით გვამუშავებენ. ამათი ფულით ვირჩენთ თავს და კიდევ ვწყევლოთ და ვლანძლოთ? ჩვენგან განსხვავებით, ბერძნებმა წყევლა არ იციან. არ გენყინოს, კატერინა. მარი, დაბეჭდე, გთხოვ. უსამართლობას თუ ვერ მოვსპობ, მის წამალს მაინც დავთესავ. სამართლიანი“.

„მივესალმები „გზას“ და მთელ საქართველოს, განსაკუთრებით კი სვანეთს. როგორც იქნა, უკრაინაში „გზა“ ვიშოვე და ჭკუაზე არა ვარ. :-) მენატრებით და გკოცნით. მაარ, თუ სვანი ხარ, დამიბეჭდე რაა? თემა მომენონა ძალიან. თან „ერუდიტის“ სტუმარზე გავგიჟდი. ასეთი „ნიჭიანი“ უმრავლესობა რომ გვყავს, სწორედ მაგიტომ ვამჯობინე გაცლა. სვანი“.

„როგორც ნარკომანი, ისე ვარ „გზის“ მიმართ. თავს ვეღარ ვანებებ. ახლა კი ერთ ამბავსაც მოგიყვებით: ჩვენთან, სოფელში, ისტორიის მასწავლებელი ბავშვებს გაკვეთილს უხსნიდა. უთხრა: დავით აღმაშენებელი 16 წლის იყო, ტახტზე რომ ავიდაო. ამ დროს ერთი ბიჭი წამოდგა და უთხრა: მერე რა მოხდა, მასწავლებელო,



შოცა 2 მასწყვი საშობოძს,
ისინი გმომანვიოზე ლაჟამაყოზენ,
შოცა 2 ჟალი საშობოძს, ისინი
მესამეზე ლაჟამაყოზენ

მე 14 წლის ვარ და „შკაფის“ თავზე ავდივარო. კობრა“.

„ამ ერთხელაც ვცდი და... რა ვიცი ბოშო, ერთი მესიჯუკა მაინც დამიბეჭდე. მიყვარხართ ყველა, გენაცვალოთ ბებერი“.

„ვაიმე, ვაიმე, ეს რა ნიკი ნავიკითხე? გავოცდი. „მგლის და“? ვაიმე, იცი, ჩემს ერთ-ერთ მოთხრობას, რომელიც ახლახან დავასრულე, სწორედ

იციელს. უცებ წავილულლულე: უი, „იასუ“-მეთქი და მანაც არ დააყოვნა და მითხრა: „იასუ, კუკლაო“. :) უიმე, რომ მოვხიეე... ახლაც გავრბივარ. :) კინალამ გვერდზე დამჩა საყვარელი „გზა“. ემინემა. ათენი“.

„მარი, ცა, ომონიდან მოვდიოდი და თან „გზას“ ვკითხულობდი. ჰოდა, გრძელთმიანი,

რომ ერთად ლოცულობდა, ამის დანახვა ყველაზე გულქვა ადამიანსაც კი „ჯიგარს შაუტოკებდა“. საქართველოს მარტო ამ ლოცვის მაღლიც გადაარჩენს და როცა ერთად ამღერდა მერაბ სეფაშვილი და 150 ათასი ადამიანი — „საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის“, თვალები ამიცრემლიანდა. ქართველებო, გვიყვარდეს ერთმანეთი და ვერავინ მოგვერევა. ჩვენთან არს ღმერთი. მგლის და“.

„აუ, რა კაი თემაა! ვიცი, რომ „გზა“ ათენში პოპულარობით სარგებლობს. მინდა, ირაკლის ვუთხრა: შენს ცოცხს (ანუ ახალშერთულ ცოლს) ტარი რომ მოელუნება და მაგ სოფელელის ყურება ყელში ამოგივა, მაშინ მაინც არ მიწნატრებ? ჰოდა, ველოდები მაგ „ცოცხის“ გაცვეთას. სადისტი კლეოპატრა“.

„ლუციფერის მესიჯმა გული ძაან მატკინა და მომიკლა. ლუციფერ, დაფიქრდი და მიხვდები, რომ ბევრს სჭირდები! მართალია, არ გიცნობ, მაგრამ ყველაფერს კარგს გისურვებ! ცუბა“.

„ბოდიში, თუ გაგაღვიძე, მაგრამ რა ვქნა? რომ ვწვები, სულ „გზავნილებზე“ და შენზე ვფიქრობ, მარი. „ნეტავ, ეს მესიჯი იქნება?“ „ნეტავ, მარი ნავიკითხავს?“ რა ვქნა, ერთი სული მაქვს, როდის მოვა ხუთშაბათი დღე? გავგიჟდით და გადავირიეთ ხალხი. მარი, არა უშავს, თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებ, შენ ხომ მაინც ნავიკითხავ? როზი“.

„მარიიი! ეს რა მკაცრი განცხადება დაგვიწერე? არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ახალი ცოცხი კარგად გვის. რატომ? იმიტომ, რომ თუ კარგი ადამიანია, ბოლომდე კარგი იქნება. მაგალითად? მაგალითად, შენ მართლაც რამდენი ხანია, გიცნობთ, მაგრამ მგონი არასოდეს გაგიბრაზებებივართ მკითხველები. იმედი მაქვს, ბოლომდე ასეთი იქნები, ჩვენც სულ შენთან ვიქნებით და არასოდეს დაგივიწყებთ. თქვენი უერთგულესი როზი“.

„უფ, ისეთი ქარიშხლიანი წვიმა მოვიდა წუხელ, მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, ნეტავ, დილით ჩემი ეზო რა დღეში იქნება-მეთქი. ჰოდა, ახლა ვუყურებ და ვხვდები, მართლა კარგი, ახალი ცოცხი თუ მიშველის. არადა, ამ ყურძენს და კივის კიდეც რამდენ ხანს



მარცხნივ ნახვალ — დაბრუნდები, ზევით ნახვალ — უფალი გაცხონებს



ეგ სათაური აქვს. მგლის დავ, გამაოცე. ვაიმეეე!“

„ერთი თვეა, დედაჩემი მპირდება, კალაძეს დაგახევე თავზეო. ჰოდა, ინტერნეტში ძრომიალის დროს კიდევე მომისწრო და ჩემს ლამაზ პლაკატზე იყარა ჯავრი. ბებერი“.

„კასპელო ცუნცულავ, მე ვარ კასპელი და კიდევე სინიორელა. არ გვიძინავს, გენაცვალე, ყველა ნომერში ვაქტიურობთ (ეჰ, მომენატრეთ, კასპელებო). გაკოცეთ ყველას. ლორელაი“.

„მარ, იცი, რა დამემართა? ომონიაზე გავედი და „გზა“ ვიყიდე. მაშინვე „გზავნილებში“ ჩავძვერი თან ნელი ნაბიჯებით მივდიოდი. უცებ — ბახ! დავეჯახე, იცი ვის? მილ-

ბენდენანაკრული და საყურიანი გურული არ გამეცნო? ვიფიქრე: რეიზა არ დამეფსება აი თვალები-თქვა... ა, ცა, ამფერათ იშნობს ზოგი ევროპას... მოი ახლა და ნუ გადვირევი, მაგენის შემყურე და კიდო იტყვიან — გურულები რეიზა არიან გადარეულებიო. ისე, გადარეული გურული რომ მაგარი არ იყოს, იმხელა ძეგლს კი არ დუუდგამდენ. გააჯაზეთ, გურულებო, მიყვარხართ. მე ლანჩხუთში მივდივარ და გშურდეთ! ჰკკ“.

„ჯერ არ ვიცი, რა თემა გაქვთ, მაგრამ ვიცი, რომ აქციების თემას ვერ გავექვევით. არ ვიდაოთ, თუ ვის რა პოლიტიკური სიმპათია აქვს, მაგრამ ამდენი ხალხი

არ გასცვივდება ფოთლები... „ცოცხების სააგენტოში“ მომიწევს დარეკვა. აბლახანუმი“.

„ეჰ, მარი, მარი... შევდივარ შენს მდგომარეობაში, როგორ არა, მაგრამ მეც რომ მივეჩვიე, ყველა ნომერში საკუთარი მესიჯის ხილვას, რა ვქნა, ჰა? კარგი, კარგი, თუ მუხა ნამეტანი არ შემანუხებს, აღარ დაგიმესჯებ. ფინტიკოზა. P.S. ისე, მარ, წინა ნომრის „მოკლე ჩართვის“ პასუხები რატომ მოგვიტეხე? გადავაქოთე „გზავნილები“, „ნო, უვი“, რას ეძებ, რა დაგიკარგავს?“

„მე ანდაზებს ვაპროტესტებ და ვარ ოპოზიცია./ თუ ახალი ცოცხი დაგვის, ძველი უკეთესია./ დამეთანხმეთ, მგზავნილებო, ვინც ახალი არა ხართ/ თქვენ ხომ უკვე ძველი გქვიათ, მაგრამ მაინც აქა ხართ./ თანაც, ყველა კარგად „გვით“ და ახალისებთ „გზავნილებს“/ თქვენ „მოგავეთ“, ოღონდ ისევ, „ნაგავს“ ვინმე აიღებს./ ახლებო, არ გამიბრაზდეთ! მარი, ალბათ გამიგებ/ შენმა „გზამ“ და „გზავნილებმა“ გალაქტიკა დაიპყრეს/ თითოეულ მგზავნიელს, გულში სხივად ანთიხარ./ მთელი კვირის ყოველი დღე, ხუთშაბათად გადაიქცა./ მარი, ეს რა მოიგონე, ყველა ერთად შეგვშალო/ განვლილი და გასავლელი გზა წინ გადაგვიშალო/ ერთმანეთის თანადგომა, სიტბო, ზრუნვა გვასწავლე.../ ოთხშაბათის ღამე ჩვენთვის, ინელება საშინლად./ სიზმარში სულ გზავნილს ვხედავთ, მშვიდი ძილი გავგიქრა/ ხუთშაბათს კი ყველა სწრაფად მივიჩქარით ჯიხურში./ მარის სწერენ: გიჩქუნია? მუ მანგარას მიორქი! და იმ დილით ყველას „გზა“ აქვს, ტრანსპორტში თუ საჭესთან/ და ფიქრობენ: ნეტავ, ჩემი ესემესი დაბეჭდა?/ ზოგი მალე პოულობს და ზოგი კიდევ — ვერც გვიან/ მარიზე გაბრაზდებიან, ჩუმად გულზე სკდებიან./ ნუ იდარდებთ, არ დალიოთ, „კაპლები“ და წამლები/ სულ ყველანი მაგრები ხართ, ძველებიც და ახლებიც! P.S. ვიცი, ყველას ძალზე გიყვართ ჩვენი მარი, მარიკელა,

აბა, ჩქარა, „გზავნილებში“ ზარი უკვე დაირეკა! კამელია“.

„საცა არა სჯობს, მართლა გაცლა სჯობს, მაგრამ მე ხომ უკუღმა მეამის ყველაფერი? ამიტომ იყო, ცემა-ტყეპის ქარცეცხლში რომ მოვხვდი. ჩემი ძმა ჩხუბობდა და აბა, რა მექნა? რომ შევევარდი ეს ჩხირივით გოგო ამ ზორბა ბიჭებში... მე იქ დღე დამადგა?! საბოლოოდ, ყველაზე მეტად მე დავზარალდი. :-) ამაღთეა“.

„ახალი ცოცხი კარგად გვის, მაგრამ კარგი დიასახლისია საჭირო, რომ ნაგავს სხვა რამეც, გამოსადეგი და საჭირო არ მიაყოლოს“.

„ცუდადაა მიშას საქმე! აქციაზე ვერ მივდივარ, მაგრამ სულითა და გულით იქ ვარ! პირველში ღამე „ღია ეთერს“ ვუყურებდი. მომიტინგეების პირველი ნაკადი რომ გამოჩნდა, ჟრუანტელმა დამიარა. დღეს გაკვეთილები გაგვიცადა. სულ აქციაზე ვლაპარაკობდით. ჩემი მასწავლებლები უკვე პარლამენტთან არიან. აუ, ჭუტალა ბოკერია დამაჭერინა... უუი, უუი, უუი... მესიჯომანი“.

„ვაიმე! რიგითი ღამურა სენაკში ყოფილა! მეგრელებმა არ გაგიგონ, ვინ ხარ, თორემ ცუდადაა შენი საქმე! :) პატივისცემით, „გზავნილების“ არმიის ერთ-ერთი ასმეთაური, პარიუანკა“.

„ახალი ცოცხი ქალს ჰგავს. სანამ ახალია, ახალგაზრდაა, კარგად გვის, კარგად ალაგებს და ასუფთავებს. რომ მოძველება, გარეთ აგდებენ, მისით უკვე ეზოს გვიან და ხანდახან ძალღებსაც იგერიებენ. მხატვარი“.

„ეგ თემა ჩემია. ყოველ ორშაბათს „ლოვეს“ ვიცვლი, „პაკ-ლოები“ კი ოხრად მყავს. სულ მეჩხუბებიან, ნუ ხარ ასეთი თავქარიანი, სიყვარულს ნუ ეთამაშები, თორემ უსიყვარულოდ დარჩებიო, მაგრამ ასეთი ვარ და რა ვქნა? უცებ მბეზრდება ყველაფერი, „პაკ-ლოები“ კი ყველაზე მეტად.

ახალი უკეთესად გვის! პატარა ბ.ა.ლ.ი“.

„მარ, დაგვიანებით კი გამესიჯებ, მაგრამ მაინც... საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, გამიგია და მეც გადავწყვიტე, სახლიდან წავიდე. აღარ მინდა, ზარმაცი გოგოს როლი. მართალია, პატარა ვარ, მაგრამ სწავლასთან ერთად უკვე ვმუშაობ. ჰოდა, მინდა, ჩემი თავი გამოვცადო, მარტო ვიცხოვრო და სიზარმაცეც დავძლიო. ნეტავ, გამომივა? გელოვანი“.

„მარი, გამარჯობა! უნდა გავაპოლიტიკურო ცოტა ეს რუბრიკა. რა თქმა უნდა, აუცილებელია, გამოთქვა პროტესტი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ არა ისე, როგორც ზოგიერთი ვაი-პატრიოტი აკეთებს. არ შეიძლება, ეკლესიასთან იდგე და მთავრობას აგინებდე. ღამის ტაძარში შესული, სიგარეტს ეწეოდე ან სკამების გამო ყველაზე მაღალი ხმით გაჟყვიროდე — „მიშა, ვარდებიო!“ ვინც კი მიხვდა, რომ ამ ხელისუფლებას ძირი ეთხრება, მყისიერად „ნაციონალების“ მანდატები დაწვეს. ხალხმა კი ტაში დაუკრა. აი, ეს არის სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს. აი, ეს ვითომდა გადამდგარი თანამდებობის პირები მოვლენ ისევ ხელისუფლებაში. ხალხი კი ბრბოა. ძალიან ბევრი უგუნურია. ეს მთავრობა და თუნდაც ეს ოპოზიცია (თუმცა ზოგი მართლა პატრიოტია) ერთი თესლისგან არის აღმოცენებული. 20 წელია, თითქმის ერთი და იგივე ხალხი დგამს გრანდიოზულ სპექტაკლებს, ხალხი კი, სამწუხაროდ, არავის აინტერესებს. პატრიარქმა — ილოცეთო, მაგრამ სამწუხაროდ, მიტინგზე მხოლოდ ხმამაღალი გინება ისმოდა. მე ვიყავი აქციაზე, ხალხთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ამ ვაი-ხელისუფლების დასასრული დაიწყო, მაგრამ ამავე დროს — ვუი-ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა. დრონი მეფობენ და არა — მეფენი. მოვა დრო და მართლა გაბრწყინდება ივერია, ოღონდ არა რევოლუციით და ხალხის მოტყუებით. ეს ჩემი აზრია, მაგრამ მე ხომ უსუსური ვარ. მონასტრის ბიჭი“.

„მარი, შემთხვევით ის ჟურნალისტი, ვისი ამბავიც „გზაში“ იბეჭდება, შენი და ხომ არ არის? ახლა არ მითხრა, რომ უბრალოდ თანამშრომელია. რავა ყველა ჟურნალისტები

ჩაღმს ამ იცის, მოვიმ
მიაჭედის ლუმსსანი,
მავრამ სამავირომოდ,
ზუსტად იცის — სად!



ჯაფარიძეები ხართ?"

„ისე, ამ „გზის“ ფურცლებით კედლები კი გავაშავე და ამასობაში ეს ჩემი აბლა დამდევს „კომედიით“. ბათუმი, დორე სოფო“.

„ახალი ცოცხი კარგად გვისო?!.. კაი, ერთი! :) აბა, ამ ჩემსას რა ემართება? :) სმაილიკა“.

ვერ გამოგებთ. მარ, გმადლობ, რომ ცხოვრება კიდევ უფრო გამილამაზე. კანიბალკა“.

„ღმერთო ჩემო! რა აქვს კანიბალკას სამეტიჩრო? ისე, სიმართლეა ის, რომ ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. არც ისეთი ლამაზია, როგორც თავი ჰგონია, მაგრამ მაინც არავის


ესა მარიკუნა მუდამ იკაშკაშებს. მემამაყება, ჩემი გვარის რომ ხარ. გიული. გეფერები“.

„ახალი ცოცხი კარგად გვის. ეს ანდაზა ზუსტად ჩემი მეზობლის ცოლზეა ნათქვამი. ახალი რძალი რომ იყო, თვალებს ისე მორცხვად აფახულებდა, იტყოდი, ამისთანა ჭკვიანი და მორცხვი არავინ არისო, მაგრამ... აბა, ახლა განახვათ, როგორ ურტყამს ქმარს და როგორ ხმარობს მუშტს! :) თითქოს კრივში სამგზის ჩემპიონი იყოს. გერმანელი“.

„პატარა ლელა, მე აქ ვარ, თქვენ გვერდით. უბრალოდ, მარი „მბლოკავს“ ხოლმე. (ცოტათი გული კი მწყდება, მაგრამ ეგ არაფერი). რას შვრება შენი კაცი, ისევ ჩაკეტილია? მეგრულ მგელო, მგონი, შენი შუთუ, ცოტა არ იყოს, მეც შემეყვარდა. :-) (ეს, ნახევრად ხუმრობით). ოქრო კაცო, ქუთაისელი ხარ? „ძებნილებს“ უსმენ? P.S. რეპერინო, ვერც წარმოვიდგენდი, თუ გოგო იყავი. შავ პრინცს უსმენ? ანარქია“.

„მარი, როგორ ხარ? რომ იცოდე, როგორ მიყვარს თქვენი ჟურნალი... ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერ. მაგარი ხალხი გყავს „სასტავში“ და იმედია, მეც შემომიშვებთ, თქვენთან. ყველა მაგარია, მაგრამ განსაკუთრებით „ამინიუბკებულ ცხოველთმოდულე“ მომეწონა. დიდი სიამოვნებით გავიცნობ მაგ ადამიანს. მოკლედ, გაგეცნობით: მე ნათია ვარ, 14 წლის, ბათუმელი. თქვენი ჟურნალის მოყვარული და აწი ყოველთვის დაგიმესიჯებთ! აბა, თქვენ იცით. გკოცნით ყველას“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თებამდე გთავაზობთ: რჩევა, რომელიც გამოადგება გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა „მოკლე ჩართვისთვის“: რა არის უსინდისობა?



„ეს რა თემაა, ღმერთო ჩემო! როგორ უნდა გავძლო, რომ არ დავამესიჯო? ეჰ, მარი, სანამ ჩემი ქმრისთვის ახალი ვიყავი, მისთვის ჩემზე ლამაზი ქალი არ დადიოდა ამქვეყნად. 1-2 თვეში კი თურმე „ჯეკპოტივით“ ვიზრდებოდი სიგანეში. რომ იცოდე, როგორ მანყენინაა! მართალია, დავძველდი, მაგრამ მაინც მაგარი ვარ, აბა! მაინც გავხდები, სიხარულო და ისევ მოგეწონები. მეი“.

„ეჰ, ეგ ჩემზე უნდა ითქვას, მალე გათხოვებას ვაპირებ და იმედია, ახალი ცოცხივით კარგად დავგვი. :-) იქნებ, დედამთილმა თავში ტაფა არ ჩამარტყას... მიყვარხართ. ბარბი“.

„დილის 5 საათზე, მამაშვილის დიალოგი მეუბოვეების დანახვაზე: ხედავ, როგორ გვიან გვიან? — კი, ნამდვილად გვიან გვიან. უფრო სწორად, ადრე გვიან. პარმენ-2“.

„დაახლოებით 3 წლის წინ, „გზისთვის“ ლანა ყორშია იყო „ახალი ცოცხი“. მაშინ არავინ იცოდა, ვინ იყო კანიბალკა, მაშინ არც „გზავნილები“ იცოდა ბევრმა. თავიდან „აჩრდილი“ ვიყავი, მერე „მის ანომალია“ და ა.შ. უამრავი ნიკი გამოვიცვალე და იმ ნიკზე შევჩერდი, რომლითაც თქვენ შემეყვარეთ. განსაკუთრებით მახსოვს, მაშინდელი 2 თემა: „დაუფინყარი მოგზაურობა ავტომანქანით“ და „ოქროს თევზი რომ მომცა“... მას მერე დიდი დრო გავიდა, მეც აღარ ვარ „ახალი ცოცხი“, მაგრამ არც დავძველებულვარ. პირიქით, აქ ჩემი ადგილი დავიკავე და სიყვარულიც მოვიპოვე. „გზავნილებში“ ჩემი მეორე სამყარო ავიშენე, სადაც თავს ისე ვგრძნობ, როგორც დედის კალთაში. მე არ დავინწყებ იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს ჩემთვის „გზა“, რადგან ეს არ შემეძლია და რომც შევძლო,

აქვს მისი გაკიცხვის უფლება. ალბენი“.

„გამარჯობააა! მეც დაგიბრუნდით, როგორც იქნა. რადგან არ ვამესიჯებდი, არ გეგონოთ, რომ არც ვკითხულობდი. უბრალოდ, არ მეცალა მოსაწერად. ახლა, რაც შეეხება თემას: რომელ სიახლეზეა ლაპარაკი? უკვე საგრძნობლად „მოვძველდი“ და კიდევ ყველაფერს ჩემი და მიკეთებს. ახლა მიდის და მომიწევს კარგად „დაგვა“, თორემ ლამაზ ბიჭუკელებს „ქეიშა“ არ უყვართ. :) მარი და მგზავნილებო, ძალიან მომენატრეთ. ახლა აღარ დავიკარგები. პატარა ჟურნალისტკა“.

„ახალი ცოცხიო? არ არის მართალი! როცა ჟურნალი „გზა“ და „გზავნილები“ დაარსდა, ყველას გვეგონა, ახალი იყო ეს ყველაფერი და მალე დაკარგავდა თავის ბრწყინვალეობას, მაგრამ უფრო და უფრო საინტერესო და საყვარელი ხდება. „გზავნილების“ პრინცი-

ჯამ — ზმყოფილი,
ვერს — საძმოს.
ინციის ნუ შეძობიაჯახებთ.



რამდენიმე წუთის განმავლობაში კარგად დააკვირდი მოცემულ ფოტოს და იფიქრე იმაზე, თუ რას ნიშნავს მასზე გადმოცემული მოქმედება. ჩაუღრმავდი საკუთარ ფიქრებს და ამის შემდეგ გაეცანი ფოტოტესტის პასუხებს.



1. თუ ფოტოზე აღბეჭდილმა სურათმა ცოლი გაგახსენა, მაშ, სანუნუნო არაფერი გქონია. ბედნიერი კაცი ყოფილხარ, რომ ასეთი ანგელოზით ცოლი შეგხვდა. საინტერესოა, შენს ცოლს რა გაახსენდა? საკუთარი თავი თუ ის უცნობი ქალი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ, შინ დაგირეკა და გიკითხა? ქმარი ეუბნება ცოლს: — ძვირფასო, დღეს მეგობრები დოღზე მივდივართ და შემაგვიანდება. — ვიცი, საყვარელო, წელან ერთმა ცხენმა დარეკა და გიკითხა. — ეს ანეკდოტი იცოდი? თუ არა, მაშინ მომავლისთვის გაითვალისწინე.

2. თუ ფოტომ ისევ საკუთარი ცოლი გაგახსენა, მაგრამ — სინანულით, მაშინ არ გაგმართლებია. მაგრამ ნურც ის დაგაფიქრებდა, რომ არც ერთი ქალი ანგელოზი არ არის, ყველა ერთ თარგზე მოჭრილი და არც სხვები არიან შენზე უკეთეს დღეში. შენთვის კი მეორე ანეკდოტი მაქვს შემონახული: მანქანით მიმავალ მამაკაცს შინაგანი ხმა ჩაესმა: ამ ხიდზე არ გადახვიდე, თორემ ჩაინგრევაო. დაუფერა შინაგან ხმას და დაინახა, როგორ ჩაინგრა ხიდი, როცა მასზე სხვა მანქანამ გაიარა. — ვა, შენ ვინ ხარო? — გაუკვირდა მამაკაცს. — ვინ ვარ და შენი მფარველი ანგელოზი. — უპასუხა „ხმამ“. — ვაა, ერთი ხელისგულზე ჩამომიჯექი და დამენახვე. — სთხოვა მამაკაცმა. მფარველი ანგელოზი ხელისგულზე დაუსკუბდა. მამაკაცმა მეორე, გაშლილი ხელისგული ზედ დაჰკრა, დაასრისა და კბილებში გამოცრა: — ცოლი რომ მომყავდა, მაშინ სად იყავი?!

3. თუ ფოტოზე მხოლოდ ფრთებმა მიიქცია შენი ყურადღება, სავარაუდოა, რომ უსამართლობასთან მეტრძოლი და სამართლიანი ადამიანი ხარ. გასაკვირი არც ის იქნება, თუ ახლა კალენდარს

შეხედავ და მასზე დეკემბრის თვე იქნება, რადგან ჟურნალის გამოსვლის დღეებში ალბათ პარლამენტთან, მიტინგზე იქნებოდი და საკითხავად ვერ მოიცლიდი. ახლა კი დამსახურებულად ისვენებ და ვალმოხდილი, „გზის“ ძველ ნომრებს დაგვიანებით ეცნობი.

4. თუ შენი ყურადღება ფოტოზე აღბეჭდილი ქალის შიშველმა სხეულმა მიიპყრო და შურის გრძობა დაგეუფლა, სავარაუდოა, რომ ასაკოვანი ქალბატონი ბრძანდები და ახალგაზრდებს შურით (თეთრით თუ შავით — მნიშვნელობა არა აქვს) შესცქერი. ხოლო თუ პირი ნდომით გაანკლაპუნე და ახალგაზრდობა გაგახსენდა, სავარაუდოა, რომ ასაკოვანი მამაკაცი ხარ, მაგრამ წარსულზე გული არ გწყდება, რადგან ცხოვრებისგან ყველაფერი მიიღე, რისი მიღებაც შესაძლებელი იყო. საკანში 80 წელს მიღწეული, ახალი პატიმარი შეჰყავთ. — რისთვის დაგაპატიმრეს? — გარს შემოეხვივნენ ძველები. — ქალის გაუპატიურებისთვის! — ამყავდა უპასუხა ახალმა. — კი, მაგრამ ქალთან „ისა“ კიდევ შეგიძლია? — გაუკვირდათ დამხედურთ. — არა, მაგრამ პროკურორმა ისე დაბატა გაუპატიურების სცენა... ისე დახატა, რომ მომეწონა და დანაშაული ვალიარე.

ჩოგონი ვებნძოლოთ სურდოს

რამდენიმე ხნის წინ, ერთი იაპონელი პოეტის შემოქმედებას ვეცნობოდი, სადაც ასეთ ფრაზას წავაწყდი: „სანაპიროზე ვინეჭი და კოცნით ვიგუდებოდი. საზიზლარი სურდო!“. არ ვიცი, ლექსის ავტორი მართლაც კოცნით იგუდებოდა თუ არა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სურდო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გაფრცვლელბული და გადამდები დაავადებაა. ალბათ, ყველას გახსოვთ ქიმიის გაკვეთილი და სოდის მიღების ხერხები — „მე ბებია, ილიკო და ილარიონიდან“. მაგალითად, „ბებიაჩემი ოლლა, ენაზე იყრის და ისე იღებს სოდას, ხოლო ილარიონი... — გაეთრეე გარეთ!“ — იღრიალა მასწავლებელმა ზურიკელას ასეთ პასუხზე. პოდა, რჩევები, რომელიც სურდოს წინააღმდეგ საბრძოლველად ახლა მინდა შემოგთავაზოთ,



სწორედ სოდის მიღების ოლლასეულ ხერხს მაგონებს, მაგრამ იქნებ, მაინც გამოგადგეთ. მით უმეტეს, რომ თურმე ამ გზით სურდოს საკმაოდ ცნობილი ადამიანები ებრძოდნენ.

1. ამბობენ, რომ ონორე დე ბალზაკის მკურნალი ექიმი ძალზე ალალი ადამიანი გახლდათ. მან თავის პაციენტს დაუწერა: „სურდოს დროს სასურველია, დღეში 5-6 ცხვირსახოცის გამოყენება“.
2. ჰიპოკრატეს მიაჩნდა, რომ გრიპის წინააღმდეგ ყველაზე სწრაფი და ეფექტური საშუალება სისხლის გამოშვება გახლდათ. სურდოს დროს პაციენტს წამლად, ის თავის კოცნასაც უნიშნავდა.
3. ცნობილი ფაქტია, რომ ალექსანდრე მაკდონელს, სურდოს დროს ცხვირზე ქონის წასმა ურჩიეს. მან საამისოდ სანთელი მოითხოვა. შედეგად, მისმა ხელქვეითებმა ხაზინიდან უამრავი თანხა გაიტანეს, რამეთუ, ცხვირზე წასასმელი სანთლისთვის ქონის შეძენა აქტიურად დაიწყეს.

4. რუსეთის მეფე ალექსანდრე მიხეილის ძეს სასახლის მკურნალმა ექიმმა სურდოსა და თავის ტკივილის წინააღმდეგ ალუბლის მაგვარი ხილის ნაყენი დაუნიშნა. შემდგომში გაირკვა, რომ ეს ყავის ხის ნაყოფი გახლდათ.
5. ცნობილია, რომ თავდაპირველად, მწარმოებელმა „კოკა-კოლა“ მომხმარებელს სამედიცინო მიზნით შესთავაზეს. გარდა სურდოსი, ის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებადაც გამოიყენებოდა.
6. 1870 წელს, გერმანიის ქალაქ ესენში ცნობილმა მაგნატმა, კრუპმა, უზარმაზარი, რკინის სასახლე ააგო, რომლის ფანჯრებიც ყრუდ იყო დაგმანული. მას მიაჩნდა, რომ სწორედ ასეთი სახლი გადაარჩინდა სურდოსა და ხანძრისაგან.

7. იაპონელები ამბობენ: „სურდოსა და სიყვარულის წამალი არ არსებობს — თვითონ გაივლის“.
8. ტირიფი ხეა, რომელიც წყალში დგას. უძველესი ეპოქის ექიმების აზრით, სწორედ მას შეეძლო ადამიანის რევმატიზმისა და სურდოსგან განკურნება. უჩვეულოა, მაგრამ ეს მოსაზრება XIX საუკუნეში დადასტურდა. ტირიფის მერქნისგან მუავა მიიღეს, რომლის საშუალებითაც სურდოს მკურნალობა შესაძლებელი. ეს გახლავთ სალიცილის მუავა.
9. ამბობენ, რომ სურდოსაგან, თავის ტკივილისა და ქერტლისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება — გილიოტინაა. აფრიკული ტომის, შილუკის წარმომადგენლები თავის ბელადს მაშინვე კლავენ, როგორც კი მას სურდოს ნიშნებს შენიშნავენ. მათი აზრით, ბელადი სრულყოფილი ადამიანი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტომს უბედურება დაატყდება თავს. სურდოიანი ბელადი კი უკვე სრულყოფილი აღარ არის.

10. ათი წლის წინ, მადრიდში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო გამოფენა ჩატარდა. ექსპონატების დანახვა და მათი შეხება შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, დამთვალიერებლებს ზუსტად შეეძლოთ ამოეცნოთ, რა იყო მათ წინ — ძველი ავეჯი, ბალი, მელანი... ამას მხოლოდ სურდოიანი ადამიანი ვერ მოახერხებდა, რადგან გამოფენაზე არომატები იყო წარმოდგენილი.

მოკლე ჩართვა

რა გავაკათა 2 ნოემბერს

- 2 ნოემბერს რა გავაკათე და ბევრი ვინერვიულვ ვილოცე და ვიტირე კიდევ. პარიზანკა.
- 2-ში მე პირადად საძინებლიდან ცხვირი არ გამომიყვია. სად მქონდა მაგათი გასანაყი თავი? ხულიგანკა.
- რა გავაკათე 2 ნოემბერს? რა და „გზა“ მქონდა წასაკითხი და წავიკითხე. აბა, სად მეცალა ახლა მე აქციისთვის? ნონ სტოპ!

>>>32

ყველაზე სულელური სიყვდილი და ტრაგედია

დასაწყისი იხ. „გზა“ №44

ექსპონატი

ბონის მცხოვრები, პიტერ გრუბერი ხელოვნების მუზეუმის გაქურდვის დროს გარდაიცვალა. როდესაც მოახლოებული დაცვის თანამშრომლები შენიშნა, პანიკაში ჩავარდა და გაქცევა სცადა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შენიშნა ქანდაკება, რომელსაც 1 მეტრი სიგრძის ხმალი ჰქონდა და სწორედ იმ ხმალზე წამოეგო. „მკვლელ“ ქანდაკებას „სამართლიანობის იარაღი“ ჰქვია.

მეგობრობა

23 წლის თომას ჯოშუას სლოკინი აუტყდა და მეგობარს სთხოვა, მისთვის მკერდზე ხელი ძლიერად დაეზრახუნებინა. მეგობარმა თხოვნა შეუსრულა, თომასი კი ძირს დაეცა და გარდაიცვალა. მან არ გაითვალისწინა, რომ მის ოჯახში მრავლად იყო გულის შეტევით გარდაცვალების ფაქტი...

კარიერა

ეგვიპტის ხელისუფლების წარმომადგენელი, ადელ ნაზიმ ჯერგუზი დაწინაურებას მ წლის განმავლობაში ელოდა. როდესაც მას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აცნობეს, რამდენიმე წუთის შემდეგ, სინარულისგან გულის შეტევით გარდაიცვალა.

მფრინავი ძროხები

კალიფორნიაში მანქანის მძღოლი საქარე მინაზე შენარცხებულმა ძროხამ მოკლა. ერთ-ერთმა მძღოლმა სიბნელეში გზის სავალ ნაწილზე გადასული ძროხა ვერ შენიშნა, მთელი სისწრაფით შეეჯახა მას და საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანის „კაპოტზე“ შეაგდო.

გადიღალა

უკრაინელმა ბრაკონიერმა მდინარეში ელექტროსადენი ჩადო, რომელშიც დენი გადიოდა. როდესაც მკვდარი თევზები ამოტივტივდნენ, მან მათი შეგ-

როვება გადაწყვიტა და მდინარეში ისე შევიდა, რომ დანაშაულის იარაღის გამორთვა დაავინწყდა. შედეგად, დენმა დაარტყა და გარდაიცვალა. მისი ნათესავების თქმით, გარდაცვლილს თევზი სიდედრის წლისთავისთვის სჭირდებოდა.

ელვისებური შურისძიება

ბოსი და მისი მდივანი სექსის დროს ელვამ მოკლა. ისინი ამ დროს ტბაში, გასაბურ ნავზე იმყოფებოდნენ. გარდაცვლილის ქვრივმა ეს უფლის ნებად მიიჩნია.

საბედისწერო დამთქნარება


ცირკის ლილიპუტი, მეტსახელით — ოდი, ჩრდილოეთ ტაილანდში, ცირკის არენაზე გარდაიცვალა. ბატუტზე ხტომის დროს, ის შემთხვევით ასცდა საჭირო მიმართულებას და დედალ ბეჰემოტს პირში სწორედ მაშინ ჩაუვარდა, როცა ის ამთქნარებდა. ბეჰემოტმა ლილიპუტი წამის განმავლობაში ისე გადაყლაპა, რომ მისი შველა ვერავინ მოასწრო.

სიყვარულის მსხვერპლი

44 წლის კოლუმბიელი, ჯეიმს დინარდი ინტერნეტით გაცნობილ ქალთან შესახვედრად სხვა შტატში გაემგზავრა. როგორც ჩანს, შეხვედრისას ქალბატონზე კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა და შემდგომ შეხვედრაზე უარი მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ, ჯეიმსი იმ ქალბატონის სახლთან მივიდა და ყელი ელექტროსხერხით გამოიღადრა. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ხმაურიანი ტრაგედია

ჰამბურგში, ერთ-ერთ ლუდის ბარში კლიენტის მობილური ტელეფონი გამუდმებით, ძალზე უსიამოვნო ხმით რეკავდა. დან-



არჩენმა კლიენტებმა ამის გამო მობილურის პატრონს შენიშვნა მისცეს და ტელეფონის გამორთვა სთხოვეს, მაგრამ ის თხოვნაზე არ რეაგირებდა. ბოლოს, ბარის სტუმართაგან ყველაზე ნერვიულმა კლიენტმა მას თავში ლუდის ბოთლი სთხლიშა, რამაც ის იმსხვერპლა კიდეც. უნებლიე მკვლელმა პოლიციაში თავადვე დარეკა და მოსულ პოლიციელებს ნებით ჩაბარდა.

აზარტი

ტანმოვარჯიშე გოგონას მშობლებმა, შვილის — 17 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ზეიმი გამართეს. სტუმრების თანდასწრებით იუბილარი დივანზე ხტოდა. აზარტში შესულმა ერთი კარგი ბუქნი გააკეთა და მოულოდნელად, მეექვსე სართულის ფანჯრიდან ისკუპა.

ფანტასმაგორია

34 წლის ამერიკელი მამაკაცი საკუთარი სახლის სარდაფში მკვდარი იპოვეს. ის ძალზე უცნაურად, ნაკვეციბიან ქვედაბოლოში, თეთრ ბიუსტპალტერსა და ტყავის მაღალქუსლან ფეხსაცმელში იყო გამოწყობილი, ქალის პარიკი ეხურა და თავზე აირწინალი ჰქონდა ჩამოცმული, რომლის ბოლოც უკანა ტანში ჰქონდა შეერთებული. მისი გაგუდვის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

მშიერი ტამაგოჩი

ახალგაზრდა ფრანგმა ქალბატონმა საჭის დამორჩილება ვერ შეძლო და ხეს შეეჯახა. მგზავრი დაშავდა, ხოლო მძღოლი გარდაიცვალა. მძღოლს ყურადღება გაუფანტა ტამაგოჩის ბრელოკმა, რომელიც შიმშილის გამო აწრიპინდა. საჭირო ღილაკებზე თითის დაჭერით ქალბატონმა სათამაშო სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა ვეღარ შეძლო.

ფარანი

სანტიაგო ალვარადომ ველო-სიპედების მალაზიის გაძარცვა გადანყვიტა. ვინაიდან, სახურავზე ასვლის დროს ხელები დაკავებული ჰქონდა, ლამის სიბნელეში გზის გასაკვლევად მოგრძო ფარანი კბილებით ეჭირა. სწორედ ეს ფარანი გახდა მისი სიკვდილის მიზეზი, როდესაც ის სახურავიდან ჩამოვარდა და პირქვე დაეცა.

ეროტიკული ტრაგედია

საავადმყოფოში ერთდროულად 4 ადამიანი მიიყვანეს: შელი მიულერი, თავის ქალის ტრავმით, ტიმ ვეგასი, მსუბუქი კონტუზიით, ბრაიან კორკორანი ღრძილების დაზიანებით და პამელა კლესიკი მარჯვენა ხელზე 2 თითის გარ-

ეშე. მიულერმა ქმარი სამსახურში თავისი მანქანით მიიყვანა. დამშვიდობებისას აკოცა და მკერდიც მოიშიშვლა. ამ სურათს თვალი მოჰკრა მათ გვერდით ჩავლილმა ტაქსის მძღოლმა, ტიმ ვეგასმა. სანახაობით აღფრთოვანებულმა მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და საავადმყოფოს შენობას შეეჯახა, რომლის კედლის მიღმაც დანტი-სტი პამელა კლესიკი პაციენტს — ბრაიან კორკორანს პირის ღრუს უთვალეერებდა. მანქანის ძლიერი დარტყმის ხმაზე ექიმი შეხტა და ბასრი ინსტრუმენტით პაციენტს ღრძილები დაუზიანა. შოკირებულმა კორკორანმა კი პირი მომუნა და ექიმს თითები მოაკვნია. მიულერს კი თავში შენობიდან ჩამოფშვნილი ბეტონის ნატეხი მოხვდა. საბედნიეროდ, ეს უკანასკნელი სიკვდილს ბენჯზე გადაურჩა.

ზარები უკანალში

პროკურორმა ანტონიო მენდოზამ ძველი სიბრძნე დაამტკიცა — ადამიანს შეუძლია, თავის თავს ნებისმიერ სიტუაციაში დასცინოს. მენდოზას სააბაზანოში ფეხი დაუსხლტა და უკანალით ფიჭურ ტელეფონს დაასკდა. ტელეფონი სააბაზანოში მისმა ძალმა შეიტანა და ვერტიკალურ მდგომარეობაში დადო. უკანალიდან მობილურის გამოღების ოპერაცია რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა; ამ ხნის მანძილზე კი ტელეფონი თითქმის გაუთავებლად რეკავდა. ამ დროს პაციენტი თავის თავზე ისე გულიანად შაყრობდა, რომ სიცილისგან ჩაბურებული მედპერსონალი ოპერაციის დასრულებას ვეღარ ახერხებდა.

ყველაზე უცნაური მუსიკალური ინსტრუმენტები

რამდენიმე ხნის წინ, რუსეთის ერთერთი ტელევიზიის ეთერში უცნაური მუსიკალური კოლექტივის — „სტომპს“ შესრულებით რაღაც მულოდია მოვისმინე. მულოდია დიდი არაფერი, მაგრამ ჩემი ყურადღება იმ ინსტრუმენტებმა მიიპრო, რომელზეც შემარულებლები უკრავდნენ. ეს გახლდათ მეტალის ფილები, იატაკის სანზნდი ჯოჯი, მილის ნატრები, ნაგვის ყუთები, გახვრტილი ვედროები, კარები და სხვა ეგზოტიკური ნივთები. ამის შემდეგ გადაწყვიტე მომეძებნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კიდევ როგორი უჩვეულო მუსიკალური ინსტრუმენტები არსებობს ამჟამად.

ბირდაბირი

რუსული სახალხო ორკესტრის აუცილებელ ატრიბუტად ხშირად ვედრო, ბირდაბირი და ხის კოვზები მიიჩნეოდა. უჩვეულო მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმი ქალაქ კიმპულუნგ-მოლდოვენსკში მდებარეობს. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი, ბორის ელცინი მასში წარმოდგენილ ყველა ინსტრუმენტზე უკრავდა.

მაკრატელი

გერმანელმა ვილი მაისენმა პოპულარობა მაკრატლებზე დაკვრით მოიპოვა. მისი „ორკესტრის“ შემადგენლობაში რამდენიმე სახის მაკრატელი შედის: მკერავისა თუ მებლის, ფიგურული თუ სწორპირიანი, გრძელი თუ მოკლე...

მეტალის უნიტაზი

მემაკრატლე ვილის თანამემამულეს, ზალცერ გროსს მიაჩნია, რომ მუსიკალურ ინსტრუმენტად, კბილის ჯაგრისიდან დაწყებული, მანქანის „კაპოტი“ დამთავრებული, ყველაფრის გამოყენებაა შესაძლებელი, მაგრამ მას, როგორც ძველ რკინიგზელს, ყველაზე დიდ სიამოვნებას რკინის უნიტაზზე დაკვრა ანიჭებს (ისეთზე, როგორ-

იც წინათ მატარებლის ვაგონებში იყო დამონტაჟებული).

ლოყები

ინდონეზიაში, კარა-ბოტაკოვის ტომის გოგონა ვერ გათხოვდება, თუ საკუთარ ლოყებსა და ყელზე დაკვრის ხელოვნებას არ ფლობს. უცნობია, ქორწინების შემდგომ, რაში უნდა გამოიყენოს გოგონამ ეს, მაგრამ ამბობენ, რომ ყველაზე სასიამოვნო მოსასმენია, როცა ის ამ მეთოდით წყლის ზედაპირზე დავარდნილი კაკლის ხმას გამოცემს.

ბოსტნეული

ცოტა ხნის წინ, ვენის „ბოსტნეულის ორკესტრი“ შეიქმნა, სადაც მუსიკალური ინსტრუმენტები ბოსტნეულმა შეცვალა. ბოსტნეულზე დაკვრა არც ისე იოლია და განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება. ეს კი მხოლოდ ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგად მიიღწევა. ანსამბლს საკმაოდ ვრცელი რეპერტუარი აქვს. უკვე დაინერა პიესა სტაფილოსა და ხახვისთვის. არსებობს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საგანგებოდ, ნედლი ბოსტნეულისთვის შეიქმნა. ამ მუსიკალური თხზულებების სოლო პარტია კიტრს ეკუთვნის, თანმხლები ინსტრუმენტების როლში კი პომიდვრები

გამოდიან. ვენის „ბოსტნეულის ორკესტრის“ მუსიკოსების თქმით, უჩვეულო მუსიკალური ინსტრუმენტების დასამზადებლად დიდი დრო არ იხარჯება. პომიდვრები უკვე მზადაა, ხოლო სტაფილოსგან ბლოკფლეიტის დასამზადებლად, სულ რაღაც ნახევარი საათია საჭირო. კონცერტის შემდეგ, ინსტრუმენტები ერთ დიდ, ბოსტნეულის სალათად გადაიქცევა ხოლმე, რომელიც საჭმელად ვარგისია და მუსიკოსები იმ „ინსტრუმენტებს“ სიამოვნებით მიირთმევენ. ჩემი აზრით, საინტერესო იქნება ამ ორკესტრის კონცერტზე დასწრება.

კატები

ფორტეპიანოს ეს უნიკალური სახესხვაობა საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში გამოიგონეს. ცნობილია ისიც, რომ ინსტრუმენტის მფლობელი გარკვეული ხნის მანძილზე, თავისი ნომრით ცირკში გამოდიოდა. შემდეგ კი მისი კვალი დაიკარგა, მაგრამ მის მიერ გამოგონებული ინსტრუმენტის შექმნის პრინციპს, ახლა უფასო კონცერტების ჩასატარებლად იყენებენ. თუმცა, ისტორია გვამცნობს, რომ ხანმოკლე გაუჩინარების შემდეგ, ინსტრუმენტის გამომგონებელი კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე, მაგრამ „უმაღურმა“ თანამოქალაქეებმა ის ინსტრუმენტიანად გააძევეს. ამ მუსიკალური ინსტრუმენტის კონსტრუქცია ასეთია: გამომგონებელმა შეარჩია რამდენიმე კატა, რომელთაც ერთნაირი ხმის ტემბრი ჰქონდათ. ისინი მოქმედებაში მოჰყავდა ნემსებს, რომლებიც კლავიშებთან იყო დაკავშირებული და სადაც ცხოველების კუდები იყო მომწყვდეული. კლავიშის დარტყმისას ნემსი კატას კუდში ერჭობოდა და ის, გულის გამგმირავად კნაოდა.

ცხრა მთას იქით...

დასაწყისი იხ. „გზა“ №26-44

ვაგრძელებთ რეალური ამბის თხრობას, რომელიც ახალგაზრდა ქალის, ქრისტინეს ცხოვრებას ეხება. როგორც იცით, ის ბედმა საბერძნეთში გადახვენა. 1 შვილის დედა, ამ ქვეყანაში სამუშაოდ წასული ქმრის საძებნელად წავიდა, რომელიც ბოლო 2 წელი ოჯახს აღარ დაჰკონტაქტებია. ლევანის კვალს, როგორც იქნა, მიაგნო და მისი „ახალი“ ცოლიც გაიცნო. მალე მისი და ლევანის შეხვედრაც შედგა. ქრისტის სკანდალი არ მოუწყვია, ძალზე მშვიდად ელაპარაკა. მათ საუბარს შინ დაბრუნებული მარიეტა შეესწრო და გაოცებული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ ადრე, ლევანს 2 ცოლი და შვილიც ჰყავდა. ქრისტინემ მათი სახლი დატოვა. მეორე დღეს კი ორშაბათი იყო და ქრისტინე სამსახურში წავიდა. წინა ნომერში თხრობა იქ შევწყვიტეთ, როდესაც ის კატიას უცნაურმა ქცევამ გააკვირვა.



მარი ჯაშარიძე

ვიდრე მეორე სართულის კიბეს ავივლიდი, ვცდილობდი ამომეცნო, რა უნდოდა კატიას და რატომ იქცეოდა ასე უცნაურად. თუმცა, მან ისეთი რამ მითხრა, რასაც ვერაფრის დიდებით ვერ გამოვიცნობდი. საამისოდ ფანტაზია მე კი არა, მსოფლიოში არავის ეყოფოდა. ოთახში შესულს კატია საწოლზე მიწოლილი დამხვდა. ჩემს დანახვაზე წამოინია, მაგრამ არ ამდგარა. იდაყვს დაეყრდნო და ხელით მანიშნა, რომ იქვე ჩამოვმჯდარიყავი. დავეჯექი და ინტერესით შევხედე.

— ქრისტი, ჩვენი ბოლო საუბარი ხომ გახსოვს?

— კი, როგორ არა. მაშინ ჩვენ ძალიან ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ.

— ჰო, ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ. მე ისიც გითხარი, რომ ჩემს ფირმაში დაგასაქმებდი.

— ეგეც მახსოვს, რადგან ძალიან გამიხარდა, ეს რომ შემომთავაზე.

— ესე იგი, თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა, კატია, თანახმა ვარ, გიყვი უნდა ვიყო, მაგაზე უარი რომ ვთქვა. ხომ არ გადაიფიქრე? — ხმაში შემფოთება დამეტყო.

— არა, არა, რას ამბობ? მე ჩემს სიტყვას ყოველთვის ვასრულებ. ოღონდ...

— ოღონდ, ენა რომ არ ვიცი, ეს მიშლის ხელს, ხომ?

— აღარ ვაცალე სიტყვის დამთავრება.

— ჰო, ეგეც.

— აბა, კიდევ რა ბარიერია? არალეგალი რომ ვარ?

— მაგასაც მოეწეება.

— კატია, რალაცის თქმა გინდა და ვერ ამბობ.

— რა თანხა გეყოფა? ხელფასი როგორი უნდა გქონდეს?

— რა ვიცი, ეგ შენ უნდა გადაწყვიტო. თუ ჩემს სურვილზეა დამოკიდებული, 2 ათასი ევრო მეყოფა. გააჩნია, რა სამუშაოს შევასრულებ.

— მძიმე სამუშაო არ გექნება. მინდოდა, თვეში 5 ათასი ევრო დამენიშნა შენთვის.

— რამდენი? — ლამის თვალები ბუდიდან გამომცვივდა. თუმცა, მაშინვე იმ აზრმა გამიელვა თავში, რომ ამხელა ხელფასს რალაცის სანაცვლოდ მპირდებოდა.

— 5 ათასი ევრო, — დამიმარცვლა კატიამ.

— კატია, შენ ამას ტყუილ-უბრალოდ არ მეუბნები. სანაცვლოდ რას ითხოვ?

— ბევრს არაფერს, — კატიამ წამოინია და თვალებში ჩამხედა. ისეთი მზერა ჰქონდა, ვიფიქრე, ნამდვილად ინტიმურ ურთიერთობას მთავაზობს-მეთქი. ისევ უკან გადაინია, საწოლთან მიდგმულ ტუმბოს გადასწვდა, უჯრა გამოალო და იქიდან დაკეცილი ქალაღი ამოიღო.

— სულ პატარა სამსახური უნდა გამინიო. ის, რაც ამ ქა-

ლადშია გახვეული, ნიკოლას საჭმელში უნდა ჩაუყარო. ეს არის და ეს.

— რააა? — კი არ ვთქვი, განცვიფრებულს აღმომხდა.

— კარგი, დამშვიდდი, — სახე უცებ შეეცვალა და იდუმალების იერი გაუქრა. როგორც ჩანს, საშინელი გამომეტყველება მქონდა და ამის გამო ჩემი დამშვიდება სცადა.

— რას ამბობ, კატია, ადამიანის მოკვლა ასე იოლია?

— კარგი, დაივიწყე, ვითომ არაფერი მითქვამს. ისე, ერთჯერადად 50 ათას ევროს გადაგიხდიდი, მერე კი იმ ხელფასს, რომელიც წელან გითხარი. — მაინც ჩამანვეთა კატიამ. ალბათ ფიქრობდა, რომ სული წამძლევდა და ფულს დავხარბდებოდი. — თანაც, ნიკოლა ხომ ადამიანი არ არის? ჭამის დროს ხომ გინახავს? ნუთუ ადამიანები ასე იქცევიან?

— კატია, ის შენი ქმარია. ყველაფერი, რაც გაქვს, მისი დამსახურებაა.

— მორალს ნუ წამიკითხავ, არ არის საჭირო. უკვე დიდი ხანია, ამაზე ვფიქრობ და ყველაფერი გადავხარბე.

— მისი შვილი ისედაც კრიჭაში გიდგას და შესაძლოა, მამის გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი გამოიძიოს.

— კარგი, ქრისტი, არ ღირს იმის ახსნა, რომ აქ საშიში არაფერია. ამის გამო ნუ ინერვიულებ. ჩვენს ურთიერ-

თობაში არაფერი შეიცვლება. შენ ძველებურად გააგრძელებ მუშაობას და მეც ძველებურად თანახმა ვარ, ჩემთან, ოფისში გამუშაო, 2 ათას ევროდ. თუნდაც იმიტომ, რომ ალალი ადამიანი ხარ და ამნუთას, ფულის გულისთვის ძალიან ბევრ რამეზე თქვი უარი. მარტო 50 ათასიც რომ აგელო და საქართველოში დაბრუნებულიყავი, წლების განმავლობაში იცხოვრებდი უზრუნველად. მაინც იფიქრე ჩემს წინადადებაზე. ის კვირის ბოლომდე, ვიდრე შინ დავბრუნდები, ძალაში რჩება. კარგი?

— ამაზე ფიქრიც არ მინდა. ცდუნება, რა თქმა უნდა, დიდია და ეშმაკიც მოსვენებას არ მომცემს, რადგან მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ბევრი სისუსტე მაქვს. ამიტომ ამაზე ფიქრიც კი საშიშია.

— მაშინ, იქნებ მომიძებნო ვინმე, ქართველი, რომელიც ამაზე დამთანხმდება, ფულს აიღებს და სამშობლოში დაბრუნდება. იქ მას ვერაფერს დაუშავებენ.

— არა, ვერც მაგის პირობას მოგცემ, რადგან სხვას საფიქრალს ვერ გაუზრუნველებ.

— კარგი, როგორც გინდა, — თქვა და სანოლიდან წამოდგა. მივხვდი, რომ ვიზიტი დამთავრებული იყო. მეც წამოვდექი და კიბეზე დავეშვი. როდესაც ქვედა სართულზე ჩამოვედი, ზევით ავიხედე. კატია კიბის თავში იდგა და მიყურებდა. თავი დავხარე და სამზარეულოში შევევარდი. ცოტა ხანში კატიაც ჩამოვიდა. კარადის უჯრა გამოსწია და ქალაღის პაკეტი იქ ჩააგდო. ეს ყველაფერი ისე დემონსტრაციულად გააკეთა, რომ მივხვდი, ასე ჩემს დასანახავად მოიქცა. როგორც ჩანს, ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ მე ამაზე არ წავიდოდი. ამ აზრმა გამაღიზიანა და კარისკენ მიმავალ კატიას ზიზღით გავხედე.

ამასობაში სანყალ ნიკოლას ისე მოშივნოდა, რომ კერძებით სავსე ლანგარი მივუტანე თუ არა, მაშინვე ეცა და წვნიანის ხვრეპა დაიწყო.

— შე სანყალო, რომ იცოდე, შენი ცოლი რას გიმზადებს... — ხმამალა ვთქვი და სინანულით სავსე თვალებით შევხედე.

— კი, კი, — ბერძნულად დამიდასტურა ნიკოლამ და

ცერა თითი ზევით აღმართა. ალბათ ეგონა, იმას ვეკითხებოდი, კერძი თუ მოგეწონა-მეთქი. ამ დროს ჩემმა მობილურმა დარეკა. ეკრანისთვის არც დამიხედავს, ისე ვუპასუხე.

— გამარჯობა, — მამაკაცის ხმა ჩამესმა. წამები დამჭირდა საიმისოდ, მივმხვდარიყავი, რომ ლევანი იყო.

— კარგად. ჩემი ნომერი ვინ მოგცა? — ჩემდა გასაკვირად, სულ არ ავლელვებულვარ.

— გავიგე, — მოჭრით მიპასუხა.

— მარიეტა გეტყობა, მან იცის ჩემი ნომერი, — დავასკვენი მე, მაგრამ ლევანმა ამაზე კომენტარი არ გააკეთა.

— სალაპარაკო მაქვს შენთან.

— ახლა? ამდენი ხნის განმავლობაში არ მოგნდომებია ჩემთან ლაპარაკი და ახლა მოგინდა?

— ჰო, მომინდა. სად გნახო?

— აქ მოდი, — ამოვიხვნეშე

ვუბრძანე და ახალა მივხვდი, რომ ორივენი ჯერ კიდევ ფეხზე ვიდექით. ლევანი მაგიდასთან, სკამზე ჩამოჯდა. მეც მის პირდაპირ დავჯექი. — ენა როგორ გიბრუნდება მაგის სათქმელად?

— ქრისტი, მარიეტა მიყვარს, — ისე მითხრა, რომ თან გული ამოაყოლა. ადამიანურად შემეცოდა.

— გასაგებია, — ჩუმი ვთქვი და დავფიქრდი. — კი, მესმის. მარიეტა მართლაც კარგი გოგოა. ლამაზი, სექსუალური გარეგნობაც აქვს... ვეცდები, შეგარიგოთ კიდევ, მაგრამ მანამდე რამდენიმე კითხვა მაქვს და თუ შეგიძლია, მიპასუხე.

— კარგი, გიპასუხებ, — გამოცოცხლდა ლევანი და თითქოს სიმხნევეც შეემატა.

— მესმის, რომ ჩემ მიმართ გული გაგიცივდა და მარიეტა შეგიყვარდა. მესმის, რომ მასზე იქორწინე, მაგრამ არ მესმის, ამის გამო შვილი როგორ დაივიწყე? ნუთუ შვილიც კი ზედმეტია შენთვის?

სულ პატარა სამსახური უნდა გამიწიო. ის, რაც ამ ქალაღშია გახვეული, ნიკოლას საჭმელში უნდა ჩაუყარო. ეს არის და ეს

მე, რადგან მასთან შეხვედრა არ მინდოდა, მაგრამ მისამართი მაინც ვუკარნახე.

ლევანი ძალიან მალე მოვიდა. ისე მალე, რომ ეჭვი გამიჩნდა, ნამდვილად კატიას სახლთან იდგა და იქიდან მირეკავდა-მეთქი. შინ შევიყვანე. ნიკოლას თავის ოთახში ექინა. მე და ლევანი კი სამზარეულოში გავედით.

— გისმენ.

— ქრისტი, მარიეტამ მიმატოვა.

— მართლა? — გულის სიღრმეში გამიხარდა.

— ჰო, მართლა.

— მერე, აქ რისთვის მოხვედი? უნდა განუგეშო თუ ცრემლი მოგწმინდო?

— უნდა შემარიგო.

— რაა? — ამ დღეს უკვე მესამედ დავალე პირი გაციებისგან. — მე უნდა შეგარიგო?

— ჰო, შენ.

— დაჯექი! — თითქმის

— არა, არა, ჩვენს გოგონას არ ვივიწყებ. შენ არ იცი, რომ მე დედაჩემთან კონტაქტი მქონდა და ბავშვს ფულსაც ვუგზავნიდი. ამის შესახებ დედას შენთან ლაპარაკი ავუკრძალე. შენი დანახვა იმიტომ უფრო გამიკვირდა, რომ 1 კვირის წინ ველაპარაკე დედას და არ უთქვამს, რომ აქ იყავი.


— მე სწორედ დედაშენმა დამაძალა შენს მოსაძებნად წამოსვლა. ამას რით ახსნი?

— არ ვიცი. შენ ხომ მისი საყვარელი რძალი ხარ, ჰოდა, ალბათ არ უნდოდა, რომ ოჯახი დაგვგრეოდა.

— სიმართლე რომ გითხრა, ვერაფერი გავიგე, — ვთქვი გაღიზიანებულმა. — ისე, ჩემს დიასახლისს ერთ სამსახურს ხომ ვერ გაუწევ? — ვკითხე და ჯიქურ შევხედე.

დასასრული შემდეგ ნომერში

10 მიზეზი, წმინდის გამღვჯადების თანამშრომლებს ცოცხად უნდა გაჩუქე



1. მას ფორმას უფასოდ აძლევენ.

2. მართალია, დიდი ხელფასი არა აქვს, მაგრამ მთავარია, მხრებზე ჭკვიანი თავი ებას და ყველაფერს მოახერხებს.

3. სხვა ბავშვებს ყაჩაღი და ქურდი, ბანკირი და ბიზნესმენი მამები ჰყავთ, შენს შვილს კი — პატრული! ხომ არის საამაყო?

4. თუ შინ კონფლიქტური სიტუაციაა, პატრულის გამოძახება საჭირო აღარ იქნება. ის უკვე იქ არის.

5. თეორიულად ყველა სერჟანტს გენერლობის შანსი აქვს, შენ კი გენერლის ცოლი გახდები.

6. შენს ქმარს ბევრი თანამშრომელი ეყოლება, რომელიც რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნაში დაეხმარება.

7. შენი ქმარი ქვეყნისთვის, ხალხისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო, საყვარელი და საინტერესო საქმით იქნება დაკავებული.

8. სამსახურის წყალობით, კავშირს დაამყარებს

ინტელიგენციის წარმომადგენლებთან და შესაძლებლობა გაუჩნდება, „სასარგებლო“ ნაცნობები გაიჩინოს. ამასთან, სუფთა ჰაერზე დიდხანს ყოფნის საშუალებაც ექნება, ეს კი მის ჯანმრთელობას წაადგება.

9. სასიამოვნოა, როცა შენ გვერდით ძლიერი მამაკაც-

ცია, რომელიც ნებისმიერი ბანდიტისგან შენს დაცვას შეძლებს.

10. თანაც, პატრულის თანამშრომლებს როგორი სექსუალური მიხრა-მოხრა აქვთ!



10 მიზეზი, წმინდის გამღვჯადების თანამშრომლებს ცოცხად აწმ უნდა გაჩუქე

1. ძალიან უსახური ფორმა აქვს. აი, მეზღვაურის ფორმა სულ სხვაა...

2. სასაცილო ხელფასი აქვს, თანაც, ამ ბოლო დროს ქრთამსაც აღარ იღებს.

3. ყაჩაღების, ქურდების, ბანკირებისა და ბიზნესმენის შვილები შენს შვილს დასცინებენ იმის გამო, რომ მამამისი „ძალღია“.

4. თუ შინ კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნება, პატრულსაც კი ვერ გამოიძახებ. ის უკვე იქ იქნება,

გაუპარსავი, გაბურძგნილი და სასმლის სუნით აქოთებული.

5. ყველა სერჟანტი გენერალი ვერ გახდება და შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდე სერჟანტის ცოლად დარჩე.

6. მისი თანამშრომლები? ჰმ... მათი წარმოდგენა მეგობრობაზე იმით შემოიფარგლება, რომ სამსახურის შემდეგ შინ მოიყვანენ, კართან მიაყუდებენ, ზარს დარეკავენ და გაიქცევიან...

7. შენი ქმარი უსარგებლო საქმით იქნება დაკავებული

და ამასთან, ყველა „ძალღს“ უწოდებს.

8. სამსახურის წყალობით, კავშირი ექნება ათასგვარ დამნაშავესთან და მათთან ნაცნობობას ვერაფერში გამოიყენებს.

9. დავუშვათ, ბანდიტისგან დაგიცავს, მაგრამ დედაშენის ასე რატომ ეშინია?

10. რაც შეეხება სექსს... რაც მას ამ სფეროში შეუძლია, მხოლოდ — სტვენა. შემდეგ კი კედლისკენ გადაბრუნდება და დაიძინებს. ●

მედიანილები

მარი ჯაფარიძე

თბილისის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქს მშვიდად ეძინა. დილის 6 საათი იყო, მაგრამ შორი-ზონტზე ცა ისე იყო განითვლებული, რომ დილიდანვე ეტყობოდა, მზე თავის მცხუნვარებას არც იმ დღეს დაიშურებდა. წინათ, როდესაც მუშათა ქალაქში სიცოცხლე დულდა, ამ დროს ქუჩაში უამრავი ადამიანი იყო ხოლმე. ისინი სამსახურში მიიჩქაროდნენ, რომ ღამის ცვლაში მომუშავე კოლეგები დროულად შეეცვალათ და მათთვის შინ დროულად წასვლის საშუალება მიეცათ. ახლა კი, როდესაც ქალაქში თითქმის ყველა ქარხანა გაჩერებულია, სამსახურშიც ასე დილაუთენია არავის მიეჩქარება და რუსთაველები ქუჩაში კანტიკუნტად ჩანან.

პოლიციის შენობის ჩაბნელებული დერეფნის თავში, მაგიდაზე თავჩამოდებულ მორიგეს მშვიდი ძილი ტელეფონის ზარის ხმამ დაუფრთხო. ის ერთბაშად გამოფხიზლდა, მაგრამ ყურმილის აღებას არ ჩქარობდა. ჯერ თვალები მოიფშენიტა, მერე საათს დახედა და ყურმილს უკმაყოფილო სახით დასწვდა.

— პოლიციის მორიგე გისმენთ, — ჩახლჩილი ხმით ჩასძახა ყურმილს.

— უფროსო, თოდრიას ქუჩის ჩასახვევთან რომ „აღლია“, ხომ იცი?

— კი, ვიცი.
— ჰოდა, მანდ, ზარებთან, მკვდარი ქალი გდია.

— თქვენი სახელი და გვარი ჩამანერინეთ, — ერთბაშად აფუსფუსდა მორიგე და მაგიდაზე დაგდებულ კალამს დასწვდა, მაგრამ მამაკაცმა ყურმილი დაკიდა. მორიგე სკამის საზურგეს მიეყრდნო, ჯერ გაიზმორა, მერე ჰაერი ღრმად შეისუნთქა, ლოყები გაბერა და ჰაერი ისე გამოუშვა. ისევ ტელეფონს დასწვდა, მორიგე პოლიციელის ნომერი აკრიბა და ყველაფერი სიტყვასიტყვით მოახსენა.

— „ჩორტ ევო ზნაეტ“, მართალია თუ არა. იქნებ, ვილაცამ იხუმრა? — როგორც ჩანს, არც ხაზის მეორე ბოლოდან მოლაპარაკე პოლიციელს უნდოდა ძილიდან გამორკვევა. თუმცა, რამდენიმე წუთის შემდეგ ოპერატიული ბრიგადა უცნობი მამაკაცის მიერ მითითებულ ადგილზე იმყოფებოდა და მოხუცი ქალის, უკვე გაცივებულ, მოკრუნჩხულ, პირქვე დაშობილ ცხედარს ათვალიერებდა. ერთი მათგანი მსხვერ-

პლს სურათებს უღებდა, ორნი კი მკვლელობის სავარაუდო ვერსიას გამოთქვამდნენ:

— როგორც ჩანს, ეს ქალი „ბომ-ჟია“. ხომ ხედავ, აქვე არყის ცარიელი ბოთლი და საჭმლის ნარჩენები ყრია. ალბათ, მანანალებმა რაიმე ვერ გაიყვეს, ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მეორე მოკლა.

როდესაც სურათების გადაღებას მორჩნენ, გვამი გადმოაბრუნეს. სისხლი, რომელიც მის თავთან იყო დაღვრილი, გახეთქილი შუბლიდან მოდიოდა.

— აჰა, ხომ ვთქვი, ნამდვილად არყის ბოთლის თავში ჩარტყმითაა მოკლული.

— ჰო, მაგრამ შეხედე, საცვალი არ აცვია.

— ზაფხულია, ცხელა, ალბათ საცვალი არც ექნებოდა, რომ ჩაეცვა, მაგრამ ექსპერტიზაზე მაინც გავგზავნოთ.

იმ დღეს ორშაბათი იყო და პოლიციის განყოფილებაში, სამუშაო კვირა ჩვეულებისამებრ, თათბირით დაიწყო. აღნიშნული შემთხვევის გარშემო ბევრი არ უმსჯელიათ. გადაწყდა, რომ ყველაფერს ექსპერტიზის პასუხის შემდეგ გამოარკვევდნენ. თუმცა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს შემთხვევა ჩვეულებრივი, „ბომჟური“ გარჩევის შედეგი იყო.

ექსპერტიზის პასუხმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა. აღმოჩნდა, რომ მსხვერპლი გაუპატიურებული იყო, რამაც ყველა საგონებელში ჩააგდო. ეს უკვე ჩვეულებრივ, „ბომჟურ“ ჩხუბსა და მკვლელობას არ ჰგავდა. ამის შემდეგ საქმის გამოძიებას უფრო სერიოზულად მოჰკიდეს ხელი.

სამძებრო განყოფილების უფროსის, დავით ფრუიძის კაბინეტში სახელდახელო თათბირი ჩატარდა და საქმესთან დაკავშირებით ყველამ დავალება მიიღო.

ფრიდონს ადრინად გაეღვიძა. საწოლიდანვე დასწვდა ტუმბოზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს, მაგრამ კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა და იქვე მიაგდო. ზანტად წამოდგა და სარკის წინ დადგა. გაბურძგნილ თმასა და გაუპარსავ სახეს თვალი შეავლო და გუშინდელი საღამო გაახსენდა. უკვე გვიანი იყო, როდესაც შინ მიმავალმა გაჩერებაზე შუახნის ასაკის ქალი შენიშნა. ჯერ შორიდან შეათვალა. ქალი რაღაც, უცნაურად იქცეოდა. თითქოს წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა და ნიავის ოდნავ დაბერვაზე აქეთ-იქით



ირხეოდა. „მთვრალია“, — გაიფიქრა ფრიდონმა და ქალს მიუახლოვდა. მთვრალის შუქზე შენიშნა, რომ ქალი ქართველი არ იყო. ამიტომ რუსულად დაელაპარაკა.

— „ჩტო ტაკ პოზნო, ზაგუ-ლიალას?“

— „და, ა ტებე ჩტო?“ — არყის სუნი სახეში შეაორთქლა ქალმა.

— „კაკ ზვატ?“

— ოლინკა, — გაიკვლუცა მთვრალმა.

— „ოლია, პრადოლჟიტ ნე ხოჩემ?“

— „ა ჩტო, დენგი ესტ?“ — უცებ გამოცოცხლდა ოლია.

— „და, ნა ვოდკუ ხვატიტ“.

— „ტი ჩტო, ტრახნუტ მენია ხოჩემ, და?“ — განზრახვას უცებ მიუხვდა ქალი.

— „ა ჩტო, პოსლე ვოდკი მოჟნო ი ტრახნუტ“...

— „ა ჩტო, ნა ვოდკუ ტრახტიტ? მნე პიტ უჟე ნელზია. დენგი პაკაჟი“.

— „ვოტ“, — ფრიდონმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, რამდენიმე დაჭმუჭნილი ლარიანი ამოაძვრინა და მუჭი გაშალა, რომ ქალს კარგად დაენახა. ოლიამ თავი ახლოს მიიტანა და ფულს დააკვირდა.

— „და ტუტ ვსეგო 4 ლარი“.

— „ა ჩტო, ნე ხვატიტ?“

— „ნუ, ლადნო. ი გდე ბუდემ ტრახატსა?“

ფრიდონმა იქაურობას თვალი მოავლო. სიბნელეში ანსამბლ „რუსთავის“ სარეპეტიციო დარბაზი შენიშნა, რომლის ეზოც ჩაბნელებული იყო და ხელი იქით გაიშვირა.

— „ვოოონ, ტამ“.

— „ლადნო, ნო დენგი ვპერიოდ“, — ხელი გაუშვირა ოლიამ. ფრიდონმა ფული ხელში ჩაუკუჭა და ქალს წინ გაუძღვა. ისიც მორჩილად მიჰყვა. ჩაბნელებულ ეზოში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. შენობას უკანა მხრიდან შემოუარეს და ყველაზე ჩაბნელებულ კუთხეს მიადგნენ. ფრი-

დონმა ქალი კედელთან დააყენა და კაბა წამოუწია. საზიზღარი, ოფლისა და ჭუჭყის სუნი ეცა.

— „ნუ, დავაი, დავაი“... — იმეორებდა ქალი. კაცი ხვნეშოდა, ცდილობდა, ჩაფიქრებული საქმე სისრულეში მოეყვანა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ცხვირში სასმლისა და ოფლის სუნი უღიბინებდა და გულისრევის შეგრძნება ჰქონდა. კარგა ხნის ჭიდილის შემდეგ ოლიას მოკბებრდა და ფრიდონს ხელი ჰკრა.

— „და ტი იმპოტენტი, ნემჩასანი“, — მიაძახა და საცვალის ამოიცვა.

ამ სიტყვებმა ფრიდონი გაახელა და ქალს სახეში გაარტყა. ის მამინვე აკივლდა და გაქცევა სცადა, მაგრამ კაცმა დაიჭირა და კიდევ ერთი უთავაზა. ოლიამ ფრიდონის მიცემული, ხელში შერჩენილი ფული ზედ მიაყარა, ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა. კაცი დაედევნა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქალი ძალზე ნასვამი იყო, როგორც ჩანს, გადარჩენის ინსტინქტს თავისი გაჰქონდა და ისე გარბოდა, რომ ფრიდონი კარგა დიდ მანძილზე ჩამოიტოვა და ცენტრალურ ქუჩაზე სირბილით გავიდა. გაკიდება აღარ ღირდა. გულამოვარდნილი და დაღლილი კაცი მძიმედ სუნთქავდა. შეჩერდა, სული მოითქვა და შინისაკენ მიმავალ გზას გაუყვა. გზადაგზა უკან იყურებოდა. თან იქურობას ზვერავედა. წინ პატარა სკვერი ჰქონდა გასავლელი. სიბნელეში გაჩერდა და ხეს ამოეფარა. თვითონაც არ იცოდა, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ მალე გააცნობიერა, რომ იქ საკბილოს მოლოდინში განაბული და სუნთქვაშეკრული, თვალეზასისხლიანებული და გახელებული ნადირივით ჩასაფრდა და დაგვიანებული მგზავრის მოლოდინში გაიტრუნა. ცხოველური უინი და ოლიასთან განცდილი მარცხი არ ასვენებდა და ახლა სულერთი იყო, ხელში ვინ ჩაუვარდებოდა. კარგა ხნის უშედეგო ლოდინის შემდეგ, სახლისკენ გაემართა.

ახლა სარკესთან მდგარს სწორედ ეს გაახსენდა და ძალაუნებურად, ხელები მომუშტა. გონებაში შურისძიების გეგმაც დაანყო: „სადმე შეხვდება, არ არსებობს, რომ არ გადაამყაროს. ჰოდა, მამინ ვუჩვენებ, ვინ არის იმპოტენტი“. ფიქრობდა და ბრაზი სულ უფრო და უფრო ერეოდა. შინიდან ისე გავიდა, პირიც არ დაუბანია. თითქოს ოლიას მოძებნა ეჩქარებოდა. ეზოში მეზობელი მამაკაცები იდგნენ, მზის მცხუნვარებას ხის ჩრდილში ემალებოდნენ და ყოველდღიურ პრობლემებზე ლაპარაკობდნენ.

— ფრიდონს გაუმარჯოს! — ხელის აწევით მიესალმნენ.

— გაგიმარჯოთ, — თავი დაუქნია ფრიდონმა და მამაკაცებს მიუახლოვდა. მათთან საუბარში ჩართვას ცდილობდა, მაგრამ მისი გონება გუშინდელი ამბით იყო დაკავებული.

მალე მეზობლებს გამოეყო და გზას ნელი ნაბიჯით გაუყვა. „რატომ ვერ ვიშორებ თავიდან ოლიაზე ფიქრს? რატომ არ გამომივიდა არაფერი? საშინელი სუნი უდიოდა, ლემივით ყარდა“, — ფიქრობდა თავისთვის და გზას უაზროდ და უმისამართოდ მიუყვებოდა. საქმე არ ჰქონდა, უბრალოდ, სახეტილოდ წავიდა. მზე აჭერდა, მაგრამ ფრიდონი ვერც კი გრძნობდა მის მცხუნვარებას. გაგანია ხვატში მიაბიჯებდა და საკუთარ თავს ვერ ცნობდა. მის სხეულსა და გულში ისეთი რამ ხდებოდა, რაც წინათ არასოდეს უგრძნია. მთელი სხეული უთრთოდა. ნებისმიერი ქალის დანახვაზე მუხლები ეკვეთებოდა და მზად იყო, შუა ქუჩაში დასტაკებოდა. მთელი დღე ინანნალა. რუსთავს გარეგარე უვლიდა და ისეთ ადგილს არჩევდა, სადაც ოლიას მიიყვანდა და საიდანაც ის ვეღარ გაექცეოდა. უნებლიეთ, ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა. იქაურობა კარგად მოათვალეირა და მშენებარე, მიტოვებული კორპუსი შენიშნა. ჯერ გარშემო შემოუარა. მოენონა, რადგან ის ისეთ მიუვალ და უკაცრიელ ადგილზე იდგა, რომ ოლიასთვის ჭკუის სასწავლებლად ნამდვილად გამოდგებოდა. მერე შიგნითაც შევიდა, მიიხედ-მოიხედა და სარდაფში ჩასასვლელი შენიშნა. კიბეს ჩაუყვა. საკმაოდ ბნელოდა. ასანთს გაჰკრა და მის სინათლეზე იქაურობა მოათვალეირა. ირგვლივ ბეტონის ნამტკრევეები და ნაგავი ეყარა. კმაყოფილმა დატოვა შენობა და ისევ ქალაქში დაბრუნდა. დაბნელებას ელოდა. იმ გაჩერებასთან მივიდა, სადაც წინადღეს ოლია ნახა. ეგონა, რომ ის იმ დღესაც გამოჩნდებოდა, მაგრამ რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ ხელი ჩაქნია, ოლიას ძებნა მეორე დღისთვის გადადო და შინისაკენ გაემართა.

იმ ღამით ოლიაზე შური სიზმარში იძია. მთელი ღამე ესიზმრებოდა, როგორ ჩაიყვანა ოლია სარდაფში, გააუპატიურა, მოკლა და დაამარხა კიდევ. დილით კმაყოფილმა გაიღვიძა და საწოლიდან იმ განზრახვით წამოდგა, რომ რაღაც უნდა დასჯდომოდა, ოლიასთვის მიეგნო. ძებნამ მეორე დღესაც უშედეგოდ ჩაიარა. ოლია არა და არ გამოჩნდა. მესამე დღეს ფრიდონს უკვე სიბრაზე მოერიდა. მოსწყინდა ოლიას ძებნა, მასზე შურისძიება ხელსაყრელი დროისთვის გადადო და გადაწყვიტა, ფული ემოვა, რომ სხვა ქალი მოეძებნა, ფული შეეთავაზებინა და ბოლოს და ბოლოს, უინი მოეკლა. რამდენიმე დღის წინ ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი ნაცნობი გაახსენდა, რომელმაც უთხრა, რომ მის მეზობელს სახლში ელექტროგაყვანილობის გაკეთება უნდოდა და თუ გაუკეთებდა, ცო-

ტაოდენ ფულსაც იშოვიდა. ახლა სწორედ იმ კაცის სახლისკენ აიღო გეზი. თუმცა, ერთმა უბრალო შემთხვევამ გეგმა შეაცვლევინა.

ერთ-ერთ კორპუსთან 13-14 წლის გოგონა შენიშნა, რომელსაც მისსავე ხნის ბიჭუნამ დაუძახა. ფრიდონი შეჩერდა. თავში ისეთმა აზრმა გაუელვა, რომლისაც თვითონვე შეეშინდა, მაგრამ რაღაც ძალა აიძულებდა, რომ ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ერთი ლერი ამოაძვინა. ხელები უკანკალებდა. ძლივს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. თითქოს ცოტა დაშვიდდა. „ოლონდ ის ბიჭი არ გამოჰყვეს, ოლონდ ის ბიჭი არ გამოჰყვეს...“ იმეორებდა გულში. გოგონამ და ბიჭმა რამდენიმე სიტყვა გაცვალეს. გოგონამ გზა მარტომ განაგრძო. ფრიდონი უკან აჩრდილივით აედევნა. როდესაც ცოტა მანძილი გაიარეს, ძალა მოიკრიბა და გოგონას დაუძახა.

— ირმა! — საკუთარი ხმა ეუცნაურა. რალაცნაირი, ჩახლქილი, ხრინწიანი ხმა ამოუვიდა ყელიდან. გოგონამ მოიხედა. — როგორ ხარ? — ბავშვს მიუახლოვდა.

— კარგად, — ინტონაციაში გაკვირვება გამოურია და თვალები ააფახულა გოგონამ.

— ვერ მიცანი? — როგორც შეძლო, ისე გაუღიმა ბავშვს.

— ვერა.

— შენ ჩემი შვილის, წინოს მეგობარი არა ხარ?

— კი, — დაუდასტურა გოგონამ. „მოვარტყი“ — გაუხარდა ფრიდონს.

— წინო რომ ავად არის, იცი?

— უი, არა, რა მოუვიდა? — შეწუხდა გოგონა.

— სასწრაფო ოპერაცია გავუკეთეთ და ექიმმა თქვა, რომ ძალიან ცუდადაა, — ამას რომ ამბობდა, გული ისე აუჩუყდა, რომ ღამის თავისსავე ნათქვამი თვითონვე დაიჯერა. — ახლა მასთან მივდივარ, საავადმყოფოში. ხომ არ წამოხვალ სანახავად? ძალიან გაუხარდება.

— ბებიასთან მივდიოდი, — შეწუხდა გოგონა.

— არა უშავს, სულ ნახევარი საათით, აქვეა, აი, იმ საავადმყოფოში, — ხელი გაიშვირა ფრიდონმა. — მერე ისევ გამოგაცილებ და ბებიასთანაც მე მიგიყვან, — გოგონას თვალეზაში ვერ უყურებდა. ეშინოდა, მის თვალეზაში ბავშვს სიმართლე არ ამოეკითხა. ირმამ ცოტა ხანს იყოყმანა და გადაწყვიტა, რომ ნახევარი საათი არაფერს წყვეტდა. ავადმყოფ მეგობარს მოინახულებდა და შემდეგ ბებიასთანაც მივიდოდა.

— კარგი, — დათანხმდა ფრიდონს და ამ ერთი სიტყვით საკუთარ განაჩენს ხელი მოაწერა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხელს უწყობს თუ აწი ცივილიზაციის მიღწევები ჩვენს ბედნიერებას?

„გრაფო, თქვენ მიესალმებით, ცივილიზაციას? თუ მიგაჩნიათ, რომ წინათ უფრო იოლი, მარტივი და შესაბამისად, უკეთესი ცხოვრება იყო? ცივილიზატორი“. — დავა იმის შესახებ, რომ ცივილიზაციას კეთილდღეობა მოაქვს და ეს კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარია, სისულელეა და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგალითად, განუვითარებელი ქვეყნის მცხოვრებმა, ვინც წყალს გუბიდან სვამს, წყალგაყვანილობის ფასი კარგად იცის, მაგრამ არსებობს ერთი უცნაურობა: რისთვისაა საჭირო გამრავლების ტაბულის ცოდნა, როცა კალკულატორი არსებობს? რატომ უნდა წახვიდე სამოგზაუროდ, როცა ყველაფრის ნახა ტელევიზიითაც შეიძლება?



რომ ყველა მშვიდად იყოს, ყოველწლიურად ავსტრალიის მთავრობა გრუდუს ტომის ანგარიშზე მილიონობით დოლარს რიცხავს. თუ სწორად ვიმსჯელებთ, გრუდუს ტომის ყველა წევრი უკვე მილიონერი უნდა იყოს, საუკეთესო, კომფორტულ სასახლეში ცხოვრობდეს და სულ მცირე, „მერსედესის“ საჭესთან იჯდეს, მაგრამ ისინი ცოცხალი მატლების ჭამას, ქოხში ცხოვრებას, ძონძებით შემოსვასა და წვიმის წყლის სმას ამჯობინებენ. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა რატომღაც მათი ინტერესი ვერ გამოიწვია.

ისმის კითხვა: ანიჭებს თუ არა ცივილიზაცია ბედნიერებას არა მთელ კაცობრიობას, არამედ ცალკე ადებულ ბიოლოგიურ, სიციციალურ, ინტელექტუალურ ინდივიდს? ვეცდები, ცივილიზაციის რამდენიმე მიღწევა განვიხილო და თითოეულის დადებით და უარყოფით მხარეზე ვისაუბრო. დასკვნის გამოტანა კი თქვენთვის მომინდვისა.

1. ბალევიზორი

დადაბითი: ჩართავ და ყველა სიახლეს მოისმენ. არ გჭირდება კინოთეატრებში სირბილი. უამრავი არხიდან ყველაზე საუკეთესოს შეარჩევ და ჩაუჯდები. ახალი წლის ღამეს? ჩართავ ტელევიზორს და მთელი ღამე იმხიარულებ.

უარყოფითი: ტელევიზორი ზომბებად გვაქცევს და თავს გვახვევს ყალბ კერპებს. „დამჯდარ“ და „ნამონოლილ“ ცხოვრების წესს გვაჩვენებს და სხვა ადამიანებთან კონტაქტის საშუალებას გვისპობს.


ბრაუნი მარხანი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი XIX საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. ამ დრომდე, ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, ადამიანის ყოფა ძველევგვიპტურისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა, თუ ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებას არ ჩავთვლით. მინას კვლავ ცხოველების გამოყენებით ხნავდნენ, როგორც 2 ათასი წლის წინ; ეტლით გადაადგილდებოდნენ; შენობებში არ იყო ტუალეტი და სასახლეებში მცხოვრები დიდებულებიც კი ღამის ქოთნებს იყ-

ენებდნენ; ჭრაქითა და სანთლით ანათებდნენ სახლებს და თივაზე ეძინათ. შემდეგ გამოიგონეს ორთქლმავალი, საკანალიზაციო სისტემა, წყალგაყვანილობა, ელექტრობა, რადიო, თვითმფრინავი და ავტომობილი. ეს ყველაფერი, სულ რაღაც 50 წლის განმავლობაში. ინტელექტუალური ენერჯის ასეთი უცარი აფეთქება ისტორიკოსებს დღემდე ვერ აუხსნიათ.

XX საუკუნის 20-ან წლებში ინგლისურმა გაზეთმა მკითხველების გამოკითხვა ჩაატარა. კითხვაზე — რა სარგებლობა აქვს ავტომობილის გამოგონებას, მკითხველთა 80%-ის პასუხი ასეთი იყო: „ცხენის ქურდობა მნიშვნელოვნად შემცირდა!“ თუ მანქანების ქურდობის შემთხვევების სტატისტიკას გადავხედავთ, მივხვდებით, რომ არაფერი შეცვლილა.

ავსტრალიაში არსებობს მთა, რომელიც მთლიანად ურანის ოქსიდისგანაა შემდგარი. ამ მთის წყალობით, ქვეყანა ატომური სანავის მოპოვებაში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. აღნიშნულ მთაზე აბორიგენების ტოტემური ხვლიკი ცხოვრობს, რომელსაც გრუდუს ტომი თაყვანს სცემს. იმისათვის,



2. ავტომობილი

დადებითი: ჯერ ერთი, ძალიან მაგარია. სხვები ფეხით დადიან, შენ კი ავტობომობილით „მარიაუობ“. არ გჭირდება მეტროსა და ავტობუსებში ყელეტა. ის, თავისუფლებისა და კომფორტის შეგრძნებას გვანიჭებს და საქმის სწრაფად მოგვარების საშუალებას გვაძლევს.

უარყოფითი: საცობებში ბევრ დროს კარგავ, პატრულთან და ფეხით მოსიარულეებთან კი — ნერვებს. ამას მიუმატე სანწავის, დაზღვევისა და შეკეთების ფასი.

3. გენერ-მოდიფიცირებული სახვები

დადებითი: მასში არ არიან მატლები და ყოველთვის ლამაზად და მადის აღმძვრელად გამოიყურება.

უარყოფითი: ჯერ არავინ იცის, ასეთი პროდუქტი მომავალში ადამიანის გენურ მუტაციას გამოიწვევს თუ არა. თუმცა, ყველა ამბობს, რომ მათი მიღება ძალზე საშიშია.

4. პლასტიკური ქირურგია

დადებითი: მაიკლ ჯექსონი ახლა თეთრკანიანია, ხოლო პამელა ანდერსონის მკერდი ყველას აღფრთოვანებას იწვევს.

უარყოფითი: როგორც წესი, ერთი ოპერაცია საკმარისი არასოდეს არის. დანის ქვეშ რამდენჯერმე უნდა „მოხვდე“, რომ წინა ოპერაციის კვალი დაფარო. საერთოდ, ნატურალური ყოველთვის გაცილებით სასიამოვნოა და დაბერების შემდეგაც უფრო კარგად გამოიყურება.

5. ინტარნეტი

დადებითი: ნებისმიერი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სისწრაფე. სწრაფი კავშირი. შესაძლებელია სწრაფად შექმნა ფოსტა ან საკუთარი ვებგვერდი და ფულიც იშოვო.

უარყოფითი: აქ უამრავი ადამიანი „დაბორიანდება“. არ არსებობს არავითარი რედაქტურა და ცენზურა. ხშირად კი ინფორმაციის სიზუსტეც ეჭვქვეშ დგას.

6. აომპიუტარული თამაშები

დადებითი: სკამიდან აუდგომლად მთელ სამყაროსთან

დაკავშირება შეგიძლია.

უარყოფითი: რეალურ ცხოვრებაში მოთამაშეს 2 სიტყვის ერთმანეთზე გადაბმა უჭირს. თამაშები კი ისე ითრევეს, რომ სხვა რამისთვის დრო არ რჩება.


7. აბოგური ენერჯია

დადებითი: ეკოლოგიურად სუფთა ენერჯიაა და მისი მიღების შესაძლებლობას იძლევა იმ რეგიონებში, სადაც სხვა წყარო არ არსებობს.

უარყოფითი: ატომური იარაღის გავრცელების საშიშროება. ჩერნობილის ტიპის კატასტროფის შესაძლებლობა.

8. „ხოჯა-ხოლუ“ და სხვა მსგავსი სასაქონლო

დადებითი: გემრიელია, გამაგრებელი და ყველგან იყიდება. თუ მასში ნაყინს



ჩაამატებ, საუკეთესო სასმელს მიიღებ.

უარყოფითი: ძალიან ტკბილია და წყურვილის გრძობას გიმძაფრებს. ახალგაზრდები გაზიანნი, ტკბილი სასმელების გარეშე ვერ ძლებენ. ეს კი ქრონიკული გასტრიტის განვითარებას უწყობს ხელს.

9. მობილური ტელეფონი

დადებითი: სწრაფი და მოსახერხებელი კავშირი დედამიწის ნებისმიერ წერტილში მყოფ, ნებისმიერ ადამიანთან.

უარყოფითი: სასაუბრო დროის მკვეთრი ზრდა. საუბრების მოსმენა. თავისუფლების ზღვრის შეზღუდვა (შენი პოვნა ნებისმიერ დროს შეიძლება). შენი ადგილსამყოფლის დადგე-

ნის შესაძლებლობა. ადამიანზე მიკროტალღების უარყოფითი გავლენა.

10. ბურთულიანი ხალაში

დადებითი: გაცილებით მოსახერხებელია და ჰიგიენური, ვიდრე მელნიანი კალამი. იაფია.

უარყოფითი: რა ვუყოთ, კალიგრაფიის ხელოვნებას? იოლია წერა, მაგრამ მართლწერის ხარისხს ვერ ამალღებს (ფიქრის დროც არ არის).

11. ლიფტი

დადებითი: კომფორტული და მოსახერხებელია. განსაკუთრებით მაშინ, თუ მაღალ სართულზე ცხოვრობ.

უარყოფითი: ფეხით სიარულის საშუალებას გისპობს. დაბალ სართულზეც კი ლიფტით ადიხარ. არადა, კიბეზე ფეხით

ასვლა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. არსებობს რამდენიმე საათის განმავლობაში ლიფტში გამოკეტვის საშიშროებაც.

12. ბიჰინი

დადებითი: ქალის სხეულის მთელი (თითქმის — მთელი) სილამაზე ჩანს.

უარყოფითი: სად უნდა დამალოს ქალმა თავისი იდუმალება? შიშველი სხეული ნაკლებად ეროტიკული და მიმზიდველია, ვიდრე დაფარული. ისმის კითხვა — პირველყოფილ ყოფასთან მიახლოება პროგრესის ნიშანია? და კიდევ: სად უნდა დამალოს ქალმა თავისი ცელულიტი?

ახლა კი თქვენს შეკითხვებს გავცემ პასუხს.

ბრაში თარხანი

?

— გამარჯობა, გრაფო, გთხოვ, ამისხენი, რას ნიშნავს, როცა ბიჭი ერთ დღეს ყურადღებით გაქცევა, მეორე დღეს — არა და ასე უსასრულოდ — ოღონდ, ზუსტად ვიცი, რომ გოგონებით თამაში არ უყვარს.

— ნუ იქნებით დარწმუნებული, რომ მას გოგონებით თამაში არ უყვარს. თუ ამის შესახებ თავად გითხრათ, არცთუ სარწმუნო წყაროდან გქონიათ ინფორმაცია მიღებული, ხოლო თუ ასეთი დასკვნა თქვენი დაკვირვების შედეგია, გამოდის, რომ მშვენივრად ერკვევით მის ბუნებაში და პასუხის გაცემა არც იმ კითხვაზე გაგიჭირდებათ, რომელსაც მე მისვამთ. ქალის მიმართ მამაკაცის ასეთი ქცევა იმის მიმანიშნებელია, რომ მის მიმართ გულგრილი არ არის და მას, თუნდაც, როგორც მეგობარს, პატივს სცემს. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ის ამას განგებ აკეთებდეს. ეს ხერხი საუკეთესოა საიმისოდ, რომ საპირისპირო სქესი ჩააფიქრო და აიძულო, რომ მუდამ შენზე იფიქროს. აი, ხომ ხედავთ, შედეგიც სახეზეა. თქვენ არა მარტო ფიქრობთ მასზე, არამედ, კვალიფიციური ფსიქოლოგის რჩევაც კი საჭიროდ მიიჩნით.

?

— ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ. ბიცოლა ჩემის ნათლული არის თუ არა ჩემი ნათესავი. მე და გიგას ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

— მე გირჩევთ, ამის შესახებ მოძღვარს დაეკითხოთ. ის გაცილებით ზუსტად გაგარკვევთ, შესაძლებელია თუ არა თქვენი ქორწინება.

?

— გთხოვთ, მირჩიოთ, ჩემზე გაცილებით უმცროსი ასაკის ბიჭი რომ მომწონს, ეს მისაღებია? თუ ამის გულისთვის გავიკიცხები? ან ჩემნაირ გოგოს, როგორც დიდს, ისე შეხედავენ?

— სამწუხაროდ, არ ვიცი თქვენი და თქვენი რჩეულის ასაკი. თუმცა, საზოგადოება ყველაფერზე ჭორაობს და თუ საბაბი მიეცით — მით უმეტეს. ჩემი აზრით, თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამთ, მზად უნდა იყოთ გაკიცხვისთვის, გაკილვისთვის, დაცინვისთვის და მისი ნათესავების მხრიდან შესაძლო შეურაცხყოფისთვისაც კი. საზოგადოება გაცილებით უკეთ ეგუება იმ ფაქტს, როცა მამაკაცია უფროსი ან როცა წველი უკვე საშუალო ასაკშია. თუ თქვენ 30 წლის ხართ და 16 წლის ბიჭი გიყვართ, ამის გამო გაცილებით დიდ წინააღმდეგობას ნააწყდებით, ვიდრე მაშინ, თუ 45 წლის ხართ და 30 წლის მამაკაცი შეგიყვარდებათ. თუმცა, საზოგადოების უარყოფით აზრს ვერც მაშინ გაექცევით.

?

— ვერ გავიგე ბატონო გრაფო, უკვე მესამედ გწერთ. რატომ არ მიბეჭდავთ? ჩემი გვარია — მისირელი. გამიგია, იტალიური გვარიაო. ხომ ვერ მეტყვით, მართლა იტალიური გვარია?

— მსგავსი შეკითხვები მრავლად მოდის. ზოგი იმასაც მეკითხება, სახეზე გამოჩნდა რით უშველოს, ან რომელი დეზოდორანტი იხმაროს, რომ ოფლის სუნი არ პქონდეს, რომელი პომადია უმჯობესია... გეტყვით, რომ პირველ რიგში, მე უცოლო მამაკაცი ვარ და ამიტომ ქალის პარფიუმერიაში ცუდად ვერკვევი. მეორეც — ფსიქოლოგი გახლავართ და ბევრი კითხვა ჩემს კომპეტენციას სცილდება. თქვენს კითხვასთან დაკავშირებით შემძლია გითხრათ, რომ მე წლების განმავლობაში იტალიაში ვცხოვრობდი, მაგრამ ასეთი გვარის იქ არავინ შემხვედრია. თუ ჩემი პასუხი არ გაკმაყოფილებთ, იაკობ ახუაშვილს მიმართეთ. გვარების სპეციალისტი ის გახლავთ.

რა თქმა უნდა, ძნელია, თავი შეიკავო და არაფერი ჰკითხო, როდესაც ქმარი შინ გვიან, თანაც შეფიქრიანებული, უხასიათოდ ბრუნდება. როგორ ფიქრობ, მას სურს, რომ უგუნებობის მიზეზზე გულახდილად გელაპარაკოს? თუ შენს დასმულ პირველსავე შეკითხვაზე გაღიზიანებული გიპასუხებს, ეს იმის ნიშანია, რომ უკან უნდა დაიხიო. ბევრი ქალი საკუთარ თავზე ბევრს იღებს და დედის როლსაც ითავსებს. დედობრივი ინსტიქტით ხელმძღვანელობს და მამაკაცს ბავშვივით ექცევა. ზოგიერთს ეს მოსწონს, ზოგი კი ღიზიანდება. არსებობენ ისეთი ქალები, ვისაც სიყვარული და მზრუნველობა მამაკაცის პრობლემაში ჩალრმავება ჰგონია. ამის გამო, თავის მეორე ნახევარს ის გულს უწყალებს შეკითხვებით: „რაზე ფიქრობ?“ „თუ გინდა, დაგეხმარები!“ სინამდვილეში კი დახმარების ნაცვლად ნერვებს უშლის და მოთმინებიდან გამოჰყავს. ჩემი რჩევა იქნება: სამსახურზე, წარსულსა და ნათესავებზე დასმული შეკითხვებით მამაკაცს გულს ნუ გაუწყალებ. თუ მოისურვებს, ამის შესახებ საუბარს თვითონვე წამოიწყებს, მაგრამ აქაც ფრთხილად უნდა იყო, რომ ბევრი შეკითხვა არ დასვა და ლაპარაკის გაგრძელების სურვილი არ დააკარგვინო.

სიყვარულის ერთ-ერთი მტერი ყოფით პრობლემებზე ჩივილია. მართალია, ცხოვრებაში ამას გვერდს ვერ აუვლი, მაგრამ თავის გაკონტროლება ყოველთვის შეგიძლია. ფსიქოლოგების აზრით, ფულზე, ყოველდღიურ პრობლემებსა და სამსახურზე წარმოთქმული მონოლოგები სრულიად უსარგებლოა. ნუნუნო პრობლემის გადაჭრაში ვერ დაგეხმარება. მაშ, ტყუილუბრალოდ რატომ უნდა ილაყბო? ეს სიყვარულს ღუპავს. თუ ყოფითი პრობლემები გტანჯავს და მოსვენებას არ გაძლევს, უმჯობესია, მათ შესახებ არ ილაპარაკო. ასეთი ხერხით მაღალ და „მდაბალ“ ღირებულებებს შორის ზღვრის გავლებას შეძლებ. თუ მამაკაცს მხოლოდ პრობლემებზე ანუ „მდაბალზე“ ესაუბრები,

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს“-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა graf გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.



წეწენით საძიას პირ-მეგობარი

ქალებს პირად პრობლემებზე საუბარი უყვართ. მოგჭერ ამის შესახებ მეგობრებს, დედას ან თანამშრომელს უყვებიან ხოლმე. ქმართან ან საყვარელ მამაკაცთან ზოგჯერ მხოლოდ სამსახურებრივ პრობლემებზე ნუნუნებენ და მისგან მხარდაჭერასაც ელოდებიან. თუმცა, ხშირად ისეც ხდება, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, მთელ თავის ბიოგრაფიასა და ნათესავ-მეგობრების პრობლემებზე ლაპარაკით ქმარს გულს უწყალებენ. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ქმართან შენს წარსულზე, ნათესავ-მეგობრებსა და პრობლემებზე საერთოდ არ უნდა ილაპარაკო, არამედ, როგორც ყველაფერში, აქაც მომიერების დაცვაა საჭირო. მამაკაცი შენდამი რომანტიკულ განწყობილებას შენს ბოლომდე ამოცნობამდე ინარჩუნებს.



— ამის შემდეგ, სიყვარული თითქოს ხელახლა იფეთქებს ხოლმე.

საგნები, რა თქმა უნდა, გრძნობას არ ბადებს, მაგრამ მამაკაცებს არც მხოლოდ გაშიშვლებული სული უყვართ. მათზე დიდ გავლენას ქალის გარეგნობა, ჩაცმის სტილი და ვარცხნილობა ახდენს. ალბათ, ქალებისგან ხშირად გსმენია, რომ საყვარელ მამაკაცს ის უყვარს და არა მისი ჭინჭები. ან როდესაც ამბობენ ხოლმე: „ისეთ მამაკაცს დაველოდები, რომელსაც მე ვჭირდები“. ასეთ ქალებს სიყვარულის ფსიქოლოგიის არაფერი გაეგებათ. მამაკაცში გრძნობის გასაღვივებლად ქალის გარეგნობა დიდ როლს თამაშობს. ყველაფერი სწორედ აქედან იწყება. თუ ქალი გათხოვების შემდეგ თავის გარეგნობაზე არ იზრუნებს, მამაკაცის თვალში თანდათანობით მიმზიდველობას დაკარგავს.

თქვენი ურთიერთობაც ამ დონეზე დავა.

რაოდენ ძლიერადაც უნდა უყვარდე მამაკაცს, ყოველთვის გახსოვდეს, რომ მის ფსიქიკურ შესაძლებლობებს ზღვარი აქვს და ხანდახან მას შენგან დასვენება სჭირდება. მაღალი გრძნობების შესანარჩუნებლად დროებითი განშორება უბრალოდ, აუცილებელია. თუ ამას ცხოვრების წესი არ გთავაზობს, მაშინ თავად მოაწყვე ისე, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ერთმანეთის გარეშე იცხოვროთ. „გარკვეულ პერიოდში“ 1 წელიწადს ან რამდენიმე თვეს არ ვგულისხმობ — 1-2 კვირით დასასვენებლად მარტო წასვლა სრულიად საკმარისია. გავრცელებული აზრის თანახმად, განშორება სიყვარულს ამძაფრებს და აწრთობს. ფსიქოლოგების ენაზე, ეს ნიშნავს, რომ შენი ხანგრძლივი არყოფნის დროს, მამაკაცის ცნობიერებაში, შენი პირველი ხატი ცოცხლდება და ის ხელახლა შეგიყვარ-

რებს. დაბრუნების შემდეგ, ის შენ მიმართ უფრო ნაზი და მგრძობიარე გახდება.

განშორება არ არის ერთადერთი ხერხი საიმისოდ, რომ ერთმანეთისგან დაისვენოთ. საამისოდ საუკეთესო საშუალება გაუგებრობაა. ჩემი ნათქვამი ნუ გაგაკვირვებს. წვრილმანი უთანხმოება იმის დასტურია, რომ თქვენ 2 განსხვავებული ადამიანი ხართ და სხვადასხვა საკითხზე საკუთარი აზრი გაქვთ. თუ საყვარელი მამაკაცი გაგაბრაზებს, ცოტა ხნით გაეზუტე. ეს მას გამოაფხიზლებს. თანაც, შერიგება ხომ ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მომენტია



ჰაფსაჰა
თეზი დიდ
ცანაყანს სჯობია



მომხმარებელი

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქვეყნები



1. მარი, ვებმაურები „გზა“ №41, 34-ე მესიჯის ავტორს. გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი. თიკა ჯაფარიძე.
2. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ განათხოვარი, სერიოზული.
3. ვარ 19 წლის, მაღალი, ქერა. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, ჭკვიან და პატიოსან ადამიანს, სამეგობროდ. ქეთი.
4. „გზა“ №43, 46-ე მესიჯის ავტორს ვებმაურები და დამიმესიჯოს. ნანა.
5. „გზა“ №44, 28-ე მესიჯის ავტორს ვებმაურები. გთხოვთ, დამაკავშიროთ.
6. ვარ 37 წლის, კარგი გარეგნობის, სერიოზული, გასათხოვარი ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, ვინც აფასებს პატიოსნებას.
7. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №42, 51-ე მესიჯის ავტორ მამაკაცს.
8. ვარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, გასათხოვარი ქალბატონი. ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობდი სერიოზულ მამაკაცს, 40 წლამდე, თბილი ურთიერთობისთვის.
9. ვარ 23 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ და დასაქმებულ 28-32 წლის ბიჭს. ნინო.
10. ვებმაურები ნომერი „გზა“ №44, 34-ე მესიჯის ავტორს. წინასწარ გმადლობთ.

11. მომწეროს მხოლოდ იმ ერთადერთმა, რომელსაც ერთგულება და ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლია. ვარ 20/175/58, საყვარელი და მხიარული გოგონა, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე.
12. მარი, გთხოვ, გამომიგზავნო „გზა“ №44, 24-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
13. ვარ 28 წლის. ძალიან მინდა გავიცნო ინდოელი ბიჭი, 28-29 წლის. ეკა.
14. ვარ 20 წლის, მომხიბვლელი გოგო. გავიცნობდი 29 წლამდე ასაკის, მოწესრიგებულ ბიჭს, ერთგული სიყვარულისთვის. სასურველია, იყოს მაღალი (180 სმ). სტანდარტს გადაცილებულები არ გამოიმეხმაროთ. ნათია.
15. სიამოვნებით გავიცნობდი 37-45 წლის, თბილისელ მამაკაცს. ფინანსურად ძლიერს, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სიმპათიური, 37/170/67.
16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 33-36 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს, ვისაც სიყვარული და ერთგულება შეუძლია. გელოდები.
17. მინდა, გავიცნო თბილისში მცხოვრები მამაკაცი. ვარ განათხოვარი. მყავს, ერთი შვილი. გამომეხმაროს სერიოზული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.

საქართველო



18. გამარჯობა, ლამაზმანებო. მე ირაკლი ვარ. სამეგობროდ გავიცნობ გამხდარ, ტემპერამენტულ, 18-35 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრებ გოგოს,

- ვისაც ერთგულება შეუძლია.
19. ვარ 23 წლის. გავიცნობ ქალბატონს, რომელიც მზადაა ფარული, ინტიმური ურთიერთობისთვის. გელით, ქალბატონებო.
20. მინდა, ოცნება მთვარიან ლამეს და ამ ოცნებით შენ ახლოს ყოფნა, მინდა, ეგ შენი ნაზი სხეული და მაგ ტუჩებში ფარულად კოცნა! გავიცნობ ლამაზ, თბილისელ გოგოს! იკა.
21. ვარ 28 წლის, ცოლს გაშორებული ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-28 წლის გოგოს. ვარ თბილი და მოსიყვარულე ადამიანი.
22. ვებმაურები 25 წლის თაკოს. ვარ 33/190, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი.
23. „გზა“ №42, მე-3 მესიჯის ავტორს ვებმაურები. გთხოვთ, დაგვაკავშირეთ. ერთგული მეგობარი.
24. ვარ 32/192, სიმპათიური მამაკაცი. მყავს მანქანა. სამეგობროდ გამოიმეხმაროს მხოლოდ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი.
25. მარი, „გზა“ №44, მე-15 მესიჯის ავტორის ნომერი მომწერე.
26. ვებმაურები უკრაინელ გოგონას, „გზა“ №44, მე-13 მესიჯის ავტორს. თქვენი გაცნობის იმედი მაქვს. თავდაჯერებული არ ვარ.
27. გთხოვთ, მაცნობოთ „გზა“ №44, მე-11 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. დიდი მადლობა წინასწარ.
28. გავიცნობ სექსუალურ გოგონას, 30 წლამდე, ხანგრძლივი, ინტიმური ურთიერთობებისთვის. დამიმესიჯეთ, ვისაც სექსი გიყვართ. სრული სერიოზულობით. ლექსო, 24 წლის.
29. გთხოვთ, გამომიგზავნოთ „გზა“ №44, მე-17 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
30. ვარ 16/187/70. გავიცნობ 16 წლამდე ასაკის, ლამაზ გოგოს. არც მე ვარ ჭურის სარეცხელი. გკოცნით ყველას. მპა. მეგათეო.
31. ვარ 31/191, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი, დასაქმებული, მყავს მანქანა, ქალის ფასიც ვიცი. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგონას.
32. მომწერეთ „გზა“ №44, მე-14 მესიჯის ავტორის ნომერი.
33. ვარ 20 წლის, ძალიან სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ ლამაზ გოგოს, ინტიმური ურთიერთობისთვის. გიო.
34. ვისაც უნდა, ნამდვილი და ძლიერი მამაკაცი ჰყავდეს

გვერდით, ფარული შეხვედრები-სთვის, დამიკავშირდეს. სუფთა წარსულის, ლამაზი, 25-30 წლის ქალბატონების საყურადღებოდ.

35. ვისაც უნდა, რომ ჰყავდეს მოსიყვარულე და ერთგული საყვარელი, რომლის გვერდზეც თავს ნამდვილ ქალად იგრძნობს, დამიკავშირდეს. უნდა იყოს მომხიბვლელი, სუფთა წარსულის მქონე.

36. მინდა, სულიერად და ფიზიკურად ლამაზი საყვარელი მყავდეს. ვარ ყველანაირად ძლიერი მამაკაცი. დამიკავშირდეს ლამაზი, სუფთა წარსულის მქონე, 32 წლამდე ასაკის ქალბატონი.

37. გავიცნობ სიყვარულისგან იმედგაცრუებულ, 17-21 წლამდე გოგოს, რომელსაც კიდევ შეუძლია ნამდვილი სიყვარული. ნიკა-18.

38. გოგონებო, თუ ვინმეს სიტბო და ალერსი გაკლიათ, დამიმესიჯეთ. ვარ 18/185/70, ცისფერთვალება, მიმზიდველი მამაკაცი. ზურა.

39. გამარჯობა, სიყვარულის მაძებარო ქალბატონებო, მე ირაკლი ვარ და მსურს, სამეგობროდ გავიცნო გამხდარი, 18-30 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრები გოგო. ნუ დაკარგავთ, შანსს.



40. ვარ 34 წლის, სერიოზული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 37-43 წლამდე ასაკის, სერიოზულ პიროვნებას. დანარჩენი — პირადად.

41. ვარ 28 წლის. ძალიან მინდა ესემეს მეგობრების შექმნა. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. კრძოდ — „მობილი-ზაცია“. ველი გამოხმაურებას.

42. მოგესალმებით გულით! ვარ 45 წლის. მაღალი, გამხდარი, ცოლს გაცილებული, ჯერჯერობით უბინაო. მინდა, თბილ და ყურადღებიან ქალთან ურთიერთობა და ოჯახზე ვიფიქრებ.




43. მარიკუნა, გთხოვ, გამომიქვეყნე. ვეძებ განმუხურის პატრიოტებში გაცნობილ თუფაქას, კენკებას და ბებეტოს.

გამომეხმაურეთ, ვინც იცნობთ. გორელი ტუზიკელა.

44. სასწრაფოდ ვეძებ ახალ მეგობრებს, სქესის განურჩევლად. გორელი ტუზიკელა. მალე!

45. მინდა, „გზის“ მკითხველს დახმარება ვთხოვო. მსურს, ვიპოვო ჩემი ძველი მეგობარი, ვიტალი ნახნაკია, რომელიც ნახალოვკაში ცხოვრობს. 2 წლის წინ გავიგე, რომ დაოჯახებულა. თუ ვინმემ იცით მისი ტელეფონის ნომერი, გამაგებინეთ. წინასწარ გიხდით მადლობას. საზღვარგარეთ ვარ და თქვენი დახმარება ამიტომ მჭირდება. მიკრი.

საუბრა



• გაუმარჯოოოს! როგორ ხართ? მეუღლე მეხვეწება: სოფ, მეც გამჩითე „გზაშიო“. მიდი და დაამესიჯე, ადგილი ნაყიდი კი არა მაქვს-მეთქი. ნეტავ, რას იზამს? კოხი-20.

• ზაზუ და მეგრელო მგელო, გაიხარეთ, ჩემი სიხარულები. ვა, ძლივს არ გავჩითეთ ნომრები? გაფასებთ, ქალებოოო! მპუები თქვენ. კოხი-20.

• ნიკოლს გაუმარჯოს! როგორ ხარ, სიხარულო? დიდი მადლობა, მოლოცვისთვის. კარგი ხარ, კარგი. ბევრი კისს-კისს-კისსები, შენ. კოხი-20.

• მარი, მოგვიანებით გწერ, რადგან კვირას „გზა“ ვერ ვიყიდე. ომონიაზე ვერ გავედი. გავცივდი და სიცხე მაქვს. ახლა მომიტანეს გოგონებმა ჟურნალი და ჩემი მესიჯიც ვნახე. გამიხარდა. მადლობა!

• გაიხარე, თომა გურულო, როგორ ჩემსავით აზროვნებ! ალბათ ორთავე გურულები რომ ვართ, იმიტომ. არ დაამსგავსეს, ჟურნალი „გზა“ ბორდელს? ათენელი გურული. მარი, რომ არ დაბეჭდო, ისე ვიკივლებ, რომ თბილისში გაგაგონებ.

• მარიკელა, რამე დაგიშავე, ჩემს მესიჯს რომ არ მიბეჭდავ? მიყვარხართ ყველა, გაკოცეთ ბევრი. მე ახალი ვარ. ბოტოტა-17. ათენი.

• მარიკელა, იცი? დედაჩემს დღემდე ვსაყვედურობ, რატომ მარი არ დამარქვი-მეთქი? მე ახალი ვარ, მაგრამ ყველას გიცნობთ შორიდან. მეგრელო მგელო, ჰაი! კიდევ, რეპერინოს, ლეო91-ს. მოკლედ,

ყველას გაკოცნით, ჩემს დაიკოებს, ხულიგანკას, ვანესას და პატარა ქურდს, მურმანიკას. მარი, გვედრები დამიბეჭდე, გემუდარები. მის ემინემა.

• მოსულა, მგელო, გაგეცნობი, მაგრამ „დევეუშკა“ კი არა, საყვარელინო „მალჩიკინო“ ვარ. გაიხარე, შე მაგარო. ოქრო კაცუნას სიცოცხლე! მაგრად ვარ, შენ როგორ ხარ, ბრატი? რეპერინო.

• შემოგვევლეთ, მგზავნელებო, ხომ ხართ, გრანდიოზულად? კოხი-20, გილოცავ! მუზკასგან რა გინდა? ეგ სიტყვები — ყველა ჩვენი თავის მეფეები ვართ, — მე მეკუთვნის, რეპერინოს.

• ჩვენს პატარა სამყაროში, ვიჩითებით მხოლოდ მაშინ/როცა ვკითხულობთ მესიჯებს და თანაც, ყოველ ნაშში/ყოველ შაბათს ვიძირები/„გზავნილების“ ლამაზ ზღვაში, რეპერინოს ყველა თქვენგანზე, მხოლოდ კარგი მოსდის თავში/თქვენს მესიჯებს რომ ვკითხულობ/ვძვრები თქვენი ტვინის აზრში/სისხლს მივყვები, ვრჩები გულში/არ გამაგდოთ გარეთ, ქარში/მინდა, თქვენთან, ლამაზ სახლში/ერთ ოჯახად ვიყოთ „გზაში“/რეპერინომ ყველასათვის, გამოგზავნა ტკბილი ზასი.

• მოვედი. მე პირველად ვამესიჯებ „გზავნილებში“. ყველანი მაგრები ხართ გაკოცეთ. გორელი ტუზიკელა.

• ვიცი, ხარ მშვიდი, ვიცი ხარ წყნარი, წმინდა ნინოსი გფარავდეს ჯვარი, დაგლოცოს ქრისტემ, დაგლოცოს ღმერთმა, წმინდა გიორგი გფარავდეს ყველგან! ქეთინო ხურცილავა.

• მარი, წითელი ბალიდან არ ქვეყნდება?

• ვარ 21 წლის გოგო და სულ არ მინდა არავის გაცნობა, იმიტომ, რომ ჩემი ოცნების მამაკაცი „გზავნილებით“ არ დაიწყებს გოგოს ძებნას. კარდიოლოგი.

• რა მაგრები ხართ, შემოგვევლეთ ყველას. კაკუ, სად დაიკარგე?

• მეგრელო მგელო, შენს ნიკს 30 იმიტომ აარტყი, რომ 30 ნოემბერს ხარ დაბადებული და „გზაში“ 30-ე ნომრიდან მესიჯობ. გამოვიცანი? ვის უნდოდა, ჩემი გაცნობა? Ashley pcd.

• მეგრელო მგლის ძმა-25, შენ არ იყავი, ღვთისმშობელი რომ დაიფიცე, მიყვარხარო? მერე მელი დაგევასა. რას

გაგიგებს კაცი! :) მპუა, ჩემი საყვარელი ძამიკო ხარ. Ashley pcd.

• გვანცა! ჩემი საყვარელი დისშვილიც აქ? :) ვაიმე, როგორ მიკალქალ, ქალი! ზიზუ-10 და 9122, მაგრები ხართ. მპუა. ashley pcd.

• აუ, მარი და მგელო, მეგრულად ნულარ ბაზრობთ, არაფერი მესმის! :) ოლეგარიო და გველი-16, დაბადების დღეს გილოცავთ. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. Ashley pcd.

• მოგესალმებით ყველას. პირველად ვამესიჯებ და იმედია, მიმიღებთ. ნატალი.

• პრივეტ, „გზა“ და მკითხველებო. ახალი ამბავი გაიგეთ, მეგრული მგელოსგან? გავთხოვდიიი! მე და ჯონი დები გავბედნიერდით. ყველანი მთელი გულით მიყვარხართ. თქვენი მახოხისტკა.

• შეწირულო, მართალი ხარ. უი, ოლეგარიო, გილოცავ, გენაცვალე, გაიხარე და იბედნიერე, შენს მზიასთან ერთად. ლეო91 ისევ დაიკარგე, ხომ? :(რატომ? უფ! :(გამოჩნდი, რააა! 9122.

• პრივეტები. აუ, ლუციფერ, ეგრე რატომ ლაპარაკობ? მაგ სიტყვებით ბევრს სტკენ გულს. დამიჯერე... მე პირადად, ხომ იცი, როგორ გაფასებ? ნუ იგრუხები, რააა... მოხევე.

• ზიზუ-10, გაიხარე! „რეალი“ მართლა მაგარია. საერთოდ, „ფუტბოლი“ ძაან მაგარია რა და არავინ შემედაოს! ზაზუნას კიდევ, ნუ აწუხებთ რა და უაზრო ხალხმა თავი დაანებეთ. 9122.

• მგზავნელების შეხვედრაო! ჰმ, თქვენ იცით, რომ სამებაში ჩემსა და ნელკას გარდა არავინ მოსულა? საშინლად გამიცრუვდა იმედი. არ მეგონა, თუ ასე არ გინდოდათ შეხვედრა. ილინი.

• მეგრულ მგელო, მაგრად გამიტყდა, მეგობრები რომ მოიკითხე და მე არ ჩამთვალე. მინდა, რომ მეგობრებში მეც ჩამთვალეთ. მიყვარხართ ყველანი. როზი.

• ეგრე კანიბალკა, მიდი, მიაწეი. მთიული არავინ ხართ? მე ვარ! ლეო, ლეო, ლეო, ლეეეოოო! გამოჩნდი, რააა! :(ლეო91, სად ხარ, კაცი? მთიულებო, შემეხმინეთ, რა. 9122.

• ეჰ, ჩემო ნინი, ლიგაზე მაგრები ვართ, მაგრამ იტალიის ჩემპიონატში? :(არგელოდი.

• სასტავი მაგრად გაბანძდა და ამიტომ ნავედი. მარტო „გზავნილებში“ დავამესიჯებ. ბან-

ძებო! ლეო91.

• არგელოდი, მაგარი ხარ! ალბათ, მაგ ბიჭს მაგრად უყვარდი და დაწერისას დაიბნა. მაგარი ხარ, გაიხარე! როზი.

• არგელოდი, შენ დამინყნარდი, რაა! მე მაგას და მაგისნაირებს კონკურენტად არ მივიჩნევ. გაიგე? მუზკა.

• მგელი მგელოსნაირი ქურდები არ არსებობენ! ისე, სამართლიანი ადამიანი გინდ ქურდი იყოს, გინდ პროკურორი, ჩემთვის ორივე ჯიგარი და კაცური კაცი იქნება. არგელოდი.

• რეპერინო, ფრედი მერკურიზე რა აზრის ხარ? მართალია, რეპი გევასება, მაგრამ მაინც... :) არგელოდი.

• X-მენ, ურაა! :) მეც რაჭველი ვარ, წარმოშობით. ნიკოლ, ჩემო ლამაზო, გილოცავ დაბადების დღეს. 9112, გენათაღევო, მე აქ ვარ. :) გაიხარე, სიხარულები. ბაო, სად დაგვეკარგე, ჰა? ნელკა.

• თეო, მეც „მგლების“ ფანი ვარ და სამივე ნაწილი წაკითხული მაქვს. მეოთხეს ველოდები. :) ლუკაზე ხომ ვაფრენ, რა... :) მის სიო, სად ხარ, გოგო, რომ დაგვეკარგე? დაბრუნდით, რა. :) ნელკა.

• თეო, მგელო, სიყვარულით დამწვარი რა პონტში? :) მარი, ძალიაან მიყვარხარ, მიუხედავად იმისა, რომ სულ დამივიწყე, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ ბევრი საქმე გაქვს. :) ნელკა.

• მარი, რა კარგი გოგო ხარ, მესიჯები რომ დამიბეჭდევ. ყველანი საყვარლები ხართ. გაკოცეთ. სმაილიკა.

• აუ, ტვინი ამეთქვიფება ამდენი მეცადინეობით. :) 4 საათია, „ვეფხისტყაოსანს“ ვიზუთხავ. :) არა, ცოტა უნდა შევისვენო. :) ისე, მგზავნელებო, როგორ ხართ? სმაილიკა.

• მარიკუნა, გთხოვ, ჩემი ნიკი ინგლისურად მიაჯღაპნე. (უი, შემეშალა) :) მიაწერე. O.K? მპუა, ყველას. :) სმაილიკა.

• აუ, რომ იცოდეთ, ჩემთან რა ხდება... :) ბებიჩემის დაქალოჩკები თავიანთ ქმრებზე ლაპარაკობენ, თანაც, ცოტა „ისეთ“ რამეებზე... ეს ბებიკოები :) რალამ გადარია, ვერ ვხვდები. :) ხა, ხა, ხა! როლებში შეიჭრნენ და ხმას უწვენ. :) აუ, ბებიკოებო, :) don't cry, რა! :) ხელს მიშლით. :) ისე, მაგარი საყვარლები ხართ, მპუა. სმაილიკა.

• მეგრული ვარ და ზუგდიდში ვცხოვრობ. „მგლები“ მა-

გარიაო, ეგ და 151530, ვინ ხარ? ნიკი რატომ არ მიაწერე? პასუსს ველი... მეგრული მგელო-30.

• მაფიოზა, აქ მშვიდობაა და ახლებიც უხვად არიან. :) რატომ დაგვგლეჯ, ეგ მე უფრო მახასიათებს, მგელს. ჰა, ჰა! მაფიოზ, მაფიოზ, მაფიოზ! მეგრული მგელო-30.

• ჰო, ნიკოლ, 30-ში ვარ დაბადებული. არა, არ დაგივიწყებ, მოგილოცავ, უეჭველი. როზი, მე 30 ნოემბერს მაქვს დაბადების დღე. არ დაგტოვებ, არა! „ვიმეგობროთ. :) მპაპ! მეგრული მგელო-30.

• ენჯი, ჰო, 16 წლის ვარ, მაგრამ არც ისე პატარა. მაგარი ხარ, შემოგველე სულში. ნელკა, გინდა, მშობლებმა მომიკვეთონ, შვილების სიიდან? :) მემასხოვრები! მეგრული მგელო-30.

• უკვე ვნახეთ, რომ ემოციებით დახუნძლულებს, მთავრობის შეცვლა არ გამოგვივიდა. თუ მოხდა სასწაული და მიხეილი წავიდა, ვინ მომცემს გარანტიას, რომ უკეთესი ხელისუფლება გვეყოლება?

• ვაა, ტოო... „ბარელი“ გვანცა-მიკი გამეჩითა! Ashley, აუ, რა დაქალოჩკები გყავს, არა? მაგრაა მიკალქააალო! :) უჰ, დავილაღე. მეგრული მგელო-30.

• ნიკოლ, გილოცავ დაბადების დღეს. ღვთის მადლი არ მოგკლებოდეს! რატომ არ დამპატიჟე, ჰა, შე ნუნკალო? მჭამელი არ ვარ, მაგრამ ჰოთდოგზე ვაფრენთ, მე და ჩემი ზაბო. მეგრული მგელო-30.

• 9122, მე პატარა მეგონე, შენი ნიკიდან გამომდინარე. ჰო, 30-ში დაბადების დღე მაქვს და ეგ — !! მეორე კი ისაა, რომ „გზავნილებს“ გადახედავ და მეგრული მგელო უფრო კარგად გამოჩნდება თუ მეგრული მგელო-30? ჰო, რომ გამოჩნდეს მესიჯი, სწორედ მაგიტომ. აი, შუთურია კი 18 ნომრით თამაშობს! აი, შენი ნიკიც მკაფიოდ ჩანს! მეგრული მგელო-30.

• მე მეგრული მგელო-30-ის ძმა ვარ და დღეიდან თქვენ გვერდით მიგულეთ. ჰო, აქ ნინო-მილანის ხატრით ვიგულავებ, „გზაში“. ნინ, მაგარი მეგობარი მყავხარ! მეგრული მგელის ძმა-25.

• 151530, ჰო, სწორად მიხვდი და შენ ვინ ხარ? აგენტო 8-07, მართლა რომ სასწაულია, მეგრულის მოტყუება. მომწონა შენი SMS! მეგრული მგელო-30.

• ოქრო კაცო, ჰო, განა შეიძლება, ფეხბურთი არ გი-

ყვარდეს და თან „მილანი“. ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც შევიყვარებდი. შუთუ თავგადაკლული ფანია და... მეგრელი მგელო-30.

• ხობელო გიჟო ფეხბურთელებო, კოსტია, დათკა, ჩუჩო, მაშკა, სანდრიკ, ოთკა, მაგრები ხართ! კოსტი, დღეს რომ კაფეში მე და ზაბო მიგვიპატიყფე, გამიხარდა. ახლა უკეთ ვართ, ხელფასს რომ აიღებთ, ჩავვირთე ტელეფონი, შე ნუნკალო. აუ, მე და თორნიკე ლლონტი, სასაფლაო, რა მაგრად შევრიგდიით! მეგრელი მგელო-30.

• მარორიკუნია, ძღაბი, ჯგირირე მარგალური გიჩქუდა, თეს მუ უჯგუ?! მუდა ნინა გიჩქუ თიდა კოჩიეჟია რე ნარაგადა! მა ვამიჩქუ შონური, :(ქოდმოგურუანქო სი? ჯგირი მოსნავლე იპიქ, დაიჯერენქ დო მუდგას მიწინქ თის დივგურუანქ, მთავარ დო ელემენტარულ ქოდმოგურე, ქოვო? გუმახარენქო თუ...ნცუ. ქუგაჩყვაპი მანგარო! მეგრელი მგელო-30.

• საგარეჯოს ბანაკში ისვენებდით ვინმე? სმაილიკა.

• აუ, რალაც უნდა გკითხოთ და მიჩიეთ რამე, გთხოვთ. შეიძლება, ბიჭი გეუბნეშოს მაშინ, როცა ამის საბაბს არ აძლევ, ცხარე ცრემლით გატიროს, გაგამწაროს და თან იცოდე, რომ უყვარხარ. აგრესია სიყვარულის გამოხატვის ფორმაა? ვატყობ, ძან დავიკარგე. ყოფილხართ ვინმე მსგავს სიტუაციაში? სმაილიკა.

• აუ, მეც მაგრად მომწონს „მგლები“ და არ ვიცი, იცით თუ არა, არის ასეთი წიგნი: „ვინ თქვა, ბიჭები არ ტირიან“. ძან მაგრად მომწონს. ლეო, ის მაინც გვითხარი, რატომ იკარგები? 9122.

• აუ, რა კაიფი ყოფილა! 2 კაცი იყო და „გზას“ აფრიალებდნენ. ვინც იყვნენ, ჩაიძონძეეეთ! ჰა, ჰა, ჰა! გავსკდი სიცილით. მეგრელი მგელო-30.

• კანიბალკა, შენ იხალისე, ტანჯვა სხვებმა გაიარეს. ბოდიშის მოხდას რაც შეეხება, არც იოცნებო. ბოდიში შენ გაქვს მოსახდელი, ქალბატონ ლალისთან და ბატონ გიასთან. გაიგე?

• მეგრელი მგელო, არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, წინა ნომერში იმ მესიჯის დანერა არ მინდოდა. ბევრი ვიფიქრე, რომ არ დამენერა, კანიბალკა იფიქრებდა, რომ კარგად მოიქცა. შენიროლო, აქ მთლად ლამაზი სამყარო ჯერ არ გვაქვს. რომ

იცოდეთ კანიბალკას ოინები, მიხვდებოდით, რომ იგი ვერც ვერავის დაეხმარება და ვერც გაახალისებს. გული არა აქვს. კანიბალკას გულშემატიკივარო, სიმართლის თქმა როდიდან გახდა შეურაცხყოფა? ან რა ენას ატლიკინებ, ზუსტად იცი, რაც მოხდა? არ იცი! ჰოდა, იმ „სამ ნერტილს“ მე შეგისრულე.

• დიდი მადლობა, ჩემო კარგო, შენც ბათუმელი ხომ არ ხარ? სამწუხაროდ, სახელი არ მიგიწერია ბოლოს, მაგრამ ალბათ შენ მიხვდები. :) შემოგველე და გაიხარე! ბათუმსკი მარი.

• მეგრელი მგელო, რა პრობლემაა, სიხარულოვიჩ? პირიქით, გამიხარდება მე ჯავახიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობ. აქეთ ვინმეს იცნობ? ჩაგკოცნე. ბათუმსკი მარი.

• ხალხო, მე „ბარელი“ გვანცა-მიკი ვარ. :) მგელოს წყალობით გადავწყვიტე „გზაში“ დამესიჯება. :) მოხარული ვიქნები, თუ გამომეხმარებით. გვანცა-მიკი.

• Ashley-ს და მგელოს მოკითხვა! გენაცვალეთ, გოჭუნებო. მეც შემოგიერთდით. ნინო-მილან, შენც ჩვენსავით ორ პონტში ხარ, ხომ? გამეცნობი? გვანცა-მიკი.

• ენჯი, გაიხარე, ლამაზო! თქვენმა თითოეულმა გზავნილმა მაგრად გამახარა! ისე, ოლეგარიოზე მაგრად ვხალისობ. მოვიკითხავ მთელ საქართველოს. ვიხაროთ მუდამ. ბათუმსკი მარი.

• ბავშვებო, ბალი ჩატში ხომ არ ჩატაობთ ვინმე? ჩემი ნიკია ფუმფუსიტტა. თუ ვინმეს გეცნობით, ან რამე ამდაგვარი, დამიპირადეთ. გეხუტუნეთ ყველაას! ბათუმსკი მარი.

• მე „ბარელი“ ვარ. აქ ახალი ნიკით დავამესიჯებ. მითხრეს, „გზაში“ კარგი პონტიაო. ისე, მე მოვედი და გზა დამითმეთ. დღეიდან აქ ყველაზე მთავარი მე ვარ! მეკობრე.

• მარიშ, უდაბნოში დაკარგულსა და გზააბნეულ მგზავრს ისე არ გაუკვირდება ცხელ ქვიშებში მოჩუხჩუხე შადრევნის დანახვა, როგორც მე ამ მესიჯის ნახვა გამახარებს, „გზის“ ფურცლებზე. კამელიას მინდა ვუთხრა, რომ მეც ეგრე ვარ, ოლონდ, იმ განსხვავებით, რომ მე ცოლმა დამტოვა, აისბერგით გაციული. ჰოდა, რომ არ ჩავიძირო ბოლომდე, იქნებ...

• მეგრელი მგელო, რა პატარა ყოფილხარ ასაკით. მე 19 წლის ვარ. მჯერა, ერთმანეთს

უკეთ გავუგებთ, თუ შევხვდებით და არა მარტო ჩვენ. ჩემს პატარასაც გაგაცნობთ. როზი.

• კოხი-20 და 13.07, მართლა მაგარი გოგონები ხართ. მალე ჩამოდით, რააა... კოხ, ძლივს არ მოგაგენი? ქმარუკა მომიკითხე და სუუულ ჯიგრულად ყოფნას გისურვებთ. მეგრელი მგელო-30.

• აუ, რაც სიმართლეა, სიმართლეა, რაა! კანიბალკა რატომაა ასეთი, რაა... უნდა, რომ ყველა თავის ჭკუაზე ატაროს, მაგრამ ტუკ, ტუუუუ! ვერ მოგართვი! :) თუ ხვდები, რომ სამებაში, ვითომ შენს მოწყობილ შეხვედრაზე ჩაიძონძე? გაფარჩაკდი! არავინ მოვიდა. ჰხხხ... თუ იცი, რატომ? იმიტომ, რომ ტრიპაჩი ხარ და თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს. აი, მაგიტომ! მეგრელი მგელო-30.

• ლეო91, ხალხი შენი მესიჯების დეფიციტს განიცდის. განსაკუთრებით კი დემონი... ანუ... :) ჰო, ეგა, რა! ჰხხხ... რატომ ტყუი, დეპო ჩაგენრუპა თუ რააა? მეგრელი მგელო-30.

• ზაზუ, მისია შესრულებულია, ქალო! ვოტ-ტაკ! ოლეგ, გაგვახალისე შენი მესიჯებით, ძველებურად! ნინო-მილან, „ბოლნისი“-„მგლების“ თამაშზე მიდიხარ? მეგრელი მგელო-30.

• ნათკა, ჩემო სიხარულო, უზომოდ მენატრები. უშენობას ვეღარ ვიტან. მოიფიქრე, როდის გნახო. გთხოვ, არ გადაამლაშო და ნუ ვიჩხუბებთ. ელოდე სიურპრიზს. მიყვარხარ. კუპატა.

• მეგრელი მგელო, როზი, გაიხარეთ ჩემი გახარებისთვის. იმედია, თქვენი სახით კარგ მეგობრებს შევიძენ. ჰანიბალი და 9122 ერთი და იგივეა? უფ, დავიბენი, რა! ამალთეა.

• რა ქენით, ჩემო კარგებო, შეხვდით სამებაში? ოლეგარიო, გილოცავ დაბადებას. უფალი გფარავდეს! მე მინდა ყველასთან მეგობრობა. ჩემთან მეგობრობა ვის უნდა? ამალთეა.

• სევდია, გაიხარე სიხარულო! უღრმესი მადლობა, ასეთი სიყვარულისთვის. მეც გაკოცე. ოლეგარიო.

• გუდა, ცაკურა, ქაჯა, მელია, თეიკო, თოო, ჯაქურა, ქაჯანა, ბათუთა, კრისა და რაც მთავარია — მგელო! ესენი ყველა ჩემი კლიჩები იყო. ჰო, აბბა! მეგრელი მგელო-30.

• მაპატიეთ, ჩემს მესიჯში სახელი დამავიწყდა. გთხოვთ, ჩაწეროთ. ეკა რეხვიანშვილი.

• სევდიამ მთხოვა, დამ-

აბარა, ლეო91 და გიჟპოეტა მომიკითხეო. არ ვიცი, თვითონ რატომ არ ან ვერ მოიკითხა, მე რომ დამაბარა, მაგრამ მე ხომ დავეხმარე, კაცო. :) მოვიკითხავ ყველას.

• მეგრელო მგელო, არ გამოგივიდა ლამაზად. მგონი, ბოდინი გაქვს მოსახდელი კანიბალკასთან. ისინი შერიგდნენ, შენი მესიჯი კი ძალიან ზედმეტი იყო. მეგობარი რომ გამილანძღე. ყველას გაფასებთ. გვიყვარდეს ერთმანეთი. აუ, რა მშვიდობის მტრედი ვარ! :) ღმერთს ებარებოდეთ. მონასტრის ბიჭი.

• რავა ხართ, ხალხო? აუ, აქ მეგრელები მომრავლებულან. ძველები სად დაიკარგნენ? ჰო, მართლა, შეიკრიბეთ? ხევსურებო, გენათალეთ თქვენ. მპუაა. აბლაბუდა.

• როგორ ხართ? მე ახალი ვარ! მაგრები ხართ ყველანი. მპუები თქვენ. ამ გახსენებაზე, ვისაც ინდაურის კომპოტი უყვარს, მოვიკითხავ. ჭინკა.

• მაფიოზა, მე მინდა, შენს კითხვას გავცე პასუხი: დაქალის შეყვარებული იმიტომ გვიყვარდება, რომ ალბათ, გვინდა, დავამტკიცოთ, რომ ჩვენს დაქალზე უკეთესი ვართ.

• კამელია, მაგრად მაინტერესებს კასპში დატოვებული შენი მეგობრები. ცუნცულ, ცემენტის მტვრის გამო ცემენტის ტომარაზე მალეები ველარ ვიზრდებით. ვინ ხარ, როგორ გავიგო?

• მოვიკითხავ ათენში ბებერს და პანკუს. :) ოქრო კაცი, მეგრელო მგელო, გველი-16, ნელკა, არგელოდი, მუზკა, ოლეგარიო, მამაცი თოჯინა, ილინ, ლიზიკუნა, როზი, მიყვარხართ. ნინო-მილანი.

• პატარა ლელა, მე მახსოვხარ. კი, მაფიოზ, მშვიდობაა. შენ გვაკლდი. სევდია და პუპსიკ, რუსთავი ფორევა! თეო, „მგლებმა“ „ამერთან“ წააგო. ვიზიარებ. ნინო-მილანი.

• რად გინდა შვილო წყლით სავსე ვედრო? — ჰკითხა მეუღლემ ბიჭს. — ჩუ, მამიკომ მითხრა, დილით გამაღვიძეო, — უპასუხა შვილმა. ოლეგარიო.

• სიხარულებო, აქ ყველანი მაგრები ხართ და ასე გააგრძელეთ. ოლეგარიოს და თეოს დაბადებას ვულოცავ! გაკოცეთ ბევრი. შენირულო, მაგარი ადამიანი ხარ. მიტინგზე ვინ იყო? დუჩი.

• არგელოდი, სრულიად მართალი ბრძანე. მოხევე, რომელი სოფლიდან ხარ? კაკუ და

ზაზუნა, დაბრუნდით, რა? ლუციფერ „რეიტინგში“ თავს ზედმეტად არ გრძნობ? მგონი, შენ იყავი. დუჩი.

• პრივეტები ყველაას! გკოცნით ბევრს. :) პირველად ვამესიჯებ „გზაში“ და იმედია, მიმიღებთ სასტავში, მაგრამ ჯერ ნებართვა კანიბალკასგან და მონასტრის ბიჭისგან უნდა ავიღო.

• აი, მეორე ხმაც მოვედიიი! კაკ დელიშკი, ხალხო და ჯამაათნო, ა? მე უივუ რა, ოლონდ, ბეზ ვას. ჰო, მართლა, მე ახალი ვარ, ძველის პონტში და ჩამაკვებეთ სადმე. :) ზმიზმი.

• ეს ვილაც გველი-16 რა მაგარი ბანძია. ლეო91-ზე კიდევ, საერთოდ, ლაპარაკიც კი ზედმეტია. შენირულიც მაგარი როჟა ჩანს. შენირულო, გამეცნობი? ანოვარ.

• ხალხო, გამიჩნდა სურვილი, რომ მეც შემოვსულიყავი აქ. ვალიარებ, რომ მონასტრის ბიჭი, შენირული და კანიბალკა გლიჯავენ, საერთოდ. ეს სამეუღლი ჯიგარი ხალია. ანოვარ.

• წავედი და ყველას დავავინყდი, ხომ?.. ზატო, მე სულ მახსოვხართ. სტარიე დრუზია, ცელუიუ ვსებ, ვას! „დასის ვას, ვასის დას“ და იმას ვამბობდიოოო. ზმიზმი.

• აუ, როგორ ფარშივად ვარ, ხალხო. :(შეყვარებული დავკარგე, უგზო-უკვლოდ. ვინმემ ნახეთ, თუ? მაკუუუშ, ასე უნდა? მე მენატრები და შენ მიმატოვე? ზმიზმი.


• ნამდვილად არ ვაპირებდი დამესიჯებას, მაგრამ იმდენი რუსთაველები აღმოჩნდით, რომ მეც მომინდა, ყველას მოგფერებოდით. გაიხარეთ! აბა, გაკოცეთ ყველაას. ნინი.

• ნეტავ, უშენოდ როგორ ვიყავი, ან ეს ცხოვრება როგორ გავლიე? არ ვიცი, შენთან რამ მომიყვანა, მაგრამ მოვედი და გადამრიე. როინის, პუტკუნასგან, დიდი სიყვარულით.

• ვაუ, მეგრელ მგელოს მაგარი ძამიკო, იკუშა მოსულა „გზის“ ფურცლებზე. :) იკას გოგოები აქეთ აბამენ, რა! საერთოდ, რომ იცოდეთ. აი, ასე! თეო და იკა, მიყვარხართ. :) ნინო-მილანი.

• მეგრელო მგელო, გველი-16, ნელკა, მუზკა, არგელოდი, ანარქია, მამაცი თოჯინა, ნიკოლი, კოხი-20, პატარა ლელა, ბებერი, პანკუ, ოქრო კაცი, ილინი, მაგარი ხალხიი! :) ნინო-მილანი.

მონასტრის ბიჭი



• სენაკელო სოფო ადანაია, რომ წახვედი საბერძნეთში და დამტოვე მარტო, სინდისი სულ არ განუხებს? ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მალე ჩამოდი და გამახარე. შენი დადუ.

• გოგა, ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? ძალიან, ძალიან მენატრები და მიყვარხარ, ჩემო პატარა, ცუნცულა ბიჭო! შენს ბებოს მუდამ ახსოვხარ და ენატრები. პაჩები ბევრი! მაგული ბებო.

• ათენში დროებით მცხოვრებ მარინა გოცირიძეს მინდა დავუნერო ეს პატარა ლექსი. ისე ვერ ვუმხელ, ცოტა გიჟია. რა ლამაზი ვარდის შტო ხარ, მენანები, მარტოდ რომ ხარ, დავთვრები და საკოცნელად, უეჭველად შენთან მოვალ. შენ ხომ იცი, ჩემო კარგო, ჩემი სიყვარული რომ ხარ? ჩაგაპაო.

• აგნეს, ლოდინად ვარ ქცეული. სიგიჟემდე მენატრები. ნეტავ, როდის დამირეკავ? მიყვარხარ და მენატრები, ჩემო გუთუ. შენი თამო.

• რუსთავის მეექვსეში ზურა ქილითაურს (აგნესას) მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს და მენატრება. გკოცნი. შენი თამო.

• აგნეს, შენი მონატრებით სავსე დღეები გადის. ჩემო სიხარულო, უზომოდ მენატრები. მიყვარხარ გუთუ. გელოდები.

• მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი და გეხვევი. მარიკა ჯანიასაგან. ნინო ჯანელიძე, გკოცნი.

• მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე, უშენოდ ცუდად ვარ. მიყვარხარ უზომოდ. შენი მარიკელა. მპა...

• ვეძებ სიცოცხლეს და არ ვახსენდები. უზომოდ მიყვარხარ, გკოცნი. ირაკლის, მარიკასგან მპა.

• მიყვარხარ. მარიკა ნიკიელო ირაკლი. გკოცნი.


• მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. მარიკა, გკოცნი და გეფერები. შენი სიცოცხლე, ირაკლი. მპა.

• მიყვარხარ, მარიკა ნიკიელო. მიყვარს სანთელი და იცით, რატომ? ყველაფერს

გრძნობს და არაფერს ამბობს. მარიკას.

- როინ მგელაძე, ძალიან მიყვარხარ, მთელი გულით და სულით. იქნებ, მოიფიქრო და ჩამოხვიდე. გოცნი ძალიან ბევრს, ჩემო სიცოცხლე.

**მ
ი
ლ
ი
-
ზ
ა
ც
ი
ა**



- შენ რომ დაიბადე, წვიმდა. ეს უბრალო წვიმა კი არ იყო, ცა ტიროდა, რადგან დაკარგა საუკეთესო ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მეგობარი გახდა. ოლეგარიოს ვულოცავ იუბილეს. მონაკო.

- დათუნა, დიდი სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს, 7 ნოემბერს. გოცნი, გოცნი, გოცნი... ნათია.

- ნინო ჯიმშტაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს! ბედნიერება და ღვთის წყალობა იყოს შენი ცხოვრების მეგზური. მიყვარხარ და მენატრები, უსაშველოდ. გოცნი. მზია. ათენი.

- მინდა, იუბილე მივულოცო სენაკში, სამხედრო პირს, ჩემს ძალიან კარგ მეგობარს, კობა ხეცურიანს. კობო, ამქვეყნად ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. შენი მეგობარი სოფო. ათენი.

- თამთა, ჩემო სიხარულო, 13 ნოემბერს 17 წლის ხდები, დედი. გილოცავ ამ ლამაზ დღეს. სიხარულს, სიყვარულსა და ბედნიერებას გისურვებ, ჩემო სიხარულო. უკვე მეორე დაბადების დღეს ხვდები, უჩემოდ. რომ იცოდე, როგორ მენატრები და როგორ მტკივა გული, ასე შორს რომ ვარ შენგან. როგორ მინდა, გულში ჩაგიხუტო და ებ ლამაზი თვალები დაგიკოცნო, დედი, მაგრამ... იმხელა მანძილი გვაშორებს ერთმანეთს, რომ ამაზე ოცნებაც კი მიჭირს. გოცნი და გეფერები შორიდან, ძალიან შორიდან... შენი დედიკო, სალონიკიდან.

- ჩემს დას, ხატია კაჭარავას მინდა მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო ყოველივე კარგი ცხოვრებაში, ქმარ-შვილთან ერთად. მენატრები ძალიან. ნათია.

- მინდა, რუსთავეში გენადი და იზო ჩალაძეებს,

მარიკა და სოსო ალადაშვილებს მივულოცო შვილიშვილის შექენა.

- დათო ქართველიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 7 ნოემბერს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს სალომესთან ერთად და უსაზღვრო ბედნიერებას. ნათია და შოთიკო.

- მინდა, ჩემს ანგელოზს წინასწარ მივულოცო დაბადების დღე. სიყვარულო, გილოცავ! შენ ჩემი გადარეული ხარ! სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. გაკოცე. შაკო.

- ნოემბერში დაბადებულებს გილოცავთ დაბადების დღეს. განსაკუთრებით, მეგრულ მგელოს და ნიკოლს. მე, 10 ნოემბერს გველი-17 გავხდები! :) რუსთაველებო, მიყვარხააართ! გველი-16.

- გველი-16, გილოცავ დაბადების დღეს. კარგი გოგო ხარ და ასე განაგრძე. ყველა „გზაელი“ გულით გილოცავთ, ამ ბედნიერ დღეს. მპა! გაკოცე მაგრად, მაგ გულუკაში. მეგრული მგელო-30.

- მარი ფილო, 5 ნოემბერს 16 წლის ხდები, ჩემო კლასელუკა გოგო და ხინკალი მინდაა! გილოცავ, გილოცავ, გილოცუნავ! :)კლასელუკა, მეგრული მგელო-30.

- ოლე, კიდეც ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს. მართალია, დაიბადე სველი, მშიერი, შიშველი და ეს თურმე მხოლოდ დასაწყისი ყოფილა, მაგრამ მთავარია, რომ დაიბადე და გისურვებ, იცოცხლო ისე, რომ არ მოკვდე და მოკვდი ისე, რომ მერეც გააგრძელო სიცოცხლე. გოცნი ბევრს. უზნეო ანგელოზი.

- ოლეგ, ჩემო უსაყვარლესო და სულზე უტკბესო, გილოცავ დაბადების დღეს. მე და შენი სიყვარული საუკუნეებს გაუძლებს. იხარე ჩემთან ერთად. შენი მზია.

- ოლეგ, გილოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ და ამას ახლა გეუბნები. არც შენი მზია მაინტერესებს და არც სხვა დანარჩენები. მაინც ჩემი იქნებიოოო! გეხუტუნე. შენზე შეყვარებული მზია-2.

- დაბადების დღეს გილოცავ, ბარტყი, ღვთის წყალობა არ მოგშლოდეს. სულ გახარებული მენახე. მიყვარხარ ძალიან. ჩემი სიხარული ხარ. მეგის, მიშასაგან.

- ჩემს უსაყვარლეს შვილს, ზურა ხურციძეს დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბა-

დების დღეს. ვუსურვებ ულევ სიყვარულს, მეუღლესთან, მარისთან ერთად. გფარავდეთ უფალი. დედა.

- ოლეგარიოს ვულოცავ დაბადების დღეს. სულ ასე მაგრად ყოფილიყავი და უფრო უკეთესად. გაიხარე, მაგარი ხარ. როზი.

- 8 ნოემბერს დაბადებულ პატარა მარი ჩაფიქს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს და ყველა ოცნების ასრულებას. ოლეგარიო.

- მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს უსაყვარლეს ბიძაშვილს, მაგდა გოგელაშვილს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს და ლამაზს, ცხოვრებაში. მადუ, მიყვარხარ. მარეხი.

ყურადღება!

შეიცვალა „მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების წესი. დღეიდან სასურველი ნომრის გასაგებად ჩემს ნომერზე 8.77.45.68.61 დარეკვა აღარ დაგჭირდებათ და ამის შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქნებათ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურუნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება.

კვინის ტექნოსპორტი



მშშსაი

კარგი დღეა ცოდნის გასაღრმავებლად. შესაძლოა, შენი ცოდნისა და გამოცდილების ახლობელი ადამიანებისთვის გაზიარების სურვილი გაგიჩნდეს. საქმეებს ძალზე იოლად გაართმევ თავს. ამიტომ, ჯობს, ორშაბათს ისეთი საქმე დაგეგმო, რომლის შესრულებაც სიძნელებთანაა დაკავშირებული.

საშშსაი

ეს დღე კარგია იმიჯის შესაცვლელად. შესაძლოა, კვირის ბოლოს, მნიშვნელოვან წვეულებაზე დაგპატიჟონ. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ამ დღისთვის საგანგებოდ მოემზადები და თავის ღირსეულად წარმოჩენას შეძლებ. არ დაგავიწყდეს წვრილმანი საქმეების მოგვარება — თუ ამას სამშაბათს არ გააკეთებ, მომავალში პრობლემები შეგექმნება.



თაშშსაი

კარგი იქნება, თუ ოთხშაბათს გასული წლის შედეგებს შეაჯამებ და მომავლის პერსპექტივებს დასახავ. თუმცა, ამ დღეს შენი მთავარი საფიქრალი მაინც საოჯახო და სასიყვარულო საქმეები იქნება. კვირის ბოლოს ზუსტად გეცოდინება, რას უნდა დაუთმო უფრო მეტი დრო და წლის ბოლომდე რომელი პრობლემა დაგრჩა მოსაგვარებელი. შესაძლოა, ამ დღეს სამსახურის შეცვლის პერსპექტივა გაჩნდეს.

ხეივანი

ამ დღეს შენი შემოქმედებითი პოტენციალი მაქსიმალურ შედეგს გამოიღებს. გაუფრთხილდი ნერვებს და ენერჯიას ზედმეტად ნუ დახარჯავ. შესაძლოა, საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო და ფინანსური მდგომარეობაც მეტ-ნაკლებად გამოგისწორდეს. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადაადგამ.



სამსახური

ამ დღეს ბევრი წვრილმანის გამო, ნერვიულობა მოგიწევს. შესაძლოა, ზედმეტმა ემოციურობამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგიქმნას. არ არის გამორიცხული, სამსახურში ნერვებმა გიმტყუნოს და იქ დაწყებული კამათი შინ, ოჯახის წევრებთან განაგრძო, რაც სიტუაციას საგრძნობლად დაძაბავს; ამის გასაწესებლად კი რამდენიმე დღე დაგჭირდება.

მასონი

ამ დღეს არაერთი შეხვედრა და წვეულება გელის. კარგი დღეა ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ურიგო არ იქნება, თუ ოჯახისთვის საჭირო ნივთებს შეიძენ. იქნებ, წვეულებაზე წასვლა დაგეზაროს კიდევ, მაგრამ უარი არავითარ შემთხვევაში არ თქვა, ვინაიდან, შესაძლოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება შეძლო.



ყვინძე

ამ დღეს შეეცდებიან, ინტრიგების ქსელში გაგხვიონ. ეცადე, ეს საფრთხე თავიდან აიცილო. შესაძლოა, ახლობლის დაუფიქრებელმა საქციელმა შენს პირად ცხოვრებას ავნოს, რაც განწყობილებას გაგიფუჭებს; მაგრამ ნუ ინერვიულებ, რადგან ყველა შემოტევას იოლად გაუმკლავდები — 2 დღეში ყველაფერი გამოსწორდება. მომავალ კვირაში კი დიდი ცვლილებები გელის.



ქართული ფეხბურთელი, რომლის მოდელი პასტა

„მამაკაცისთვის მოდელი იხეივანე სამუშაოა, როგორც სხვა დანარჩენი“, — ამბობს მოდელი ზურა ჭამელაშვილი, რომელმაც ეს საქმიანობა, მამის წინააღმდეგობის მიუხედავად აირჩია და მუშაობა სააგენტო „ნატალიში“ დაიწყო. თუ რამ გადაწყვეტინა ყოფილ ფეხბურთელს ამ ნაბიჯის გადადგმა, ამას მისგან შეიტყობთ.

„ჩემი მეუღლე ვერ გახდება ის გოგონა, რომელიც ჯარჯი კულინარი არ იქნება“...

იპა მიწაძე

— ზურა, ყოფილმა ფეხბურთელმა რატომ გადაწყვიტე მოდელია?

— ალბათ იმიტომ, რომ მომწონს ეს საქმე. ადრე მოდელიაზე არასოდეს მიფიქრია. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად, გადაწყვიტე ამ სფეროში მუშაობა.

— ფეხბურთის თავი რატომ დაანებე?

— ტრავმის გამო. ბავშვობიდან ფეხბურთზე დავდიოდი და ბუნებრივია, სპორტის ეს სახეობა ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო. ვთამაშობდი თბილისის ახალგაზრდულ ნაკრებში. მ წლის განმავლობაში ვითამაშე მოსკოვშიც. ერთი მატჩის დროს მივიღე ტრავმა, რომლის გამოც მუხლზე მენისკის ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. ოპერაციის შემდეგ კვლავ გავდიოდი საფეხბურთო მოედანზე, რის გამოც ჯანმრთელობის მდგომარეობა გამირთულდა და საბოლოოდ, თამაში ამეკრძალა.

— როგორ მოხვედრი სამოდელიო სააგენტო „ნატალიში“?

— დედაჩემის წყალობით. ერთხელაც გავიგონე, თავის მეგობარს ეუბნებოდა: სამოდელიო სააგენტო „ნატალიში“ თურმე ბიჭების აყვანა დაიწყო. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, მეც გამიჩნდა მოდელიობის სურვილი; მერე მივაკითხე სამოდელიო სააგენტოს და ჩემი მონაცემები ჩავანერინე. მალე დადებითი პასუხიც მივიღე.

— ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?

— მამას საშინლად არ ესიაოვნა, მაგრამ მანაც ის გააკეთე, რაც მინდოდა. თუმცა ჩემი გადაწყვეტილებისთვის ოჯახში კატეგორიული წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მაგრამ ჩემი არჩევანით საოცრად გაცდნენ.

— რამდენი წლის ხარ?

— 21-ის. წელს დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო დიზაინის ფაკულტეტი.

— პირველად პოდიუმზე გასვლა არ გაგიჭირდა?

— საზოგადოებისა და კამერების წინაშე გამოსვლა ნამდვილად არ გამჭირვებია. კამერებს, როგორც ფეხბურთელი, შეჩვეული ვიყავი.

— როგორც მოდელს, უარის თქმა რაზე გინევს?

— ქაბა-სმაზე (იციან), რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ დიეტასაც ვიცავ. მოდელმა, ფორმის შესანარჩუნებლად, საქირთა, ყოველდღე ივარჯიშოს.

— შინიდან გასვლის წინ ბევრ დროს უთმობ თავის წესრიგში მოყვანას?

— სარკის წინ გაპრანჭვა და ერთი საათი თმის ვარცხნა არ მახსიათებს, მაგრამ თავის წესრიგში მოსაყვანად, ნახევარი საათი მაინც მჭირდება.

— ჩაცმის რომელ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— განწყობილებას გააჩნია. სპორტული სტილიც მიყვარს და კლასიკურიც.

— მამაკაცის მოდელია საქართველოში ბევრისთვის მიუღებელია. შენ რას იტყვი ამზე?

— სამწუხაროა, მაგრამ ასეა. ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ მე ვფიქრობ, აქ სამარცხვინო არაფერია. მოდელი მამაკაცი არანაკლები ვაუკაცია, ის აკეთებს თავის საქმეს, გამოდის საზოგადოების წინაშე და წარმოადგენს მამაკაცის ამა თუ იმ საშოს.

— მეგობრები რას ფიქრობენ შენს საქმიანობაზე?

— ნაწილი ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა. ნაწილს კი, რა თქმა უნდა, არ მოეწონა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა.

— შეყვარებული გყავს?

— კი.

— ისიც მოდელია?

— არა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ ერთმანეთს მშვენივრად შევწყვეთ.

— რას ვერ აპატიებდი ქალს?

— ლალატს.



ნაწილი ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა

— რას აფასებ ყველაზე მეტად მანდილოსანში?

— პატიოსნებას.

— შენზე ასაკით უფროს გოგონას ცოლად თუ მოიყვანდი?

— იმ შემთხვევაში, თუ შემიყვარდებოდა, რატომაც არა?

— ქართული ტრადიციების მიმდევარი თუ ხარ?

— რა თქმა უნდა, ქართულ ტრადიციებს შორის, მინდა სუფრა გამოვყო. ნამდვილ ქართულ სუფრაზე ქეფს არაფერი სჯობია.

— ოდესმე თუ გითამადაია?

— კი, 50-კაციან სუფრას არაერთხელ გავძლოლივარ.

— გურმანი თუ ხარ?

— ძალიან მიყვარს გემრიელი კერძები. მინდა, საგანგებოდ განვაცხადო, რომ ჩემი მეუღლე ვერ გახდება ის გოგონა, რომელსაც კერძების მომზადება არ ეცოდინება (იციან). სხვათა შორის, კულინარობა მეც მიეხრება...

— როგორც ფეხბურთელს, შენი საყვარელი საფეხბურთო გუნდი თუ გყავს?

— ბევრი მომწონს, მაგრამ როგორც ქართველი, პირველ რიგში, საქართველოს ვგულშემამტკიცებ. ჩვენ მართლა ჯარჯი ფეხბურთელები გყავს და ბედნიერი ვარ, რომ ბიძაჩემის — მიხეილ ყაველაშვილის წყალობით, თითოეულს ახლოს ვიცნობ.

— როგორც მოდელ მამაკაცს, რა ნატურა გაქვს?

— ჩემი ნატურაა, რაც შეიძლება მეტი ჩვენება მქონდეს. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ არსებობენ მამაკაცის მოდელზე მომუშავე დიზაინერები. აქედან გამომდინარე, ვინატრებდი, „გაჩნდნენ“ დიზაინერები, რომლებიც მამაკაცებზეც იზრუნებენ.



ჩემი ნატურაა, რაც შეიძლება მეტი ჩვენება მქონდეს

დიზაინერ თაბა ლომიძის სალონში საოცარი სიმშვიდე სუფევს და მყუდრო გარემოა შექმნილი. იქ უამრავი ადამიანი საქმიანობს, რომელიც უმშვენიერეს სამოსსა და აქსესუარებს ქნის. ამის გამო, სალონს ბევრი ადამიანი სტუმრობს, მით უფრო, რომ შარშანდელი მოდის ტენდენციები წელს რადიკალურად შეიცვალა.



„არ არსებობს ულამაზო ქალი“

დიზაინერი, რომელმაც პუბუნა ქალბატონები „დალუკა“

ლელა ჭანკოტაძე

— იმის გამო, რომ 2007 წელი წითელი ტახის წელიწადია, ზაფხულში უამრავი წითელი ფერის კაბა შევეკრეთ. ახლა ლაბადების სეზონი იწყება, მაგრამ ჯერ წითელი ლაბადა არავის შეუკვეთია. 2008 წელს კი, როგორც ცნობილი გახდა, შავი, თეთრი და რუხი ფერები იქნება აქტუალური, რადგანაც ვირთხის წელიწადი მოდის. ხუთი წელია, რაც მოდას ვემსახურები. ამ ხუთი წლის განმავლობაში, ქართველი ქალების გემოვნებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. წლების წინ, მხოლოდ შავი ფერის ტანსაცმელს მიკვეთდნენ, ახლა — პირიქით. ასაკოვანი ქალბატონებიც კი ცდილობენ, ყვავილებით მოჩითული, ფერადი სამოსი ჩაიცვან, რაც ადამიანზე დადებითად მოქმედებს. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ვარცხნილობის შეცვლა სტრესს ხსნის. ასევეა ფერადი

ტანსაცმელიც. მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტი წონა მაქვს, მშვენივრად ვხმარობ წითელი ფერის სამოსს, რაც არაჩვეულებრივ განწყობილებას მიქმნის.

— ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქალის ჩაცმულობა უფრო თავისუფალი და სექსუალური ხომ არ გახდა?

— ეს თვალში საცემიცაა. ამასთან დაკავშირებით, ასეთი მოსაზრება მაქვს: 30 წელს გადაცილებულ ქალს დეკოლტე უხდება, მაგრამ ცოტა სასაცილოა, როცა დეკოლტეს 17 წლის გოგონა იცვამს. მიჭირს თინეიჯერებთან მუშაობა, რადგანაც თავიანთ სურვილებში კარგად არ არიან გარკვეულები. გოგონამ სკოლის ბანკეტისთვის ჯობს, უფრო ბავშვური, ახალგაზრდული კაბა შეიძინოს. თუმცა მათ სურთ ისეთი კაბები, როგორებიც „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონიაზე აცვიათ ხოლმე.

— თუ, თავად მსოფლიო მოდის რომელი სახლის ტენდენციები მოგწონს?

— ჩემთვის მიუწვდომელი, ღვთაებრივი და ყველასგან გამორჩეული „დიორის“ სახლია. ბევრი დიზაინერის სამოსი იმსახურებს ჩემს მონონებას, მაგრამ გალიანო გამორჩეულია — ის ძალიან ექსტრავაგანტურია. ვფიქრობ, მან ამ საუკუნეს გაუსწრო. მის ჩვენებაზე მოხვედრა ჩემი ოცნებაა.

— შენს სალონში შექმნილი სამოსი სხვა დიზაინერების მიერ შექმნილი სამოსისგან რით განსხვავდება?

— მე კლასიკური სტილის ტანსაცმელსა და ქურქებზე ვმუშაობ. ძველი ქურქებიდან ახლის შექმნა, ფაქტობრივად გადაკეთება, დიდ ენერჯიასა და დროს მოითხოვს. საკმაოდ რთული სამუშაოა. უკვე იმდენი ქურქი გვაქვს შექმნილი, რომ შალე, ალ-

ბათ, ჩვენებასაც მოვანყობთ. სხვათა შორის, საკმაოდ ძვირად ღირებული ჩვენება იქნება. ერთი ოცნება მაქვს: როგორც მე, მილიონი კაბიდან გამოვარჩევ ხოლმე გალიანოს კაბას, მინდა, ჩემი შევერილი ქურქიც ასევე გამოარჩიონ.

— საიდან მოვიდა ქურქების გადაკეთების იდეა?

— სამი წელია, რაც დედა გარდაამეცვალა. მას ჰქონდა ქურქი. სულ ვფიქრობდი, თუ როგორ გადამეკეთებინა ის ისე, ტანზე რომ მომერგო. ერთხელ, საფრანგეთიდან ულამაზესი მაქმანები ჩამომიტანეს. დავჭყერი, ერთმანეთზე გადავაბი და შევექმენი ქსოვილი, რომლითაც გავადიდე ქურქი. ისეთი ლამაზი კომბინაცია გამოვიდა, მეც რომ არ ვვლოდი. ეს იყო ჩემი პირველი ნამუშევარი. იმდენად ეფექტური გახლდათ, რომ მისი ჩაცმის მერიდებოდა კიდევ, ყველა ხელს ჰკიდებდა. მეკითხებოდნენ: სად შეაქვრინე, სად შეიძინეო? ამის შემდეგ, ქურქები ჩემს ახლობლებსაც გადავუკეთე. აფრიკიდან ჩამოტანილი ლეოპარდის ბუნვით გავანყვე კრემისფერი „კარაკულჩა“. საოცარი შედეგი მივიღე. მოგეხსენებათ, უამრავ ადამიანს აქვს ქურქი კარადაში შენახული, ზოგი დედის ნაქონია, ზოგი — ბებრის. ეს ქურქები, ცხადია, ძველმოდურია. ასე რომ, დროა, ქალბატონებმა ნაფტალინში ჩადებული ქურქები ამოიღონ.

— ბევრისგან მსმენია, რომ ქურქი ასაკოვანი ქალბატონების სამოსია. რას გვირჩევთ, ის რომელ ასაკში უნდა ჩავიცვათ?

— მთავარია, ქურქის სიგრძე და სტილი სწორად შეარჩიოთ. ქალბატონებს, რომლებიც ორმოც წელს გადაცილებულები არიან, გრძელ ქურქებს ვურჩევ. თუმცა ეს იმას არ



ქართველი ქალების გემოვნებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა



ნიშნავს, რომ ნებისმიერმა მათგან-მა კოჭებამდე ქურქი უნდა ატაროს. ამის საშუალებას სხეულის ფორმაც უნდა გვაძლევდეს. სხეულის ფორმები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს დიზაინს. ახალგაზრდულია მოკლევაპიუშონიანი ქურქი, მაგრამ თუკი ადამიანს ზედმეტი კილოგრამები აქვს, ასეთ ჩაცმას არ ვურჩევ, რადგან მსგავსი სამოსი მისი სხეულის ყველა ნაკვს გამოკვეთს. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, ქურქი რა სამოსთან ჩავიცვათ და როგორ ფეხსაცმელს შევუხამოთ. დედაჩემი მინიატიურული ქალი იყო. ის ქურქთან ჩექმას არასდროს იცვამდა და სულ მეუბნებოდა: ქურქისა და ჩექმის ერთად ჩაცმა არარეკომენდებულიაო. ქურქი ქალური, სექსუალური სამოსია და მას აუცილებლად კარგი ფეხსაცმელი უნდა შეუხამო.

— თვა, მხოლოდ მსუქანი ქალბატონების დიზაინერად მოგიხსენიებენ. რატომ მოხდა ასე?

— ეტყობა, პუტკუნებს უკეთ ვუგებ. თან თავად ვარ არასტანდარტული, ზედმეტი კილოგრამები მაქვს. ასე რომ, მათი კარგად მესმის. არ შეიძლება, პუტკუნამ ჩაიცვას ატლასის, ველვეტის, ხავერდის ქსოვილისგან შექმნილი სამოსი, ისევე, როგორც კუბოკრული კაბა. პუტკუნა ქალბატონები უნდა შეიმოსონ ისეთი ქსოვილით, რომელიც მძიმე, წელვადი, დავარდნილი და კომფორტულია. თუკი ქსოვილი არ არის წელვადი (თუნდაც თხელი იყოს), ყველა ნაკვს გამოკვეთს. ვგიჟდები ატლასის ქსოვილზე, მა-

გრამ მისგან ტანსაცმელს არასდროს შევიკერავ. ხშირად მეუბნებიან, ჟორსეს კაბა არ ჩამაცვათ, „გამასუქებსო“. მომხმარებლებს ვეუბნები, რომ ჟორსე მსუქან ქალებს უხდება. მთავარია, სწორად იყოს აჭრილი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მგონი, ჩემი პუტკუნა მომხმარებელი დავლუპე. ჩემთან რომ მოვიდნენ, კომპლექსები ჰქონდათ, დიეტებით იტანჯებოდნენ. ახლა ეს კომპლექსები მოეხსნათ და გახდომა აღარ უნდათ. ხშირად მეუბნებიან, რომ სიმსუქნეს ვუკეთებ პიარს. არა, ეს ასე არ არის. უბრალოდ, ზედმეტი წონის გამო, ადამიანი დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეს; რამდენსაც არ უნდა იწონიდეს, მაინც გემოვნებით უნდა ეცვას. არ არსებობს ულამაზო ქალი, მაგრამ არსებობს მოუვლელი ქალი. ძალიან კარგია, თუკი ნაომი კემპბელის პარამეტრებით ხარ დაჯილდოებული, მაგრამ როგორი აღნაგობაც არ უნდა გქონდეს, სარკეში რომ ჩაიხედავ, საკუთარი თავი უნდა მოგეწონოს. გემოვნებიან ქალს ძვირად ღირებული სამოსის გარეშეც შეუძლია სადად და ლამაზად ჩაცმა. მე მყავს მეგობარი, რომელსაც არასდროს ჰქონდა იმისი საშუალება, რომ დიზაინერებთან შეეძინა ტანსაცმელი, მაგრამ მე ის ცუდად ჩაცმული არ მიინახავს. მგონია, ჩვენმა ახალგაზრდებმა ჩაცმის ამერიკული სტილი აირჩიეს, ხოლო ბიჭები — გრძელი, გაბურძგნილი და დაუბანელი თმით დადიან. ძნელი გასარჩევია, ბიჭია თუ გოგო. მე ეს არ მომწონს. დაუბანელი თავი არ შეიძლება, მოდური იყოს.

— რა აღარ არის მოდაში?

— მოდაში აღარ არის კოჭებამდე პალტოები. პალტოს სიგრძე ძალიან დამოკლდა. აქტუალურია ფეხზე მომდგარი შარვლები, რომლებიც ფეხსაცმლის მაღალ ქუსლს ნაწილობრივ ფარავს. შესაბამისად, აღარ არის მოდური განიერი და შლაქისი შარვლები. შეიცვალა ქვედაბოლოს სიგრძეც. ქვედაბოლოსა და პიჯაკის ხაზები დამოკლდა, მაგრამ

ზემოთ აინია წელის ხაზმა. დაბალწელიანი შარვლები ძალზე არამოდურია. წარსულს ჩაჰპარდა ტრუსის ხაზების გამოჩენა... რაც შეეხება როლინგს, ის არასდროს გადადის მოდიდან... ქსოვილებიდან ყოველთვის მოდურია ატლასი, გიპიური და ჯინსი. მოდაშია დიდი ჩანთებიც.

— თბილისში მოდის სახლების ბუმია. კონკურენციის ხომ არ გეშინიათ?

— ეს ძალიან კარგია. ჯანსაღი კონკურენცია დადებით შედეგს გამოიღებს. არ შეიძლება, მთელ საქართველოს ერთი დიზაინერი აც-



მევედეს. მე ყოველთვის თვალს ვადევნებ სხვა დიზაინერების ნამუშევრებს. ძალიან მიხარია, რომ ავთანდილ ცქვიტინიძემ ამდენს მიიღწია. ვერ წარმოიდგენთ, ეს როგორი დიდი შრომის შედეგია, თანაც — ჩვენს ქვეყანაში. დასაფასებელია ისიც, რაც თათა ვარდანი აშვილმა გააკეთა. დიზაინერებს დიდი შრომა გვიწევს. რასაც ჩემს სამოდულო სახლში 6 თანამშრომელი ვაკეთებთ, იმას „დიორის“ სახლში 136 ადამიანი სჭირდება. ისინი ვერც კი წარმოიდგენენ, ჩვენ რა პირობებში ვმუშაობთ; არ დაიჯერებენ, რომ ნახონ თუ როგორ მანქანებზე ვკერავთ. შესაბამისი თანხა რომ მქონდეს, ჩემს მკერავებს და დიზაინერებს სიამოვნებით გავუშვებდი ცნობილი მოდის სახლებში სტაჟირებაზე.

— თვა, სულ ბოლოს გაგვაცანი შენი გეგმები. რას აპირებ?

— პუტკუნების ჩვენების მოწყობას ვაპირებ. ჩვენებაზე ცნობილი ხალხი გამოიყავს. იქნებიან ექიმები, კომპოზიტორები, პოლიტიკოსები და იქნება შთამბეჭდავი, დაუვინყარი საღამო.

შპს „ელვასპალიტრა“

38-26-73
38-26-74
42-43-40

www.elva.ge

გამოიწერეთ ჟურნალი „გზა“

პერიოდი	ფასი
3 თვე	10.4 ლარი
6 თვე	20.8 ლარი
1 წელი	41.6 ლარი

მისამართი:
ნოსაბიძის 49

elva@kvirispalitra.com



დასაწყისი იხ. „გზა“ №40-43

გზა პარანაში

შინანი დღე იდგა. სოფელი თითქოს სახლებში შეკეტილიყო. მიუხედავად ქორნილისა, ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. როგორც მათ ვალიკომ დაუთქვა, ლარსში ბიჭებს შეეძლოთ, ქათმების დასაჭერად ეხეტიალათ და ხუთზე ისევ უნდა შეკრებილიყვნენ. მერე ნეფესთან ერთად, პატარაძალს ესტუმრებოდნენ და წამოიყვანდნენ.

ანუკიმ და გორუნამ ისევ თერგის პირას ჯდომა არჩიეს. ბიჭები სოფლის ქვიან გზებზე აღმა-დაღმა კი დაეხეტებოდნენ, მაგრამ ერთ ქათამსაც ვერსად ნაწყენდნენ. ერთგან, ხბო რომ ეგონათ, იმხელა ხბოსფერი ძალღი წამოუხტა, შეშინებულეზმა მოკურცხლეს. მერე კი მაგრად იცინოდნენ საკუთარ „ვაჟკაცობაზე“.

— ეტყობა, აქ ქორნილი ხშირად იცინა და მთელი ქათმები უკვე გაუნყვეტიათ ამ ჩემისებს... — გამოიტანა ბოლოს დასკვნა კენამ. — ამის თქმა იყო და, ქუჩის ბოლოდან ერთი ოცი ქათამი მაინც გამოფრთხილა და ნიოკ-ნიოკით მათკენ გამოიქცა. ქათმებს პატარა ბიჭები მოსდევდნენ, რომლებსაც ჯოხები ეჭირათ ხელში. ქათმები გარბოდნენ, ლობებსაც კი აფრინდებოდნენ და თავს ასე შევლოდნენ. ქალაქელებმა იმარჯვეს და სამი ქათამი დაიჭირეს. იქაური ბიჭებიც მოქანდნენ. ქალაქელებს ქათმები მკერდზე აუტატებინათ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

— ახლა ამათ რა ვუყოთ? — ჰკითხეს ბიჭებს, როცა ისინი მიუახლოვდნენ.

— მაიტ აქ, რა უნდ უყოთ და... — გამოართვა დედალი კენას, ტრუსში „გამონყობილი“, ასე, თორმეტიოდენ წლის ფეხშიშველა ბიჭმა, მოჰკიდა თავში ხელი, დაიქნია და თავი მოაწყვიტა. ქათამმა ლობის ძირას დაიწყო ფართხ-

მეგობრობა

ალი. დანარჩენ ორ დედალსაც იგივე ბედი ეწია.

— ქათმები არ წაუვლოთ? — იკითხა ჭილამ.

— არა, რა უნდ წაუვლოთ? ჩამაივლიან და აპკრეფვენ თავათ... — უპასუხა ბიჭმა და გაქცულ ქათმებს დაედევნა.

— თითო ქათამი გვაქვს, აბა, მოგვილხენია! — გაიცინა გიგომ.

ქუჩის ბოლოს მართლაც, გამოჩნდნენ ხანში შესული დედაკაცები, რომლებიც, როგორც ჩანს, მოჰყვებოდნენ და ქათმებს აგროვებდნენ.

— ეტყობა, თვითონ გამოუშვეს ეს ქათმები, სოფელელებს კი ჩაკეტილები ჰყავთ, რომ მაყარმა არ დაიჭიროს, — თქვა გიგომ.

— ნაღდად ასეა, ასიანი... — დაასკვნა კენამ.

— რა ვუყო ახლა ამ თავს? — იკითხა ჭილამ, რომელსაც საცოდავად ეჭირა თავის ტორში ხუჭუჭაბიბილოიანი ქათმის თავი.

— ჯიბეში უნდა ჩაიდო და მერე სუფრანზე ამოიღო. აი, ასე, — გიგომ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ქათმის თავს ნისკარტში მოჰკიდა ხელი, ფრთხილად გაახვია ცხვირსახოცში და ჯიბეში ჩაიდო. ორივემ მას მიჰბაძა.

ხუთი საათისთვის ყველანი დათქმულ ადგილას, თავიანთ მანქანას დაუბრუნდნენ. ორი „ჟიგული“, ქალაქიდან ამოსული ორი მანქანა და რამდენიმე ცხენშებულე ურემი გზას გაუდგა. უმრავლესობა ფეხით მოჰყვებოდა. კოსტიუმში გამოწყობილი და ჰალსტუხიანი, გაჭალარავებული, გამელოტებული მარსი, კენას მანქანაში იჯდა და ბიჭებს გზას ასწავლიდა.

— გამაბრიყვეს მაინცა ამ ჩემმა ნათესაობამა... აქამდისინ საღ ჭკუაზე ვყავდი-კე ამ ჩვენი მთის ხატ-სალოცავებსა და ახლა, რო გავქაჩდი, მაშინ ამერია ტვინი-კე, ამ სიბერეჩია... — როგორც ჩანს, ნერვიულობდა სიძე... — აქეთ შამაბრუნ, აქეთ, მთაჩია.

მანქანები აღმართზე დაეკიდნენ.

— აგე, მყინვარ ჩანს!

ჩანდა. ცივი, მიუკარებელი, როგორც ლამაზი მზეთუნახავი. იდგა და დაჰყურებდა მექორნილეთა ჭრელაჭრულა კორტეებს.

— მავდით! დააყ აქ! ჩავდით! კენამ მანქანა გააჩერა. უეცრად უკან

ისეთი ყოინა ატყდა, ბიჭები, რომლებიც „ჟიგულებში“ ისხდნენ, გადმოხტნენ და დედოფლის სახლის კარსკენ გაცვივდნენ.

— რა ხდება? — გაუკვირდა კენას.

— რა ხდების და ერთი ჭრელი ხილაბანდის გამო ჰკვლენ ერთმანეთსა. — ერთსართულიან, დაბალ, გრძელ სახლს პატარა ქვის ყორე ერტყა და ეზოში გამოსულ დამხვდურებს მოსულები კარგად ხედავდნენ.

— მეგლასია, მეგლასია! — დაიძახა შავებში ჩაცმულმა ქალმა და კარში შევარდნილ ოროფეხება ბიჭს ძლივს მისწვდა, რომ მკლავზე ინდური, მომწვანო-მოყავისფრო ხილაბანდი დაეხვია.

ბიჭმა ხილაბანდი მოიხსნა და მალე ააფრიალა:

— ჩემია, ჩემი!

— ეს ცოლსაც წამართმევს, მგონია! — იხუმრა სიძემ და ეზოში შეაბიჯა.

— აღარ გატანთ, არა, უარზე! — დაიძახეს, ფანჯარაში გადმომდგარმა ქალებმა.

სიძეს ტაბლა დაახვედრეს. იმანაც ჯიბეზე ხელი გაიკრა, ოცლარიანი ამოაძვრინა და ტაბლაზე დააგდო.

— ცოტა არს, ცოტა! — დაიძახეს ქალებმა.

სიძემ ისევ გაიკრა ჯიბეზე ხელი, ახლა თუმინიანი ამოაძვრინა და ის დააგდო ტაბლაზე.

— მეტ არ ღირს თქვენი ქალა და დამკიდეთ თუნდ თავითა.

— ნუნე ყოფილ, ნუნე, ნუნურაქ!.. — აყაყანდნენ ქალები.

— მოიდ, მოიდ, კაცებო, დალევდეთ, დაილოცებდეთ ბატარასა...

კაცების ნაწილი პატარა, ვინრო ოთახში გაჭირვებით შეიჭლიტა. თეთრი სახის, ქერათმიანი პატარძალი ყველას დაბლვერილი უმზერდა.

— გაუნოდავდე ხელსა მაინცა, ქალავ! რას დგახარ, შალოცვილივითა?

— დაჰკვილა იმ შავოსანმა, ვინც გარეთ პირველი დახვდა კართან მაყარს.

— ამა! — ქალმა კაცს ხელი შემსაავით გაუნოდა.

კაცმაც ხელი გაუნოდა და შემინებულმა თვალი ხალხისკენ გააპარა.

— შარიგდნენ, შარიგდნენ! — იხუფლეს კაცებმა, მერე ხელი სუფრანზე დანყობილ ჭიქებს წამოავლეს და დაილოცნენ:

— გფარავდასთ ლომისის მადლი, გამრავლასთ, ჯან მოგცასთ მრთელ და ბარაქა, ამინ!

— ამინ! ამინ!

მერე, „ნაიყვანეს თამარ ქალი“ დააგუგუნეს. ორმოცი წლის პატარძალი ციმციმ გამოიყვანეს გარეთ და სიძესთან ერთად, კენას მანქანის უკანა სავარძელზე დააბრძანეს.

— მავდით, — თქვა სიძემ, სულ რალაც ოცდაათიოდე მეტრის გავლის შემდეგ.

„მეზობლები ყოფილან“, — გაიფიქრა კაენამ და მანქანა დაამუხრუჭა. სიძე-პატარძალი გადავიდა, დამხვედურებმა ჭიშკართან თეფში დაახვედრეს და ამ ორმოცი წლის ქალ-ვაჟმა, თეფშის გასატყვად, ერთმანეთისთვის რომ ეჯობნათ, ისეთი ჭიდაობა გამართა, ხალხს სიცილიც კი წასკდა. სიცილი გამეორდა, როცა დაინახეს, რომ ქალმა აჯობა და ისე ყოჩაღად დასცა ფეხი, რომ სიძეს ისღა დარჩენოდა, თეფშის ნამტვრევებისთვის ამოეკრა და ქალისთვის კუშტად შეეხედა.

პირველი, რაც ქალაქელებმა შენიშნეს, როცა გაულესავ-შეულეზავი ორსართულიანი სახლის აივანზე გამწვანებულ სუფრას მიუსხდნენ, ის იყო, რომ კაცები უკვე კარგად იყვნენ შეზარხოშებულ-შეჭიკჭიკებული და დაბრეცილი თვალებით იყურებოდნენ. ისიც ეტყობოდათ, რომ უმეტესობას დიდი ხნის გაუპარსავი წვერ-ულვაში დღეს გაეპარსა და თუ თვალები და შუბლი მზით პქონდა დამწვარი, ლოყა-ნიკაპი თეთრად უელავდა. სუფრასთან მხოლოდ უფროსობა იჯდა, ალბათ ბავშვებისთვის ცალკე იყო გაშლილი. ნეფე-პატარძალი სუფრის თავში ერთად იჯდა და ხალხს ქვეშ-ქვეშ უბღვერდა, თითქოს ძალიან არ უნდოდათ შეუღლება და ძალით დაუქორწინებიათო. ანდა ფიქრობდნენ, რადგან ასე გვიან შევეულდით, ხალხი ჩუმ-ჩუმად დაგვიცინისო. სუფრა ბოსტნეულის მხრივ, მწირი იყო. თუმცა, ცხელ-ცხელი ცხვრის ხორცი და ხაჭოს ხინკალი ბლომად შემოაპქონდათ. სუფრაზე ღვინოც იყო და ჟიპიტაურიც. იქაურები უფრო ჟიპიტაურს ეტანებოდნენ, ბიჭები კი ღვინოს სვამდნენ.

— რო ავიშლებით-კე, ომარასთან წაგასხამთ ყველასა და ლუდ უნდა გაგამინჯოთ ჩვენებური, — დაჰპირდა ვალიკო ბიჭებს.

გორჩუნა და ანუკი ბიჭების გვერდით მონყენილებივით ისხდნენ. ალბათ, ჯერაც ვერ დამძლარიყვნენ მარტოობით, როგორც ეს პირველ ხანებში, შეყვარებულ წყვილთა უმეტესობას ემართება. ვალიკო, რომლის რეპერტუარი სოფელში ყველამ დიდი ხანია, ზეპირად იცოდა, ცდილობდა, გაერთო ქალაქელები და წვერიან თუ უწვერო ანეკდოტებს დიდი სიცილ-ხარხარით ჰყვებოდა.

— ცოლ ჯდის შინ, „ფეჩთან“ მიფიცებულ არს და ქმარ შამოა, ლოთ ქმარ ჰყავ, გიჟ, ქაჯ, გადარეული... ყუფდნის კედელსა და: ტაშ, ტაშ, ტაშ... — ამბობს. დიაცს ჰგონებავ, თუ ცეკვასა სთხოვნებავ კაცი და ინყებს ტარაბუასა... კაცი ყუფდნის კედელსა და — ბაყ! — ამოანთხევს შიგნულობასა. ტაშტი მაიტი, ქალავ, ტაშტიაო!.. — და ვალიკო

თავის ანეკდოტზე ისე ხორხოცებს, თერგის ხმას ფარავს.

— ვალა, რაიდ მონყენილ გყვანან ეს ქალაქელები, რო ამოგირეკავ ამ სიმალღეზედა? შამაგიტანო ბუზიკაი? — ეუბნება წინ მჯდომი ფართოყვრიმალისანი კაცი.

— ჰო, რო შენ ყროყინ მაასმენიო ამათაცა... — ისევ იცინის ვალიკო.

— მოდი, კლასი ვაჩვენოთ! — გადაულაპარაკა კაენამ ანუკის.



— როგორ? — დაინტერესდა ანუკი.

— ვიმღეროთ, — უპასუხა კაენამ.

— მე უნდა ვიმღერო? — დაიბნა ანუკი.

— არა, ჩვენ ყველამ. ბიჭებო, დავინწყოთ?

— ბიჭებმა თავი დაუქნიეს.

— „სამშობლოვ, სამშობლოვ, ჩემო ლა-მა-ზო...“ — ომახიანმა, ლამაზმა ტემბრმა უცებ გააჩუმა მოქეიფენი. ბიჭებიც აპყვნენ კაენას და ეს უღამაზესი სიმღერა ყვლმოდრებულეებმა, ისე ეშხიანად დააგუგუნეს, ისე უხდებოდა მათი ხმა იმ სახლის ბანსაც და იმ კლდეში ნაკვეთ ხეობასაც, „როგორც ლამაზ ქალს — ხალეები“.

ქალაქელებმა მოამთავრეს და ახლა მოხევეებმა წამოიწყეს:

„დიდება ღმერთსა, დიდსა მონყალესა, ღმერთო, დღეგრძელობა მიე აქა მბრძანებელსა, ნეფესა და დედოფალსა, სახემშვენიერსა,

წყვილი ვაჟიშვილი მიე სანლულუო წელსა.

ოჯახობა დაუქციე ჩვენი ნეფის მტერსა,

იმათი ცხვარი და ძროხა დააჭმიე მგელსა.

ნეფე, ბადია ამიგვე, მომანოდე ხელსა,

დიდება ღმერთსა, კიდევ დავლევ

ერთსა,

ღმერთმა ყველას გაგიმარჯვათ სტუმარ-მასპინძელსა!“

თავი ქალბემაც გამოიძვეს, ფანდურიც სწრაფად გაჩნდა სუფრაზე და სუფრის ბოლოდან ხვარამზეს ხმა გაისმა:

„ვინა ხარ, ვინ იარები, ლალო, მაგ ლალის ცხენითა?“

თავს რად არ შამაიბრუნებ, ყანას რად მამკვე ცრემლითა?

აქედან ვალიკო აპყვა:

„ის გეგონაა, ქალაუ, გუშინ რო მედიდებოდი,

კაც-შუაკაცებ გიგზავენ, თხანალებურად სტებოდი;

ისე გაგიხდევ სურვილსა, ნემსს ყუნწზე აეგებოდე,

ჩაჰქონდე დილის ნიაცსა, უსულოდ ჩაელღვეოდე,

პატარას წარის-ჩიტასა თვალში ფხად ჩაეგდებოდე“.

და ისევ ხვარამზემ წასტაცა:

„ვერცხლის თასადამც მაქცია, რო ღვინით აგვესებოდი,

დაფერილი მქნა ნითლადა, შამსვამდი — შაგერგებოდი.

ანა მქნა ვერცხლის სათითე, რო ხელზე ჩაგედებოდი,

ანა მქნა ოქროს ბურთვაი, კალთაში ჩაგეშლებოდი,

ან ვერცხლის ფულად მაქცია, ჯიბეში ჩაგეყრებოდი,

ან შენი ნამგლის ყანა მქნა, რო ფხაზე შაგეჭრებოდი,

ანა მქნა ვარდი, ყოილი, რო პირზე დაგეყრებოდი,

ანა მქნა მოის პერანგი, რო გულზე დაგადნებოდი,

ან შენი ძმა მქნა მონილე, აროდის გაგეყრებოდი,

ან შენი ნანდაური მქნა, გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!

ძალიან დანუხებული გზაზედამც შაგეყრებოდი!“

ვილაცამ „ცანგალა და გოგონა“ წამოიწყო, ხალხიც აპყვა და მალე ქართულ-მოხვეური ცეკვა-თამაშისკ გახურდა. რალა თქმა უნდა, ფეხი ნეფე-პატარძალსაც გაასმევიენეს. მერე ვილაც მოხევემ ანუკი გაინვია, გორჩუნამ ხელი მიაშველა, ანუკიც ფრთხილად შედგა მაგიდაზე, მოხევეებმა იქიდან მოჰკიდეს ხელი და ეს ლამაზი გოგონაც გედივით გადაფრინდა საცეკვაო მოედანზე და ვაჟივით არ დაუარა?! ამის დანახვაზე, მთვრალმა ვაჟებმა ტლინკების ყრით მთლად თავი გაიგიჟეს. როდის-როდის ჩაცხრა ცეკვის ყინი და ყველანი თავ-თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ამ დროს ქალბემა ხონჩებით მოხარული დედლები შემოიტანეს.

— აბა, ვის აქვს ქათმის თავი, დადოს ყველამ სუფრაზედა! — დაიძახა ვილაცამ და ქალაქელებმაც დააწყვეს თავ-თავიანთი ნადავლი მაგიდაზე. მათ

გარდა, ქათმის თავი ერთი-ორ სხვასაც აღმოაჩნდა და — ეგ იყო და ეგ. მოკლედ, ყველას, ვისაც ქათმის თავი აღმოაჩნდა, თევზზე დადებული თითო მოხარშული დედალი მიართვეს.

ბიჭებს უკვე მოჰპებზრებოდათ მთვრალი მოხევეების ტრაბახი და ხორხოცი.

ქათმები რომ მიართვეს, კაენა რატომ-ღაც, ფეხზე წამოდგა და იკითხა:

— ჩვენია ეს ქათმები?

— თქვენი არს, თქვენი!

— მაშინ წავიღებთ ამ ჩვენს ქათმებს და წავალთ, თანახმა ხართ? — იკითხა კაენამ.

ყველა გაჩუმდა, ეტყობა, არ მოეწონათ კაენას ნათქვამი.

— წავედით! — უთხრა ბიჭებს კაენამ. ისინიც წამოდგნენ, ქათმებს ხელი მოჰკიდეს კიდევ, როცა სუფრის ბოლოდან ვიღაც ოცდაათიოდე წლის ბიჭმა დაიძახა:

— რას ჰქვია, წაიღებთ?! ჩვენ რაღა დაეყოლათ სასმელსა?! წეს არ არს, არა! დადევით მანდვე, თევზეფზედა!

კაენას, რომელსაც სასმელი მოჰკიდებოდა და ვერც წინააღმდეგობას იტანდა, არ მოეწონა მოხევეს ნათქვამი და აუხიროდა.

— რა წესი არ არის?! თავი ხომ დაედე! მაშ, ქათამიც ჩემია და თქვენთვის რა მნიშვნელი აქვს, სად შევჭამ ამ ქათამს — ხევი თუ თბილისში?

— აეს, მნიშვნელი აქვს, აი! — და მათ წინ მჯდარმა ფართოფერმილიანმა მოხევემ პირდაპირ ყბაში არ გაუშალა გამლილი ხელი?!

კაენა თავის ქათმიანად, ადგილს მოსწყდა და უკან გადავარდა.

— ასე ხვდებით სტუმრებს, თქვენი?!

— და ჭილამ მოჰკიდა მაგიდას ორივე ხელი დაბლიდან და ამოაყირავა. მერე რომ გაშალა ხელები, ერთი საში მოხევე ერთმანეთზე რაღაც წამებში „მიალაგა“. იმწუთასვე ყველა მაგიდა აყირავდა. ხალხი აიშალა და სწორედ იმის მსგავსი ჩხუბი გაიმართა, როგორიც ამერიკული ვესტერნებში, „სალუნებში“ გვიანახავს, ერთი განსხვავებით მხოლოდ — მოხევეებიც და ქალაქელებიც, ჭილას გარდა, ხელებს უნიათოდ, უმისამართოდ იქნევდნენ და შემთხვევითი მუშტი თუ მოხვედებოდათ ან თვითონაც შემთხვევით თუ შემოარტყამდნენ სხვას. ერთადერთი, ვალიკო დარბოდა გამშველებლად და ყველაზე მეტიც სწორედ მას მოხვდა. ჭურჭელი დაიღენა და საჭმელიც იატაკზე აიზილა. კაცებში ქალებიც არეულიყვნენ, თუმცა ძირითადად წიოკობდნენ და „ვაის“ და „ვის“ გაკიოდნენ.

— რაი გაჩხუბებთ, ხალხო, რა?! — ყვიროდა მთელი ხმით გამწარებული ვალიკო. — ურჯულონი ხომ არ ხართ! ჩანყნარდით, ჩანს!.. — და პირდაპირ ყბაში მოხვდა... ხელით მოისინჯა. — კბილ, კბილ აღარ მაქვს პირჩია! ჩემი

ოქროს კბილ აღარ მაქვს პირჩია...

ნეფემ, რომელმაც ერთხანს უყურა ამ ჩხუბს, რომ მიხვდა, სასმლით გაგიჟებულ ხალხს აღარაფერი გააჩერებდა, გამოიტანა თავისი „ბერდენკა“ და ჰაერში დაცალა.

თოფის ხმამ ყველა გამოაფხიზლა და გააჩერა.

— კბილ დამკარგვიყო, კბილ! ოქროს კბილ დავკარგე, მაპოინეთ, ქალებო, მიშველეთ-კე, ნანავ, მზექალ!

— რამდენჯერ უნდა დაჰკარგოდე ეგ შენი ოქროს კბილ, ნეტა?! — უსაყვედურა ნანამ და ქალებმა ვალიკოს კბილს იატაკზე ძებნა დაუნყეს.

გოჩუნამ, ჩხუბი როგორც კი ატყდა, მაშინვე გაარჩა ანუკი იქაურობას. ახლა კუთხეში იდგნენ ხელჩაკიდებულნი და ჩუმ-ჩუმად ფხუკუნებდნენ ამ სისულეზე.

— აბა, შავრიგდეთ და ფიცვერცხლ შავჭამოთ კაცებმა, — და იმ ფართოფერმილიანმა მოხევემ ჯიბის დიდი დანით უეცრად, ხელისგული გადაისერა. მერე დანა ჭილას მიანოდა და თვითონ, ცარიელ, პატარა თიხის ჯამში, რომლითაც ღვინოს სვამდა, იმ გაჭრილი ხელიდან გამონადენი სისხლის ჩანურვა დაიწყო.

— მე რა უნდა ვქნა? — იკითხა ჭილამ, რომელსაც ხელში ეჭირა ის დანა და არ იცოდა, როგორ მოქ-



ცუულიყო.

— ხელ უნდა გაიჭრა ჩემსავით და ჩაანვეთო შენი სისხლიც აქავ, — უკარნახა მოხევემ.

ჭილას ასეთი ველურობა ადრე არ ენახა. საკუთარი ხელის გაჭრამ ცოტა არ იყო, შეაშინა კიდევაც.

— კარგა იქნევი მაგ ხელსა, ჩემმა მზემ!.. მაშენონა მაგრად... — გაეცინა იმას, რომელმაც ჭილას დანა მისცა.

— ჰო, ჰო, მაგარ ჩხუბ სცოდნავ, ვაჟაკ ჩან, — დაუმონმეს სხვებმაც.

— ნეკის გაჭრამ კი შააშინა ცოტათია... — ჩაილაპარაკა ვიღაცამ ქალებიდან და ხალხი ახორხოცდა.

— შააშინა კი არა!.. — და ჭილამ დანის წვერი ისე ჩამოისვა, რომ კინალამ ცერი მოიჭრა. სისხლი თქრი-ალით წამოუვიდა.

— ვაი, მაიჭრ თით, მაიჭრ, ჩქარ, სახვევი!.. ბამბა, იოდი! — ანივლდნენ ისევ ქალები.

ჭილა კი გამირივით დაჯდა სკამზე და თავისი კეთილი თვალებით აკვირდებოდა ხალხს.

— თქვენც, თქვენც... — ფართოფერმილიანმა თავისი დანა ახლა კაენას გაუწოდა.

ყველა იქ მყოფი ამ რიტუალს აკვირდებოდა.

კაენას თუმცა ძალიანაც არ უნდოდა ხელის გაჭრა, მაგრამ რა ექნა?! ჰოდა, პირველად ისე ნაზად დაისვა სალოკ თითზე, რომ კანიც კი ვერ გაიჭრა, რაზეც იქაურ ქალებს ფხუკუნი და სიცილი წასკდათ. მეორე ცდაზე კი, ოდნავ გაიჭრა და ორი-სამი წვეთი გადმოიღინა. მერე გიგომ და გოჩუნამაც გაიჭრეს თითები და სისხლი იმავე ჯამში ჩაანვეთეს. ამის შემდეგ, ფართოფერმილიანმა ქამარი მოიხსნა, ვერცხლის ბალთას ცოტაოდენი ვერცხლი ჩამოაფხიკა ჯამის თავზე და ქამარი ისევ წელზე შემოირტყა. მერე ის ჯამი ღვინით გაავსო, მალლა ასწია და თქვა:

— დღეიდან ძმებ ვართ, ფიცვერცხლი გვაქვს ნაჭში, ამ ძმობას არ ელატების არცდროსა!.. — მერე ჯამი პირთან მიიტანა და ცოტაოდენი მოსვა. მოიცილა და ჭილას მიანოდა. — შენ, ყაზბეგ უნდ შეგარქვა, მოჩხუბარიძე, კაი ჩხუბ გცოდნავ...

— მეც რამე უნდა ვთქვა? — იკითხა ჭილამ.

— უნდა დაილოცო, ძმები ვართ, ჩვენს ძმობას გაუმარჯვას!.. — უკარნახეს ქალებმა.

— გაუმარჯოს ჩვენ ძმობას! — და ჭილამაც ერთი-ორი ყლუპი გადაყლაპა. ღვინოს ოდნავ მოტკბო გემო მისცემოდა, ალბათ — სისხლის წვეთებისგან.

— ძმობას გაუმარჯოს, ჩვენს ძმობას! — გაიმეორეს გიგომ, კაენამ და გოჩუნამ და ჯამი გამოცალეს.

— ახლა ვინც არ უნდ გაგიტრაკოთ ხევჩია, ჩემს სახელს ასხენებთ-კე და ხმას ვერ გაგცემთ ვერავინა! ფიცვერცხლ-ნაჭამ ვართ-თქო, კობა ფარსაგიშვილთან! — თითით დაიმუქრა, მძიმედ შეტრიალდა, ნაღვინებ-ნაჟიპიტაურებელი პირი გაალო, ერთი მაგრად, ხოშიანად ამოაორთქლა და კარისკენ წაბანცალდა.

— ფარსაგი-შვილი... მაგრა ჟღერს! — თქვა გიგომ და გაიცინა.

— ნამდვილ უბნობს, ჰო, ჰო... მართლაც, ფარსაგ არს, მაგან წამაინყო დღესაცა... — დაეთანხმა ვიღაც

ქალებიდან გიგოს.

— ვაუებო, მართლა არ წამაგცდათ მაგის სახელი ხევირა, თორ ცოცხალ ან გადარჩებით, ან — არ... — თქვა იმავე ქალმა და ყველას სიცილი აუტყდა.

ომარ ნიკლაურს, ვისთანაც ვალიკომ ქალაქელები წაასხა, წინასწარ დაეწყო სამზადისი. დიდ სპილენძის ქვაბში მოეხარშა ლუდი და ცხვარიც დაეკლა. როცა ვალიკო თავისი ქალაქელი სტუმრებიანად იქაურობას შეემატა, ერთი ექვსი-შვიდი ვაჭაკი სახლის ბანის ქვეშ უკვე აგემოვნებდა ლუდს. ვარსკვლავიანი ღამე იყო. ჭრაქი კი ენთოთ, მაგრამ არც იყო საჭირო, ისედაც ჩანდა ყველაფერი.

ბიჭები თუმცა ნალვინევი იყვნენ, სქელი შავი ლუდი, რომლის ბადალიც ძნელად შეხვდება სადმე ადამიანს, მაინც მაგრად ესიამოვნათ.

— აუ, რა ლუდია, ბიჭო! — ვლარ მოიცილა ტუჩიდან, სანამ მთლად არ გამოცალა კათხა, ჭილამ.

ბიჭებმაც მხარი აუბეს, აქებდნენ და ყლურწავდნენ საამო სითხეს, რომელიც ღვინოზე ნაკლებად როდი ათრობს და მათაც ძალზე სწრაფად მოსწყდათ ყინვები. როგორც მთის ხალხის წესია, მოხვევებიც ტრახახობდნენ და ლუდთან დაკავშირებულ ამბებს იხსენებდნენ. ისიც მოიგონეს, ჩოფიკაშვილი ალუდა და ქვემოზნელი აპარეკა ხბოზე რომ დანახლევდნენ, — აპარეკას რომ უთქვამს, ჩაუსუნთქებლად დაეცლი ერთ გობ ლუდსაო. დაცლით კი დაუტლია, მაგრამ გადაქცეულა იქვე და დაუღვინა სული იმ ბეჩავსა. ის ხბო იმის ქელენში შაუჭამია სოფელს და კუბო და სამარხიც ჩოფიკაშვილის თავში სახლელი გამხდარა.

— ხმა გამავიდა — შენა მაგარ მარჯვენ გქონავ, ვისაც დაადვის, ფეხზე არ დააყენას ერთიცაო, — წარბი აენია და ისე ეუბნებოდა, ლუდით გაბრუებულ ჭილას, წინ მჯდომი, არანაკლებ მთვრალი მოხვევ.

— ჰო, ვიჩხუბეთ, — დაუდასტურა ჭილამ.

— მკლავ თუ გადმინევ, ვაჭაკად მაშინ ჩაგთვლიდი... — უთხრა მოხვევ და მარჯვენის იდაყვი მაგიდას დააბჯინა.

— კი, ბატონო! — მაშინვე აინია პიჯაკის სახელო ჭილამ და იმანაც მაგიდას ჩამოაყრდნო იდაყვი.

და კაცები, დათვივით ტორებით ერთმანეთს ჩააფრინდნენ.

— მე დავთვლი, — მაშინვე ითავა მსაჯობა ვალიკომ. — ერთ, ორ, სამ!

მონაძლევენი გაქვავდნენ. დაძაბულობისგან, კისრის ძარღვები დაებერათ და მალლა ამოასხდათ. ზედა ტუჩები ღამის დაიჭამეს. მყისი ძალა და მოხვევს მაჯა ქვემოთ წავიდა. ჭილამ ტანიც მიაყოლა და გადაუნია.

— არ ითვლებს! — წამოხტა სკამიდან მოხვევ.

— რა არ ითვლებს? გაჯობა! — გაცხარდა ვალიკო.

— ტან დაიხმარია, არ ითვლებს! — არ დაიჯერა მოხვევ.

— სირცხვილ არ, ელგუჯ, გეყოფის! — უხეშად დაუყვირა უცებ ვალიკომ.

— რაი? სირცხვილ?! მე მეტყოდე, ელგუჯაის?! — მოხვევ იმწამს ხელი მაგიდაზე დადებულ დანას წამოავლო და მაგიდას გადააფრინდა.

მაგრამ როგორც ჩანს, ვალიკომ იცოდა ელგუჯას ხასიათი, მიტრიალდა და გარეთ, შარაგზისკენ გაეარდა. ქვევით დაეშვა, გარბოდა და ყვიროდა.

— დაიჭით ეს ქაჯ, გიჟ, დამთხვეულ! არ მამკლას მართლაც, დაიჭით!

კაცები ელგუჯას გამოუდგნენ,

— არ მამეკაროთ ახლოსა, დაგხოცავთ ყველასა! — გაიძახოდა ელგუჯა და გააფთრებული იქნედა დანას.

ვინ მიეკარებოდა, ვის ჰქონდა ორი თავი?!

ვალიკოს საზღვრამდე, საგუშაგომდე უნდა მიესწრო როგორმე და — გადარჩენილი იყო. იცოდა, რომ იმ დღეს მისი დისშვილი, ბადრი იყო მორიგე. ასეც მოხდა: მისწრო. ბადრი და გელა გარეთ, ავტომატებით შეიარაღებული იდგნენ.

ბადრი ეგრევე მიხვდა, რაც ხდებოდა. გადმოიღო ავტომატი და ტყვიებით ცადაცხრილა.

ელგუჯა გაჩერდა. მიხვდა, რომ ამჯერადაც გადაურჩა ვალიკო.

— არ ამახვალ სახჩია?! — მაინც დაემუქრა. დანა მოისროლა, მიტრიალდა და მორბენილ კაცებს შეუერთდა.

— წამაით, წამაით, დავლიოთ! — უთხრა გაბრაზებულმა და სოფლისკენ გაალაჯა.

ანუკი ბიჭებს ლუდზე აღარ გაჰყვა. ვალიკოს სახლის ასახვევთან დასცილდა მათ. სულ ოცი ნაბიჯი უნდა გაველო და სახლში იქნებოდა.

ბიჭებმა გზა განაგრძეს, რომელიც სიონის ეკლესიას უვლიდა გარშემო და ქვევით, ომარ ნიკლაურის სახლისკენ მიდიოდა.

საგუშაგოდან მობრუნებულებმა, რა თქმა უნდა, ელგუჯას აღარ დაუჯერეს და პირდაპირ ვალიკოს სახლისკენ გასწიეს. სახლში რომ შევიდნენ, ბავშვებს ერთად ექნათ ტახტზე, მზია კი საჩქელთან იჯდა და მატყლს ჩეჩავდა.

— ქალ რა უყავით, ანუკი? — მშვიდად ჰკითხა მზიამ, მარტო ბიჭები რომ დაინახა.

— არ მოსულა?! — გულზე რალაცამ მწარედ უჩხვლიტა გოჩუნას. — ამოსახვევთან დავცილდით და უნდა მოსულიყო.

— როდისა? — წამოვარდა სკამიდან დაფეთებული მზია. — ვალა სადლა არ?

— ვალიკო ჩვენთან ერთად იყო. მალე მოვა. ანუკი აქ უნდა იყოს, წესით, აქ! —

სახეზე ათნაირმა ფერმა გადაჰკრა გოჩუნას.

— აქ არვინ მოსულა, ხატ-ანგელოზი ნუ გამიწყრას, აქ ვარ, აქ ვზი, რა ხანია, ვართავ საჩქელსა...

— უკან ხომ არ დაბრუნდა? — იკითხა ჭილამ.

— უკან? რით?

— მანქნებ კი დადის, როგო არ, მაგრამ სხვას ჩაუჯდის მითომა?.. — იკითხა მზიამ.

ამ დროს ვალიკომ ხმაურით შემოალო კარი.

— რა იქნ, უკან მიბრუნდებოდის ის დათვი? — იკითხა ელგუჯაზე, მაგრამ ბიჭების დამმარებულ და შეშინებულ სახეებს რომ წააწყდა, დადუმდა. — რაი მოხთეს? მოხთა რამე, მზია?

— ის მოხთ, რო ანუკ არ შამოსულა სახჩი, ესენი უზნობენ კიდევ, შინ წამავიდაო.

— რაგვარ არ შამასულა, რას უზნობ, გესმის კია?

— არა, არ მოსულა. სად იქნება? — დაუსვა ვალიკოს შეკითხვა გოჩუნამ.

ვალიკო ჩაფიქრდა და თითზე იკბინა.

— მაგტაცეს, ნამდვილად მაგტაცეს! ქორნილი დაადგმოდის ვინმე თვალსა... ეს სოფელ კი არა, ბანდიტების ბუდე არ! — ხელები გაშალა ვალიკომ.

— რა უნდა ვქნათ, მერე? — იკითხა ჭილამ.

ოთხივე ერთიმეორეს გაკვირვებული უყურებდა; არ იცოდნენ, რა ექნათ.

— მავჰკლავ, არ ვაცოცხლებ არც ერთსა! — გულზე მუშტი დაიცა ვალიკომ. — დავკლავ, ღორსავით გამავჭრი ყელსა!

— მართლა მოიტაცებდნენ, ვითომ?.. — იკითხა გიგომ.

— ხეჭი მოტაცება მალ-მალ ხთება, გამაჩნთების... — თქვა მზიამ.

— და სანამ გამაჩნთების?

— ჯადო მაქვს გაკეთებული თუ რა?!

— იკითხა მთლად დაბნეულმა გოჩუნამ.

— სანამ გამაჩნდების, გავიდეთ უნდ, დავძებნოთ. წამაით! — თქვა ვალიკომ და გარეთ გავიდა. ბიჭებიც სწრაფად მიჰყვნენ, მზიაც...

— ანუკი-ი-ი! ქალაუ-უ-უ! — გასძახა სიბნელეს ვალიკომ და ქუჩისკენ წავიდა. — ყველა თავ-თავ წავიდათ და ასე დავსტებნათ...

გაიშალნენ. ზოგი ზემოთ წავიდა, ზოგი — ქვემოთ, ზოგი — მდინარის პირისკენ...

— ანუკი-ი-ი! ანუკი-ი-ი! — კიდევ დიდხანს ისმოდა მათი ხმა სოფელში, მაგრამ მხოლოდ ძალღი, ძროხა ან ინდაური და ქათამი თუ შეეხმიანებოდა მათ და ეყო, რომელსაც თერგის ხმაური ახშობდა.

ანუკი გაქრა.

გონების სასაჩივრო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფროსად „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

კასუნაგის სვეტისკენ არ გაბაჟდეთ თვალი.

1. როდესაც ფშაველი ან ხევსური ნადირს მოკლავდა, უპირველეს ყოვლისა, ფეხს ჩაუტყავებდა. რატომ?

2. ვის ეძახდნენ ძველ რუსეთში „ბოგო-მაზებს“?

3. სად და როდის შეიქმნა მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ნავი?

4. „უძინართა მზეს“ თემურ ბაბლუანი სამი წლის განმავლობაში იღებდა. ვინ არის ამ ფილმის სცენარისა და მუსიკის ავტორი?

5. დაასახელეთ შაჰ-აბასის პირველი ვეზირი, რომელსაც ირანის მბრძანებელი ევედრებოდა, — ჩემზე ერთი ოქროთი ნაკლები მაინც დახარჯე, ჩვენ შორის განსხვავება რომ ჩანდესო.

6. ვის ეკუთვნის სიტყვები: „მე ვერ მექნება წარმატების იმედი ევროპაში, ვიდრე რუსეთში ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ბავშვით მატულობს მოსახლეობა“.

7. სპარტელი კანონმდებელი ლიკურგე თანამემამულეებს ერთსა და იმავე მტერზე ხშირად ლაშქრობას უკრძალავდა. რატომ?

8. სად და როდის მოკლეს ჯალალ ად-დინი?

9. „აი, რა მზის სიზმარია; აირევი ივერია; აი, დროშა აშორდია; აერების სიბერეა“; — რით არის განსაკუთრებული გალაკტიონის ეს ლექსი?

10. ლონდონის სახლების ნუმერაციაში ვერსად შეხვდებით ცამეტ რიცხვს. რას ნერუნ ლონდონელები მის ნაცვლად?

11. რა არის მუჰაჯირობა?

12. „ნამდვილი მანდილოსანი მხოლოდ მაშინ იჩიჩქნის ცხვირს, როდესაც არავინ უყურებს“, — ირწმუნებოდა ყველასთვის ცნობილი ეს საბავშვო პერსონაჟი. დაასახელეთ იგი.

13. დაასახელეთ ინგლისელი მწერალი, რომელმაც სიკვდილის წინ მშვიდად სთხოვა ჯალათებს, ხელი არ ეხლოთ მისი წვერისათვის, რადგან მის წვერს ოდნავადაც არ ედო ბრალი სახელმწიფო დანაშაულში.

14. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ყველა ქართველი პოეტი, ხოლო ყველა ქართველი პოეტი — ორმაგად პოეტი“

15. „მე ამ ნაწარმოებმა მიბიძგა, დამენყო სამოქალაქო ომი“, — ამბობდა აბრაამ ლინკოლნი. რომელი ნაწარმოები ჰქონდა მას მხედველობაში?

ანეკდოტები

სვანს სკლეროზი დაემართა. ფურცელზე ჩამოწერილი აქვს, რაც უნდა გააკეთოს. იღვიძებს დილით. კითხულობს:

„ადექი!“ — დგება.
„შედი სააბაზანოში!“ — შედის.
„დაიბანე პირი!“ — იბანს.
„დაივარცხნე თმა!“ — ივარცხნის!

„გამოიხეხე კბილები!“
— მეზარება... — ჩაილაპარაკებს თავისთვის და შემდეგ მითითებას დახედავს: „გამოიხეხეთეთქი!“

გოგოსა და ბიჭის დიალოგიდან:
— ნამო ჩემთან, ყავა დავლიოთ. სახლში მარტო ვარ...

— კარგი, ოღონდ აფთიაქში შევივლი და ყავისთვის რაქმეს წამოვიღებ...

ორი ტეხასელი ტყეში მოხვდა. უცებ, ხე მოტყდა და ერთს თავზე დაეცა. მეორე რეკავს „სასწრაფო დახმარებაში“.

— მიშველეთ, მგონი, მეგობარი მომიკვდა!

— დამშვიდდით. ჯერ დარწმუნდით, რომ მკვდარია.

უცებ, ისმის თოფის ხმა.
— მერე?..

ორი დაქალი ერთმანეთს ხვდებოდა:

— გავიგე, ქმარს გაცვილებიხარ. რა მოხდა?

— აბა, რა გითხრა... შენ შეძლებდი ისეთ ადამიანთან ცხოვრებას,



ბას, რომელიც სიგარეტს ეწევა, ყოველ საღამოს შინ მთვრალი მოდის, ყვირის და იგინება?

— არა, ნამდვილად ვერ შევძლებდი!

— პოდა, ვერც იმან შეძლო...

მთვრალი რაჟდენა სახლში მივიდა. შესასვლელში ცოლი დგას, ცომის საბრტყელებლით ხელში.



— საყვარელო, შენ სულ აცხობ და აცხობ...

ადვოკატი კლიენტს ეუბნება:

— ყველა კითხვაზე უპასუხებთ „არას“, გასაგებია?

— არა!

ჩუქჩას ჰკითხეს: რა კატეგორიების ელჩები იციო? ჩუქჩამ დაინყო ჩამოთვლა:

— „პასოლ ცერეზვიცაინი, პასოლ უპალნამოცენნი ი პასოლ ნა ხ...“

თინა მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება:

— ბავშვებო, გამოსაშვებ საღამოზე ყველამ ერთად უნდა გადავიღოთ სურათი. როცა გაიზრდებით, დახედავთ და გაიხსენებთ: „ეს იკაკოა, რომელიც ძალიან ცელქი იყო, ახლა კი მინისტრია; ეს მიშვიკოა, როგორი გიჟიც იყო, ისეთად დარჩა...“

— ეს კი ცხოვრებული თინა მასწავლებელია, — გააგრძელა ჩამოთვლა მიშვიკომ.

სვანი მალაზიაში შედის:

— შამშუნი გაქვთ?

— კი. აი, ინებეთ, კვერცხის შამპუნია.

— თავის არა გაქვთ?

— დედიკო, მამიკო გაგიყდა, ყველაფერს ფანჯრიდან ისვრი-იიიიიიის!!!

განცხადება: „ვანადგურებ ვირთხებს. მოიყვანეთ 9-დან 11-მდე“.

პაციენტი ექიმს შესჩივლებს:
— ექიმო, ტანი მექავება, მიშველეთ რამე...
— დაბანა არ გიცდიათ?
— კი ვცადა, მარა, ერთ კვირაში ისევ დამეწყო ქავილი...

— ექიმო, სულ რატომ მჩქმტით?
— მგრძნობელობას ვამონ-მებ.
— ჩემსას?
— არა, ჩემსას...

ბავშვს საბაჟოზე ვერდისფერი ფხნილით სავსე პაკეტი უპოვეს.
— ეს რა არის?
— ჰეროინი.
— ვარდისფერი რატომაა?
— საბავშვოა, მარწყვის გემოთი.

გახურებული ბრძოლის დროს, სანგარში მჯდარი გურული მთელი ხმით გაჰყვირის:
— ექიმი! ექიმი!
— რა გაყვირებს, დაჭრილი ხარ?
— მივარდა მედდა.
— არა, მარა რო დევიჭრა, სა გეძიო მერე?

ორი სომეხი რესტორანში ზის. ერთი მეორეს ეუბნება:
— ნახე, იმ მაგიდასთან რა ლამაზი გოგონები სხედან. წამო, იმათთან გადავსხედეთ!
— მოიცა, ჯერ ოფიციანტს გადაუხადონ ფული...

— ექიმო, მგონი, იმპოტენტი ვარ!
— საიდან დაასკენი?
— სიზმარში 3785 შიშველი ქალი ვნახე.
— მერე რა?
— მერე ის, რომ ვიდექი და დებილივით ვითვლიდი, სანამ არ გამეღვიძა...

კაცს ეკითხებიან:
— ცოლს რატომ გამო-რდი?
— ლოგინში ვერ შევენ-ყვეთ ერთმანეთს.
— არ იყო სექსუალური?
— როგორ არა, მაგრამ მერე, მთელი ღამე ხვრინავ-და.

ორი დაქალი ლაპარაკობს:
— რა სიმპათიურია ჩვენი ახალი თანამშრომელი, ემზარი, რა ეშხიანია, რა ტანადი... მერე, როგორი სწრაფია? — ყველაფერს თვალის დახამხამებაში, ერთ წუთში აკეთებს...
— ეეჰ, ეგ ნაკლი რომ არ ჰქონდეს, კაცი ვერ აჯობებ-და...

ტელეფონის ზარია. მამაკა-ცი ყურმილს იღებს.
— ძვირფასო, ვაჟი გყავს.



— ვახ, შენ გენაცვალე!.. მოიცა, რომელი ხარ?!

გონების სამსახურში

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კანსუხები)

1. თუკი ამ პროცედურის ჩატარებამდე მას სხვა მონადირე მოუსწრებდა, იგი ვალდებული იყო, ნადავლის ნახევარი მისთვის მიეცა („საცა არ მიხნავ ძმობილო, იქ ვჭო — ეს სადაურია? ყელი მოგიჭრავ ვიხვისთვის, ფეხებიც ჩატყალია გესტუმრო, უარს არ გეტყვი, გიშველი ვიხვის ზიდეგასა, წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე თავს არა ვკადრებ იმასა“, — ეუბნება ზვიადური ჯოჯოლას, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“).
2. ხატმწერებს.
3. იგი პოლანდიელმა მეცნიერმა, ვან დრებელმა 1620 წელს, ინგლისში ააგო.
4. თავად რეჟისორი.
5. ალავერდო-ხან უნდლიძე.
6. ნაპოლეონ ბონაპარტსა.
7. რათა ეს უკანასკნელნი თავდაცვაში არ განაფულიყვნენ.
8. 1231 წელს, მონღოლების მიერ აზერბაიჯანში დამარცხებული სორუმის შაჰი ვალალადდინი მესოპოტამიაში გაიქცა, სადაც ქურთებმა გამოასალმეს სიცოცხლეს.
9. იგი პალინდრომია იკითხება ორივე მხრიდან.
10. „12 ა“-ს.
11. კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში, XIX საუკუნეში მუშაჯირობა ერქვა. მუშაჯირო არაბული სიტყვაა და გადასახლებულს, ემიგრანტს ნიშნავს მუსლიმანური ტრადიციით, პირველი მუშაჯიროები წინასწარმეტყველ მუშაგედის მოძველები იყვნენ, რომლებიც 622 წელს, მასთან ერთად გადასახლდნენ მექადან იასრბში (მედინაში). (მუშაჯირო აფხაზთა რიცხვი თურქეთში 100 ათასს აღწევს, არაბულ ქვეყნებში — დაახლოებით 15 ათასს).
12. პუბი გრძელიწინდა.
13. თომას მორი (განთქმული „უტოპიის“ ავტორი).
14. სომეხ პოეტსა და პროზაიკოსს, ოვანეს თუმანიანს.
15. ბიერ-სტოუს „ბიძია თომას ქიზი“.





რამდენ ხანს იქნებით ერთად?

მამახე, თანაცხოვრების პირველი წელიწადი მთავრდება. შეიძლება ითქვას, თავისებურ გამოცდას გაუძელით. თქვენ ძველებურად გიყვართ ერთმანეთი, მაგრამ კორიზონტზე ძლივს შეხამჩნევი ღრუბელი გამოჩნდა. რამდენი წელი მოგინევთ ერთად ყოფნა და ბედნიერები იქნებით თუ არა, არაუინ იცის. და მაინც, რამდენიმე ხიგნალი მეტ-ნაკლები სიმუსებით გიყარნახებთ, როგორია თქვენი მომავალი:



წდობა

ერთი წლის მანძილზე ურთიერთ-წდობა დაიმსახურეთ, თუმცა მამაკაცი თავისი ქცევებით ადასტურებს, რომ მარტოც მშვენივრად გრძნობდა თავს, ქალი კი ღამლამობით „მკითხაობს“, მას ეკუთვნის თუ არა პარტნიორის გული. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენმა ურთიერთობამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ ფაქტია, ერთ-ერთი თქვენგანი (ან შეიძლება ორივე) დისკომფორტს განიცდის.

სისუსტეთა ფიჭნობა

წყვილთა ურთიერთობაში კრიზისის გამომწვევი, უპირატესად, ერთის დაუინებელი მცდელობაა — გარდაქმნას მეორე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშვიდად შეეგუოთ პარტნიორის უარყოფით თვისებებს, მაგრამ წყალში ჩაყრილია შრომა, როცა ცდილობთ, მოათვინიეროთ და პედანტად აქციოთ ბუნებით დაუდევარი მამაკაცი; ან თუ თქვენ პარტნიორად მეოცნებე ნატურის ადამიანი აირჩიეთ, მოგინევთ შეეგუოთ მის არაკეთილგონივრულ და არაპრაქტიკულ ექსპერიმენტებს. ხოლო იმ მამაკაცმა, ვისაც დაუოკებელი ტემპერამენტის მქონე ქალი ჰყავს გვერდით; უნდა გაითვალისწინოს, რომ მის გულის სწორს ხანდახან „გიჟური“ იდეები შეაწუხებს. დიას, სიყვარული ცვლის ადამიანს, მაგრამ არა იმდენად, რომ ხელახლა აღზარდოს.

ლაპარბის და მოსმინის უნარი

იქნებ მიგაჩნიათ, რომ საიდუმლო თქვენ შორის არ არსებობს და უსიტყვოდ უგებთ ერთმანეთს? თუ ასეა, მაშინ ღირს დაფიქრდეთ — ეგებ ერთ-ერთი თქვენგანი სიმართლეს ბოლომდე არ ამხელს ან სულაც, „დუმილის უფლება აქვს არჩეული“?

უპოიაროშავსება

ვუხდებით თუ არა ერთმანეთს? — ეს საკითხი ბევრს აღელვებს. როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, ხასიათის სრული შეწყობა, კავშირის განვითარებისათვის ისეთივე გამოუსადეგარია, როგორც მკვეთრად გამოსხატული ამკარა შეუთავსებლობა. კავშირს ცხოვრებისეულ ძალას სწორედ პარტნიორების ურთიერთშეფასება აძლევს.

ხშირად პარტნიორში ჩვენი „მეს“ ფარულ ნაწილს ვეძებთ და მაშინ, რაციონალურ მამაკაცს ემოციური ქალი უყვარდება; ხოლო ზედმეტად დისციპლინირებული ქალბატონი მოვალეობებისგან თავისუფალ მამაკაცს ირჩევს. ერთიან კავშირში, ურთიერთშეფასებით, ორივე პარტნიორი იგებს.

საბართო ინტერესები

განსხვავებული ტემპერამენტის პარტნიორები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მათ საერ-

თო ინტერესების მინიმუმი მაინც უნდა გამოინახონ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას უნდა მისცენ ხმა ან ერთსა და იმავე კერპს ეთაყვანონ — საკმარისია, ერთი მათგანი მეორის მხოლოდ ერთ სერიოზულ გატაცებას იზიარებდეს. საერთო ინტერესები მეგობრობის საუკეთესო ფუნდამენტია, თუმცა მეგობრობა სიყვარულს ვერ შეცვლის. და მაინც, მეგობრობაა ის ძალა, რომელიც პარტნიორს სირთულეს დააძლევინებს.

ვნება და სინება

სამწუხაროა, თუ ურთიერთლოცვა მოწყენილობით ან სიახლოვის დაკარგვით შეიცვლება. ბუნებრივია, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარი სექსუალური მოთხოვნილებები აქვს. დასაწყისში ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ ხანგრძლივი ურთიერთობისას, პარტნიორებს სექსუალური ცხოვრების რიტმი შეთავსებული უნდა ჰქონდეთ. სექსუალურობა — ორი ადამიანის კავშირის ბარომეტრია. თუ გასურთ, რომ სიყვარული გაიხანგრძლივოთ, ეცადეთ, დაუოკებელი ვნება ყოველდღიური სექსით შეცვალოთ. ველური ვნების ცეცხლს პარტნიორები დიდხანს ვერ უძლებენ. საჭიროა, იცოდეთ, რომ მოზომილი ურთიერთობები პარტნიორებს ნახ და ვნებიან სიყვარულს უხანგრძლივებს.

კამათის ხელოვნება

კონფლიქტები ბედნიერ წყვილებს შორისაც იჩენს თავს, მაგრამ კამათის ხელოვნებას სწორედ ისინი ფლობენ. კამათის სიმწვავის ხარისხი კარის მიჯახუნების სიძლიერითა და დამტყვევებელი თევშების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ, წყვილის ურთიერთობით: ცხარე კამათის შემდეგ, პარტნიორების ურთიერთობაში რაღაც უნდა გაირკვეს და შეიცვალოს.


საჭიროა სისილი

არანაკლებ მნიშვნელოვანია, საკუთარ და პარტნიორის შეცდომებს იუმორით შეხედოთ. ეს დაძაბულობის განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა, თუმცა ხანგრძლივი ბედნიერი თანაცხოვრების გარანტიას არ წარმოადგენს.

◆ ტუჩების მოცულობის გაზრდის მიზნით, არასოდეს გამოიყენოთ მუქი ფერის ფანქარი. ტუჩებს კარგად გამოკვეთს პომადის ზემოდან წასმული ბლესკი, ტუჩის ფანქარი კი პომადის ტონალობის უნდა იყოს.

◆ როცა წვეულებიდან გვიან ბრუნდებით, ხანდახან ალბათ გეზარებათ მაკიაჟის მოშორება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამით სახის კანს დიდ ზიანს აყენებთ: მაკიაჟით დახშულ ფორებში მყარად ჯდება დღის მანძილზე სახეზე დადებული მტვერი. კანმა აუცილებლად უნდა ისუნთქოს, ამიტომ, მისი განმენდა ყოველდღიურად საჭიროა.

◆ ტონალური კრემი კარგი განათების პირობებში ან დღის სინათლეზე შეარჩიეთ. ვიდრე შეიძენდეთ, კრემი თხლად გადაისვით ხელის მტევანზე და დააკვირდით, რამდენად ორგანულად ერწყმის იგი თქვენი კანის ფერს. გახსოვდეთ, რომ სახის ტონალური კრემი არც ძალიან ღია უნდა იყოს, არც — ძალიან მუქი.



ლოყები), შუბლზე, ნიკაპსა და ცხვირის წვერზე.

◆ თუკი ღია ფერის კანი და თმა გაქვთ, წარბების გამოსაკვეთად ნუ გამოიყენებთ შავ ფანქარს. თქვენთვის უფრო შესაფერისი ღია ყავისფერი ან რუხი (ფერფლისფერში გარდამავალი) ფანქარი იქნება.

◆ მაკიაჟის გაცეთებისას ნუ ეცდებით გამოკვეთოთ თვალებიც, ტუჩებიც და სახის ფერიც (რა თქმა უნდა, თუ სტენაზე გასასვლელად არ ემზადდებით). თუ თვალების სილამაზის გამორკვეთა გსურთ, ტუჩებზე მქრქალი ფერის პომადი და უფერო „ბლესკი“ წაისვით. თუ ტუჩებზე წითელ პომადას ისვამთ, თვალებზე მკრთალი ფერის ჩრდილი უნდა იკმაროთ.

◆ თვალებზე ჩრდილების წასმის დროს, ტუჩის გამოყენებაც აუცილებლად დაგჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალები „ჩამქრალი“ და „ჩავარდნილი“ გამოჩნდება.

◆ დღის მაკიაჟი გაცელებით მოკრძალებული უნდა იყოს, ვიდრე საღამოსი. ნუ წახვალთ სამსახურში და დღისით დანიშნულ შეხვედრაზე თოჯინასავით მოხატული და ტონალური კრემით „დამქიმებული“ სახით. მაკიაჟის გადაჭარბების უფლება მხოლოდ საღამოს გაქვთ.

კიდევ უფრო რომ გავკლამაზდეთ...

ქალები მაკიაჟის გაყეთებისას ხშირად უშვებენ შეცდომას, რაც უძალე მათ გარეგნობაზე აისახება. თუმცა ამ შეცდომების თავიდან აცილებაც არ არის რთული, თუკი რამდენიმე მარტივ რჩევას გაითვალისწინებთ.

◆ არ წაისვათ ბევრი „რუმიანა“. მან ოდნავ უნდა გამოკვეთოს თქვენი სახის კანის ფერი. „რუმიანა“ წაისვით ყვრიმალეებზე (არავითარ შემთხვევაში არ აინითლოთ

ამოსი. ნუ წახვალთ სამსახურში და დღისით დანიშნულ შეხვედრაზე თოჯინასავით მოხატული და ტონალური კრემით „დამქიმებული“ სახით. მაკიაჟის გადაჭარბების უფლება მხოლოდ საღამოს გაქვთ.

დაოჯახებულები უფრო დიდხანს წოყხლოვნენ

დაოჯახებული ადამიანები მარტოხელებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ამერიკელმა ექსპერტებმა გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპები უფრო მეტი ძალით აღიქმება და ეფექტურად მოქმედებს მაშინ, როცა მათ აუცილებლობაში მოსიყვარულე მეორე ნახევარი გვარნმუნებს. როგორც ჩანს, მხოლოდ საყვარელ ადამიანს შეუძლია თქვენი დარწმუნება იმაში, რომ აუცილებელია ფიზიკური ვარჯიში და სწორი კვება.



რუბრიკა მოამზადა ეპა გუნთაიშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 გვ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2



პრესის გავრცელების სააგენტო „მედიასპარსი“

ქ. თბილისი იოსებბძის ქ. № 49
 ტელ: 42-43-40;
 38-26-73; 38-26-74.
 ფაქსი: 38-26-74
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

გორა პანელიკა



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-44

რიჟკოვი საუზმეს ამთავრებდა, როდესაც თანაშემწემ მოახსენა: მოსკოველი გამოძიებელი თქვენთან შეხვედრას ითხოვსო.

— ვინ? — გაოცებულმა ჰკითხა რიჟკოვმა.

— განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი, გვარად რიბკინი, — უბის წიგნაკს ჩახედა თანაშემწემ.

— მიღების საათს დაელოდოს. სამუშაო დღე ჯერ არ დაწყებულა, — ოფიციალური ტონით ბრძანა რიჟკოვმა და შეწყვეტილ საუზმეს მიუბრუნდა.

— არა მგონია, რომ მოიცადოს.

— რაა?! — ბრაზი მოერია რიჟკოვს. — გადი და უთხარი, დამელოდოს!

თანაშემწეს აღარაფერი უთქვამს. მაშინვე განკარგულების შესასრულებლად გაეშურა.

მაგრამ რიჟკოვმა მაინც ვერ შეძლო საუზმის მშვიდ ვითარებაში გაგრძელება. როგორც კი თანაშემწემ კარი გაიხურა, დერეფანში ხმაური ატყდა.

— არა... ვერ შეგიშვებთ!.. — გაისმა თანაშემწის ხმა.

ხმაურით გაღიზიანებული რიჟკოვი სკამიდან წამოდგა, მაგრამ კარამდე მისვლა ვეღარ მოასწრო. მაშინვე, სასადილო ოთახში შუახნის მამაკაცმა შემოაბიჯა. დაუბატიყებელ სტუმარს თანაშემწეც შემოჰყვა, რომელიც მის შეჩერებას ცდილობდა.

— რა გნებავთ?! — მრისხანე სახით იკითხა რიჟკოვმა.

— მგონი, უკვე მოგახსენეს ჩემი თანამდებობა და ვინაობა, — დამცინავად უპასუხა რიბკინმა.

— მიღების საათები...

— მე კარგად ვიცნობ თქვენს სამუშაო განრიგს. შემოიძლია, მიღების საათებში გენვიოთ, მაგრამ თქვენთვისვე იქნება უკეთესი, თუ ჩვენს საუბარს ოფიციალურ სახეს არ მივცემთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, — შეანწყვეტინა რიბკინმა.

— კეთილი... დაბრძანდით, — ჩაილაპარაკა რიჟკოვმა, შემდეგ კი თანაშემწეს ანიშნა, მარტო დაგვტოვეო.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — განაგრძო რიჟკოვმა,

როგორც კი სტუმარი დაჯდა.

— ვიდრე მთავარ საკითხზე გადავალთ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ უსიამოვნო საუბარი გველის. მოგვიანებით, შეიძლება, იგივე ოფიციალურ ჩვენებაში გაგამეორებინოთ.

— რაა?! — წამოჭარხლდა რიჟკოვი. რიბკინის სიტყვები არნახულ თავზედობად მიიღო. ოფიციალურად ის აფხაზეთში მრჩევლის რანგით იმყოფებოდა, მაგრამ გამორიცხული იყო, რომ მოსკოველ გამოძიებელს არ სცოდნოდა მისი ძირითადი სამუშაო ადგილი — უშიშროების ფედერალური სამსახური.

— არ ვხუმრობ და არც ვაჭარბებ; თქვენმა თავნებობამ სერიოზულად შეაფერხა ოპერაცია, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს.

— რას გულისხმობთ თავნებობაში? — დაიძაბა რიჟკოვი.

— ზარიძის ჯგუფის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას! — სიტყვა ცივად მოუჭრა რიბკინმა.

ზარიძის ხსენებამ რიჟკოვი დააბნია. რიბკინი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი იყო. მაგრამ მასაც კი არ უნდა სცოდნოდა საქართველოში მოქმედი აგენტურული ჯგუფის შესახებ. ეს ინფორმაცია მხოლოდ უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნებისთვის იყო ხელმისაწვდომი.

— მე უკვე გავეცანი ზარიძის მოხსენებით ბარათს. იქ შავით თეთრზე წერია, თუ როდის და ვისგან მიიღო ჯგუფმა სპეციალური ოპერაციის ჩატარების ბრძანება, — უცვლელი ტონით განაგრძო რიბკინმა. — რას იტყვით ამაზე?.. რამე გაუგებრობას ხომ არა აქვს ადგილი? — არა, — უკმაყოფილოდ ჩაიბურ-

ტყუნა რიჟკოვმა. — ეს ბრძანება მე გავეცი.

— რატომ?

— ეს განსაკუთრებული აუცილებლობით იყო გამოწვეული.

— მოდი, თავი დავანებოთ ოფიციალურ ტერმინოლოგიას და გულახდილად ვისაუბროთ. მაშ ასე, რას უწოდებთ „განსაკუთრებულ აუცილებლობას“?

რიჟკოვმა დუმილით უპასუხა. საუბრის გაგრძელებისთვის მხოლოდ ზარიძის ხსენება საკმარისად არ ეჩვენა. მან ხომ არ იცოდა, მის სტუმარს, კიდევ რა ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი.

— მაშინ მე ვიტყვი. თქვენი ბრძანებით, თავდასხმა ზარიძემ მოაწყო. რას ემსახურებოდა ეს ოპერაცია? — განაგრძო რიბკინმა.

— მე არ ვიცი, რამდენად ინფორმირებული ხართ, — მცირე პაუზის შემდეგ თქვა რიჟკოვმა.

— იმაზე მეტად, ვიდრე გგონიათ.

— ესე იგი, გეგმიძის შესახებაც გექნებათ ინფორმაცია.

— დიახ.

— ის თუ იცით, რომ მისი შვილი და საყვარელი მძევლების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ?

— და თქვენ, ზარიძის მეშვეობით გაათავისუფლეთ ისინი?

— დიახ.

— საინტერესოა, — ირონიულად ჩაიციხა რიჟკოვმა. — დიდი ხანია, რაც თქვენი უწყება კრიმინალების ოჯახის წევრებზე ზრუნვით დაკავდა?

— თქვენი ირონია უადგილოდ მეჩვენება. ჩვენ სერიოზულ საკითხზე ვსაუბრობთ, — იწყინა რიჟკოვმა.

— კეთილი, დავუბრუნდეთ გეგმიძეს და მისი ოჯახის წევრებს. მაინც რამ გიბიძგათ იმისკენ, რომ ეს ოპერაცია ჩაგეტარებინათ?

— ეს, პირდაპირ, ჩემს აფხაზეთში ყოფნას უკავშირდება. ჩემს უმთავრეს ამოცანას, სტაბილური ვითარების შენარჩუნება წარმოადგენს. გეგმიძე კი, აშკარა საფრთხეს ქმნის. შეიძლება, თქვენთვის ცნობილიც კი არ არის, რომ საქართველოს ხელისუფლება, მძევლების მეშვეობით, აშანტაჟებდა გეგმიძეს და ჩვენ წინააღმდეგ მის ამოქმედებას ცდილობდა.

— საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

— ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ინფორმაცია ზუსტია. ამას ზარიძის მიერ ჩატარებული ოპერაციაც ადასტურებს.

— მოდი, ერთი დეტალი დავაზუსტოთ... — შუბლი მოისრისა რიბკინმა. — გეგმიძეს ხელისუფლება აშანტაჟებდა თუ რომელიმე მისი წარმომადგენელი?

— ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ისე კი, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ეს საკითხი უმაღლეს დონეზე გადაწყდა.

— და გეგეშიძის ოჯახის წევრების გათავისუფლებით, სოხუმს დარტყმა აარიდეთ?

— მართალი ბრძანდებით. უბრალოდ, გეგეშიძის აგრესიას სხვა მიმართულება მივეცი. ოპერაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, — დაუდასტურა რიჟკოვმა.

— ხომ არ აჭარბებთ, ბატონო მრჩეველო?! არა მგონია, რომ მხოლოდ ერთს, თუნდაც გეგეშიძის გავლენის მქონე ადამიანს, ამდენად გაერთულებინა ვითარება.

— თქვენ კარგად არ იცნობთ ვითარებას. თანაც, ჩვენი შეფასებით, გეგეშიძის შანტაჟი ვრცელი გეგმის ნაწილი იყო. ამასთან ერთად, ჩვენ არ ვიცოდით, რას შემოგვთავაზებდა შემდგომ საქართველოს ხელისუფლება. ზარიძის ოპერაციამ კი მნიშვნელოვნად შეცვალა მათი გეგმები...

— და ჩვენიც, — ცივად შენიშნა რიბკინმა. — რატომ არ აცნობთ თქვენს ხელმძღვანელობას, ზარიძის ამოქმედების შესახებ?

— მე მქონდა ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება! — მკაცრად წარმოთქვა რიჟკოვმა.

— არ გქონდათ. რომ გქონოდათ, ახლა აქ არ ვიქნებოდით. თქვენმა თავნებობამ ჩაშლის პირას მიიყვანა ოპერაცია, რომელსაც ერთობლივად

ატარებენ რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროები. გარდა ამისა, ზარიძის თავდასხმას ემსხვერპლა ოთხი ქართველი სამართალდამცველი. როგორ გგონიათ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქართულმა მხარემ შეძლო თავდამსხმელთა ვინაობის დადგენა?!

— გამორიცხულია, — თავი გაიქნია რიჟკოვმა. — ეს ამბავი გეგეშიძეს მიეწერება. მისთვის უცხო არ არის სამართალდამცველების მკვლელობა. ასეთი საქმეები საქართველოშიც არაერთი აქვს ჩადენილი, რუსეთშიც და უკრაინაშიც.

— მე არ მაინტერესებს თქვენი შეფასება. გეკითხებით, რა მოჰყვება ამ საქმის გახსნას?!

რიჟკოვმა ისევ დუმილით უპასუხა. — დუმხართ!.. არაფერი გაქვთ სათქმელი, იმიტომ, რომ კარგად ხედებით, რაც მოჰყვება ამას. ისე კი,

თუ გაინტერესებთ, ამ საკითხზე ქართულმა მხარემ უკვე გამოთქვა უკმაყოფილება.

რიბკინი არ აჭარბებდა. სოხუმში ჩამოსვლამდე, მას უკვე ჰქონდა შეხვედრა ქართველ და უკრაინელ წარმომადგენლებთან. შეხვედრა გეგეშიძის იყო. ისინი სისტემატურად აჯამებდნენ შედეგებს და სამომავლო გეგმებს სახავდნენ. მაგრამ იმ დღეს, თბილისიდან მიღებულმა ცნობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ეს ყველასთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

სამუშაო ჯგუფის ქართველი წარმომადგენელი გაშმაგებული შევიდა რიბკინის კაბინეტში, სადაც უკრაინის წარმომადგენელი — სეროვიც იმყოფებოდა.



ეს ამბავი გეგეშიძეს მიეწერება. მისთვის უცხო არ არის სამართალდამცველების მკვლელობა

ფებოდა. მან საქალაღდე მაგიდაზე დააგდო და თქვა:

— ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით თქვენთან თანამშრომლობის უნაყოფობაში!..

— რას გულისხმობთ? — დაიბნა რიბკინი.

— წინა შეხვედრისას, თქვენ მარწმუნებდით, რომ გეგეშიძე რუსეთში იმყოფებოდა, — განაგრძო ლაბაძემ.

— დიას... ბოლო მონაცემები ამაზე მიუთითებს, — დაუდასტურა რიბკინმა.

— მაშინ, როგორ ამიხსნით მომხდარს?.. გუშინ, გეგეშიძემ კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა — ჯგუფური მკვლელობა!..

— სად?! — ერთხმად წამოიძახეს რუსმა და უკრაინელმა წარმომადგენლებმა.

— თბილისიდან ოცდაათ კილომეტრში. ის, თავის ბრბობთან ერთად, თავს დაესხა მოქალაქის აგარ-

აკს, რასაც ოთხი სამართალდამცველი შეეწირა. როგორ ამიხსნით ამას?! — ლაბაძემ გამჭოლი მზერა მიაბჯინა რიბკინს.

— ეს დაზუსტებული ინფორმაციაა? — პაუზის შემდეგ ჰკითხა რუსმა მილიციელმა.

— თქვენგან განსხვავებით, ჩვენ მხოლოდ ზუსტ მონაცემებს ვყვდნობით! — ცივად შენიშნა ლაბაძემ.

— უფრო დეტალურად მოგვიყვივით, რა მოხდა? — საუბარში უკრაინის წარმომადგენელი სეროვიც ჩაერთო.

ლაბაძემ უხმოდ გახსნა საქალაღდე და რუს და უკრაინელ კოლეგებს დოკუმენტები გადასცა, რომელშიც აღწერილი იყო ტაბახმელაში მომხდარი თავდასხმის დეტალები.

— მდაა... — დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ჩაილაპარაკა რიბკინმა. — მიძიე სურათია, მაგრამ აქ არაფერია თავდასხმის მიზეზებზე და არც იმაზე, მონაწილეობდა თუ არა თავდასხმაში გეგეშიძე.

— ამ შემთხვევაში, მიზეზებს მნიშვნელობა აღარ აქვს, — სწრაფად უპასუხა ლაბაძემ. — მთავარი ისაა, რომ ეს პიროვნება საკუთარ ინტერესებს ყოველთვის იარაღითა და სისხლისღვრით იცავს.

— მაგრამ მოტივი მაინც გაურკვეველია. თანაც უცნობია, პირადად მონაწილეობდა თუ არა გეგეშიძე ამ თავდასხმაში.

— ესეც უმნიშვნელოა. დანაშაული მაინც მის მიერაა ორგანიზებული.

— ცდებით, კოლეგავ, — განაგრძო რიბკინმა. — ეს გარემოება მნიშვნელოვნად გავარემობს ვითარებას. ამ შემთხვევაში, ვერაფერში დაგვადანაშაულებთ. ჩვენი მონაცემებით, გეგეშიძე ისევ რუსეთშია. ის ასე იოლად ვერ გასცდება ქვეყნის საზღვრებს.

საქართველოში მყოფ მის თანამოაზრეებზე კი ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ. ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა!

— ლამაზად ჟღერს, — ბრზანიანი მზერა ესროლა ლაბაძემ, — მაგრამ ჩვენ სხვა მოსაზრება გვაქვს.

— გაგვიზიარეთ, — სთხოვა სეროვიცმა.

— ქართული მხარის ამ ოპერაციაში მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. რეალურად კი თქვენ გეგემს გარკვეული მოსაზრებების გამო არ აპატიმრებთ!

— კი, მაგრამ რისთვის?! — გაიკვირვა რიბკინმა. — ეს პიროვნება რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაუ-

ლის ჩადენის გამო იძებნება.

— უბრალოდ აგისხნით. ამ ეტაპზე თქვენთვის მომგებიანია გეგეშიძის თავისუფლებაზე ყოფნა. მე საერთოდ მეფეება, რომ თქვენ მის აყვანას გეგეშვიძის ვიდრე თქვენი ინტერესები ამას მოითხოვს, მას საერთოდ არ შეეხებით. ხოლო როდესაც ის საჭირო აღარ იქნება, უბრალოდ, მის ლიკვიდაციას მოახდენთ. თავიდან მოიშორებთ!

— ცდებით, კოლეგა. მე მესმის, რომ მომხდარის შემდეგ... — დაიწყო რიბკინმა.

— მაშინ, მართო ერთი რამის თქმა დამრჩენია! — ცივად შეაწყვეტინა ლაბაძემ. — ასეთ პირობებში თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებლად მიგვაჩნია. უახლოეს მომავალში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განიხილავს ამ საკითხს და ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

ლაბაძის განცხადებამ საგონებელში ჩააგდო რიბკინი. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს არ იყო მხოლოდ ერთი გამოძიებლის პოზიცია. უბრალოდ, ლაბაძემ ხმამღლა დააფიქსირა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთლიანად ხელისუფლების პოზიცია. ეს უკვე პოლიტიკურ განცხადებას ჰგავდა.

რუსულ მხარეს აფრთხილებდნენ, რომ თუ გეგეშიძეს უახლოეს მომავალში, შესაძლოა, რამდენიმე დღეში არ აიყვანდნენ, საქართველო უარს იტყვოდა თანამშრომლობაზე. ეს კი მნიშვნელოვნად გაართულებდა ოპერაციის მსვლელობას. მეორე სირთულეს რიბკინი, უშუალოდ, საკითხის შესწავლისას წააწყდა. მალე გაირკვა, რომ გეგეშიძეს არაფერი აკავშირებდა ტაბახმელაში მომხდარ სისხლის ღვრასთან და რომ ეს რუსეთის უშიშროების სამსახურის ოპერაცია იყო. მაშინ ამოტივტივდა რიჟოვის სახელიც, რომელმაც ამ ოპერაციის ჩატარების ბრძანება გასცა.

— ეს ოპერაცია დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა და ერთმა შეუთანხმებელმა გადაწყვეტილებამ, ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, — ისევ რიჟოვს მიუბრუნდა რიბკინი, — ამიერიდან, ეს აღარ უნდა განმეორდეს. დღეიდან, ჩემთან შეთანხმების გარეშე, სერიოზულ გადაწყვეტილებას აღარ მიიღებთ.

— არა მგონია ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა მოგიხდეს. ჩემთვის გეგეშიძეს პრობლემა უკვე მოხსნილია. სხვა საკითხებში კი თქვენთან შეთანხმებას არ ვაპირებ!

— მოგინევთ... გეგეშიძეს ერთი ცუდი თვისება აქვს, ყველა წამოწყება ბოლომდე მიჰყავს და თუ ამ საქმის კვალი სოხუმისკენ წამოიყვანს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მართლა ჩამოვა აქ!

— მე არ მაშინებს გეგეშიძე. მაგრამ მაინც ვერ ვხედავ მისი მხრიდან სოხუმით დაინტერესების მიზეზს.

— ეს შეუთანხმებელი მოქმედების მიზეზით ხდება, — ამოიოხრა რიბკინმა. — თქვენ ყველაფერი არ იცით.

— მაგალითად, რა?

— გეგეშიძეს აქვს სოხუმით დაინტერესების მიზეზი. უბრალოდ, დღეს ეს არ იცის.

— რა მიზეზი?! — გაუკვირდა რიჟოვს. — მე მართლაც, არაფერი ვიცი ამის შესახებ.

— სწორედ ამიტომ მერჩივნა, თქვენთან არაოფიციალური შეხვედრა. იმას, რასაც ახლა გეტყვით, ოფიციალურ გარემოში და მით უმეტეს, სხვების თანდასწრებით ვერ გეტყვოდით... — რიბკინმა პაუზის შემდეგ დაამატა: — ტაბახმელაში მომხდარი, ზარიძისთვის პირველი ოპერაცია არ იყო!..

— რაა?! — რიჟოვმა გაოცებული

ახლა, მე გთხოვთ იმავს. დააზუსტეთ, რას ნიშნავს გარკვეული წრეები?

— მგონი, თვითონაც ხვდებით, რომ სახელებს არ გავამჟღავნებ. ასე აგისხნით: პიროვნებათა ჯგუფს, რომელიც ჩვენი მეშვეობით წარმართავს გარკვეულ პროცესებს.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა რიჟოვმა.

— ასეთი ინფორმაცია თავიდანვე არსებობდა. მაგრამ შემდგომი მოვლენები, მაინც სპონტანურად განვითარდა. პრევენციის მიზნით, დაიგეგმა გეგეშიძის ლიკვიდაცია. ოპერაციის ჩატარება დაეკისრა ზარიძეს. მისი ჯგუფისთვის ეს რთული ამოცანა არ იყო, თანაც, პირველხარისხოვანი ინფორმაციის პირობებში. გეგეშიძის საქართველოში ჩასვლისას, ჯგუფი სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. მაგრამ ქართველმა სამართალდამცველებმა ყველაფერი არიეს. მათ ზარიძეს დაასწრეს...

— აიყვანეს?

— ამაზე მსჯელობა ძნელია. ზარიძის ინფორმაციით, მას ფოთში მთელი ჯგუფი დახვდა. სურვილის შემთხვევაში, მის აყვანას არაფერი შეუშლიდა ხელს, მაგრამ ქართველებმა

სხვა გადაწყვეტილება მიიღეს. გეგეშიძე თბილისში, მის ბავშვობის მეგობართან ერთად გაუშვეს, თავად კი ორი მანქანით მიაცილებდნენ. ოპერაციის ხელმძღვანელებმა ყოველივე ამას სხვა შეფასება მისცეს. მიიჩნიეს, რომ აყვანის ოპერაცია საერთოდ არ იგეგმებოდა და გეგეშიძე სწორედ სამართალდამცველების მიწვევით ჩავიდა საქართველოში. შეიქმნა გაურკვეველი ვითარება, ზარიძე ასე იოლად ვეღარ მოიხელთებდა, ქართულ



ასეთ პირობებში თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებლად მიგვაჩნია

მხერა ესროლა. — ამით რისი თქმა გასურთ?!

— ჩემთვის ინფორმაციის წყარო უცნობია. მხოლოდ ის შემძლია ვთქვა, რომ გარკვეული წრეებისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თუ როგორ და ვის მიერ იგეგმებოდა გეგეშიძის დაშანტაჟების ოპერაცია. უცნობი მხოლოდ ამ ოპერაციის საბოლოო მიზანი იყო.

— მოიცათ... მოიცათ... — აჩქარდა რიჟოვი. — საუბრის დასაწყისში თქვენ თვითონ მთხოვეთ, დამეზუსტებინა, უშუალოდ, საქართველოს ხელისუფლებას უკავშირდება ეს საქმე თუ მის რომელიმე წარმომადგენელს.

პოლიციასთან შეთანხმებით მოქმედ გეგეშიძეს. თანაც არავინ იცოდა, თუ რას ემსახურებოდა ეს შეხვედრა. ამიტომაც, ყოველგვარი შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად, ზარიძემ გეგეშიძის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის ბრძანება მიიღო. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. სროლისას, გეგეშიძის მეგობარი, საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი დაიღუპა. თავად გეგეშიძე მსუბუქად დაშავდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჩვენთვის უცნობი იყო, მისი და მისი ოჯახის წევრების ადგილსამყოფელი. ის უკვალოდ გაქრა. მოგვიანებით, ახალი ინფორმაცია გაჩნდა. ინფორმაციის თანახმად, გეგეშიძე აიყვანეს, მაგრამ მან შეძლო გაქცევა, რასაც რამდენიმე სამართალდამცვე-



ლი ემსხვერპლა. ამის შემდეგ, ის რუსეთში გადაბარგდა. რას საქმიანობს ამჟამად, ჩვენთვის უცნობია. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მომხდარში გარკვევას ცდილობს და ადრე თუ გვიან, მართლაც შეძლებს ამას.

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა კავშირი აქვს მომხდარს სოხუმთან? — ჰკითხა რიჟოკოვა.

— გარკვეული ძალები მის აფხაზეთში გამოყენებას გეგმავენ. ამას რაც გინდათ, ის უნოდეთ: შანტაჟი, იძულება... ეს ვითარებას არ ცვლის. ფაქტი კი ისაა, რომ ოპერაცია ჩაიშალა და ახლა გეგმიძე გააფთრებული დაექმდეს თავის მტრებს, მათ შორის, ზარიძის ჯგუფსაც.

— რომელიც საქართველოში მოქმედებს, — შეახსენა რიჟოკოვა.

— პირველწყაროს გარეშე, გეგმიძე ზარიძის კვალზე ვერ გავა. ის კი აფხაზეთშია! — პაუზის შემდეგ თქვა რიბკინმა. — ასე რომ, ადრე თუ გვიან, ის მაინც ჩამოვა აქ!

— მაინც ვერ ვხედავ საფრთხეს. მას აღარ აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაპირისპირების მიზეზი, — მშვიდად შენიშნა რიჟოკოვა.

— მგონი, ჩვენმა საუბარმა სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა, — ცივად ჩაილაპარაკა რიბკინმა.

— რას გულისხმობთ?

— ვატყობ, რომ ძალიან გაგიტაცათ აფხაზეთმა. შეგახსენებთ, რომ თქვენ აქ რუსეთის ინტერესებს იცავთ და არა — აფხაზეთისას!

— ჩემთვის ზედმეტია ამის შეხსენება! — ბრაზით უპასუხა რიჟოკოვა.

— ამასთან ერთად, შეგახსენებთ, რომ ზეიკიძე რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის ოფიციალური თანამშრომელია და ის თავისი ხელმძღვანელების განკარგულებით მოქმედებდა. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ერთმანეთს უკავშირდება ჩვენი ინტერესები უკრაინაში. ამ ქვეყანაში კი გეგმიძე უდიდესი გავლენით სარგებლობს.

— კეთილი... რაში ხედავთ გამოსავალს?!

— მხოლოდ ერთში — გეგმიძე ერთხელ და სამუდამოდ, უნდა გაქრეს!

— არაფერი მაქვს სანაინალმდეგო, მაგრამ ეს ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცდება.

— ვიცი, მაგრამ ამ საკითხზე მაინც ერთად მოგვიწევს მუშაობა.

— რას მოითხოვთ ჩემგან?

— ჩემთვის ცნობილია, რომ გეგმიძეს გარკვეული დაპირისპირება აქვს აფხაზ კრიმინალებთან.

— დიას, — თავი დაუქნია რიჟოკოვა.

— ჩვენ ამ გარემოების გამოყენება გვსურს. თუ ვერ მივდივართ გეგ-

მიძესთან, თავად უნდა მოვიყვანოთ ჩვენთან. ჩვენ ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ; მაგრამ ჯერჯერობით, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. დაუნდობლობასთან ერთად, გეგმიძე არნახული სიფრთხილითაც გამოირჩევა. მისი პროვოცირება ვერაინ შეძლო. იმედაა, აფხაზი კრიმინალების დახმარებით მივაღწევთ ამას.

— ოპერაცია აფხაზეთში განხორციელდება?

— არა. გეგმიძე სულელი არ არის. ნუ შევიქმნით ილუზიებს. ჩვენ ვერ შევძლებთ მის აქ ჩამოტყუებას. საჭიროების შემთხვევაში, ამას სხვისი ხელით გააკეთებს, მაგრამ თავისით მაინც არ ავა ეშაფოტზე.

— მაშინ სად?

— მოსკოვში!.. ჩვენთვის ცნობილია, რომ ის არ გაურბის მოსკოვში ჩასვლას.

— რატომ შეარჩიეთ მოსკოვი? უკეთესი არ იქნება ოპერაციის უკრაინაში ჩატარება? — გაუკვირდა რიჟოკოვს.

— არა. გეგმიძე უკრაინაში დიდი გავლენით სარგებლობს. თანაც, იქ არ გვყავს ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო ძალა... დაჯგუფება, რომელიც მას დაუპირისპირდება. — მოსკოვში?

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ზენერ ჩაჩბა გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს მოსკოველ კრიმინალებს შორის. ამასთან ერთად, აკონტროლებს საკმაოდ მოზრდილ დაჯგუფებასაც.

— სარგებლობდა, — ხელი ჩაიქნია რიჟოკოვმა. — სარგებლობდა, მაგრამ გეგმიძესთან დაპირისპირებისას დამარცხდა.

— ესე იგი, ჩაჩბას სერიოზული

მიზეზი აქვს? — გამოცოცხლდა რიბკინი.

— აქვს, მაგრამ ვერ გაბედავს ამ ბრძოლის გაგრძელებას.

— ეს უკვე მხოლოდ ჩვენზე, უფრო სწორად, თქვენზეა დამოკიდებული.

— რას მოითხოვთ ჩემგან?

— ვიდრე გეგმის შემუშავებაზე გადავალთ, საერთო სურათი ჩამოვყალიბოთ, — რიბკინმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო; — ვითარება ასეთია — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გეგმიძე მოსკოვში უნდა ჩავიყვანოთ. ამას სჭირდება მიზეზი, რომელიც ჩაჩბამ უნდა მისცეს. მაგალითად, დაპირისპირების ახალი ტალღა, რომელსაც მათი შეხვედრა და საქმის გარჩევა მოჰყვება.

— მესმის, მაგრამ არსებობს ერთი სირთულე. ჩემთვის ცნობილია, რომ ასეთი შეხვედრა უკვე შედგა. შეხვედრისას, გეგმიძესა და ჩაჩბას შორის დროებითი ზავი დაიდო. ჩაჩბამ უნდა დაამტკიცოს, რომ არაფერი აკავშირებს როსტოველი ქურდის, ვოლინას მკვლელობასთან. თავის მხრივ, გეგმიძემ დრო მისცა ჩაჩბას და პირობა დადო, რომ ამ ვადის ამონურვამდე, არ შეეხებოდა. ეს შეხვედრა კრიმინალური ავტორიტეტების თანდასწრებით შედგა და მათთვის მიცემულ პირობას არც გეგმიძე დაარღვევს და არც — ჩაჩბა.

— დღესდღეობით, ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ გეგმიძის ლიკვიდაცია. ამ ფონზე, ჩაჩბა უმნიშვნელო ფიგურაა.

— მესმის, მაგრამ ჩაჩბა იმდენად დაშინებულია, რომ მაინც არ წავა ამაზე.

— მაშინ, სხვა რამ შემოთავაზეთ.



ყურადღება!

გორა მწველიძის ახალი, თავზრუდახვევი დაბეჭდივი

“თეთრი სიკვდილი”

კუბონი დაგაღული ნარკობიკავი. გაბასავული მისვაღავული და მკაველეღავთა კასკაღი

იკითხეთ ნიგნის მალაზიებში ან შეგვიკვეთეთ და მიიღეთ შინ ფასნამაღტის გარეშე
ტელ.: 38-26-73; 38-26-74.



რიჟკოვი რამდენიმე წამით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა:

— კეთილი ვაიძულებ ჩაჩბას. არც ისეთი კერკეტი კაკალია, როგორც შეიძლება მოგეჩვენოს. მაგრამ — ერთი პირობით.

— რა პირობით?

— ამ საქმეში გარეშე ხალხის ჩართვა მომიწევს. დღესდღეობით, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ჩემი ხალხისთვის ხელშეუხებლობის გარანტია უნდა მომცეთ.

— ვისზეა ლაპარაკი?

— ადგილობრივ კრიმინალებზე.

— მოსკოვთან აქვთ კავშირი?

— აქვთ. თანაც საკმაოდ ძლიერი კავშირი და ამასთან ერთად, გემპ-შიძეს, პირად მტრად მიიჩნევენ.

— შევთანხმდით. გაძლევთ ასეთ გარანტიას. მაგრამ მეც მაქვს ერთი პირობა: ამ ხალხთან პირადად თქვენ იმუშავებთ.

— რა თქმა უნდა. უცხოსთან თვითონაც არ მოინდომებენ ურთიერთობას.

— როდის შევძლებთ საერთო გემპის დეტალების დაზუსტებას?

— საღამომდე ყველაფერს შევთანხმებ.

— შესანიშნავია, — კმაყოფილი იერით თქვა რიბკინმა. — ესე იგი, მხოლოდ ერთი საკითხი დაგვრჩა გასარკვევი.

— რა საკითხი?

— სად არის ამჟამად გეგეშიძის შვილი?

— სომხეთში.

— ვინ მეთვალყურეობს?

— ზარიძის ხალხი.

— რას მოიმიქმედებთ შემდგომ?

— ჯერ არ გადაგვიწყვეტია. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში, უკრაინაში დავაბრუნებთ. სხვა მოსაზრება ხომ არ გაქვთ? — ჰკითხა რიჟკოვმა.

— მიეცით მამასთან დაკავშირების საშუალება?

— ჯერჯერობით არა... იქნებ შვილით ვცადოთ სადმე მისი შეტყუება? — ახალი იდეა ეწვია რიჟკოვს.

— ადრე არ გიფიქრიათ ამაზე?

— არა. გეგეშიძის განადგურება ჩემს მიზანს არ წარმოადგენდა. მაგრამ ახლა...

— არა, — არ დაასრულებინა რიბკინმა. — არ არის საჭირო. გეგეშიძე ამას არ ქამს. ზარიძეს დღესვე დაუკავშირდით და გოგონას უკრაინაში დაბრუნება უბრძანეთ. შემდეგ კი თქვენს ხალხთან დაინყეთ მუშაობა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ალანის მბრძანებელი — პიპუასკულაჟი თუ ჩუქულმბრძანებელი ქალი?

ცნობილი კანადელი მსახიობი და მომღერალი ალანის მორისეტი ფანტასტი მწერლის ფილიპ დიკის რომანის „ალბუმუტის თავისუფალი რადიო“ ეკრანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. მსახიობმა განაცხადა, რომ მწერლის შემოქმედებას მუდამ დიდ პატივს სცემდა და ამიტომ, ფილმში მონაწილეობას დაუფიქრებლად დათანხმდა. „ბედნიერი ვარ, რომ სურათში აღწერილი ამბების თანამონაწილე გავხდები და მთავარი გმირის სახეს შევქმნი“, — ამბობს ალანის მორისეტი. მისი გმირი — ახალგაზრდა ქალი სილვია ხმის ჩამწერი ლეიბლის მენეჯერს, ნიკს (ჯონათან სკაფი) სიზმრებში ეფექტური პოპვარსკვლავის სახით ევლინება. რეალურ ცხოვრებაში, სილვია განუკურნებელი სენით დაავადებული, ჩვეულებრივი ქალია, რომელიც ნიკის ლამეული ზმანებების შედეგად სასწაულებრივად განიკურნება.



ფილმის „ალბუმუტის თავისუფალი რადიო“ გადაღებები ლოს-ანჯელესში ოქტომბერში დაიწყო. სურათის რეჟისორია ჯონ ალან საიმონი. ფილიპ დიკის რომანების მიხედვით უკვე გადაღებულია ისეთი ფილმები, როგორებიცაა: რეჟისორ რიდლი სკოტის „სამართებლის პირზე მორბენალი“ (სურათს საფუძვლად დაედო დიკის რომანი „ოცნებობენ კი ანდროიდები ელექტროცხვრებზე?“), პოლ ვერსოვენის „ყველაფერი გავიხსენოთ“, ჯონ ვუს „განკითხვის საათი“ და სტივენ სპილბერგის „განსაკუთრებული აზრი“.

მომღერალი ალანის მორისეტი ახალბედა კინოშიც არ არის. მან ფილმში „დოგმა“ თავად ღმერთი განასახიერა და საკულტო სერიალის — „სექსი დიდ ქალაქში“ ეპიზოდებშიც გამოჩნდა. მომღერლის დისკოგრაფი უკანასკნელად 2005 წელს შეივსო, როდესაც მისი ფირფიტა Jagged Little Pill Acoustic და პიტების კრებული The Collection გამოვიდა.



ამერიკული კომიკოსი პტეტიტის საჯაროებისთვის იმბტვის

CNN იუნყება, რომ ცნობილი ამერიკელი კომიკოსი — სტივენ კოლბერტი სამხრეთ კაროლინის შტატში, პრაიმერიზში მონაწილეობისათვის რეგისტრაციას აპირებს. რამდენიმე დღის წინ, კოლბერტმა განაცხადა, რომ ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს. მაშინ ეს განცხადება საზოგადოებამ ხუმრობად მიიჩნია, მით უმეტეს, რომ კომიკოსი კენჭისყრას რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიიდან ერთდროულად აპირებდა — იმ მოტივით, რომ „ორგზის გაიმარჯვოს ან დამარცხდეს!“ საბოლოოდ, კოლბერტმა გადაწყვიტა, რომ დემოკრატიული პარტიის კანდიდატი იქნება, რადგან რესპუბლიკური პარტიიდან რეგისტრაცია ძალზე ძვირია (35.000 დოლარი). დემოკრატიული პარტიის პრაიმერიზში მონაწილეობა კი 2.500 დოლარად ან 3000 ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში შესაძლებელი. სტივენ კოლბერტი პოლიტიკური სატირის ჟანრში მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სატელევიზიო კომიკოსია. მის შოუს — „კოლბერტის მოხსენება“ საკაბელო არხზე Comedy Central მილიონიანი აუდიტორია ჰყავს. კომიკოსი „ემის“ პრემიის სამგზის ლაურეატია.

მბიფნი სპიტსის სკანდალური აღმომი

ამ დღეებში მუსიკალური მალაზიების თაროებზე ბრიტნი სპირსის ახალი ალბომი **Blackout** გამოჩნდა, რომელიც მორიგი სკანდალის მიზეზი გახდა! საქმე ის გახლავთ, რომ ბუკლეტი მეტად პიკანტური ფოტოსურათებითაა გაფორმებული. მყურებლისთვის ბრიტნის ნახევრად შიშველი გამოსახულება თავისთავად სიახლეს აღარ წარმოადგენს, მაგრამ ამ ფოტოებზე სპირსი მარტო არ არის! ერთ სურათზე მომღერალი კათოლიკე მღვდელს უზის კალთაში, მეორე ფოტოსურათზე კი სააღმსარებლოს თეჯირს მეტად ფრივოლურად ეყრდნობა. ეს ფოტოები კათოლიკური საზოგადოების აღშფოთების მიზეზი გახდა. „ყოველივე ეს თავსატეხის ნაწილებს წააგავს, გოგონა კრახს განიცდის. მას საკუთარი შვილების აღზრდის უფლებაც კი ჩამოართვეს, რადგან პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნია! ახლა კი ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ბრიტნი სპირსს ხალხის გართო-



ბაც კი არ შეუძლია!“ — განაცხადა ნიუ-იორკის კათოლიკური ლიგის პრეზიდენტმა ბილ დონაჰიმ. ალბომის გამომშვები ლეიბლი **Jive Records** შექმნილი სიტუაციის გამო კომენტარს არ აკეთებს.

შკიბხელს შევასწავებთ, რომ ახალი ალბომის გამოსვლა ბრიტნი სპირსის ცხოვრების ურთულეს ხანას დაემთხვა. ამჟამად ბრიტნისა და მისი ყოფილი მეუღლის კევინ ფედერლიანის ბრძოლა ბავშვებზე მეურვეობის მოსაპოვებლად გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 1-ელ ოქტომბერს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვები საცხოვრებლად მამასთან გადავიდნენ. ბრიტნის მათი მონახულება მხოლოდ სოციალური მუშაკის თანხლებით შეეძლო. ბრიტნის ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე ანალიზის რეგულარულად ჩაბარება დაევალა. მომღერალი ტესტების ჩასაბარებლად რამდენჯერმე არ გამოცხადდა. ამის გამო მოსამართლის რისხვა დაატყდა თავს, რომელმაც მას შვილების მონახულება აუკრძალა. ამჯერად, ბრიტნი სასამართლოს მოთხოვნებს სერიოზულად მოეკიდა და ბავშვებთან შეხვედრის უფლება დაიბრუნა, მაგრამ წინ ახალი სასამართლო პროცესი ელის. ამ კვირაში სასამართლო მეურვეობის შესახებ ახალ განაჩენს გამოიტანს.

საბა ჯესიკა პარკერი — ყულაბუ აბასქელაღური ძალი



სერიალის — „სექსი დიდ ქალაქში“ გმირი, სარა ჯესიკა პარკერი ამჯერად ამავე დასახელების სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებებით არის დაკავებული. მიუხედავად ამისა, მამაკაცთათვის განკუთვნილმა პოპულარულმა ჟურნალმა **Maxim** მსახიობი „ყველაზე არასექსუალურ ქალად“ აღიარა და ნებისმიერი ქალისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით შეამკო. „ბარბაროსის სახის მქონე ქალი როგორ ახერხებს, ყველაზე არასექსუალურ ქალთა სიაში პირველი ადგილი დაიკავოს და ამავე დროს, ისეთ შოუში ითამაშოს, რომლის სათაურშიც სიტყვა „სექსი“ ფიგურირებს?“ — გვეკითხება ჟურნალი **Maxim**, რომელიც მსახიობს საკმაოდ გამჭვირვალედ მიაჩნებებს, რომ გარეგნობის შეცვლაზე ზრუნვა არ ღირს, რადგან მას შესახედავად მისი ეკრანული საქმროც კი (კრის ნოტი) სჯობია.

ყველაზე არასექსუალურ ქალთა ხუთეულში მეორე ადგილი სკანდალურად ცნობილმა მომღერალმა ემი უაინჰაუსმა დაიკავა. ცნობილია, რომ გოგონა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის დიდი მოყვარული და

სარეაბილიტაციო კლინიკების ხშირი სტუმარია. „როდესაც პირველად შევიტყვეთ, რომ ეს ჩიტუნა რეაბილიტაციის გავლას არ ამირებდა, გავიფიქრეთ: „მაგარია!“ მაგრამ შემდეგ, როდესაც მისი კაპილარებით დაღარული კანი, თავის სოროს მსგავსი ქოჩორი და ვოილოკის ნაგლეჯების მსგავსი წამწამები ვიხილეთ, პირველებმა ვთქვი: „არა! არა! არა!“

მესამე ადგილი სანდრა ომ და მისმა ეკრანულმა მედამ დაიკავა. ექიმების შესახებ გადაღებული სერიალი ერთია, ექიმი ქალების შესახებ შექმნილი სულელური სერიალი კი — სულ სხვა. „რეცენზიის“ ავტორს თუ დავუჯერებთ, იმ ყმანვილებს, რომლებიც მსგავს ფილმებს არ უყურებენ, მეგობარი გოგონები სექსზე უარს ეუბნებიან. მეოთხე ადგილზე მადონა გავი-

და, რომელმაც „ერთ დროს, კაპიტალი პორნოგრაფიის მეშვეობით დააგროვა, შემდეგ კი „სექსუალურობის პიონერობის“ მონოდება მონამებრივ ტანჯვასა და პოსტსაქორწინო სწრაფ სიბერეს ანაცვალა“, — ასე აფასებს ჟურნალი მადონას. ხუთეულის ბოლო ადგილზე ბრიტნი სპირსი აღმოჩნდა. „ჯერ კიდევ 5 წლის წინ, **MTV Video Music Awards** პრემიების გადაცემის ცერემონიაზე ბრიტნის მშვენიერ სხეულს პითონი ეალერსებოდა. მას შემდეგ ბრიტნიმ ძველებური ეშხი დაკარგა და სანაცვლოდ ორი შვილი, ორი გამოუსადეგარი ქმარი და ათიოდე კილოგრამი შეიძინა“.



კეტრინ ჰეპბერნის მემკვიდრეობა

ამერიკული თეატრისა და კინოს სახელგანთქმული მსახიობის კეტრინ ჰეპბერნის მემკვიდრეობის განმკარგველებმა მსახიობის დღიურები, პირადი წერილები და სხვა დოკუმენტები ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის საშემსრულებლო ხელოვნების განყოფილებას (New York Public Library for the Performing Arts) გადასცეს. არქივის ერთი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია, დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი კი 2008 წლის თებერვლისთვის აღირიცხება და მკვლევართათვის ხელმისაწვდომი იქნება. მსახიობის დღიურების შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჰეპბერნი ისეთი თავდაჯერებული არ ყოფილა, როგორც კინემატოგრაფისტებსა და მაყურებელს წარმოედგინათ. 4 „ოსკარის“ მფლობელი ვარსკვლავის დღიურები საესეა ჩანაწერებით, რომლებიც როლებზე მუშაობას ეხება. ამავე დროს, მსახიობი ხშირად იმდენად უხეში და პირდაპირი იყო, რომ შეეძლო, პოლიციელისთვის პირში მიეხალა: „კრე-



ტინო!“ ჰეპბერნის არქივი საესეა თავისი მცემელთა წერილებით, რომელთა შორის იყვნენ: პენრი ფონდა, სერ ლორენს ოლივეი, ჩარლტონ ჰესტონი და ჯუდი ჰარლანდი. კეტრინ ჰეპბერნი 2003 წელს, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი 1930-50-იანი ამერიკული კინოს სუპერვარსკვლავი იყო. მან ითამაშა ისეთ ფილმებში, როგორცაა „ფილადელფიური ამბავი“, „წლის ქალი“, „აფრიკელი დედოფალი“. მისი გვიანდელი ნამუშევრებიდან გამოირჩევა „ლომი ზამთარში“ (1968 წ.) და „ოქროს ტბორში“ (1981 წ.).

პიტს შტინსანი სასამართლოს წინაშე წაბღვება?!

სააგენტო Reuters იუწყება, რომ კინომსახიობ პირს ბროსნანს ფოტოგრაფ პაპარაციზე თავდასხმა ედება ბრალად და მას სასამართლო ელის. ლოს-ანჯელესის პოლიციის წარმომადგენლები პირს ბროსნანის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების გამო წინასწარ მოკვლევას აწარმოებენ. „ბროსნანისთვის ბრალდების წაყენება-არწაყენების საკითხი ინციდენტის საგულდაგულო შესწავლის შემდეგ გადაწყდება“, — აცხადებენ პოლიციის წარმომადგენლები და ამ საქმის დეტალების გამომზეურებისგან თავს იკავებენ. ცნობილ ადამიანთა ცხოვრების სიახლეებზე ორიენტირებული TMZ.com-ის მონაცემებით, საქმე მალე იმუშაოდა ინციდენტს ეხება. ფოტოგრაფმა რობერტ რონსენმა პირს ბროსნანთან გამოლაპარაკება სცადა, მაგრამ მსახიობმა გაურკვეველი მიზეზის გამო, საუბრის გაბმა არ მოისურვა და ფოტოგრაფს რამდენჯერმე დაარტყა. TMZ.com აღნიშნავს, რომ მსახიობს რონსენიც არ ჩამორჩა და ბროსნანს „ხურდა დაუბრუნა“...

ბილი უილიამსი „მეგობრებმა“ 200.000 გირვანჯა სტერლინგში „გადააგდეს“



ბრიტანელი მომღერალი რობი უილიამსი თაღლითების ანკესზე წამოეგო და 200.000 გირვანჯა სტერლინგი (400.000 დოლარი) დაკარგა. ორმა „მეგობარმა“ უილიამსისგან 200.000 გირვანჯა სტერლინგი ისესხა, მიზეზად კი ტანსაცმლის ახალი მარკის შექმნა დაასახელა. „მეგობრებმა“ ნასესხები თანხა

გასართობად გამოიყენეს, თანაც წვეულებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ, ლოს-ანჯელესში მდებარე უილიამსის ბინაში იმართებოდა!

მუსიკოსმა მის მიერ შექმნილი საფეხბურთო გუნდის — La Vale წევრებს საკუთარი ბინა დაუთმო. სპორტსმენებს უფლება ჰქონდათ, სახლში არა მარტო დრო ეტარებინათ, არამედ მეგობრებიც მოეწვიათ — რომელთა შორისაც აღმოჩნდა ის ორი თაღლითი.

ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ბინაში, დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს, რამდენიმე ათეული ადამიანი იმყოფებოდა.

წინა კვირას, უილიამსმა ახლობლების რჩევა ყურად იღო და „სტუმრები“ სახლიდან დაითხოვა. The Daily Mirror იუწყება, რომ მუსიკოსის მიერ შექმნილი საფეხბურთო გუნდი დაიშალა.

სნუპ დოგი ძქვის მანქანის სასაღმავად იღვწის

რეპერი სნუპ დოგი ბრიტანეთის მთავრობას ვიზის სანაცვლოდ, ქუჩის ბანდების ალაგმვას ჰპირდება! მკითხველს შევახსენებთ, რომ 2007 წლის მარტში რეპერს ბრიტანეთის ვიზაზე უარი უთხრეს. მომღერალს წინა ვიზიტი გაუხსენეს, როდესაც მან ლონდონის პიტროუს აეროპორტში საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის გამო, პოლიციისგან გაფრთხილება მიიღო. „ჩემი ბრიტანელი თავყანისმცემლები მიყვარს. დარწმუნებული ვარ, მათ დახმარებას შევძლებდი და ბანდებს ავლაგმავდი. ბანდების წევრები პატივს მცემენ და ჩემს სიტყვებს შეისმენენ, მაგრამ ქვეყანაში არ მიშვებენ და ამდენად, სიტუაციაზე ზემოქმედების საშუალება არ მაქვს“, — ამბობს სნუპ დოგი, რომელმაც ჩინოვნიკებს „თეთრპარიკიანები“ უწოდა და აღნიშნა — პრობლემა იმის გამო წარმოიქმნა, რომ ქვეყანაში დღემდე 800-იანი წლების კანონმდებლობა მოქმედებს!



მხსნელად მივლოენილი ოქროს ყბილი...

ინგა ჩაყელი

ორი მამაკაცის ლაპარაკს შემთხვევით შევესწარი და მივხვდი, ქალაქლები არ იყვნენ; ისე, ჩაყანგულ კისრებსა და ხელებზეც ეტყობოდათ, რომ მინასთან ჭიდილში ჰქონდათ კუთვნილი წუთისოფლის ნახევარზე მეტი გატარებული...

— რა ვქნათ, ახლა, ვალოდია, რა წყალში ჩავცვივდეთ, სოფელში აღარ ჩეგვესვლება ნამდვილად და ამ ქალაქში კიდევ, ვის რა ჯანდაბად ვუნდევართ?! ვერ ხედავ, დიდი და პატარა უგზო-უკვლოდ რომ დაბორიანებს და სახლისკენ არც იყურება?! —

— ეს რა მოგვივიდა, ა?! რა ჯანდაბამ გადაგვრია, რომელი რას-ბუტინები ჩვენ ვიყავით?! ახალგაზრდობაში არ გაგვიპარებია თვალი სხვისი დედაკაცისკენ და ახლა რამ აგვიდულა ეს გამშრალ-დანრეტილი სისხლი?! —

— შენი არ ვიცი და, მე რაც დამემართა, ჩემი ნაზიკოს ბრალია: 30 წლის წინ, უმცროსი, ვაჟაიე რომ შეგვეძინა, მის მერე არ გოუხდია ჩემს დასანახათ და რამდენი შევახსენებდი: შენ ცოლი — მე ქმართქვა! — ლოყას იხოკავდა: ჩუ, რა დროს ჩვენი ცულღუტობაა, ბაღნებმა არ გაიგონონ, თავი მეგვეჭრებო!.. —

— აბა, ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო! მასე არაა ჩემი ეთერიც?! — მისდღემჩი შალით აქ გაკრული წელი და ზამთარ-ზაფხულ ნიფხავიც დათბილული აცვია. დადის და დაკვნესის ასი წლის დედაბერივით... იმას კი, იმას... — წამით თვალეები გაუბრწყინდა, წუთის წინ სასოწარკვეთილ კაცს. — სულ არ ეცვა...

— ტი-ტუ-უ-უ, არ გადამრიო, თვარა, გადავხტები, იცოდე, მდინარეში. აბა, სულ არ ეცვა?.. —

— არა-თქვა, რას გეუბნები, აბა! დაბურბუსალეებული ვარ აქამდე...

— ისე, „ჩემიც“ კი ჯიშინი დედაკაცი იყო. იმისთანა „კრუჟაოებიანი“ რაცა ეცვა, ქეც დემენანა გასახდელათ, ყურებად ღირდა! — პირი გაანლაკუნა მეორემ.

— ქე დაგვლუპეს და ამოგვადგეს და... სამ ლარათ გოვურიგდი და წინასწარაც გოდოვუხადე. ის გულდაგულ ჩაკეცილ-დამალული ფული რა დროს ამომაცალა, კაცმა არ იცის... —

— არც ნიფხვის შიგნით გამოკერე-

ბულ ჯიბეში დოუტიებია, ხომ, რამე? —

— გაგიგია?! ბულასავით გახელე-ბულმა რომ მევიფრიალე ი ნიფხავი, სულ არ გამხსენებია გამოკერებული ჯიბე და შიგ დამალული ფული... რომ მევიკითხე, ნიფხავი ქე ეგდო „კრაოტის“ ქვეშ და ფული გამქრალიყო... დავადანაშაულე, მარა, აქით მისაყვედურა — ხელიდან არ გაგიშვივარ, მოწმე ხარ, არსად წავსულვარ, რას მაბრალე და მკადრე, თუ იციო?! ერთი-ორი ცრემლიც გადმოგადო... შენ, შენ რაფრა გაგძარცვა იმ უნამუსომ?



— ვიცი?! მე უნდა გაგხადო, უფრო „საკაიფოაო“!.. გამხადა და ისე გამოვშტერდი, ისიც არ მახსოვს, რა რა დროს და რაფერ მოხდა. რო ჩევიცი და გამომაგდო გარეთ, მერე მევისვი ჯიბეზე ხელი, პაპიროსის ყიდვა მინდოდა და... მივბრუნდი უკან, მარა სხვამ გამილო კარი... რომ ვუთხარი — აქანე ქალს ვსტუმრობდი-თქვა, კინაღამ თავი გამიტხა და დამემუქრა: იცოდე, პატრულს გამევიძახებ; პატროსანი ოჯახის პატრონს, რას მკადრე, რო მკადრე-ბო?! პატრულის ხსენებაზე ისე შევმინდი, სულ ქუსლი ვირტყი ზურგში — რომ წარმევიდგინე; ტელევიზორში რაფრა გამომიყვანდნენ ბორკილდადებულს, შიშით დევიზაფრე... სოფელში ვეღარ გამოვჩნდებოდი...

— რა ვქნათ, ახლა, ა? — თავზე შემოიჭირა ხელები შედარებით უფროსმა.

— გზის ფული მაინც დეეტოვები-ნათ, ვიტყოდით, ქურდი დაგვხვდა გზაზე და იარაღით დაგვემუქრა-თქვა! მე შენ გეტყვი და, გოუკვირდებოდათ...

— ე, ბიჭო, გევიდეთ ისევ იმ ტერიტორიაზე, იქნება ქე გამოჩდენ და ვთხოვოთ, გზის ფული მაინც მოგვეცენ. ბოლო რეისს მივუსტროთ, თვარა, გაგვძრობა სული, ღამე რომ ქუჩაში დავრჩეთ ან ხვალ რაის იმედზე ვრჩებით, მამაჩემი კოსტა ჩამომაკითხავს დასტად დალაგებული თუმნიანებით?!

— მეტი არაა ჩემი მტერი, იგენი დღეს ქუჩაში არ გემევიდენ — ორასი ლარი მე მომპარენ და ერთი იმდენი — შენ. თან, იმდენი ბოზი დგას და ყველა ერთმანეთს ჰგავს, რაფრა გინდა იცნო?! —

...მივხვდი, საწყლები ქუჩაში გამოსული მეძავების კლანჭებში მოხვედრილიყვნენ და გულწრფელად შემეცოდნენ, მაგრამ ვერც სამგზავრო ფულის შეთავაზება გავბედე. აბა, როგორ მეთქვა მამისტოლებს-ისთვის, რომ მათი ლაპარაკის უნებლიე მოწმე გაგხდი?! —

— ვაი, ჩემო შვილივით ნაზარდო ხარო, რავა წყალს გავატანე შენი თავი! — დაიკვნესა ერთმა.

მეორემ პირი ფართოდ გააღო და პირველს მიუშვირა:

— ხომ ხედავ, ზეით ერთი ოქროს კბილი შემომჩა, ბაჯალლო ოქროა, ჰოდა, საკუბოვით ვინახავდი, მარა სხვა გზა არაა, უნდა ამომამრო!.. —

— აუჰ, რას ამბობ, არ იქნება! — ერთი კი იუარა იმ კაცმა, მაგრამ უცებ შეწყვიტა წინააღმდეგობა. ეტყობა, მართლა უსაშველო სჭირდათ...

გვერდით, მოფარებულში გავიდნენ და... კარგა ხანს ეჯაჯგურა ერთი მეორის კბილს და როგორც იქნა, ამოაძრო. გულდაგულ განმინდეს დიდი ჭრელი ცხვირსახოცით და ახლომასლო ჩემ გარდა რომ ვერავინ დაინახეს, როგორც მხსნელს, ისე მომცვივდნენ და გკითხეს:

— აქ, სადმე ახლოს, ოქრომჭედელს ხომ ვერ მიმასწავლით?.. —

სალონის გზა მივასწავლე და ნავიდნენ.

ალბათ, სოფელშიც ჩავიდოდნენ და ვინ იცის, რა ზღაპრები უამბეს ცოლ-შვილს, ქალაქში მომრავლებულ ქურდებსა და ყაჩაღებზე. ნეტავ, ის მეძავები თუ ახსენეს, არანაკლები რაოდენობით რომ „ამშვენებენ“ ჩვენი ქალაქების ქუჩებს და მათი მსგავსი დოყლაპიების ხარჯზე ცხოვრობენ?! ■



დასაწყისი ის „გზა“ №44

ჩაბოხ ხდაბა საბაჟოლო ომის ისტორიის ფალსიფიკირაბა

საბჭოთა ხელისუფლებას სურდა, მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობის საკითხები. ფინელებთან მოლაპარაკების დროს სტალინი ასე მიმართავდა მათ: „ჩვენ კი არ მოვითხოვთ და ვიღებთ, არამედ გთავაზობთ... რადგან ლენინგრადის გადაადგილება შეუძლებელია, გთხოვთ, რომ საზღვარი ლენინგრადიდან 70 კილომეტრის დაშორებით გადაიოდეს... ჩვენ 2700 კვადრატულ კილომეტრს გთხოვთ და მის სანაცვლოდ, 5500 კვადრატულ კილომეტრზე მეტს გთავაზობთ“. ის იცავდა პეტრე დიდის მიერ „ევროპაში გაჭრილ ფანჯარას“ და აცხადებდა: „ჩვენ ჯრაფერს გავაწყობთ გეოგრაფიასთან, ისევე, როგორც ვერც თქვენ შეცვლით მას“.

მაგრამ გერმანიის მხარდაჭერით გაგულსებულმა და ინგლისისა და საფრანგეთის მიერ შეგულიანებულმა ფინეთის მთავრობამ უარყო მის წინაშე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის მშვიდობიანი გზა. 1939-1940 წლების ზამთარში გაჩაღებული ომის დროს, ნითელმა არმიამ გაარღვია ძლიერი, თანადროული სტანდარტების დონეზე გამაგრებული, მანერგემის საზი და 25-დან 200 კილომეტრამდე მანძილზე დასავლეთისკენ წინ წაიწია. ომის დაწყებიდან სამ-ნახევარი თვის შემდეგ, ფინეთის არმია, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები ეხმარებოდნენ, განადგურდა. სამშვიდობო ტერმინების თანახმად, ფინეთმა თავისი ტერიტორიის ის ნაწილი დათმო, რომელიც ლენინგრადის და საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. რაც მთავარია, ჩაიშალა ნაწყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ჩანაფიქრი, გადაეჭციათ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი მსოფლიო ომად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უსაფუძვლოა ხრუშჩოვის ის დასკვნაც,

მხედართმთავარი სტალინი

რომ საბჭოთა კავშირს ჰქონდა „დროც და შესაძლებლობაც საიმიხოდ, რათა კარგად მოემზადებინა ქვეყანა თავის დასაცავად“. ამ საოცრად რთული ამოცანის გადასაწყვეტად, დრო სწორედ იყო კატასტროფულად ცოტა იყო — რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დრო პრაქტიკულად, არ იყო. ბელადს არაერთხელ გაუფრთხილებივართ, რომ ის გზა, რომლის გავლასაც სხვა ქვეყნებმა ასწლებული მოანდომეს, ათ წელიწადში ან დროის უფრო მოკლე მონაკვეთში უნდა გაგვევლო, სხვაგვარად, შეიძლებოდა, გავენადგურებინეთ.

ომამდელ წლებში ნითელი არმიის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა მისი რიგების წმენდას 30-იან წლებში. აუცილებლად უნდა შეეჭრდეთ ამ პრობლემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე. სამოქალაქო ომის წლებშიც და ომის შემდგომ პერიოდშიც, ნითელ არმიას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ტროცკი ედგა სათავეში. მას, თუ გადაწყვეტი არა, ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის ჩამოყალიბებაში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მეთაურთა და კომისართა დანიშვნის საქმეში. ასე შეიქმნა არმიამი იმ პირთა საკმაოდ ფართო ფენა, ვინც ტროცკის მადლიერი უნდა ყოფილიყო საკუთარი სამხედრო კარიერის გამო. ამ ფენის ჩამოყალიბებისას არცთუ უმნიშვნელო როლი, დანიშნულ პირთა ტროცკისადმი ერთგულების ენიჭებოდა.

ტროცკის ძალაუფლებისადმი უზომო ლტოლვა, მისი მისწრაფება, უდიდესი როლი შეესრულებინა პარტიასა და სახელმწიფოში, მოვლენების ბონაპარტისტული განვითარების პოტენციურ საფრთხეს შეიცავდა. საფრთხე კიდევ უფრო გაამწვავა ლენინის ავადმყოფობამ, შემდეგ კი — მისმა სიკვდილმა. ეს განსაკუთრებით სახიფათო ხდებოდა ტროცკის პოლიტიკური პოზიციის მერყეობისა და მისი აულაგმავი პატივმოყვარეობის გამო. შეგახსენებთ, რომ ლენინმა თავის პოლიტიკურ ანდერძში ტროცკი, როგორც არაბოლშევიკური მოღვაწე, ისე დახასიათა. ეს კი ძალზე სახიფათო იყო. სახიფათო იყო ასევე, მისი მცდელობები, შეეცვალა ქვეყნის პოლიტიკური ნყობილება და ლენინიზმისგან გადახვევა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ გაჩაღებული, გაცხოველებული დისკუსიის პირობებში, მამინ, როცა ქვეყანაში ტროცკის მრავალი მომხრე ჰყავდა და ისინი ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ, ამ დროს კი, სწრაფად ახლოვდებოდა ომის საფრთხე,

განსაკუთრებით მწვავედ იდგა საჯარისო კადრების საკითხი, ის, თუ ვის მხარეს დაიჭრდა არმია. არმიამზე ტროცკის გავლენა არა მარტო ძლიერი, არამედ ფართომასშტაბიანიც გახლდათ; მას პირადი ურთიერთობა ჰქონდა არმიის ბევრ ხელმძღვანელთან.

1939 წელს, გერმანელმა მწერალმა ლიონ ფოიხტვანგერმა მოსკოვში სტუმრობისას ასეთი აზრი გამოთქვა: „ადრე ტროცკისტები ნაკლებსახიფათო იყვნენ. შესაძლებელი იყო მათი პატიება, უარეს შემთხვევაში — გადასახლება... ახლა, უშუალოდ ომის საფრთხის წინაშე დგომისას, ასეთი გულუკეთილობის გამოჩენა შეუძლებელი გახდა. განხეთქილებას, ფრაქციულობას, რასაც მშვიდობიან პერიოდში სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ომის პირობებში უდიდესი საშიშროების შემცველი ხდებოდა“.

იმაში, რამაც სტალინს გადაწყვეტი ზომების მიღებისკენ უბიძგა, გარკვეული როლი ითამაშა ტროცკის განუწყვეტელმა ტრაზაზმა, რომ არმია ყველაზე პირობებში მხოლოდ მას დაუჭერდა მხარს. 1937 წელს სტალინის მაგიდაზე აღმოჩნდა ტროცკის წიგნი „ერთგული რევოლუცია“, რომელშიც ავტორი ირწმუნებოდა, რომ ის არა მხოლოდ საკუთარ იდეებს ქადაგებდა, არამედ საბჭოთა კავშირში მცხოვრები თავისი უამრავი მომხრის სახელით ლაპარაკობდა. ასეთი მომხრეები, ყველაზე მეტნი, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ნითელ არმიამი, რომელსაც ტროცკი 7 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. პრაქტიკულად ნითელი არმიის მთელმა მამინდელმა ხელმძღვანელობამ



წითელი არმიის მთელმა მამინდელმა ხელმძღვანელობამ ტროცკის ხელში გამოიარა

ტროცკის ხელში გამოიარა: სწორედ ის ირჩედა, ნიშნავდა და თანამდებობებზე წარადგენდა მათ.

ცნობილია, რომ ბევრი გამოჩენილი ტროცკისტი სამხედრო წრეებთან საკუთარ შეთქმულებით კავშირებს ალიარებდა. მაგალითად, კრესტინსკი, ანტისაბჭოური მემარჯვენე ცენტრისტული ბლოკის საქმესთან დაკავშირებით გამართულ პროცესზე თავის საბოლოო სიტყვაში ამბობდა: „1935 წლის თებერვალში პიატაკოვმა მაცნობა, რომ ჩვენ

შორის, ტროცკისტებს, მემარჯვენეებსა და ტუხაჩევსკის სამხედრო დაჯგუფებას შორის დაიდო შეთანხმება, შეიარაღებული გადატრიალების მოწყობის შესახებ. ამ მომენტიდან მე პასუხისმგებელი ვარ არა მარტო ტროცკისტების მოქმედებაზე, არამედ მემარჯვენეთა და სამხედრო შეთქმულთა მოქმედებებზეც“.

უსაფუძვლო რეპრესიები, რასაკვირველია, გაუმართლებელია. მაგრამ აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ტროცკიმ და მისმა გარემოცვამ, უცხოეთის ბანკებისა და მთავრობების მხარდაჭერით, საბჭოთა კავშირისა და პირადად სტალინის, როგორც მისი ლიდერის წინააღმდეგ საშინელი კამპანია გააჩაღეს. ცნობილია, რომ როცა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროს ყალიბდებოდა დროებითი მთავრობა კუუსინენის მეთაურობით, გარკვეული წრეები დასავლეთში განიხილავდნენ რუსეთში ალტერნატიული მთავრობის საკითხს, რომლის სათავეშიც ტროცკი უნდა ყოფილიყო. ეს პარტიას განხეთქილებით, ქვეყანას კი — დაშლით ემუქრებოდა. ტროცკიმ ხომ გულახდილად აღიარა, რომ ის, გერმანიასთან ომში საბჭოთა კავშირის განადგურებას ისურვებდა. ყველაფერი ეს კარგად ხსნის, თუ საიდან გამოჩნდნენ საბჭოთა კავშირში გერმანიისა და სხვა უცხოელი ჯაშუშები.

საბოლოო ჯამში, ტროცკისტებიც და ბუხარინელებიც საბჭოთა კავშირის უბოროტეს მტრებად იქცნენ, რომლებიც უცხოეთის დაზვერვაში მსახურობდნენ. მათი განადგურება უმინიმუმენადაც პირობა იყო, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობისთვის და მოგვიანებით — დიდ სამამულო ომში გამარჯვებისთვის.

აუცილებელია შევხედოთ ამ პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხის კიდევ ერთ მხარეზე, კერძოდ — ეგრეთ წოდებულ მარშალ ტუხაჩევსკის საქმეზე. ტუხაჩევსკისა და მისი მომხრეების საქმეში დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირში შეთქმულების არსებობის დამადასტურებელია საიდუმლო დოკუმენტებმა, რომლებიც სტალინს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა გაუგზავნა. ბენეში (ისევე, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურებისა და ამ ქვეყნის საგარეო დაზვერვის სამსახურების ექსპერტები) აბსოლუტურად დარწმუნებულნი იყვნენ მათ რეალურობაში. იმ დროს ჩეხოსლოვაკიას ფაშისტური გერმანიის აგრესიის საფრთხე ემუქრებოდა და ბენეში დაინტერესებული იყო თავისი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცებაში, სამხედრო გადატრიალების თავიდან აცილებაში, რომელიც ქვეყანაში მაშინ მზადდებოდა.

იმის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი არსებობს, რომ არა მარტო ბენეში და სტალინი, არამედ დასავლეთის წამყვანი და კარგად ინფორმირებული სახელმწიფო მოღვაწეებიც, დასაბუთებულად და სარწმუნოდ მიიჩნევენ 1937 წლის პროცესებზე ბრალდების მიერ წამოყენებულ მტკიცებულებებს, როგორც 1937-ში, ასევე მომდევნო წლებშიც.

უინსტონ ჩერჩილი თავის მემუარებში

— „მეორე მსოფლიო ომი“ — ამის შესახებ წერს: „1936 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა ბენეშმა გერმანიის მაღალჩინოსანი სამხედრო პირისგან მიიღო შეტყობინება, რომ თუ მას სურს, ისარგებლოს ფიურერის წინადადებით, მაშინ უნდა აჩქარდეს, რადგან რუსეთში ძალიან მალე ისეთი მოვლენები განვითარდება, რომელთა გამოც, ბენეშის ნებისმიერი დახმარება შეუძლებელი გახდება. სანამ ბენეში ამ ძალზე საგანგაშო მინიშნებაზე ფიქრობდა, მისთვის ცნობილი გახდა, რომ პრალაში, საბჭოთა საელჩოს მეშვეობით, მყარდებოდა კავშირი რუსეთის მაღალჩინოსნებსა და გერმანიის მთავრობას შორის. ეს იყო ერთ-ერთი ელემენტი ეგრეთ წოდებულ სამხედროებისა და კომუნისტების ძველი გვარდიის შეთქმულებისა, რომელიც სტალინის ჩამოგდებასა და პროგერმანული ორიენტაციის მქონე ახალი რეჟიმის დაბრუნებას ისახავდა მიზნად. პრეზიდენტმა ბენეშმა დაუყოვნებლივ შეატყობინა სტალინს ყველაფერი, რისი გარკვევაც შეძლო. ამას მოჰყვა სამხედრო და პოლიტიკური აპარატების დაუნდობელი, მაგრამ შესაძლოა, არცთუ უსარგებლო წმენდა და 1937 წლის იანვარში ჩატარებული მთელი რიგი პროცესი, რომლებზეც ვიშინსკი ასე ბრწყინვალედ გამოდიოდა სახელმწიფო მბრალდებლის როლში... რუსეთის არმია განწმენდილ იქნა პროგერმანული ელემენტებისგან, თუმცა ამან მძიმე დარტყმა მიაყენა მის ბრძოლისუნარიანობას... სტალინი კარგად აცნობიერებდა, თუ რითი იყო პირადად ბენეშისგან დავალებული. სწორედ ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან უნდოდა, დახმარებოდა მას და საფრთხეში ჩავარდნილ მის ქვეყანას, წინ აღსდგომოდა ნაცისტურ საშიშროებას“.

საინტერესოა, რომ პირველ ცნობებს, რომლებიც ტუხაჩევსკის შეთქმულების შესახებ მიიღეს, საბჭოთა მხარე ეჭვით შეხვდა. გერმანიის ფედაციული რესპუბლიკაში მოღვაწე ისტორიკოსი პუაფი, რომელიც „ტუხაჩევსკის საქმის“ ირგვლივ არსებულ გარემოებებს იკვლევდა, წერს: „კატეგორიული და მოკლე ფორმულირებებიდან იმ ჩანაწერებში, რომლებიც პრეზიდენტის კანცელარიაში ინახებოდა, აშკარაც კია, რომ ალექსანდროვსკისთან პირველ ორ საუბარს, რომელიც 22 და 24 აპრილს გაიმართა, თან ახლდა კაცხოველებული დისკუსიები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებსა და ბენეშს შორის. ალექსანდროვსკი ცდილობდა, გაეზოთილებინა ტუხაჩევსკის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები. ბენეშმა ვერაფრით შეძლო საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის გადარწმუნება. ალექსანდროვსკიმ მხოლოდ 26 აპრილს

და 7 მაისს დაყარა იარაღი, ბენეშის მიერ წარმოდგენილი „მაშხილებელი მასალის“ შედეგად“.

შემდეგ პუაფი წერს, რომ ბენეშისგან მიღებული ცნობები განიხილეს პოლიტიბუროს სხდომაზე 1937 წლის 24 მაისს და იქ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია, სულ მცირე, თუნდაც საერთო წარმოდგენა შეგვექმნას ტუხაჩევსკისა და სხვა გენერლების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე. თითქოს „მეამბოხები“ გეგმავენ „გერმანიის გენერალური შტაბისა და გესტაპოს მონაწილეობით, სამხედრო გადატრიალების გზით ჩამოგდოთ სტალინი და საბჭოთა მთავრობა, ასევე გაეუქმებინათ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანო, დაემყარებინათ სამხედრო დიქტატურა“. ეს უნდა



პირველ ცნობებს, რომლებიც ტუხაჩევსკის შეთქმულების შესახებ მიიღეს, საბჭოთა მხარე ეჭვით შეხვდა

განხორციელებულიყო ანტიკომუნისტური „ნაციონალური ხელისუფლების“ მეშვეობით, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა გერმანიასთან და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, სტალინისა და მისი წამყვანი თანამებრძოლების მკვლელობა, გერმანიისთვის, ამ საქმეში განუღობი დახმარების გამო, „განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება საბჭოთა კავშირის შიგნით“ და „გერმანიისთვის უკრაინაში ტერიტორიულ დათმობებზე ნასვლა“; აღნიშნული გეგმა აგრეთვე, პარიზთან და პრალასთან კავშირების განწყვეტას ითვალისწინებდა. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო „ნაციონალური რუსეთის“ შექმნის ლოზუნგით, რომელიც „ძლიერი სამხედრო ხელისუფლების ქვეშ იარსებებდა“.

პუაფი იშვლევს იმ დოკუმენტებს, რომლებიც მოწმობს, რომ შეთქმულების შესახებ ინფორმაცია ბენეშმა მიანოდა არა მხოლოდ სტალინს, არამედ ტუხაჩევსკისაც. მან უკვე 8 მაისს შეატყობინა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს საბჭოთა სარდლობის შეთქმულების შესახებ. ორი დღის შემდეგ კი სთხოვდა, რომ „საბჭოთა გენერალური შტაბთან ფრანგების კავშირის განხორციელებისას მაქსიმალური სიფრთხილე გამოჩინა, რადგანაც საბჭოთა გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის წევრებს საეჭვო კონტაქტები ჰქონდათ გერმანიასთან“. 1937 წლის ივნისის ბოლოს ლონდონში საფრანგეთის ელჩმა შეატყობინა პარიზს, რომ ინგლისის ხელისუფლებამ სარწმუნო წყაროებიდან მიიღო ინფორმაცია, გერმანიის გენერალური შტაბისა და საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობის საიდუმლო მოლაპარაკებების შესახებ. 1937 წლის სექტემბერში ბენეშმა ტუხაჩევსკის შეთქმულების შესახებ ინფორმაცია პრალაში აშერიკის დესპანს მიანოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გაუთხოვრება

„ქაჩიუაჲი დოჯაჲუდ უჲინს ჲილჲლნიჲნ დჲ ხჲაჲჲს ჲაჩჲუჲჲ“

ლიკა ქაჩაია

ანარძა:

„ბედინა, პრესის საშუალებით არ მსურს, ჩემი სათქმელი ეთქვა. ძალიან გთხოვ, ლიკას უფლება მიეცი, შენი პირადი ნომერი მომცეს. მინდა, დაგელაპარაკო. ძალიან გაფასებ (ეტყობა, ანარქიამ მაინც გადაწყვიტა, რომ ჩვენი ჟურნალის საშუალებით ეთქვა რეპერისთვის სათქმელი, რადგან ამ მესიჯის მოწერიდან ცოტა ხანში, ისევ დაგვიმესიჯა. — ავტ.)... ბედი, არ იფიქრო, შენთან მიმართებაში რაიმე „ისეთი“ მამოძრავებდეს ან პიანინოს გაყიდვა მსურდეს. :) ამჟამად ათენში ვიმყოფები და რატომღაც, სულიერად ძალიან ცუდად ვარ. დიდი სურვილი მაქვს, ჩემ შესახებ გელაპარაკო (თუ სურვილი გექნება, შენზეც). შენ უბრალოდ, მომიხმინე და თუ სურვილი გაგიჩნდება, კითხვა დამისვი. არ ვიცი, ფსიქოლოგობა გეხერხება თუ არა, მაგრამ... შენ ის ხარ, ვინც მე ასე ძალიან მჭირდება. მაშ, მომიხმინე: მე სიბნელე შემიყვარდა და ვამპირული ზმანებით ვეტუზები კედელს. ჩემი სუსტი თითებით ვეფერები სანთელს და დასანვავად მიმაქვს. ჩუმად ვუკიდებ ცეცხლს და ისევ ვაქრობ. სიბნელე შემიყვარდა. ვუახლოვდები ჭიებით დაღრღნილ ჩემს პიანინოს და ფრთხილად ვხეხუბი. „ფა-რე-რე, ფა-რე-დო“, — კლავიშები დაობებულ ტვინს მიღრღინიან და ხმაურს ვაჩუშებ. მე ხომ სიჩუმე, სიმშვიდე, სიბნელე შემიყვარდა და ვამპირული ზმანებით ისევ ვეტუზები კედელს. სიბნელეში სხეულს მივუახლოვდი და ჩუმად ვუთხარი: „ბედო, მე შენ მჭირდები!“ სხეული ჩემს სხეულს შეხვო და... „მე შენ არ მიგატოვებ“ და „მე შენ მიყვარხაარ“. უფალი გფარავდეს!“

ბედინა:

— ჩემო ანარქია, შენ „ვიზა“ გამომიგზავნე და ეგრევე შენთან გავჩნდები, მერე კი შევეცდები, ყველანაირად დაგეხმარო. სხვათა შორის, ფსიქოლოგიაში ვერკვევი — ადრე ფსიქოლოგიურ ლიტერატურას ვკითხულობდი. მიმაჩნია, რომ ყველაზე საუკეთესო მეგობარი მართლობაა. და კიდევ, ლიკას უფლებას ვაძლევ, ჩემი ნომერი მოგცეს.

ლილიტა (ქუთაისი), 20 წლის:

„ბედინა, მაგარი კაცი ხარ, მაგრად მიყვარხარ. ქუთაისში კონცერტის ჩატარებას ხომ არ აპირებ? მპუა, შენ“.

— მგაგსი რამ ჯერ გეგმაში ნამდვილად არ მაქვს. თანაც, ალბათ იმაში დამეთანხმები, რომ ახლა ქვეყანაში საკონცერტო განწყობილება



ანუ „გელო, მე შენ მჭირდები!“

ნამდვილად არ სუფევს. სიტუაცია დანაწარდება და მერე იქნებ, კონცერტზე გაემართოთ... ქუთაისში ბევრი მეგობარი მყავს და მათთან სტუმრად ხშირად ჩავდივარ. ასე რომ, შეიძლება, რომელიმე მათგანს ოჯახშიც კი შევხვდეთ ერთმანეთს და მაშინ შევეცდები, რეპი წაგიკითხო (თუნდაც, სუფრასთან, წვიმიან ამინდში).

ნინო, 16 წლის:

„გამარჯობათ. გთხოვთ, თუ შეგიძლიათ, როგორმე ბედინასთან დამაკავშიროთ ან მისი ნომერი მომცეთ. ამ ადამიანს ძალიან ვაფასებ და მინდა, ახლოს გავიცნო“.

— ლიკა შემპირდა, რომ ერთმანეთს უახლოეს მომავალში გავაცნობს. ასე რომ, შეხვედრამდე მზა:

„პრივეტ“, ლიკა. მე არა ვარ ბედინას ფანი, მაგრამ რატომღაც, ძალიან მომიწონდა, გამოვხმაურებოდი. მაინტერესებს, ამ კითხვაზე რას მიპასუხებს (ლიკ, თუ საჭიროდ არ მიიჩნევ ან ბევრი მისი ფანი მოგწერს და ჩემი მესიჯისთვის ადგილი არ დაგრჩება, ნუ დაბეჭდავ): „არავინ ისე არ ისჯება ამ ქვეყანაზე, როგორც იგი, რომელიც ყოველივეს არ შესწირავს თავის სიყვარულს. ასეთი მუდამ მარტოკანი დარჩებიან ამ ქვეყანაზე და არავინ ისე საცოდავი არაა, როგორც მარტოსული“, — ბედინა, კონსტანტინე გამსახურდიას ამაში ეთანხმები თუ არა?“

— ამ „პოეტურად“ დაწერილ ფრაზებში ჭეშმარიტება იგრძნობა. მწერალს ვეთანხმები იმაში, რომ შესაძლოა, სიყვარულის გამო ყველანაირ დათმობაზე წახვიდე. ჩვენ ხომ სიყვარული გვასულდგმულებს...

ბუნიცვირა, 28 წლის:

„მინდა, ბედინას გამოვხმაურო და ინტერნეტნაცობობის შესახებ ვუთხრა: ვისაც გვეჯერა, გავატარე. ამაში დაუფერებელი რა არის?! მე ინტერნეტით გავიცანი ადამიანი, რომელიც უკვე 3 წელია, ჩემი მუღლუა და უკვე პატარაც გვყავს. 5 წელია, ერთმანეთი გვიყვარს და ძალიან ბედნიერები ვართ“.

— სიყვარული ყველას თავისებურად ესმის. მე ასეთი რალაცუბის არ მვეჯერა, ასეთი ურთიერთობები ჩემთვის მიუღებელია. შენ ეტყობა, გაგიმართლა და გისურვებ, რომ სულ ასეთი ბედნიერი იყო. გაიხარე.

ლეოჲ:

„ბედინ, ლექს-სენის მსგავსად, არ გქონია იმის სურვილი ან შემოთავაზება, რომ სოციალურ-პოლიტიკურ თემაზე გავგერეპა?“

— ბედინას ყველა რეპსიმღერა ამ თემაზეა.

უბრალოდ, ამას ისე ვაკეთებ, რომ ჩემი შეხედულებები ფართო მასტაბაზე გაშიფრონ. მე საკუთარი ტრიბუნა მაქვს, რომელსაც სხვა რალაცუბებში არ გავცვლი. ვცდილობ, საკუთარი გასაჭირი ყველას არ მოვახვიო თავს.

პატარა თაქო:

„გამარჯობა. ფოთიდან გიმესიჯებ. ძალიან გთხოვ, ბედინას ეს კითხვა დაუსვი: ჩვენთან არის ასეთი ჯგუფი — „პანტერა“, რომელიც მაგრად მიყვარს. ემზოს, მის ერთ-ერთ წევრს მინდა კვიტხო, რომელიმე სიმღერაზე კლიპს გადაიღებენ თუ არა, მაგრამ სულ ისეთ ხასიათზე (ასე ვთქვათ, კარგ ხასიათზე), რომ... იქნებ, შენ მაინც გვიტხრა რაიმე ამ ჯგუფის შესახებ, როგორც რეპერმა და არა, როგორც ჯგუფის მეგობარმა. ლიკა, ძალიან გთხოვ, ბედინას პასუხი დაბეჭდე. მერწმუნე, ამას მარტო მე კი არა, მთელი ქალაქის თინიჯერები დაგიფასებენ და იმედი მაქვს, მალე „პანტერას“ ინტერვიუსაც გაჩითავ. ისე, ძალიან მაგარი ბიჭები არიან. რეჟისორი რომ ვიყო, უეჭველი, ემზოს მთავარ როლს მივცემდი. წინასწარ გიხდი მადლობას. ღმერთი გფარავდეთ, ყველას!“

— ამ ჯგუფის წევრებთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს და ჩვენ დუეტოც კი გვაქვს ჩანერილი. სხვათა შორის, ამ დღეებში ფოთში მივდივარ — „პანტერას“ ერთ-ერთი წევრის შვილი უნდა მოვინათლო. ჩვენ მეგობრული, ძმაკაცური ურთიერთობა გვაქვს და ერთმანეთთან მხოლოდ შოუბიზნესი არ გვაკავშირებს... არ ვიცი, უახლოეს მომავალში რომელიმე სიმღერაზე კლიპს გადაიღებენ თუ არა, მა-

გრამ ის კი ვიცი, რომ ჩვენს დუეტზე ვიდეორგოლი უნდა გადაგვედო, მაგრამ სამწუხაროდ, ამისთვის ჯერ ვერ მოვიცალეთ (ოლონდ, არა სიზარმაცის გამო).

ი.ა.ზ.მ.პ., 15 წლის:

„გამარჯობა, ლიკ. მე ის გოგო ვარ, ბიჭის სიყვარულში რომ არ ვიყავი დარწმუნებული. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ერთმანეთი მაგრად გვიყვარს. „პრასტი“, აქამდე რომ ვერ გწერდი, მაგრამ მამაჩემმა ტელეფონი წამართვა და ძლივს დავიბრუნე. ისე, ერთი კითხვა მაქვს: სიყვარულის დასამტკიცებლად „ზასაობა“ აუცილებელია?“

— რაო?! არა, არა მგონია, სიყვარულის დასამტკიცებლად „ზასაობა“ იყოს საჭირო. თანაც, ეს საოცრად ბინძური სიტყვაა (ისე, ალბათ შეიძლება, „ეზასაო“, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენს შეყვარებულს კბილები ექნება გამონახილი). ამას სჯობია ჩაეხუტო, ლოყაზე აკოცო და ა.შ. **შემაბი:**

„ბედინ, შენ ბევრ ჟურნალისტს იცნობ და მაინტერესებს, როგორი ადამიანები არიან ისინი? თავს ხომ არ გაბეზრებენ? მათთან ურთიერთობა ადვილია? გოგონები უკეთეს კითხვებს გისვამენ თუ ბიჭები? და კიდევ, ერთი, რითი განსხვავდებიან პრესის და ტელევიზიის ჟურნალისტები ერთმანეთისგან? პასუხისთვის წინასწარ გიხდის მადლობას.“

— ჟურნალისტებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. თავს არ გაბეზრებენ იმიტომ, რომ მათ ამის უფლებას თავად არ ვაძლევ. ინტერვიუზე ბევრჯერ მითქვამს უარი, რადგან ის თემა, რაზეც მათ ლაპარაკი სურდათ, მე არ მაინტერესებდა. რაც შეეხება იმას, თუ რა განსხვავებაა ტელევიზიისა და პრესის ჟურნალისტებს შორის, გეტყვი, რომ ტელეჟურნალისტები მხოლოდ ლაპარაკობენ და მეტყველების გაკვეთილზე დადიან, ხოლო პრესის ჟურნალისტები კიდევაც ლაპარაკობენ და კიდევაც წერენ. სხვათა შორის, ბევრ „ენაბლუ“ ჟურნალისტსაც შევხვედრივარ, რომლებიც კითხვას ვერ სვამენ ნორმალურად. ასეთებს ვურჩევ, სანამ ინტერვიუზე წაფლენ, გაიგონ, ვისთან მიდიან — მომღერალთან თუ მსახიობთან, მოიძიონ ინფორმაციები ამ ადამიანის შესახებ და ა.შ. მაგრამ ბევრ ისეთ მაგარ ჟურნალისტსაც ვიცნობ (მათ შორის, დამწყებ ჟურნალისტებსაც), რომლებიც ერთ კითხვას დაგისვამენ და მერე, შენი პასუხებიდან გამომდინარე გაყრიან შეკითხვებს... მამაკაც ჟურნალისტებთან უფრო „დასტონად“ „ვბაზრობ“ და სიტყვებს არ ვაკონტროლებ, ქალ ჟურნალისტებთან კი უფრო დიპლომატიური ვარ.

„რა გინდა ბიჭთან, როგელმაც შენზე ძალა იხმარა?“

ნი-რუსთავსკი:

„ჩემო კარგო, სიყვარული და ვნება ერთმანეთში გერევა. საკუთარ თავს მაინც გამოუტყდი იმაში, რომ იკას მიმართ მხოლოდ ლტოლვა გამოძრავებს. უბრალოდ, შეუძლებელია, გიყვარდეს ადამიანი, რომელმაც შენზე ძალა იხმარა. ყველა ნორმალური მანდილოსანს ზიზღი და აგრესია გაუჩნდება შენი ე.წ. შეყვარებულის მიმართ. რა ვიცი, რა ვიცი...“

მონაპო, 18 წლის:

„გამარჯობა, მაკი. მინდა, ლიკას დახმარებით რეალობის დანახვაში დაგეხმარო. დაიმახსოვრე, ადამიანი, რომელსაც უყვარხარ, უნდა გენდობოდეს კიდევ. აქედან გამომდინარე, ირაკლის რომ უყვარდე, შენს სიტყვას დაიჯერებდა და თან, საყვარლობას არ შემოგთავაზებდა. მიუხედავად ამისა, ცხოვრება გრძელდება. შეეცადე, სიყვარულმა არ დაგაბრმავოს და საბოლოოდ არ გაანადგურო საკუთარი მომავალი! შეიძლება, ახლა მასთან დაშორება გაგიჭირდეს, მაგრამ მერე მიხვდები, რომ სწორად მოიქეცი... ან სულაც, გული რასაც გიკარნახებს, ისე მოიქეცი. ბედნიერებას გისურვებ.“

სმარლიძე:

„ჩემო კარგო, მესმის შენი, მაგრამ მგონია, რომ შენსა და ირაკლის შორის ნამდვილი სიყვარული არ არსებობს. აგისხნი, რატომაც: ჯერ ერთი, რას ჰქვია, ძალა იხმარა ან შენს პატიოსნებაში ეჭვი შეეპარა, მიზნის მიღწევის შემდეგ კი საყვარლობა შემოგთავაზა და ა.შ. შენც დამნაშავე ხარ! რაში? — მისთვის ცოტაოდენი წინააღმდეგობა მაინც უნდა გაგენია, ამხელა დათმობაზე არ უნდა წასულიყავი და ასე არ უნდა „დამდნარიყავი“. თუ უშენოდ ვერ ძლებს, მაშინ რატომ მოგცა საზღვარგარეთ წასვლის ნება, უპრობლემოდ? აშკარაა, არ უყვარხარ და გიყენებს. არ ვიცი, 16 წლის გოგოს რჩევას გაითვალისწინებ თუ არა, მაგრამ ძალიან მინდა, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ცოტათი მაინც დაგეხმარო. იმ ბიჭს დაშორდი, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე. ეკლესიაში მიდი და მოძღვარს დაელაპარაკე. დაიმახსოვრე, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, საზღვარგარეთ წასვლით კი ვითარებას ვერ შეცვლი. ჩემო კარგო, იმედი და უფლის რწმენა არ დაკარგო. დამიჯერე, მალე

გამოჩნდება ადამიანი, რომელიც დაგაფასებს და გულწრფელად შეგიყვარებს. აბა, შენ იცი...“

ლეო91:

„მაკის მინდა, მივმართო: სწორად გამიგე, მაგრამ მგონი, თავადაც არ იცი, რა გსურს. ირაკლისთან ურთიერთობა თუ არ გინდა, შეეშვი. თავს რატომ იტანჯავ?! ბოლოს და ბოლოს, ის ამქვეყნად ერთადერთი მამაკაცი ხომ არ არის? წარმატებებს გისურვებ.“

G.G:

„სიყვარული ნდობაზე დამოკიდებული, შენ კი ირაკლისთან იმიტომ დანეცი, რომ რალაც დაგემტკიცებინა?.. ალბათ, იტყვი, რომ უყვარხარ და ამიტომაც იეჭვიანა. კარგი, ბატონო, მაგრამ განყოფილება ავადმყოფთან (ეჭვიანობა ხომ ავადმყოფობაა) ურთიერთობა? და კიდევ, სიყვარულს ბედნიერება უნდა მოჰქონდეს, შენ კი მან გაურკვევლობა მოგიტანა და

„საყვარლობას რომ გთავაზობს, ამიტომაცაა ლირსი, დაასაჭურისო...“

საკუთარი თავის რწმენა დაგიკარგა. P.S. ლიკა, „პლიზ“, დამიბეჭდე, რა.“

გამაცხი თოჯინა:

„ვეხმაურები მაკის წერილს: იმას ვერ გეტყვი, ჩემი რჩევა აუცილებლად უნდა გაითვალისწინო-მეთქი, რადგან არ ვიცი, შეიძლება, ვცდები კიდევ. უბრალოდ, გეტყვი იმას, რასაც მე გავაკეთებდი შენს ადგილას: ჯერ ერთი, რა გინდა ბიჭთან, რომელმაც შენზე ძალა იხმარა?! მეორე — მაგ უტიფარისთვის (მამაკაცი, ამ გამოთქმისათვის) არაფრის დამტკიცება არ იყო საჭირო. მოკლედ, მაგრად შეცდი. შენს ადგილას თამამად დავინწყებდი ახალ ცხოვრებას, ირაკლის (თუ რა ჰქვია) გარეშე, დამიჯერე, ყველას არ უნდა გაუყადრო თავი. გისურვებ ღირ-



სეული ადამიანის პონტას. საზღვარგარეთ წადი, მაგრამ მერე, უკან დაგვიბრუნდი, ოღონდ... ეგ ბიჭი არ „დამანახვოო“!

მის ბედურა:

„იმ ბიჭს თავი დაანებე და კარიერას მიხედე. ირაკლის მართლა რომ უყვარდე, საყვარლობას არ შემოგთავაზებდა და მით უმეტეს, საზღვარგარეთ არ გაგიშვებდა“.

ნათია:

„მაკო, ნეტავ ვიცოდე, ვის უმტკიცებ ქალიშვილობას?! თუ არ გენდობოდა, არ მესმის, რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი? საყვარლობას რომ გთავაზობს, ამიტომაცაა ღირსი, დაასაჭურისო“!

ლირიალი, 17 წლის:

„ჩემი აზრით, მასთან ურთიერთობა და მით უმეტეს, მის გამო ქვეყნიდან წასვლა არ ღირს. არა მგონია, უყვარდე, თორემ შენზე ძალას არ იხმარდა და იმასაც არ გეტყოდა, ქალიშვილი არ ხარო. დამიჯერე, გამოჩნდება ადამიანი, რომელსაც მართლა შეუყვარდები. საკუთარი თავი დააჯერე იმაში, რომ მის გამო დარდი არ ღირს და რომ ლამაზი, ბევრისთვის სასურველი ქალი ხარ“.

„იცი, რომ „გზამ“ და გაითხოვლება სიცოცხლე მარჯაით?“

ალბათ გახსოვთ, 19 წლის მაკუნას მესიჯი, რომელსაც შეყვარებულმა ქორწინებამდე თანაცხოვრება შესთავაზა, გოგონამ კი მას უარი უთხრა. ამის შემდეგ, წყვილი ერთმანეთს დაშორდა... თქვენი რჩევებისა და გულისხმიერების წყალობით, მაკუნა დღეს ბედნიერია, მან საკუთარი თავის რწმენა დაიბრუნა. რამდენიმე დღის წინ, გოგონამ მესიჯი მომწერა და მინდა, ამ „ესემესის“ შინაარსი თქვენც გააცნოთ.

„მოგესალმები, ლიკუშ. მინდა, მაკის, რომელსაც დახმარება სჭირდება, ვუთხრა: ჩემო კარგო, ვიცი, როგორც იტანჯები. მეც ვამბობდი, რომ ჩემი ცხოვრება უაზრო იყო და ვფიქრობდი, ამ ცხოვრებაში ჩემი ადგილი არ არის-მეთქი, მაგრამ... თურმე, ვცდებოდი. უურნალ „გზის“ და ლიკას წყალობით საკუთარი თავი ვიპოვე. ლიკა, ალბათ მიცანი, მე მაკუნა ვარ. გახსოვს, შენ რომ დამირეკე და მითხარი, ერთ ბიჭს (დათოს) შენი ტელეფონის ნომერი უნდაო და მე კი გიპასუხე, მიეცი-მეთქი. ალბათ, გაგახსენდა. ჰოდა, ახლა ძალიან ბედნიერი ვარ. დათომ დამიმტკიცა, რომ მე ცოცხალი ვარ, დამანახვა, რომ მეც

ვარსებობ!!! ბედნიერი გახლავართ, რადგან მე და დათუჩია მალე ერთად ვიქნებით. ხალხნო, ბედნიერი ვარ, გესმით?! ახლა ლამის 3 საათია და ბედნიერებისგან ვტირი. ლიკა, რა გავაკეთო შენთვის? რითი გაგახარო, ჩემო ანგელოზო, ან რითი დაგიმტკიცო, რომ უზომოდ მიყვარხარ?! ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ მივხვდი, თურმე, არარაობა არ ვყოფილვარ. ლიკა, იცი, რომ შენ, „გზამ“ და მკითხველებმა სიცოცხლე მაჩუქეთ? მე ჩემს პატარას შენს სახელს დავარქმევ, რომ მუდამ ჩემს გულში იცოცხლო. ლიკა, გთხოვ, გემუდარები, დამიბეჭდე ეს მესიჯი. მაკი, შენ კი არასოდეს თქვა — „არასოდეს“ და უფალი არ დაგივიწყებს“.

„ხალხნო, ბედნიერი ვარ, გესმით?!“

„შპრძნობ, რომ მემოპრემს შპპრბავ, მპპრამ პრპრის პაპითავა უპიილია“



მარტოსული:

„გამარჯობა, ლიკა. არ ვიცი, ამით რა შეიცვლება, მაგრამ მაინც, გადავწყვიტე მოგწერო. მინდა, გული გადავუმალო თანატოლებს და მათ რჩევა ვკითხო. 18 წლის ვარ და ასე მგონია, ბედნიერი ვერასდროს ვიქნები. ოჯახში ყურადღებას არ და ვერც მაქცევენ. სკოლა დავამთავრე და სწავლებს გაგრძელების საშუალება არა მაქვს. არადა, ძალიან მინდა... ვგრძნობ, რომ მეგობრებს ვკარგავ, მაგრამ არაფ-

რის გაკეთება შემიძლია. მარტოსული ვარ და მარტოობას ძალიან მივეჩვიე. დედას ჩემთვის არასდროს სცალია. მშობლები მთელ ცხოვრებას ჩხუბში ატარებენ და მე სულაც არ მაქცევენ ყურადღებას. სულ შინ ვარ და მუშაობა მინდა, მაგრამ სამსახური ვერაფერი ვიპოვე. იმედი მაინც მაქვს, რომ ოცნება ამისრულდება. მინდა, მომღერალი გავხდე. თან, ვწერ სიმღერებს და ლექსებს, ასევე, ჩანახატებს და თავისუფალ თემებს... სულ ეს არის, რაც მაქვს. წარმატების მიღწევა მსურს, მაგრამ ვინმე თუ არ დამეხმარება, არაფერი გამოივა. მინდა, მიჩიოთ, როგორ მოვიქცე, რომ უაზრო ცხოვრებამ არ გამანადგუროს. ლიკა, გეხვეწები, დამიბეჭდე. იქნებ, ვინმემ მაინც მითხრას, როგორ შევცვალო ჩემი ცხოვრება?! სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ... და კიდევ, ლიკა, ერთი თხოვნა მაქვს შენთან: იქნებ, უურნალში

ჩემი რამდენიმე ლექსი დაბეჭდო. მოკლედ, შენი იმედი მაქვს და გთხოვ, დამეხმარე. სხვებსაც მინდა მივმართო, გამომეხმარონ. ძალიან მიყვარხართ და წარმატებებს გისურვებთ“.

P.S. მარტოსული თქვენს რჩევებს ელის და ვფიქრობ, იმედს ნამდვილად არ გაუცრუებთ. მე კი შევეცდები, მას რაიმეთი მაინც დავეხმარო და მდგომარეობა შევეუმსუბუქო. ამიტომაც ვპირდები, რომ მისი ერთი ლექსი მომავალ ნომერში დაიბეჭდება... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდავას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

დაბოლოს, შეგახსენებთ: შეგიძლიათ მოგწეროთ — ვის ნახვას ისურვებდით მომავალ სუთშაბათს და რატომ? რა კითხვებს დაუსვამდით მას? ან სულაც, თუ თქვენც გაქვთ რაიმე მოსაყოლი და გსურთ, ჩვენი უურნალის მეშვეობით რჩევები მიიღოთ ან უბრალოდ, საკუთარი გულისტკივილის თანატოლებისთვის გაზიარებას მოისურვებთ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27.



„ღანიზნა... არ იცოდა, რომ ღანაშაულს სჯაღიოდა“, — ამბობს აჩი ფურცელაძის ადვოკატი

მისი თქმით, ცნობილი ადვოკატი „საქმეში“ მოულოდნელად „გააბა“


ცნობილი მომღერლის — აჩი ფურცელაძისა და ტელეკომპანია „პირველი სტერეოს“ წამყვანის — თავო ცქვიტინიძის გახმაურებული პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება. საზოგადოებოსთვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ შოუბიზნესის პოპულარული წარმომადგენლების სახელები რამდენიმე თვის წინ თბილისში მომხდარი ყაჩაღობისა და საშინელი მკვლელობის საქმეს უკავშირდება. მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა ედებათ ბრალად და გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, ფურცელაძეს 2-დან 4 წლამდე, სოლო ცქვიტინიძეს — 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ტელენამყვანი, დანაშაულის შეუტყობინებლობის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვასა და ტარებაშიც გახლავთ ბრალდებული. სასამართლო პროცესზე ამჟამად, ბრალდების მხარის მონაწილეები იკითხებიან. პროცესის მონაწილეთა ვარაუდით, საქმის განხილვა არ უნდა გაჭიანურდეს და განსასჯელებიც მალე უნდა დაიკითხონ.

შეგახსენებთ, რომ დანაშაულის ფაქტი, რომელსაც ახალგაზრდა პატრულის — მამუკა გოგოლაძის სიცოცხლე შეეწირა, 2007 წლის 17 ივლისს მოხდა. ყაჩაღთა ჯგუფმა დღისით-მზისით თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე სავალუტო ჯიხურის დაყაჩაღება განიზრახა და ამის განხორციელებას დილის 11 საათისთვის შეეცადა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ჯგუფის წევრებს ფული ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენად დასჭირდათ და დანაშაულის ჩადენაც ამიტომ გადაწყვიტეს. გამოძიების ინფორმაციით, სამი პირი — 1973 წელს დაბადებული იოსებ ქუმსიაშვილი, 1979 წელს დაბადებული ზვიად ტაბუცაძე და 1974 წელს დაბადებული გიორგი მელაძე პისტოლეტებით შეიარაღდნენ და ვინაიდან ჯიხური დაკეტილი დახვდათ, მის გვერდით მდებარე სუპერმარკეტში შევივდნენ. იარაღის მუქარით, თანხა მოითხოვეს, მაგრამ რადგან მარკეტში ხმაური და ყვირილი ატყდა, შეშინდნენ და ისე გაიქცნენ, რომ იქიდან არაფერი წაუღიათ. ტაბუცაძე და მელაძე „ოპელ-ასტრას“ მარკის ტაქსიში ჩასხდნენ, ქუმსიაშვილი კი ფეხით გაიქცა, „ქართვლის დედის“ ქანდაკების მიმართულებით. ტაქსით მოძრავ საეჭვო პირებს — ტაბუცაძესა და მელაძეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აედევნენ. მანქანა მათ აბესაძისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში შეაჩერეს. ტაბუცაძემ პატრულისგან თავის დაღწევის მიზნით, იარაღიდან ცეცხლი გახსნა და ამ დროს, თავის არეში სასიკვდილო ჭრილო-

ბა მიიღო პატრულმა — მამუკა გოგოლაძემ. მასთან ერთად, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა ვაჟა მინდორაშვილიც; საბედნიეროდ, ის უვნებელი დარჩა. სროლის შემდეგ, ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან კვლავ გაიქცნენ და მიმალვაც მოახერხეს. ისინი სამართალდამცველების მიერ დღემდე იძებნებიან.

თავდამსხმელთაგან პოლიციამ მხოლოდ ქუმსიაშვილის დაკავება შეძლო, მაგრამ მას გარდა, გისოსებს მიღმა კიდევ 9 ადამიანი — მისი მეგობრებიც აღმოჩნდნენ. 1985 წელს დაბადებულ თავო ცქვიტინიძეს, 1979 წელს დაბადებულ აჩი ფურცელაძეს, 1979 წელს დაბადებულ ჭაბუკა გრძელიშვილს, 1974 წელს დაბადებულ თამარ ბეჟანიშვილს, 1987 წელს დაბადებულ ნიკოლოზ ამირეჯიბს, 1987 წელს დაბადებულ ანზორ სამნიაშვილს, 1974 წელს დაბადებულ გოჩა მანჯგალაძეს გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობაში ადანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი, შოუბიზნესის ზემოთ აღნიშნული წარმომადგენლების ჩათვლით, წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ ცნობს.

თავო ცქვიტინიძეს, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ქუმსიაშვილი თურმე, იმავე დღეს დაუკავშირდა და „მონდა-პრელუდის“ მოდელის ავტომანქანით, ნიკოლოზ ამირეჯიბთან ერთად შეხვდა. ერთმანეთს ქუმსიაშვილის მიერ დათქმულ ადგილას — „ქართვლის დედის“ ქანდაკებასთან შეხვდნენ. საბრალდებო დასკვნის თანახმად,



სწორედ მამინ შეიტყო ცქვიტინიძემ მომხდარი ყაჩაღობისა და მკვლელობის, ასევე, დანაშაულში მონაწილე პირების ვინაობის შესახებ. გარდა ამისა, ამირეჯიბის თანდასწრებით, ქუმსიაშვილმა ცქვიტინიძეს თან ნაქონი, ყაჩაღობის დროს გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები გადასცა შესანახად. თავო ცქვიტინიძემ იარაღი ვაზნებთან ერთად, თავის ხელჩანთაში ჩადო და გარკვეული პერიოდის განმავლობაში თან ატარებდა. მოგვიანებით კი, დროებით შესანახად, ყველაფერი თანამშრომელს — სამნიაშვილს ჩააბარა. სამნიაშვილმა იარაღი და საბრძოლო მასალა თავისი სამუშაო მაგიდის უჯრაში შეინახა. იმავე საღამოს ანუ მომხდარი ფაქტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თავო ცქვიტინიძემ მიიჩნია, რომ იარაღის პატრონისთვის — ქუმსიაშვილისთვის დაბრუნება საშიში აღარ იქნებოდა. ამიტომ, სამნიაშვილს ყველაფერი უკან გამოართვა და კვლავ ქუმსიაშვილს შეხვდა. აჩი ფურცელაძეს თავო ცქვიტინიძე საღამოს 7 საათისთვის დაუკავშირდა და მას გუდიაშვილის სკვერიდან ქუმსიაშვილის ავტომანქანის წამოყვანა სთხოვა.

ზოგიტა ბაბაიძე, აჩი ფურცელაძის ადვოკატი:

„აჩიმ მეგობარს უარი არ უთხრა, თავო ცქვიტინიძესთან მას ყოველთვის ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და აქედან გამომდინარე,



ბუნებრივია, მას ხათრს ვერ უტეხდა. დანარჩენებს ის არ იცნობდა. მომხდარი ყაჩაღობის შესახებ მან იმ მომენტში, როცა ავტომანქანა გამოჰყავდა გუდიაშვილის სკვერიდან, არაფერი იცოდა. ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის თაობაზე მხოლოდ მოგვიანებით, როცა უკვე ორივემ ერთად მიაკითხა ქუმსიაშვილს ნაძალადევის რაიონში მდებარე ერთ-ერთ სახლში და მანქანა მიუყვანეს, მაშინ შეიტყო ყოველივე. დაიბნა და არც იცოდა, თუ დანაშაულს სჩადიოდა: არ ვიცოდი, თუ

აუცილებლად უნდა დამერეკა პოლიციამო. ვფიქრობ, ეს გულწრფელი აღიარება სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს“.

აჩი ფურცელაძემ, ისევე, როგორც დანარჩენებმა, აღიარებითი ჩვენებები ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაწერეს. ისინი პოზიციას არც ახლა ცვლიან და კვლავაც დამნაშავეებად ცნობენ თავს. ადვოკატების თქმით, გამოძიების მიმართ არც ერთს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. მათი თქმით, რაიმე კანონდარღვევას ან ზენოლას გამოძიების

პროცესში ადგილი არ ჰქონია. სასამართლოსთვის ჩვენებები განსასჯელებს ჯერჯერობით არ მიუციათ. სავარაუდოდ, ამას მოწმეთა დაკითხვის შემდეგ გააკეთებენ. რაც შეეხება მათთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, — ადვოკატებმა ეს მოთხოვნა გამოძიების პერიოდშივე დააყენეს, მაგრამ პასუხს აქამდე ელიან. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ამასთან დაკავშირებით სამართალდამცველები, ამის პროგნოზს ადვოკატები ჯერჯერობით ვერ აკეთებენ.

ბინის ძურღოზას მიზნის სიცოცხლე შეიჭირა

უმძიმესი ბრალდებებით — ქურდობის, ყაჩაღობისა და მკვლელობის მუხლებით სასამართლოს წინაშე წარმდგარმა სამმა განსასჯელმა, რომელთა შორის ერთი არასრულწლოვანიც გახლდათ, დანაშაული უარყვეს, მაგრამ მკაცრ სასჯელს თავი მაინც ვერ დააღწიეს. გამოძიებამ მათ შეიარაღებული, დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებასა და არაერთგზის ჩადენილ მძიმე დანაშაულში, მათ შორის, ადამიანის მკვლელობაშიც დასდო ბრალი. პროკურორი საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, საბრალდებო დასკვნა კი მომხდარი ფაქტების სასტიკ დეტალებზე მიუთითებდა.

ამიტომაც ჩათვალა ჩემმა მეუღლემ თავი მოვალედ, რომ საშიშროების მიუხედავად, კარი გამოეღო და ქურდებისთვის ხელი შეეშალა. ის ვეღარ გათვალა, რომ ისინი ყველაფერზე ნავიდოდნენ... ქმრის წამოდგომა და საძინებლიდან გასვლა არ გამიგია. მხოლოდ სადარბაზოში ატეხილმა ყვირილმა გამომადგინა. თავიდან, აზრზე ვერ მოვედი, ვერ მივხვდი, თუ ვისი ხმა იყო. მერე, როცა დეტალები აღვიდგინე, მივხვდი, რომ ჩემმა ქმარმა დაუყვირა ქურდებს. ამის შემდეგ, სროლის ხმაც გაისმა... სადარბაზოში რომ გავვარდი, უკვე ძალიან გვიანი იყო. ჩემი მეუღლე წელში მოხრილიყო. მან ამომხედა, მაგრამ მიშველეთ, — ამის თქმაც ვერ მოახერხა... სისხლი რომ დავიწახე, მაშინ მივხვდი, რა საშინელებაც მოხდა. როცა „სასწრაფო“ მოვიდა, ის უკვე გონზე არ იყო...“ — აღნიშნა დაზარალებულმა.

ბრალდების მხარემ, თითოეულ განსასჯელს 4 სხვადასხვა მუხლი, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარებაც წაუყენა. გამოძიების ინფორმაციით, ჯგუფის ლიდერი და დანაშაულების მთავარი ინიციატორი — თბილისელი მალანია (გვარები შეცვლილია) თავის არასრულწლოვან მეგობარს — მიქაძეს დაუკავშირდა და მას ყაჩაღური დაჯგუფების შექმნის იდეა გაუზიარა. მიქაძე შემოთავაზებას დათანხმდა და მოლაპარაკების შემდეგ, საქმეში თავისი დეიდაშვილი — ბოდოკიაც ჩართო. პირველი დანაშაული, რომლის შესახებაც საბრალდებო დასკვნაშია მოთხრობილი, თბილისში მცხოვრები ნიჟარაძეების ბინის ქურდობას ეხება, საიდანაც 1.000 ლარამდე ღირებულების ნივთები წაიღეს. რიგით მეორე დანაშაულისას, ნაქურდალმა ამ თანხას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. მომხდარი ფაქტებიდან ყველაზე მძიმე შედეგით, ფონიჭალის დასახლებაში ჩადენილი დანაშაული დასრულდა. მაშინ, ერთ-ერთი ბინის ქურდობას სრულიად უდანაშაულო შემთხვევითი მონმე, გასაქურდი ოჯახის მებობლად მცხოვრები გურამ დგებუაძე ემსხვერპლა. საქმის მასალების მიხედვით, შუალამისას, გადაჭრილი თოფებით შეიარაღებული ჯგუფის სამივე წევრი ბინის კარს მიაღდა და საკეტის გატეხა სცადა. საკუთარი საძინებელი ოთახიდან გამოსულმა დგებუაძემ, შესასვლელთან გავლისას,

სადარბაზოში საეჭვო ხმაური გაიგონა და ამიტომაც, სათვალთვალში გაიხედა. როცა მეზობლის ბინასთან უცხო პირები დაინახა, კარი გამოაღო და დამნაშავეებისთვის განზრახვის განხორციელებაში ხელის შეშლა სცადა. ამით განაწყენებულმა მალანია, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ანგარებისა და სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, არასასურველი მონმის მოკვლა განიზრახა — გადაჭრილი თოფი პირდაპირ დაუმიზნა და ტყვია ახლო მანძილიდან ესროლა. თავად ბოროტმოქმედებისთვისაც კი აშკარად უსიამოვნო ფაქტმა, მათი გეგმა ჩაშალა. გასროლისთანავე, ისინი სადარბაზოს კიბეზე დაეშენნ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ხმაურისა და სროლის ხმაზე დგებუაძის ოჯახის წევრებიც წამოცვივდნენ, მაგრამ დამნაშავეებს თვალი ვერ შეასწრეს. მათ „სასწრაფოსა“ და პოლიციასაც გამოუძახეს, მაგრამ იმ ღამეს, ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა: ვერც პოლიციამ მოახერხა ცხელ კვალზე ბოროტმოქმედების დაკავება და ვერც ექიმებმა შეძლეს მძიმედ დაჭრილისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. მიღებული დაზიანებების გამო, დგებუაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა...

მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ორ კვირაში, ყაჩაღური ჯგუფი თბილისში, კვლავ ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრებ შარაბიძეების ოჯახს დაესხა თავს. გადაჭრილი თოფებითა და დანებით შეიარაღებულებმა ოჯახის წევრებს — დიასახლისსა და მის ქალიშვილს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. იმისთვის, რომ ქალებს ზედმეტი ხმაური და კივილი არ აეტეხათ, პირზე სკოჩი ააკრეს, ხელები კი წინასწარ მომზადებული თოკით შეუკრეს. ბინიდან მათ DVD-ფლეიერი, ორი ცალი ტყავის ქურთუკი, 130 ლარად ღირებული ოქროს საყურე, 74 ლარი გაიტაცეს და მიიმალნენ. დამნაშავეებმა ბინიდან წაღებული ნივთების რეალიზება დაკავებამდე მოასწრეს...

„...მეზობლები მთელი კვირა არ იმყოფებოდნენ სახლში. რაიონში იყვნენ წასულები და ბინის მეთვალყურეობა ჩვენ გვთხოვეს. ალბათ,

დაზარალებულებმა დაკითხვისას აღნიშნეს, რომ ბოროტმოქმედებს ნილებები არ ეკეთათ, მხოლოდ შავი ქუდეები ჰქონდათ ჩამოფხატული და სახის დამალვას ამით ცდილობდნენ. „მათი სახეები ვერ დავაფიქსირე, მაგრამ სილუეტები და ერთ-ერთის ხმა კარგად დამამახსოვრდა“, — თქვა ჩვენებისას

დაზარალებულმა, **გარამ შარაპიძე**. მოგვიანებით გამართულ სასამართლო პროცესზე კი აღნიშნა, რომ განსასჯელები, სილუეტების მიხედვით, თავდამსხმელებს ნამდვილად ჰგვანან...

მორიგი დანაშაული ჯგუფის წევრებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მათ სადღელამისო სავაჭრო ფიზურის დაყრდნობა განიზრახეს, მაგრამ იმის გამო, რომ გამყიდველმა ქალმა ყვირილი ატეხა, შეშინდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღლნენ. მომხდარი ფაქტის შესახებ პოლიციის მორიგე ოპერატიულმა ჯგუფმა შეიტყო. სამართალდამცველები დამნაშავეებს დაედევნენ და ორი მათგანი იმავე ღამეს დააკავეს. მათში გაქცევა მხოლოდ ბოდოკიამ მოახერხა, მაგრამ თანამზრახველების მსგავსად, გისოსებს მიღმა ისიც მალე აღმოჩნდა. გაირკვა, რომ დაკავებულებმა, გამოძიებისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაში, თანამონაწილის სახით ისიც დაასახელეს. სამართალდამცველებმა ეჭვიმტანილთა ბინების ჩხრეკისას ორი ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი დანა ამოიღეს, ხოლო მალანიას ბინაში ნიჟარაძის ბინიდან წაღებული რამდენიმე ნივთიც აღმოაჩინეს.

სასამართლო პროცესზე, გამოძიების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიუხედავად, განსასჯელთა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ რეალურად, საქმის მასალებში ბრალის დამადასტურებელი საბუთები არ მოიპოვებოდა და გამოძიება მხოლოდ და მხოლოდ ეჭვიმტანილების მიერ მიცემულ აღიარებით ჩვენებებს დაეყრდნო...

პროცესზე, განსასჯელებმა საბრალდებო დასკვნაში დაფიქსირებულ ყველა ფაქტთან მიმართებაში თავი უადანაშაულოდ გამოაცხადეს და გამართლება მოითხოვეს. ადვოკატებმა სასამართლოს მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობით მიმართეს. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდების პოზიცია მთლიანად გაიზიარა. განაჩენში აღნიშნულია, რომ მას, მოწმეების ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებების გარდა, სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ბალისტიკური და ფიზიკო-ტექნიკური ესპერტიზების დასკვნები დაედო საფუძვლად. ქურდობის, ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნატარების გარდა, მალანია განზრახ მკვლელობაშიც ცნეს დამნაშავედ და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. რაც შეეხება დანარჩენ 2 განსასჯელს, მათ 10-10 წელი მიესაჯათ.

რუბრიკის დასაწყისი გვ. 17

სპეციალურად შემუშავებული რამდენიმე ხერხი, რათა შესაბამისმა სამსახურმა, რომელიც მიყურადებს ახორციელებს, მის მიმართ, პრეტენზიების წამოყენების შემთხვევაში, პოზიცია საბუთით გაიმაგროს. ეს საბუთი, კანონდარღვევითაა მოპოვებული. მისი მოპოვება კი სასამართლოსთან შეთანხმებით ხდება. მაგალითად, როცა საგამოძიებო უწყება, ნებართვის გარეშე, ფარულად უსმენს მოქალაქეს და მის საუბარს იწერს, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, ამ ჩანაწერის, როგორც მტკიცებულების გამოყენება დასჭირდება, მიმართავს „დაკანონების“ ცნობილ ხერხს: საგამოძიებო უწყების წარმომადგენელი უთანხმდება მოსამართლეს და რომელიმე ბრძანებაში (რომელიც სხვა სატელეფონო მიყურადებაზე ნებართვას წარმოადგენს) ზემოთ ხსენებული მოქალაქის ტელეფონის ნომერს ჩაამატებს. ამ მეთოდს საკმაოდ ხშირად მიმართავენ და მას სპეციალური ტერმინიც კი შეარქვეს — „მიბმა“. ასეთი შემთხვევები თავად მქონია პრაქტიკაში. ერთ საქმეში, რამდენიმე სატელეფონო საუბარი ორ-ორჯერაც კი ყოფილა დაკანონებული. ამგვარად, ამჟამად სრული უკანონობა. სასამართლო და საგამოძიებო უწყებები ერთმანეთს უთანხმდებიან და მტკიცებულებების გაყალბებასა თუ ყალბ „დაკანონებებში“ ერთად მონაწილეობენ. ასევე ხდება მასალის დამონტაჟება — ე.ი. მტკიცებულებების შეგნებული გაყალბება. არის შემთხვევები, როცა ჩანაწერი საერთოდ არ აღწევს სასამართლომდე და მხოლოდ შიფრირებული ტექსტი დევს საქმეში, რაც თავისთავად, საეჭვო გარემოებაა. მე არ მსმენია და სიმართლე გითხრათ, ვერც წარმომიდგენია, რომ დღევანდელმა სასამართლომ საგამოძიებო უწყების მიერ განხორციელებული ჩანაწერის დაკანონებაზე უარი თქვას ან ნებართვა არ გასცეს. დღევანდელი სასამართლოს უფლებამოსილება იმდენადაა შეზღუდული, რომ მისი მხრიდან მსგავსი გადანაცვტილება წარმოუდგენელია. თუ ადამიანი მიხვდა, რომ მას უსმენენ, იცის, რომ ამის საფუძველი არ არსებობს და შესაბამისად, არც ნებართვა უნდა იყოს გაცემული, ალბათ, საკუთარი უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუმცა იმის დამტკიცება, რომ მას ნამდვილად უსმენენ, გაუჭირდება. თუ დაკანონებული არ არის მიყურადება, ბუნებრივია, ყველა უარყოფს, რომ მას უსმენენ. ამ ჩიხიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია — უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა შეიცვალოს ხელისუფლების ნება, ქვეყანაში სასამართლოს როლი უნდა გაიზარდოს. თუ თვალს გაგუსწორებთ რეალობას, დაეინახავთ, რომ სასამართლო ხელისუფლება ძალიან არის დაკნინებული, პრაქტიკულად, აღარ არსებობს და მისი ერ-



თადერთი ფუნქცია დღეს, საგამოძიებო სტრუქტურების მითითებების შესრულება. სანამ ყოველივე ეს არ შეიცვლება, მანამდე ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებასა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტად კია.

იურისტების თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი ტელეფონი ლეგალურად ანუ სათანადო სასამართლო ნებართვის საფუძველზე ისმინება და ამის გადამოწმებას შეეცდებით, დადებით პასუხს ვერავისგან მიიღებთ. ეს საიდუმლო მოქმედებაა და ამას არც სამართალდამცველები და არც სატელეფონო კომპანია გაგიმხელთ, თუკი ის სპეცსამსახურის მუშაობაში ოფიციალურადაა ჩართული და საქმის კურსშია. ისე კი, სპეციალისტების თქმით, სატელეფონო კომპანიების დახმარება „მოსმენების“ განხორცილებაში სპეცსამსახურებს არ სჭირდებათ. მათ მხოლოდ დეტალური სატელეფონო საუბრების — ნომრების ამონაწერის საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ. საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით, სპეციალისტების მიერ ინტერნეტით გავრცელებული ბოლო ინფორმაცია — ფარულ მიყურადებაში სპეცსამსახურებს გარკვეული პრობლემები, თურმე, შესაძლოა, მე-3 თაობის მობილურმა ტელეფონებმა შეუქმნას. დაბრკოლებას ამ ტელეფონებში ჩადებული ციფრული დაშიფრის პროგრამა წარმოადგენს, რომელიც გააქტიურების შემთხვევაში, გადამცემ სისტემას ზღუდავს. თუმცა, როგორც აღნიშნავენ, მხოლოდ რთულია და არა — შეუძლებელი. დაინტერესების შემთხვევაში, სპეცსამსახურებისთვის დახმარების განევა თვით მობილური კავშირის ოპერატორ კომპანიებს მაინც შეუძლიათ...



სიმბოლოების ქვეყანაში

ოთხი წლის წინ, 2003 წლის ნოემბერში, ქართველებმა თავიანთი მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არჩევნების შედეგების გაყალბებაში ამხილეს და გადადგომა აიძულეს. მოქალაქეების მშვიდობიანი რევოლუციის სიმბოლოდ ვარდი იქცა. შევარდნაძის შემდეგ კორუფციის გაუვალე ჯუნგლები დარჩა. თანაც ქვეყანას ორ ამბოხებულ რესპუბლიკასთან — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან და, აგრეთვე, ვლადიმირ პუტინის კვლავ ძალამოკრებილ რუსეთთან ბრძოლაც უწევდა.

შევარდნაძე ახალგაზრდა სააკაშვილმა შეცვალა. ვაშინგტონიდან ახალდაბრუნებულ სააკაშვილს შარში ნამდვილად არ აკლდა და ამომრჩევლებიც ყოველმხრივ ენდობოდნენ. მან პირობა დადო, რომ საქართველოს მდიდარ და დასავლეთზე ორიენტირებულ ქვეყნად აქცევდა. მაგრამ საქართველო დასავლეთში კი არა, სადაც ევროპასა და შუა აღმოსავლეთს შორის მდებარეობს და ძალიან ღარიბიცაა.

მას შემდეგ ახალი საქართველო უმეტესწილად მხოლოდ სიმბოლოებითაა იფარგლებოდა. ურიცხვმა შადრევნებმა, მოოქრულმა ქანდაკებებმა და პროექტორებმა ქვეყანა იმ მოკაშკაშე დისნეილენდად აქცია, სადაც პენსიონერებს თვეში 40 ლარად (რომელიც პურის ფუ-

ლადაც კი არ ჰყოფნით) გაძლება უწევთ. სამაგიეროდ, აეროპორტისკენ მიმავალ ჩქაროსნულ საავტომობილო ტრასას ახლა უკვე ჯორჯ ბუშის ქუჩა ჰქვია. ტრასის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე გამოფენილია პლაკატები, რომლებზეც სახეგაბრწყინებული სააკაშვილი ამერიკის პრეზიდენტს ართმევს ხელს.

საქართველოს ეკონომიკა მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. ხილისა და ბოსტნეულის გარდა, რომელიც გლეხებს ქალაქში ყოველ დღით ძველი ფერადფერადი სათლებით ჩამოაქვთ, საქართველოში პრაქტიკულად არაფერი ინარმოებდა. სუპერმარკეტების დახლებზე გამოდგმულ რძის პაკეტებზე ჩახუჭუჭებული ქართული ასოებითაც კი ჭირს იმის დაშლვა, რომ პაკეტის შიგთავსი რუსული მშრალი რძით მზადდება.

24 წლის არქიტექტორი მარიამი ამბობს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს თავი მეცენატად მოაქვს და საკუთარი ენერჯის ლომის წილს გარეგნული ეფექტების შექმნას ახმარს. ოთხი წლის წინ მარიამი თავის მეგობრებთან ერთად ქუჩაში ყოველდღე ვარდით გადიოდა. ახლა კი იმავე ქუჩაში ოპოზიციის მხარდასაჭერად გადის. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საკუთარ მრწამსს უღალატა. „დემონსტრაციაზე ცალკეული პოლიტიკოსების

წინააღმდეგე კი არა, სამართლიანი საქართველოს დასაცავად, იმის დასამტკიცებლად მივდივარ, რომ დემოკრატიული საზოგადოების არსებობა ჩვენთანაცაა შესაძლებელი“, — ამბობს იგი. ულვეი ემოცია და უპირობო მეგობრობა, რომელიც მარიამის ქვეყანაში იციან და თავდაც ყველაფერზე მეტად უყვარს, გარკვეულწილად, ცხოვრებასაც ართულებს. მართალია, ერთიცა და მეორეც ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ეკონომიკასა და პოლიტიკაში ისინი ქაოსს, ინტრიგებსა და კორუფციას იწვევს.

გასული კვირის მოვლენები იმ პოლიტიკის ილუსტრაციად იქცა, რომელიც მხოლოდ ცალკეულ ადამიანებზე თუ დამოკიდებული და ძირითადად, დახურულ კარს მიღმა ტარდება. ოქტომბერში თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ პრეზიდენტისთვის წაყენებულ ბრალდებებს სკანდალი მოჰყვა. რამდენიმე დღის შემდეგ, ოქრუაშვილი ფულის გათეთრების ბრალდებით დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ წაყენებული ბრალდებების უარყოფა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა, ოქრუაშვილი მაინც ხალხის უკმაყოფილების გამოხატულებად იქცა. ქართველებში დაგროვილმა გაღიზიანებამ კი გამოსავალი ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციებში პოვა. მათი მოწინააღმდეგე პრეზიდენტის მიერ პარლამენტარებისთვის უფლებამოსილების გაგრძელების გადაწყვეტილებას აპროტესტებენ...

რას მიაღწევან დემონსტრანტები? ან რას შეცვლის ოპოზიციამ?... „ადამიანებმა იციან, რომ ოქრუაშვილი დამნაშავეა. მაგრამ რადგანაც მათ გმირი სჭირდებათ, ამის დაეციებას ამჯობინებენ, — ამბობს მარიამი. — მე სასწაულს არავისგან ველი. მაგრამ მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ ყველა კითხვას პასუხი აუცილებლად უნდა გასცეს. ირაკლიმ ჭორებისა და ინტრიგების აუტანელი ატმოსფეროა. ჩვენ კი, უბრალოდ, საკუთარ კითხვებზე პასუხების მიღება გვინდა“...


Die Zeit (გერმანია),
4 ნოემბერი

რუპერტ მერდოკი მახიველურ ქართულ პოლიტიკაში გაერია

რუპერტ მერდოკის გლობალური მედიამპერია News Corp ახალ ბაზარზე თანხების დაბანდებამდე, ჩვეულებრივ, პოლიტიკურ სიტუაციას გულდასმით სწავლობს. მაგრამ როგორც ჩანს, დასავლეთსა და კვლავ ძალამოკრებილ რუსეთს შორის გაჩაღებული ჯვარედინი ცეცხლის ზონაში მოქცეულ საქართველოში მის მიერ ახლახან გადადგმული ნაბიჯი, კომპანიას კავკასიური „კრანანების ბუდეში“ მოხვედრას უქადის.

რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებული დაძაბულობა ახლახან ხელახლა გაღვივდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსმა მშვიდობისმყოფლებმა საქართველოსგან განდგომილი ტერიტორიის —

აფხაზეთის საზღვარზე ოთხი ქართველი პოლიციელი დააპატიმრეს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსულ მხარესთან ურთიერთობის პირადად გარკვევის გადაწყვეტილება მიიღო და აღნიშნულ რაიონში დაუყოვნებლივ ჩაფრინდა. ტელევიზიით ნაჩვენები ეს ფაქტი თბილისში საერთაშორისო კონფერენციის გახსნის წინ მოხდა. მასში კი სააკაშვილის პროდასავლური მთავრობის ისეთი მთავარი მომხრეები მონაწილეობდნენ, როგორებიც, მაგალითად, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენ ფრიდი არიან. კონფერენციას, თავის მხრივ, პარასკევისთვის თბილისში დანიშნული,



საკავშირის ოპონენტების მასობრივი დემონსტრაციაც დაემთხვა. თითოეული ამ „მსახიობთაგანი“ საერთაშორისო პუბლიკის წინაშე გამოდის და უფრო სერიოზული კონფრონტაციის გასაჩაღებლად, მათ მიერ გადადგმული ერთი ყალბი ნაბიჯიც კი სრულიად საკმარისია...

ყველა ამ მოვლენის განვითარების ფონზე, News Corp-მა მთავრობის სანინარმდევო პოზიციის მქონე ტელეკომპანია „იმედის“ საკუთარ მართვაში მიღების გადაწყვეტილება მიიღო. მერდოკის კონცერნის მიერ ქართველ მილიარდერ ბადრი პატარკაციშვილთან გაფორმებული ერთნაირი კონტრაქტის თანახმად, ამ ბიზნესმენის კუთვნილი საკონტროლო პაკეტი ამერიკული კორპორაციის ხელში მართვის უფლებით გადადის. პატარკაციშვილი კი, თავის მხრივ, ოპოზიციას ფინანსურ დახმარებას ღიად გაუწევს.

პატარკაციშვილის თქმით, ის ოპოზიციას არა არსებული რეჟიმის დამხობის, არამედ კონსტიტუციის დაცვის მიზნით აფინანსებს. ამ ყველაფერში News Corp-ის როლი როგორია? News Corp Europe-ის თავმჯდომარე მარტი პომპადური აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში, კონცერნი პოლიტიკურ როლს არ ითამაშებს, თუმცა საქმეში მისი ჩარევა პატარკაციშვილს პოლიტიკაში აქტიურად ჩაბმის საშუალებას მისცემს. News Corp-ს კომერციული ინტერესები ამოძრავებს: საქართველოში სარეკლამო ბაზარი წელიწადში 30%-ით იზრდება და როგორც კორპორაციის მესვეურებს მიაჩნიათ, მომავალში, კავკასიაში უფრო ფართო ბაზარზე გასვლას შეძლებს. ამასთან, ეს ნაბიჯი, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მისი მასშტაბური ექსპანსიის შემადგენელი ელემენტაცაა. „მოუხედავად იმისა, რომ News Corp-მა ვერც ერთი რუსული ტელეკომპანიის ყიდვა ვერ მოახერხა, კონცერნი ამ ბაზარზე დარჩენას მაინც გეგმავს“, — განაცხადა პომპადურმა. News Corp-ს რუსეთში სამი რადიოსადგური და რუსეთის უმსხვილესი, გარე რეკლამის სააგენტო ეკუთვნის.

პომპადურის თქმით, რუსებს, რომლებიც მომხდარის თაობაზე კონსპიროლოგიურ თეორიებს თხზავენ, თვალზე ლიბრი აქვთ გადაკრული: „ისინი ვერაფრით იჯერებენ, რომ ამერიკულ კომპანიას შეუძლია, საქართველოს პრეზიდენტის მრწამსი ზედმეტად პროამერიკულად და ძალზე ანტირუსულად მიიჩნიოს. მაგრამ ეს მართლაც, ასეა“.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, პომპადურის თქმით, ის ალბათ კვლავაც, „არც ერთ თავის მომხრეს არ მისცემს მათ არხზე გამოჩენის უფლებას, რაც, ჩემი აზრით, უაზრობაა: ამის გამო, დიალოგი კი არა, მონოლოგი გვექნება. ჩვენ კი ყველა მოსაზრების სამართლიანი და დაბალანსებული წარმოდგენა გვსურს“.

ეპ, ეს რომ ასე ადვილი იყოს...

Financial Times (ბრიტანეთი),
5 ნოემბერი

რუბრიკა მოამზადა
რუსულან ლეპანიძემ

„ქლაბი-შოუს“ ნახვა 18 წლამდე მომარდებისთვის დაუშვებელია

„სასურველია, თუ „ქლაბი-შოუს“ 18 წლამდე მოზარდები არ ნახავენ. მასში უხამსობა არა, მაგრამ საკმაოდ თამამი, ზოგჯერ კი ვულგარული იუმორია“, — ასე მონაწილეები იმ შოუს შესახებ ამბობენ, რომელიც 11 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის ეთერში გავა. რითი იქნება იგი სხვა შოუებისგან განსხვავებული? — ამის გასარკვევად „რუსთავი 2“-ის სტუდიას ვესტუმრეთ. გადაცემის ფორმატზე მისი მონაწილეები: ავთო მარგველაშვილი (ვართე), ოთო ლომთაძე და გოჩა თანდარაშვილი გველაპარაკებიან. სტუდიაში ახალი შოუს ახალი სახეებიც გავიცანით.

თამუნა კვინიკაძე

ავთო მარგველაშვილი:

— დრო იყო, მაყურებლისთვის ახალი გადაცემა შევთავაზებინა და ამიტომაც, არჩევანი ერთ-ერთ ამერიკულ პროექტზე შევაჩერეთ. როგორც ცნობილია, ამ პროექტზე მუშაობა ამერიკელებმა ვიეტნამთან ომის დროს, საზოგადოებაში არსებული დაძაბულობის განსამუხტავად დაიწყეს. თავდაპირველად იყო კლუბური შეხვედრები, მოგვიანებით კი ის წარმატებულ სატელევიზიო გადაცემად იქცა. ჩვენი აზრით, პროექტი საქართველოშიც გაამართლებს.

ოთო ლომთაძე:

— ერთ გადაცემაში სტუმრად 4-5 ცნობილი ადამიანი გვეყოლება. ჯგუფს — ცოლ-ქმარს, ძმებს და ა.შ. ერთ სტუმრად მივიჩნევ. ეს გადაცემა სხვა შოუებისგან იმით განსხვავდება, რომ მონვეული სტუმარი ჩვენ მიერ, მასზე წინასწარ მოფიქრებულ ხუმრობებს ადგილზე მოისმენს.

ავთო:

— ხუმრობა ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი არ უნდა იყოს. გადაცემის ჩანერა არა სტუდიაში, არამედ კლუბ „ტრიუმფში“ ხდება. ჩანერაზე მოსული მაყურებელი თავს კომფორტულად გრძნობს: სხედან მაგიდებთან, მიირთმევენ გამაგრებულ სასმელს, შამპანურს და ა.შ. არის განათების ეფექტები და მათთვის, მიმზიდველად ჩატყული გოგონები ცეცხლოვან ცეკვებს ასრულებენ.

— კლუბში, გადაცემის ჩანერაზე დასწრება გარკვეულ თანხასთან იქნება დაკავშირებული?



სასურველია, თუ „ქლაბი-შოუს“ 18 წლამდე მოზარდები არ უყურებენ



თამაზი იუზორი და თამაზი, რომელსაც სხვა შოუებში არ ხუმრობენ

— დიას. ბილეთებს კლუბის ადმინისტრაცია ყიდის. ფასებზე ჩვენ ვერაფერს გეტყვით, ის კლუბის ხელმძღვანელობამ დაანუსა. გადაცემის ჩანერა დაახლოებით 1 საათის განმავლობაში მიმდინარეობს, შემდეგ კი ჩვეულებრივ, კლუბური ცხოვრება გრძელდება.

რატომ აირჩიეთ „ტრიუმფი“ ოთო?

— ეს კლუბი სატელევიზიო გადაცემისთვის საჭირო და აუცილებელ პირობებს აკმაყოფილებს. „ქლაბი-შოუსი“ უფრო ბომონდური იუმორია, რომელიც ელიტარულ საზოგადოებაზეა გათვლილი. გადაცემის ჩანერა 9 საათზე იწყება და ჩანერის დამთავრების შემდეგ, მონაწილეები ხალხთან ერთად ვერთობით.

ავთო:

— 20 ივლისს ჩვენ საცდელი, არასაეთვრო გადაცემა ჩვენ ერთ. სტუმრებიც მოვიწვიეთ. ვინც კი ეს ჩანაწერი ნახა, ყველას — სტუმრებსაც, დამსწრე საზოგადოებასაც მოეწონა. ანალოგიური შეფასება მიიღო საეთვროდ ჩანერილმა გადაცემაშიც. სასურველია, თუ „ქლაბი-შოუს“ 18 წლამდე მოზარდები არ უყურებენ.

რატომ?

— იქ უხამსობა არა, მაგრამ თამამი, ზოგჯერ კი ვულგარუ-

ქელისები



ეს გადაცემა, ყველა შემთხვევაში საინტერესო იქნება

ლი იუმორია.

— რადგან გადაცემაზე ასეთ აკრძალვას ანესეთ, ალბათ, 18 წლამდე მოზარდებს კლუბშიც არ შეუშვებთ, არა?

— დიას, ეს აკრძალვა კლუბში შესვლაზეც ვრცელდება.

— იცით, რომ „აკრძალული ხილი გემრიელია“ და ამით გადაცემის მართ ინტერესს ზრდით?

— ეს გადაცემა, ყველა შემთხვევაში საინტერესო იქნება.

— მითხარით, რომ ეს უცხოურ პროექტია მისი ქართულ ტელევიზიაში გადმოტანა ვისი იდეა იყო?

— ეს ალექო მალხაზიშვილის იდეა გახლდათ, ჩვენ კი მოგვეწონა და მხარი ავუბით... გადაცემის სრული ქრონომეტრაჟი 45 წუთია, საეთერო ხანგრძლივობა კი 1 საათი და 10 წუთი.

— პირველი გადაცემის სტუმრები ვინ იქნებიან?

— ელენე თევდორაძე, თემო და რომა რცხილაძეები, ჯგუფი „სეიშენი“, სოფო ქუონია, ნანიკო ხაზარაძე.

— ეს ადამიანები რა ნიშნით შეარჩიეთ?

— არანაირი განსაკუთრებული ნიშნით არ აგვირჩევია. თითოეული მათგანი, სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანია. ეს გადაცემის მრავალფეროვნებისთვისაც იყო საჭირო.

ოთო:

— კლუბურ გარემოში, მათზე ხუმრობა, გაცილებით საინტერესო გამოვიდა, ვიდრე ეს სტუდიებში ჩანერების დროს ხდება. მაგალითად, „ვანო ჯავახიშვილის შოუში“ სტუმართან წამყვანის 10-15-წუთიანი დიალოგი მიდის, „ქლაბი-შოუში“ კი ასე არ ხდება — დიალოგი თითქმის არ არსებობს. ხუმრობა სცენიდან მოდის, მაგრამ დარბაზში მყოფ ადამიანებსაც შეუძლიათ, რეპლიკები „გვესროლონ“.

— ამ დროს ხომ შეიძლება, გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს?

— შეიძლება, რეპლიკაზე ახალი ხუმრობა ექსპრომტად მოვიფიქროთ. სცენასა და დარბაზს შორის ცოცხალი ურთიერთობაა. დარბაზში ძალიან ბევრი ოპერატორი ივლის და ისინი მაყურებლებს სხვადასხვა რაკურსიდან გადაიღებენ. ხმის პრობლემაზეც არ არსებობს, არც ერთი რეპ-

ლიკა არ დაიკარგება.

— პოლიტიკა, სოციალური სფერო, სპორტი, შოუ ბიზნესი — იმ თემების ჩამონათვალა, რომლებზეც შეიძლება იხუმრო მათ შორის, ყველაზე კარგად ხუმრობა რა თემაზე გამოდის?

— მთავარია, ხუმრობა კარგად მოფიქრებული იყოს. პოლიტიკურ თემებზე ხუმრობები ყოველთვის მომგებიანია.

გოგა თანადარაშვილი:

— „ქლაბი-შოუში“ შეიძლება, იმ თემებზეც ვიხუმროთ, რასაც „ვანო ჯავახიშვილის შოუში“ და „კომედი-შოუში“ ვერიდებით.

— ეს გამალიზიანებული ხომ არ იქნება?

— ტაქტიკები ვიქნებით, არავითარ შემთხვევაში ზღვარს არ გავცდებით.

— პირველ გადაცემაში კადრს მიღმა ბევრი რამ დარჩება?

ავთო:

— ყველაფერი იმაზე უკეთესად მოხდა, ვიდრე ველოდი (მაგიდაზე აკაკუნებს) ანუ ამოსაღები არაფერია. ზოგი რამ საეთერო დროში ვერ ჩავატიეთ და ამ კადრებს სხვა გადაცემისთვის შევინახავეთ.

გოგა:

— კლუბში, გადაცემის ჩანერაზე მოსული ადამიანი გაცილებით მეტს ნახავს, ვიდრე ტელემაყურებელი.

— იუმორისტები ცნობილი ადამიანებიდან, ყველაზე კარგ სტუმრად ვის მიიჩნევთ?

ოთო:

— როცა ამა თუ იმ ადამიანს გადაცემაში ეპატივები, ის შენ უნდა გახადო საინტერესო. „ქლაბი-შოუში“ ჩვენ ცნობილ ადამიანებზე ვხუმრობთ და სტუმრებთან დიალოგი არ გვაქვს. ისინი უბრალოდ, მსმენელები არიან და ამა თუ იმ ხუმრობაზე რეაქცია აქვთ.

ავთო:

— ამ შოუს უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ შეიძლება, სტუმარს იუმორი არ

შქონდეს, მაგრამ ეს გადაცემაზე არ აისახება.

გოგა:

— სასურველ სტუმრად ზურა ჭიაბერაშვილს დავასახელებდი. ის ჩვენი სტუმარი არაერთხელ იყო და ყველა გადაცემა კარგი გამოვიდა.

— ახალ შოუში ახალი სახეებიც გყავთ. ისინი რა ნიშნით შეარჩიეთ?

— ეს ბიჭები ისევე, როგორ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის თითოეული წევრი, „კავენიშკები“ არიან. უკვე საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება აქვთ. ისინი ჩვენ მოვიწვიეთ. ჩვენი გუნდის წევრი არა მარტო შემსრულებელი უნდა იყოს, არამედ მათ ხუმრობების მოფიქრება და სცენარის დაწერაც უნდა შეეძლოთ.

ახალი შოუს ახალი სახეები ლევან გოგორელიან, ვაზო ბიჩიკაშვილი, თემო მუავა და სიკო ჭუმბურიძე არიან. ორიოდ სი-



გადაცემის ჩაწერაზე მოსული ადამიანი გაცილებით მეტს ნახავს, ვიდრე ტელემაყურებელი

ტყვით მათაც გავესაუბრე.

ლევანი:

— ძმაცაცებმა ფაქიზო დამარქვეს. „ქლაბი-შოუში“ მონაწილეობაზე დიდი სიხარულით დავთანხმდი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი ხანია, რაც ამ გუნდთან ვეუშაობ.

ვაზო:

— ძალიან კარგი გადაცემა გამოგვივიდა. როდესაც უცხოურ არხებზე ამ ფორმატის გადაცემებს ვუყურებდი, ყოველთვის მსურდა, რომ ანალოგიური რამ საქართველოშიც გაგვეკეთებინა. სურვილი ამისრულდა.


თემო:

— ქართულ ტელევიზიის მსგავსი არა-ფერი ახსოვს. ნახეთ, როგორ იხალისებთ.

სიკო:

— ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ და ვეცდებით, ხალხისათვის განწყობილება შევიქმნათ, თქვენ კი, ჩვენ მიმართ ზედმეტად კრიტიკულები ნუ იქნებით, ჯერ ბევრი რამ გვაქვს სასანავლი.

— „გზა“ გზას დაგილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!



შოუს ახალი სახეები — ლევანი, ვაზო, თემო და სიკო

«ქართული ფეხბურთის დანადგურელი ველი»


საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში განვითარებული მოვლენების შემდეგ, გიორგი ნემსაძე მასშტაბითან ურთიერთობას ერიდებოდა. ეს გასაგებია, რადგან ურუნალისტებთან შეხვედრისას, მას ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევდა ამ არჩევნებზე ლაპარაკი, რაც გასაგები მიზეზების გამო, გიორგის არ სურდა. საქართველო-შოტლანდიის მატჩზე დასასწრებად, თბილისში შოტლანდიელი ურუნალისტებიც ჩამოვიდნენ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ქართველ ფეხბურთელს ჯერ კიდევ „დანდიში“ თამაშის პერიოდიდან იცნობდა, ნემსაძეს ელაპარაკა და თავის სტატიას — „ქართული ფეხბურთის დანადგურელი ველი“ უწოდა. ახლა, სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ.

„თუ ოდესმე, გორდონ სმიტს (ამერიკელი სენატორი, რომელიც ერაყში ჯარების შეყვანის წინააღმდეგი გახლდათ. — ავტ.) მოუხდებდა, მეტი შეიტყოს ყოფილ ფეხბურთელთა შესახებ, რომელთაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა განუზრახავთ, გარკვეული პერიოდი გიორგი ნემსაძის კამპანიაში უნდა გაატაროს. შოტლანდიური „დანდის“ ექსპოთაშე, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით მეორეა, სამშობლოში მისში დაბრუნდა და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა განიზრახა. მისი მთავარი დაპირება ქვეყნის ლარიზმ რეგიონების ფეხბურთში ფულის ჩადება გახლდათ. ის, თუ რა მოხდა არჩევნების შემდეგ, დღემდე კამათის საკითხია. არსებობს მოსაზრება, რომ გიორგის, ქვეყნის პოლიტიკის მმართველმა ძალებმა ფედერაციის სათავეში ჩადგომა არ დაანებეს. „როდესაც შოტლანდიიდან საქართველოში დაებრუნდი, ნელინად-ნახევარი თბილისის „დინამოში“ ვითამაშე, სადაც ფეხბურთელის კარიერა დავასრულე და საკრებულოს დეპუტატი გახდი. ვფიქრობდი, ხელი მწვრთნელობისთვის მომეკიდა, მაგრამ მთავარ მიზნად, მაინც ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ჩადგომა განვიზრახე, რისთვისაც სულ მცირედი დაჰაკლდა. არადა, გამარჯვების დიდი იმედი მქონდა. წინასაარჩევნო პერიოდში ჩემდამი მხარდაჭერა არაერთმა ადამიანმა გამოხატა. თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ საქმეში პოლიტიკა ჩართო და ჩანაფიქრი ვერ განვახორციელე...

მომავალი არჩევნები ოთხი წლის შემდეგ გაიმართება, მაგრამ მასში მონაწილეობას მივიღებ თუ არა, არ ვიცი“, — განაცხადა ნემსაძემ.

თავის დროზე, მსგავსი პრობლემა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცსაც შეექმნა, მაგრამ ეს არაფერია იმ დაბრკოლებებთან შედარებით, რომელსაც პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მოღვაწე ადამიანები აწყდებიან. საქართველო, რომელიც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზეა, რუსეთსა და ირანს შორისაა მოქცეული და საკუთარი ისტორიის განმავლობაში, მუდამ გარკვეული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

„საქართველოში კორუფცია აღარ არის, მაგრამ გასაკეთებელი, მათ შორის, საფეხბურთო ოჯახში, კიდევ ბევრია. უმთავრესი პრობლემა ქვეყნის პერიფერიებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაა. თბილისში ბევრი შეძლებული ოჯახია და მათ შვილების ფეხბურთზე შეყვანა არ უჭირთ, მაგრამ რაიონებში, ბავშვების დასახმარებლად ყველაფერი უნდა გავიღოთ. დღეს, ამ პრობლემაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობენ“, — აღნიშნავს საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი. მიუხედავად იმისა, რომ ნემსაძე ფედერაციის პრეზიდენტი ვერ გახდა, ვერ ვიტყვით, რომ მას საქმეები ცუდად მისდის — ის დეპუტატია და ამავდროულად, ფლობს წილს ორ საავტომობილო დილერულ კომპანიაში, უძღვება საკუთარ საბავშვო საფეხბურთო სკოლას და საფეხბურთო აგენტობასაც ითავსებს. ნემსაძის მთავარი იმედი მისი 16 წლის შვილი — ვაჟა, რომელმაც „დანდის“ სკოლაში სწავლისას, ინგლისური ენა ჩინებულად შეისწავლა, ახლა კი „დინამოს“ მეორე გუნდის ნახევარდაცვაში თამაშობს და „დანდიში“ გადასვლაზე ოცნებობს. ნემსაძემ ფულის ყადრი კარგად იცის და ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან — კლაუს ტოპმოლერთან პრეტენზიებიც აქვს: „ყველა საქმეში, ანაზღაურება გაკეთებული სამუშაოს შესაბამისი უნდა იყოს. ტოპმოლერი ნელინადში მილიონს იღებს, მის მიერ გაკეთებულ საქმეს კი ვერ ვხედავთ. ოტო რეჰაგელი ბერძნების



განვრთნას 600 ათასად. დათანხმდა, ევროპირველობის მოგების შემდეგ კი ხელფასი მხოლოდ 800 ათასამდე გაუზარდეს. დღევანდელი ჩვენი გუნდი იმ ბერძნებს ვერ შეედრება, მაგრამ მიუხედავად ამისა, კლაუსი რეჰაგელზე მეტ ფულს იღებს. მე რომ ფედერაციის პრეზიდენტი ვიყო, გერმანულ სპეციალისტს შანსს კიდევ მიეცემდი, მაგრამ ხელფასს საგრძნობლად შევუმცირებდი. ფაქტობრივად, ასეთივე სიტუაცია იყო შოტლანდიაშიც. ბერტი ფოგთსს საკმაოდ სოლიდური ანაზღაურება ჰქონდა, მაგრამ მან გუნდს ვერაწიური სარგებელი ვერ მოუტანა“.

პირველი ფეხბურთელები, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს სახელი საზღვარგარეთ გაიტანეს, შოთა არველაძე და თემურ ქეცბაია იყვნენ, მალე კი მათ ნემსაძე მოჰყვა. გიორგიმ გერმანია, თურქეთი, შვეიცარია და იტალია მოიარა, ბოლოს კი შოტლანდიურ „დანდიში“ ირიცხებოდა. „დანდიში“ ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო წაწილი გაგატარე. იქ თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სახლში. საერთოდაც, ქართველები და შოტლანდიელები ხასიათით ძალიან გვაგვართ ერთმანეთს... „დანდიში“ სამწელიწად-ნახევარი გავატარე და უცხოობა ერთი წაწილაც არ მიგრძნია, ყველაზე მეტად კი მაშინ გავიხარე, როდესაც დერბოში „დანდი იუნაიტედის“ კარი დაველაშქრე“, — ამბობს ნემსაძე.

ჩვენი საუბრის ბოლოს, გიორგი იმ თანაგუნდელთა ბედით დაინტერესდა, რომლებთან ერთადაც „დანდიში“ ირჯებოდა. ვუპასუხეთ, რომ ჯიმ დაფი „ნორვიჩ სიტის“ წვრთნის, სტოვ ლოველი „აბერდინში“ მოღვაწეობს, გევის რაე კი — „კარდიფში“. ყველაზე საოცარი ლი უილკის (ეს ფეხბურთელი „დანდიში“ 18 წლის ასაკში ჩაირიცხა და რვა წლის განმავლობაში, 110 მატჩის ჩატარება მოასწრო. — ავტ.) მდგომარეობაა, რომელიც „დანდელთა“ საქულველ კლუბში — „დანდი იუნაიტედში“ გადაბარგდა. ამ ცნობამ ნემსაძე სახტად დატოვა: „ლი „იუნაიტედში“ თამაშობს?.. ძალიან ცუდად მოქცეულა. მან ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა“.



ჰაიენი „ფორმულა-1“-ს გამოგონილობა



„ფორმულა-1“-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, მიკა ჰაიენმა კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. ფინელმა მრბოლელმა, McLaren-ის შემადგენლობაში, მსოფლიოს ჩემპიონატები 1998 და 1999 წლებში მოიგო. 2001 წლის სეზონის მიწურულს, მან ერთხელ უკვე გააკეთა განცხადება სარბოლო კარიერის დასრულების შესახებ და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სპორტული ავტომობილის საქმე აღარასოდეს მიუგდებოდა. მიუხედავად ამისა, 2004 წელს ის რბოლას მაინც დაუბრუნდა, მაგრამ არა „ფორმულა-1“-ის, არამედ სატივრითო სერიის — DTM — ტრასაზე. რბოლის ამ

სახეობაში ჰაიენი სამი წლის განმავლობაში ასპარეზობდა (2005-2007 წლებში), მაგრამ მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. 3 ნოემბერს კი, Mercedes-ის ავტოსპორტულ ზეიმზე მან რბოლიდან საბოლოოდ წასვლის შესახებ განაცხადა. მანამდე, ფინელმა პილოტმა McLaren-Mercedes MP4-13-ის მანქანით, რომლითაც 1998 წელს, „ფორმულა-1“-ში პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი, საჩვენებელი სვლა განახორციელა. „რბოლიდან წასვლა ჩემთვის ადვილი არ იყო, რადგან შეჯიბრებაში მონაწილეობა სისხლში მაქვს გამჯდარი, მაგრამ დროა, სპორტს 39 წლის ასაკში გამოვშვიდობო. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ავტოსპორტულ შოუში, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ სერიოზულ შეჯიბრებებში აღარასოდეს გამოვალ“, — დასძინს ჰაიენი. Mercedes Sport-ის თავაყცმა, ნორბერგ ჰაუტმა განაცხადა, რომ მრბოლელი გერმანული კომპანიის სახედ რჩება.

ბლერს მემორიალი უმხედავს

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერისათვის, რაიონში — Connaught Square — მდებარე მისი სახლის გასწვრივ, ადგილობრივი ხელისუფლება მანქანების გასაჩერებელი ადგილის გამოყოფას გეგმავს. ამ ტერიტორიაზე, ბლერის გარდა, სხვას არავის შეეძლება ავტომობილის პარკირება. გამონაკლისი იქნებიან მხოლოდ ყოფილი პრემიერის დაცვის წევრები და სტუმრები. როგორც The Telegraph იუწყება, ტონი ბლერისათვის ექვსადგილიანი ფართობის გამოყოფას აპირებენ. აქედან, სამი ადგილი მისი სახლის გასწვრივ იქნება, ხოლო დანარჩენი სამი — გზის მოპირდაპირე მხარეს. ექსპრემიერის მემორიალები და უბნელები რაიონის ხელისუფლების გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი არიან. მათი თქმით, აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრებ დანარჩენ მძროლებს პარკირებისთვის განკუთვნილი მხოლოდ სამი მოედანი და დარჩება, რაც აშკარად არასაკმარისია. გავრცელებული ინფორმაციის

თანახმად, ადგილობრივებს ერთი თვე აქვთ იმისთვის, რათა რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრონ. თავის მხრივ, რაიონის თავაყცმა განცხადებით, ასეთი ნაბიჯი ყოფილი პრემიერის უსაფრთხოებისთვის გადაიდგა. გარდა ამისა, ხელისუფლება ირწმუნება, რომ Connaught Square-ს დანარჩენი მოსახლეობისთვის ავტომობილების პარკირებასთან დაკავშირებული პრობლემის მინიმუმამდე დაყვანას შეეცდება და უახლოეს მომავალში, ახალი ავტოსადგომებისთვის ადგილებს გამოყოფს. უნდა აღინიშნოს, რომ ადრე ბლერს მხოლოდ ერთი ადგილი გამოუყვას, თანაც, აუცილებლობის შემთხვევაში, ადგილობრივ მცხოვრებლებს მისით სარგებლობის უფლება ეძლეოდათ.

რუბრულა მოამზადა პაპაშვილმა რუსუაძემ



ქვირფასი სელანი მხოლოდ არაბი შინაზღვისთვის

ორიოდე დღის წინ, ზოგიერთმა უცხოურმა ინტერნეტ-საიტმა ქვირფასი სელანის — Maybach 62 — ღია მოდიფიკაციის პირველი, ჯერ კიდევ არაოფიციალური ფოტოები გაავრცელა: სულ მალე, ამ ავტომობილს დუბაის ავტომოუზე წარადგენენ, ხოლო მისი გამოშვება 2008 წლიდან დაიწყება. მანქანას „ლანდოს“ ტიპის ძარა აქვს — სალონის წინა ნაწილში მყარი, ხოლო უკანა ნაწილში დასაკეცი, რბილი სახურავით. ამასთან, მანქანას ჩვეულებრივი უკანა კარი და ძარას თითქმის სერიული დგარები აქვს. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, Maybach 62-ის ღია ვერსიას შეზღუდული ტირაჟით, სულ 20 ეგზემპლარად გამოუშვებენ. როგორც მოსალოდნელია, ამ ავტომობილის ძირითადი მყიდველები ახლო აღმოსავლეთის მკვიდრი, შექლებული კლიენტები იქნებიან. ჯერჯერობით, სიახლის ფასის შესახებ არაფერია ცნობილი.

ავტომობილები გელენაყვანი დააზარალა

ბრიტანული ტელეგადაცემისთვის — Fifth Gear — განკუთვნილი მორიგი ეპიზოდის გადაღებისას, ცნობილმა მრბოლელმა და ამ პროგრამის წამყვანმა, ჯეისონ პლატომ ხელების, სახისა და კისრის დამწვრობა მიიღო, რის გამოც, ის საავადმყოფოში აღმოჩნდა. 240 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას ცეცხლი მოედო სუპერავტოს — Caparo T1 — ძრავას, რომლის ტესტირებასაც იგი ატარებდა. პლატომ მანქანის გაჩერება და იქიდან გადმოსვლა მოახერხა. მან ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თავიდან, მოტორის სიმძლავრის შემცირება შენიშნა, შემდეგ კვამლი და ზეთის სუნიც იგრძნო, რასაც ძრავას აალება მოჰყვა. ჯეისონის თქმით, ავტომობილი მალე ცეცხლოვან ბურთს დაემსგავსა, რომლის ეპიცენტრშიც თავად იმყოფებოდა. საბედნიეროდ, დამწვრობა მალევე ხარისხის არ აღმოჩნდა და პლატო საავადმყოფოდან იმავე დღეს განერეს. ზოგიერთი უცხოური გამოცემის ვარაუდით, ამ ინციდენტმა შესაძლოა, Caparo T1-ის სერიული გამოშვების დაწყება (რაც მიმდინარე წლის ბოლოსათვის იგეგმებოდა) შეაფერხოს. აქვე გაცნობებთ, რომ ეს სუპერავტო 3,7-ლიტრიანი, 575 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე ბენზინის ძრავითაა აღჭურვილი.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მალაზია
www.elva.ge
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დახახელება	1 კვ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗОРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2



პრესის
 გავრცელების
 სააგენტო
 „ქვირფასი“

ქ. თბილისი
 იოსებძის ქ. № 49
 ტელ: 42-43-40;
 38-26-73; 38-26-74.
 ფაქსი: 38-26-74

ავრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები E-mail: elva@kvispalitra.com



მამაკაცი ხასიათი გაქვს თუ ქალური?

პასუხების 3 ვარიანტიდან
 — „ღიას“, „არა“, „არ ვიცი“
 — **შეარჩიე ერთ-ერთი.**

1. თუკი შესაძლებლობა მეძლევა, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა მზიბლავს.
2. რთულ ან ორჭოფულ მდგომარეობაში, მხარდაჭერას ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანისგან ველი.
3. ნებისმიერ საქმეში გადანყვებილებას იოლად ვიღებ.
4. საოცრად მგრძობიარე ადამიანი ვარ და ჩემი თანაგრძობის გამოწვევა იოლია.
5. საკუთარი ავტორიტეტის დაცვას მშვენივრად ვახერხებ.
6. საკუთარ გარეგნობაზე ვზრუნავ და ეს სიამოვნებასაც მანიჭებს.
7. ჩვეულებისამებრ, გარემოებებთან შეგუებას ვცდილობ და პირველ ემოციას არასოდეს ვყვები.
8. ზოგჯერ კეკლუცობა, ბიჭებისთვის თავის მონონება მიყვარს.

9. ძლიერი ფსიქიკის პატრონი ვარ და მიყვარს დამოუკიდებლად მოქმედება.
10. სარკეს ყოველთვის თან ვატარებ.
11. წყნა ყოველთვის დიდხანს მიმყვება და მონინაალმდეგისთვის ანგარიშის გასწორებასაც ვცდილობ.
12. თავშეკავებით არ გამოვირჩევი და ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნება არ ძალმიძს.
13. სიყვარული ფარული, შინაგანი განცდაა და მისი გარეგნული დემონსტრირება საჭიროდ არ მიმაჩნია.
14. რომანტიკული ადამიანი ვარ.
15. ხასიათით მამაჩემს ვგავარ.



დაავაზიოთ თქვანი კნტი რიცვით აღნიშნულ ყოველ დადებით პასუხში დაინერეთ 10 თულბ; ასევე 10 თულბ დაინერეთ ლუნი რიცვით აღნიშნულ უარყოფით პასუხებში. სოლო ყოველი პასუხისათვის — „არ ვიცი“, დაინერეთ 5 თულბ.

ტასტის შედეგები

0-49 თულბ: ფსიქიკური მონაცემებით 100%-იანი ქალი ხარ დღესდღეობით, ამ ტიპის ქალები შედარებით იშვიათად გვხვდებიან. თუკი შენ გიყვარს კრძების მოზადება, საოჯახო საქმეების კეთება, ოცნებობ შეიღების აღზრდაზე, გაქვს მშვიდი და დამყოლი ხასიათი, მაშინ ყველა თვისება გქონია საიმისოდ, რომ მამაკაცის იდეალის სორცშესახებ განსაზიერებად იქცე. ნამდვილი მამაკაცი შენ მიგიღებს ისეთს, როგორც სნამდვილუში ხარ — საამისოდ საკმარისია, მას შენ მიმართ გრძობა გაუწდეს.

50-99 თულბ: აუცილებლობიდან გამომდინარე, შენ ხან მამაკაციურ, ხან კი კლასიკურ ქალურ თვისებებს ამულანებ. შენში შერწყმულია გამბედაობა, მგრძობი-

ლობა და გონიერულობა. შესაძლოა, ცხოვრებისეულმა გარემოებებმა შენგან ისეთი მოქმედება მოითხოვოს, რომელსაც საპროსპორო სქესის წარმომადგენლთა დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევ. მაგრამ შემგუებლობის უნარი და მოქნილი ფსიქიკა ნებისმიერ სიტუაციაში შენ მოკავშირე იქნება.

100-150 თულბ: მამაკაციური ბუნებით გამოირჩევი. შენ თავდაჯერებული, გამბედავი და დამოუკიდებელი ადამიანი ხარ. ირგვლივ მყოფებს ყველგან და ყველაფერში შენი იმედი აქვთ და შენთვის სრულიად ნათელია, თუ რატომ ცხოვრობ ამქვეყანად. შენი ცხოვრებისეული პრინციპები ირგვლივ მყოფთა პატივისცემას იმასხურებს.

იაკონური სენსაცია
სულოკუ
 წინა ნომრის სულოკუს პასუხები

6	9	7	8	2	5	4	3	1
3	4	8	9	1	7	2	5	6
2	1	5	6	4	3	8	7	9
8	3	2	4	6	9	7	1	5
7	5	4	1	3	8	6	9	2
1	6	9	7	5	2	3	8	4
4	7	1	5	8	6	9	2	3
5	8	3	2	9	4	1	6	7
9	2	6	3	7	1	5	4	8
5	1	6	7	8	4	2	3	9
7	9	3	1	5	2	8	4	6
8	4	2	6	9	3	7	5	1
3	2	5	9	4	8	6	1	7
9	6	7	3	2	1	4	8	5
1	8	4	5	6	7	9	2	3
6	7	8	4	3	5	1	9	2
2	3	1	8	7	9	5	6	4
4	5	9	2	1	6	3	7	8
8	7	3	1	6	5	9	2	4
9	1	4	8	2	3	6	5	7
2	5	6	7	9	4	3	8	1
7	8	2	5	1	9	4	3	6
6	3	1	2	4	7	8	9	5
4	9	5	3	8	6	7	1	2
1	2	9	4	7	8	5	6	3
3	6	7	9	5	2	1	4	8
5	4	8	6	3	1	2	7	9

*	მარტივი	**	საშუალო	***	რთული																																																																																																																																																																																																							
<table border="1"> <tr><td>1</td><td></td><td>8</td><td>4</td><td></td><td>7</td></tr> <tr><td>7</td><td>4</td><td></td><td>5</td><td></td><td>2</td></tr> <tr><td></td><td>2</td><td>3</td><td></td><td></td><td>9</td><td>4</td></tr> <tr><td>6</td><td></td><td>1</td><td></td><td>8</td><td></td></tr> <tr><td>5</td><td>9</td><td>4</td><td>3</td><td></td><td>2</td><td>6</td></tr> <tr><td></td><td></td><td>4</td><td></td><td>7</td><td></td><td>5</td></tr> <tr><td>9</td><td>3</td><td></td><td></td><td>8</td><td></td><td>6</td></tr> <tr><td>2</td><td></td><td></td><td>3</td><td></td><td></td><td>7</td><td>9</td></tr> <tr><td>4</td><td></td><td>9</td><td>2</td><td></td><td></td><td></td><td>8</td></tr> </table>	1		8	4		7	7	4		5		2		2	3			9	4	6		1		8		5	9	4	3		2	6			4		7		5	9	3			8		6	2			3			7	9	4		9	2				8	<table border="1"> <tr><td></td><td></td><td>2</td><td>3</td><td></td><td>5</td><td></td></tr> <tr><td></td><td></td><td></td><td>8</td><td></td><td></td><td>9</td></tr> <tr><td></td><td>3</td><td></td><td>4</td><td></td><td></td><td>6</td></tr> <tr><td></td><td></td><td>4</td><td></td><td>1</td><td>8</td><td>5</td></tr> <tr><td>7</td><td></td><td></td><td>9</td><td></td><td></td><td></td><td>3</td></tr> <tr><td></td><td>9</td><td></td><td></td><td>7</td><td></td><td>4</td><td></td></tr> <tr><td></td><td>6</td><td></td><td></td><td>4</td><td></td><td>1</td><td></td></tr> <tr><td></td><td>4</td><td></td><td></td><td></td><td>9</td><td></td><td></td></tr> <tr><td></td><td></td><td>5</td><td></td><td>2</td><td>6</td><td></td><td></td></tr> </table>			2	3		5					8			9		3		4			6			4		1	8	5	7			9				3		9			7		4			6			4		1			4				9					5		2	6			<table border="1"> <tr><td></td><td>4</td><td></td><td>2</td><td></td><td></td><td>8</td><td></td></tr> <tr><td></td><td></td><td>1</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>9</td></tr> <tr><td>6</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>4</td><td></td><td></td></tr> <tr><td></td><td></td><td>6</td><td></td><td>1</td><td></td><td></td><td>7</td></tr> <tr><td>1</td><td></td><td></td><td></td><td>2</td><td></td><td></td><td>4</td></tr> <tr><td></td><td>7</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>3</td><td></td></tr> <tr><td></td><td></td><td></td><td>7</td><td></td><td></td><td></td><td>3</td></tr> <tr><td></td><td></td><td></td><td>8</td><td></td><td></td><td>2</td><td></td></tr> <tr><td></td><td></td><td>5</td><td></td><td></td><td>3</td><td></td><td>9</td></tr> </table>		4		2			8				1					9	6					4					6		1			7	1				2			4		7					3					7				3				8			2				5			3		9
1		8	4		7																																																																																																																																																																																																							
7	4		5		2																																																																																																																																																																																																							
	2	3			9	4																																																																																																																																																																																																						
6		1		8																																																																																																																																																																																																								
5	9	4	3		2	6																																																																																																																																																																																																						
		4		7		5																																																																																																																																																																																																						
9	3			8		6																																																																																																																																																																																																						
2			3			7	9																																																																																																																																																																																																					
4		9	2				8																																																																																																																																																																																																					
		2	3		5																																																																																																																																																																																																							
			8			9																																																																																																																																																																																																						
	3		4			6																																																																																																																																																																																																						
		4		1	8	5																																																																																																																																																																																																						
7			9				3																																																																																																																																																																																																					
	9			7		4																																																																																																																																																																																																						
	6			4		1																																																																																																																																																																																																						
	4				9																																																																																																																																																																																																							
		5		2	6																																																																																																																																																																																																							
	4		2			8																																																																																																																																																																																																						
		1					9																																																																																																																																																																																																					
6					4																																																																																																																																																																																																							
		6		1			7																																																																																																																																																																																																					
1				2			4																																																																																																																																																																																																					
	7					3																																																																																																																																																																																																						
			7				3																																																																																																																																																																																																					
			8			2																																																																																																																																																																																																						
		5			3		9																																																																																																																																																																																																					

სკანოვანი

	1	მცნარის მწვანე პიგმენტი	2	ამერიკელი მწვემსი	3	მეფის ან დედოფლის საცვარელი	4	კლავის საერთაშორისო ფედერაცია	5	უმფითველი ცხოვრება		
	6	ოპი	7	მუხის ნაყოფი	8	გაბატონებული გეოგრაფია	9	ჩერჩეტი				
	10	უნგრული ავტობუსი										
	11	მოკლე წერილი			12	მოლოდავის ზე	13	ბოსტნეული	14	სამკუთხა პირის მჭონე ხანაჯალი		
	15	ავტორი ოპერისა „კარმენი“			16	დასასლესული პუნქტი			17	ერთგვარი კანფეტი		
	18	ლონე			19	ნიაგის სახეობა						
20	მარადმწვანე სუბტროპიკული ბუჩქი			21	იორდანის დედაქალაქი							
22	ამერიკის შტატი	23	იტალიელი კინორეჟისორი	24	რუსეთის სახელმწიფო საგანგებო	25	შიმიგ შრომა	26	ცივი იარაღი	27	გაფრესურ ფულბული ცხა	
28	ზღაპრული გრძელხელი კალი			29	რევაზ ლალიძის თაქერა							
30	ყვავილი			31	მტაცებელი ცხოველი			32	საეკლესიო კრება			
33	ღილი გამობერილი მუცელი			34	გამზამარი ხელი	35	იფიფა, რაც მათული					
36	თხის ჯოჯი			37	ზელავერი							
38	ნიერის აკვა			39	შველური ავტომობილი							
40	მონარქული სახელმწიფოს ტიპი	41	რომაული ფილოსოფოსი									
42	ველის ფოცხვერი											




ზინა ნოზრის სკანოვანის პასუხები

1. კომპრომისი; 2. მეფე; 3. პრიზმა; 4. მოლიერი; 5. მარში; 6. იმერეთი; 7. სიბილა; 8. ინფიცირება; 9. ასათიანი; 10. ცერი; 11. ელიტა; 12. მორიელი; 13. პაკისტანი; 14. ცირიკი; 15. ალ; 16. კინო; 17. ნიკელი; 18. კულინარი; 19. რუტინა; 20. კიი; 21. რენო; 22. კოპიტი; 23. საკურა; 24. კუპე; 25. კალათა; 26. კანიბალი; 27. კაპელანი; 28. რეუელი; 29. სპა; 30. მონაკო; 31. ბუბლიკი; 32. კისკისი; 33. გაუჩერი; 34. ჩილა; 35. ფსოვი; 36. ობი; 37. სტელა; 38. ეტა; 39. კალია; 40. ტომატი; 41. მანილა; 42. სატირა; 43. კარატი; 44. სიდედრი.

სურათზე: კრისტინა რინი; რენე რუსო.

სუპერლაინერში სექსის ადგილი ან ანის

ავიაკომპანია Singapore Airlines საკუთარ მგზავრებს დაბეჯითებით სთხოვს, რომ ახა-



ლი სუპერლაინერის Airbus A380 ბორტზე სექსუალური აქტების ჩატარებისგან თავი შეიკავონ. ამ უჩვეულო პრობლემის მიზეზი ახალი ლაინერია, რომლის პირველი კლასის ზონაში ორადგილიანი სანოლევით აღჭურვილი, 12 პრივატული ოთახია განლაგებული. სინგაპურის ავიაკომპანიის თანამშრომლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ოთახებს შორის ხმის იზოლაცია გათვალისწინებული არ არის; ამიტომ, არაპლატონური ქმედება მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებს მყუდროებას დაურღვევს. „ჩვენს კლიენტებთან მხოლოდ იმ სტანდარტების დაცვას ვითხოვთ, რომელიც სხვა კლიენტებისა და ეკიპაჟის წევრების სიმშვიდის დაცვას უზრუნველყოფს. ჩვენი კლიენტებისგან სხვა არაფერი გვინდა“, — ნათქვამია ავიაკომპანიის განცხადებაში.

შთქმიგნვის მთხთუნებს ვიფენამივ კი დანებდა



არის!!! ასრულდა!!! ქვეყნის ისტორიაში პირველად, ვიეტნამის ხელისუფლებამ შიშველი ნატურის ფოტოსესიის ჩატარების ნებართვა გასცა! პირველი ბენდიერი, რომლის წინამეც ულტრაკონსერვატიულმა ხელისუფლებამ დათმო, ფოტოგრაფი ტხაი ფიენი აღმოჩნდა. პირველი ვიეტნამელი ფოტოგრაფი ვარ, რომელსაც ამ ტიპის გამოფენის უფლება მისცეს. ეს უდიდესი წარმატებაა, — ამაყად განაცხადა ფოტოგრაფმა, რომლის კოლექციაში შიშველი ნატურის 70 ფოტოგრაფიაა. ეს ფოტოები უშუალოდ ექსპოზიციის გახსნის წინ გამოქვეყნდება. მკითხველს შეეახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ვიეტნამში სექსუალური სკანდალი მოხდა, რომელიც საკმაოდ ცუდად დასრულდა. ინტერნეტში გამოქვეყნებული სამოყვარულო პორნოს გამო ახალგაზრდული ტელემოუს ერთ-ერთი პოპულარული ვარსკვლავი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. პოლიციამ ის 4 სტუდენტი დააკავა, რომელმაც ვიდეოქსელში პორნო განათავსა. ტხაი ფიენის გამოფენა, პანოიში 24-27 ნოემბერს გაიხსნება. დამთავლიერებული ფოტოგრაფის 48 ნამუშევარს იხილავს.

მბიფანეთის დედოფლის პაფაბ-პაფაბა საიდუმლოტმანი

ბრიტანელი ავტორების ფილ დემპერისა და ეშლი უოლტონის წიგნის („რა დევს გვირგვინოსანის ხელჩანთაში და სხვა საიდუმლოებანი“) წყალობით, ბოლოს და ბოლოს მთელმა მსოფლიომ შეიტყო, თუ რა ნივთებს დაატარებს ხელჩანთით ელისაბედ II. ბრიტანეთის დედოფლის ჩანთაში სხვა ნივთებთან ერთად, მუდამ დევს ნიშნობის დროს მომავალი მეუღლის ედინბურგის პერცოგის მიერ მირთმეული კოსმეტიკის შესაბამისი პატარა ჩანთა, ოჯახური ფოტოსურათები, ცხენებისა და ძაღლების ფორმის თილისმები, რამდენიმე კროსვორდი, პიტინის კანფეტი და შოკოლადის ორცხობილა, რომლითაც მისი უდიდებულესობა საყვარელ ძაღლებს უმასპინძლდება. დედოფალი მუდამ თან დაატარებს მეტალის კაუჭს, რომელსაც ჩანთის დასაკიდებლად იყენებს. დედოფალი ხელჩანთას გარემოცვისათვის სიგნალის მისაცემად იყენებს. როდესაც მონარქი ამ აქსესუარს მაგიდაზე შემოდებს, ამით ამაღლს მისი ნიშნებს, რომ წინაშე მდებარე წამოდგომას აპირებს. საუბრის დროს ჩანთის იატაკზე დადება საგანგაშო სიგნალია: დედოფალი უკმაყოფილოა! ჯერჯერობით არაფერი იცის, თუ



საიდან მოიპოვეს ავტორებმა ესოდენ პიკანტური ინფორმაცია, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ წიგნი მეტად საინტერესოდ იკითხება.

იქსპაფიმაბმა საკუთადი საჯანი იყიდა!

ავსტრალიელმა ბიზნესმენმა გრემ ელფორდმა 1970-იან წლებში რამდენიმე წელი საპატიმროს გისოსებს მიღმა გაატარა და ახლა საკუთარი საკნის ყიდვა გადაწყვიტა. უნდა ითქვას, რომ ბიზნესმენი საკანში ცხოვრებას არ აპირებს. იქ მხოლოდ იშვიათ ღვინოებს შეინახავს. ავსტრალიის ყველაზე აბეჯით ციხეში პატიმრის სიკვდილით დასჯა უკანასკნელად 1967 წელს მოხდა. პენტრიჯის ციხეში სასჯელს ყველაზე თავზე ხელაღებული კრიმინალები და მკვლელები იხდიდნენ. 1997 წელს პენტრიჯის ციხე დაიხურა. ელფორდი სასჯელს ფულის მითვისებისა და ძარცვის გამო იხდიდა. მას დანაშაულისკენ კი აზარტული თამაშებითა და ალკოჰოლით გატაცებამ უბიძგა. სასჯელის მოხდის შემდეგ, გრემ ელფორდმა საკუთარი ცხოვრება კარდინალურად შეცვალა. სასმელსა და აზარტულ თამაშებზე უარი თქვა და წიგნი „არასდროს დანებდი!“ დაწერა, რომელშიც




მკითხველს საკუთარი გამოცდილების შესახებ მოუთხრო. წიგნი მალე ბესტსელერად იქცა. ყოფილა პატიმარმა, რომელიც ერთ დროს ადვოკატად მუშაობდა, განაცხადა, რომ მის მიერ საპატიმროს საკნის შესყიდვა „მხოლოდ ინვესტიციაა“, რადგან თავად ალკოჰოლს არ მიირთმევს.



კპირფასო გპითხპეპო!

თუ გსურთ, აქტიურად ჩაერთოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის განახლებაში — შემოგვთავაზოთ რაიმე იდეა, მოგვანოდოთ ჭორ-მართალი საინტერესო ადამიანებზე, ოპერატიულად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება „გზის“ პუბლიკაციებზე ან უბრალოდ, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე: **8.99.17.35.27** ან მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com
წინასწარ გისდით ვაფლოვას.

ფოტოკუჩიონები



552/92

სურათები

ბავაპენა 6 ნიხა კოლი SMS-ით ნოეარა 8887

კლიპები ბავაპენა 6 ნიხა კოლი SMS-ით ნოეარა 8887

--	--	--	--

თემაები ბავაპენა 6 ნიხა კოლი SMS-ით ნოეარა 8882

--	--	--	--	--

თემათები ბავაპენა 6 ნიხა კოლი SMS-ით ნოეარა 8882

--	--	--

MEASMS GIRLS
ნოეარა: **8880**
18+

სიხარული ბავაპენა 6 ნიხა კოლი SMS-ით ნოეარა 8887

სიხარული	8887	8887	8881
ჯაბა ბოულა	913154	913150	
ჯებოლა, კაკაულია	913094	913090	
აგნესა და ლეტი-სენი	912461	912457	912457
აბი ჯაბაბე	911972	911976	911976
აბი ჯაბაბე	911997	911965	911965
ბეგინა	912488	912484	912484
ბეგინა	912512	912509	912509
ბეგინა	912543	912540	912540
ბეგინა	911396	911411	911411
ბეგინა	911826	911834	911834
ბეგინა	912603	912601	912601
ბეგინა	910035	910003	
ბეგინა	912561	912559	912559
ბეგინა	911715	911746	911746
ბეგინა	912742	912744	
ბეგინა	911723	911943	911943
ბეგინა	911896	911892	911892
ბეგინა	913166	913173	913173
ბეგინა	912915	912914	912914
ბეგინა	912380	912377	912377
ბეგინა	911824	911823	911823
ბეგინა	911229	911249	911249
ბეგინა	912073	912076	912076
ბეგინა	911178		911096
ბეგინა	911182		911101
ბეგინა	912847		912847
ბეგინა	910093	10088	
ბეგინა	911408		914065
ბეგინა	911348		912403
ბეგინა	911340	911343	912882
ბეგინა	911327		912471
ბეგინა	912816		912816
ბეგინა	913163	913172	912816
ბეგინა	913008		912816
ბეგინა	913188	913185	
ბეგინა	911195		911116
ბეგინა	912839		912839
ბეგინა	912820		912820
ბეგინა	913206	913204	

ვიდეო ქაბასტრა

90 ვიდეოკლიპი მოგიღარი ქაბასტრირაინა!!!
912620-დან 912709-მდე
912621-დან 912622-მდე

მოგიღარი თიღისები

შენ თუ იგი რა ეღვილია

ბავაპენა SMS-ით ნიხა კოლი ნოეარა 8887
8888

სიყვარულის ანსხა

8884
LOV

საპირიკოლო ზარები

საპირიკოლო ზარები
911918
911917
911922
911924
911926
912338
912339
912340
912341
912342
912343
911924
912335
912336
912337
912338
912339
912340
912341
912342
912343

საათები მოქიანათის

ბავაპენა SMS-ით ნიხა კოლი 8882

ბავაპენა SMS-ით ნიხა კოლი 8882
WAP/GPRS-ის ნიხა კოლი 8882
912839-928
912839-928
912839-928